პატრიცია ანა ლიჩინი

კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში

თარგმანი, შესავალი და შენიშვნები
მურმან პაპაშვილისა

თბილისი
2009

UDC(უაკ) 94(479.22:450)
პ-18

პატრიცია ანა ლიჩინი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები პროფ. მურმან პაპაშვილის.

თბილისი: გამომც. „ინოვაცია“, 2009. 160 გვ.

იტალიელი თეატინელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი 1632-1654 წლებში საქართველოში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა. მან დაგვიტოვა უნიკალური ნახატები, ჩანაწერები და რელაციები XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ, რელიგიური, დიპლომატიურ და სამეურნეო ცხოვრებაზე. მისი ცნობები საინტერესო და სანდოა, როგორც თვითმხილველისა, განსაკუთრებით, სამეგრელოზე.

ბერგამოს უნივერსიტეტის პროფესორმა პატრიცია ანა ლიჩინიმ 1985 წელს რომში გამოაქვეყნა კრისტოფორო დე კასტელის მანამდე უცნობი ნაშრომები, რომლებიც დოკუმენტურად ავსებენ და აზუსტებენ ჩვენს ცოდნას საქართველოს მღელვარე XVII საუკუნის აქამდე ნაკლებად შესწავლილი ისტორიული მოვლენები-სა და პიროვნებების გაშუქებისათვის.

წინამდებარე წიგნის მომზადებისა და გამოსაცემად ხელშეწყობისათვის მთარგმნელი და რედაქტორი დიდ მადლობას უხდის ისტორიაზე უზომოდ შეყვარებულ სწავლულს, მეცნიერსა და მეცენატს, ქალბატონ ლამარა ქოქიაურს.

ნაშრომის რედაქტირებისათვის ასევე დიდ მადლიერებას გამოვხატავთ ქალბატონი ნაირა ჩოდრიშვილის მიმართ.

მ. პაპაშვილი
12.03.2009

ISBN 978-9941-0-1263-1

PATRIZIA ANNA LICINI

CRISTOFORO CASTELLI E LA SUA MISSIONE IN GEORGIA

"REGNUM DEI". ANNO XLI – JAN. – DEC. 1985, №111

TRADUTTO E INTRODUZIONE E COMENTI HA MUNITO PROF. MURMAN PAPASHVILI

ROMA
1985

UDC(ეროვ) 94(479.22:450)
ბ-18

Patricia Anna Lichini. Christoporo Castelly and his mission in Georgia. Translation, introductory and comments by Murman Papashvili. Tbilisi: Edition "INOVATCIA", 2009, page 160.

Italian missionary from Theatin led mission life in Georgia in 1632-1654. He left unique paintings, records and relations about Georgian politician, religious, diplomatic and farming life in the XVI century. His works are interesting and reliable as an eyewitness, especially about Samegrelo.

Bergamo University professor Patricia Anna Lichini edited Christoporo de Castelly's unknown works. They complete and qualify our knowledge about historical events of the exciting XVII century that had been less learned before.

The translator and editor thanks to the scientist, history-lover, _maecenas - ***Lamara Qoqiauri***.

Thanks to ***Naira Chodrishvili*** for editing.

ISBN 978-9941-0-1263-1

ამ ნაშრომს დიდი მადლიერების გრძნობით ეუძღვნი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ისტორიკოსის, ილია ტაბაღუას, ნათელ ხსოვნას

იტალიელი თეატინელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი დაიბადა გენუაში, აღიზარდა პალერმოში და ამიტომ მას პალერმოს შვილობილსაც უწოდებენ. კასტელი საქართველოში (გორში) 1632 წლის 10 ივლისს ჩამოვიდა და აქ ორ წელზე მეტ ხანს დაყო. 1634 წლის ოქტომბერში ის თეატინელ მამა დონ ანტონიო ჯარდინასა და ფრანგ ძმა კლაუდიოსთან ერთად გურიის სამთავროში გადავიდა და აქ განაგრძო სამისიონერო საქმიანობა. ეს შემდეგ ვითარებაში მოხდა:

1634 წლის შემოდგომაზე სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის, დაზე – მარიამზე – ქართლის მეფის, როსტომის, ქორწინების გამო ქართლში მიმავალი დედოფლის ამალაში იყო შემოქმედის ეპისკოპოსი მაქსიმე მაჭუტაძე. როცა ქორწილი დამთავრდა და შემოქმედის ეპისკოპოსი უკან ბრუნდებოდა, გორში გაიარა, თეატინელი მისიონერები მოინახულა და მათ პრეფექტს, დონ პიეტრო ავიტაბილეს, სთხოვა, მიეცა რამდენიმე მისიონერი გურიაში წასაყვანად. ავიტაბილემ დააკმაყოფილა შემოქმედელის თხოვნა და მას აახლა სამი მისიონერი: დონ კრისტოფორო დე კასტელი, დონ ანტონიო ჯარდინა და ფრანგი ძმა კლაუდიო. ასე დაიდეს თეატინელმა მისიონერებმა ბინა გურიაში[1].

ეს შემთხვევა, რომ ქართველ მართლმადიდებელ ეპისკოპოსს თავისი ინიციატივით მიჰყავდა კათოლიკე მისიონერები გურიაში სამოღვაწეოდ, ჩვენ უნდა ავხსნათ დასავლეთთან საქართველოს

[1] Ilia M. Tabagua, I rapporti tra la Georgia cristiana e la Santa Sede. vol.I. Tbilisi, 1995, p. 287. პატრიცია ანა ლიჩინის თანახმად, მამა კასტელი, ანტონიო ჯარდინა და ძმა კლაუდიო გურიაში 1636 წლის 8 ივლისს ჩავიდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი (Licini P.A., Carteggio inedito.... p. 18).

კულტურული და პოლიტიკური კავშირის დამყარების სურვილით, რომლის განხორციელება იმ დროს მხოლოდ მისიონერთა საშუალებით იყო შესაძლებელი. თვით ის ფაქტი, რომ შემოქმედელს მისიონერები საეკლესიო და საერო პირთა „გახრწნილი ზნეჩვეულებების გამოსასწორებლად“[2] სურდა წაეყვანა, აშკარად ავლენდა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი არქიელები მისიონერთა თეოლოგიურ განათლებასა და მათ მორალურ სრულყოფილებას. პატრების უანგარო მოღვაწეობისა და ღვთისმოსავი ცხოვრების ჩვენებით, იმდროინდელ ქართველ სასულიერო თუ საერო მესვეურებს სურდათ, ეს კეთილი ადამიანები თავიანთი ხალხისთვის ზნეობის მაგალითად დაესახათ. ასევე კათოლიკე მამების მეშვეობით შემოქმედელი ცდილობდა ქართველი სამღვდელოების კულტურული დონის ამაღლებას. „ამ ადგილების მფლობელი, — ვკითხულობთ კასტელისთან, — ჩვენ ისე გვემსახურება, როგორც მონა. ყველა თავის ბრძანებაში წინა პლანზე გვაყენებს, რათა ამ გზით მოვიპოვოთ ადგილი და კათოლიკურ სარწმუნოებას მოკლებული სულების დასახმარებლად მოსახლეობაში სრული სიმშვიდე დავამყაროთ...“[3].

ეპისკოპოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ მისიონერები ჩაიყვანა შემოქმედში, სადაც მათ მისცა ბინა, „თავისი მთავარი ეკლესია“ და მსახურები. ისინი დროის დაუკარგავად შეუდგნენ მუშაობას. დონ კრისტოფორო კასტელიმ ისე კარგად მოხატა ეკლესია „ბერძენი და ლათინი წმინდანებით“[4], რომ მის სანახავად შორეული ადგილებიდანაც კი მოდიოდა ხალხი[5]. ბერძენი და ლათინი წმინდანების ერთად დახატვა, ჩვენი აზრით, მიზნად ისახავდა კათოლიკური და მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთიანობისა და თანხმობის რელიგიურ წარმოსახვას. მას მართლმადიდებელ სასულიერო პირთა გონებაში უნიატური ხასიათის იმპულსები უნდა აღეძრა.

ამასობაში გავიდა ორი წელი. გურიაში მისიონერებისადმი

[2] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 151.
[3] Licini P.A.. Cristoforo Castellli.... p. 28.
[4] იქვე. გვ. 83-84.
[5] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

არაკეთილსასურველი დამოკიდებულება გაჩნდა. ალაევერდელი[6] ეპისკოპოსი, რომელიც როსტომ ხანს განერიდა, იმ დროს ოდიშის სამთავროში იმყოფებოდა. მან ისარგებლა თავისი ავტორიტეტით და შემოქმედელ ეპისკოპოსს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ დაუყოვნებლივ დაეთხოვა თავისი ეკლესიიდან თეატინელი მისიონერები[7]. პატრებმა არ იცოდნენ, რა ექნათ, უკან, გორში, დაბრუნებულიყვნენ, თუ სამეგრელოში გადასულიყვნენ. კასტელის გორში დაბრუნებას აიძულებდნენ. ისიც სწრაფად მოემზადა წასასვლელად[8], მაგრამ შექმნილ მდგომარეობას სასიკეთო მიმართულება მისცა კათოლიკოს-მთავარ მალაქიას პოზიციამ.

გურიის მთავარ-კათოლიკოს მალაქია II (1625-1639), ლევან დადიანის მსგავსად, ევროპული ორიენტაციისა იყო. შექმნილი მდგომარეობით შეწუხებულმა მალაქიამ კასტელის სთხოვა, რომ არ დაეტოვებინა მისიონი. „მან, — წერს კასტელი, — გამომიგზავნა თავისი მსახური და შემომითვალა, რომ გამიწევდა მფარველობას, დამიცავდა ბოროტი ბერძნებისაგან, თვალისჩინივით მომივლიდა

[6] კრისტოფორო კასტელის მიხედვით, ყველაზე „განსწავლული და მეცნიერი" (დონ ჯუზეპე ჯულჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გოლგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 118) ალაევერდელი ლევან II დადიანმა „...დანიშნა წალენჯიხის ეპისკოპოსად". მან ბოლოს „რამდენადმე შეანელა წინააღმდეგობა ჩვენდამი და დაზავებაც კი ისურვა. მან მთხოვა, დამესატა რამდენიმე ბერძენი წმინდანი. შემდეგ ჩვენ შორის დამყარდა დიდი მეგობრობა", — წერს კასტელი. ალაევერდელი, მართალია, „ბერძნული სარწმუნოებისადმი ერთგული იყო", მაგრამ კათოლიკობისადმი ერთგულებასაც ინარჩუნებდა (Licini P.A.. Cristoforo Castellli..., p. 86-87). „...ალაევერდელად წოდებული ეპისკოპოსი", რომელიც წინათ „ჩვენი მოძღვრების მოწინააღმდეგე იყო", ბოლოს „...მის სასარგებლოდ იბრძოდა, რადგან მას ბევრჯერ მოესმინა სპეკულატიური დოქტრინა და კათოლიკური მორალი, მისი გონება მთლიანად შეიპყრო ახალმა განათლებამ და იგი მთელი მონდომებით ჩაეჭიდა ჭეშმარიტებას. ხოლო, როდესაც პაექრობის დროს სხვა კოლხები ჩვენი მოძღვრების საწინააღმდეგო დებულებას წამოაყენებდნენ ხოლმე, ორივე მხარის დებულებიდან, ღვთის შემწეობით, ალაევერდელი ჩვენსას არჩევდა" (დონ კრისტოფორო კასტელი, დასახ. ნაშრ. გვ. 62). ამ წყაროდან არ ჩანს, რომ ალაევერდელმა კათოლიკობა მიიღო. აქ მხოლოდ საუბარია, რომ იგი უპირატესობას ანიჭებდა კათოლიკურ დოქტრინებს. ცხადია, ამან მისცა საფუძველი მ. თამარაშვილს, რომ დაუჯერებლად ემტკიცებინა, რომ ალაევერდელმა „ბოლოს...მიიღო კათოლიკობა" (თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 184).

[7] მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 154-155.

[8] Licini P.A., Cristoforo Castellli..., p. 84.

და მომათავსებდა თავის ბაღში"[9].

მთავარ-კათლიკოსის ეს წინადადება მისაღები იყო კასტელი-სათვის. ასე რომ, მალაქიამ 1636 წელს თეატინელი მისიონერები გადაიყვანა ოზურგეთში და თავისი სასახლის ბაღში, რომელიც დიდი კედლით იყო შემოკავებული, ადგილი მიუჩინა: მისცა პატარა ეკლესია, ბინა, მსახურები[10] და ბაღები[11]. ამით მისიონერების არაკეთილ-მოსურნეებს, პირველ რიგში, ალავერდელ ეპისკოპოსს, მათ მიმართ წინააღმდეგობის საშუალება წაერთვათ. „ალავერდელი უხერხულო-ბაში ჩავარდა და წავიდა. აღმოჩნდა, რომ მან დევნით მეტი სარგებლობა მომიტანა, ვიდრე ზიანი",[12] — წერდა კასტელი.

ამრიგად, კათოლიკოს-მთავარი მალაქია კათოლიკე პატრების ერთგული და მფარველი იყო. იგი ძალზე ხშირად ბჭობდა მათ-თან „კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტების არსზე", პაპის ხელისუფლების პრიმატობის წარმომავლობაზე და ა.შ.[13]. მალაქიას „...ჩვენ, ლათინები, უფრო გამჭრიახ და სწავლულ პირებად მივაჩნდით, ვიდრე ისინი (მართლმადიდებელი სასულიერო პირები — მ.პ.)..." — წერს კასტელი[14]. თავის მხრივ, კასტელი მალაქიას „დიდი გონების ადამიანს"[15] უწოდებდა.

ასე რომ, მალაქიას მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფმა პატრებმა წარმატებით გაშალეს ფართო სამისიონერო მუშაობა. ამ მიმართულებით მათი პირველი ნაბიჯი პატარა სკოლის შექმნით დაგვირგვინდა, სადაც ანტონიო ჯარდინამ მაღალი საგანმანათლებლო დონე და შესაფერისი მისიონერული მომზადება გამოავლინა. ამ სკოლაში, რომელიც მდებარეობდა გურიელთა ოზურგეთის რეზიდენციის ეზოში[16] „...სულ მალე ოცამდე ბავშვი მოგროვდა", სადაც ანტონიო ჯარდინა ასწავლიდა ქართულ, ლათი-

[9] Licini P.A., Cristoforo Castellli.... p. 84.
[10] იქვე. გვ. 85.
[11] იქვე. გვ. 93.
[12] იქვე. გვ. 85.
[13] იქვე. გვ. 55-57.
[14] იქვე. გვ. 85.
[15] იქვე. გვ. 57.
[16] ა. ღლონტი, ანტონიო ჯარდინა. „დროშა", 1989, №8, გვ. 19.

ნურ და იტალიურ ენებს. ქართული ენის ჩინებულმა მცოდნე ჯარდინამ განაგრძო რა გორში დონ ჯაკომო დი სტეფანოს დაწყებული საქმე, ქართული ენის გრამატიკა გურიაში დაასრულა[17].

ახლა ისმება კითხვა: რომელი ფენის წარმომადგენლთა შვილები სწავლობდნენ აღნიშნულ სკოლაში და რა საგნები ისწავლებოდა იქ? ამ კითხვას ჩვენ ერთადერთი წყაროდან მოტანილი ციტატით ვუპასუხებთ: მისიონერებმა გურიაში „დაარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი თვით მთავარმა აჩუქა, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვით გამოართვეს იმ მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ, რათა ისინი თათრებისათვის არ მიეყიდათ. პატრებმა დაიწყეს სწავლება საქრისტიანო და სამეცნიერო საგნებისა"[18].

ამრიგად, ოზურგეთში მისიონერებმა წარმატებით დაიწყეს საქმიანობა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ბერძენი მღვდლები პატრების წინსვლამ ძლიერ აღაშფოთა. მათი წაქეზებით წარმოშობით იტალიელმა, მაგრამ გამაჰმადიანებულმა ვინმე ფერინ-დონემ, რომელიც შემდეგ კათოლიკედ აღესრულა, ისარგებლა რა კათოლიკოს მალაქიას ლევან II დადიანთან ყოფნით[19], მისიონერთა სახლს ცეცხლი წაუკიდა[20]. მან შთანთქა მთელი მათი ავლადიდება. „მაგრამ ყველა სხვა საგანთა შორის, – წერდა კასტელი, – მას აწუხებდა მრავალი იმ ნაშრომის (წიგნებისა და ნახატების – მ.პ.) დაკარგვა, რომლებიც იტალიაში შეკრებენი და მუდამ თან დამქონდა. დიდად დამაშწუხრა 25 წლის შრომის ფუჭად ჩავლამ, რომელსაც ვეწეოდი პალერმოდან და რომიდან მოკიდებული"[21]. როგორც აქედან ჩანს, ცეცხლს ვერ გადაურჩა კასტელის შრომები და წიგნები. აგრეთვე „ყველა დახატული სურათი თავისი პანელებით"[22].

[17] მ. ტაბაღუა, საქართველო-იტალიის ურთიერთობის ისტორიიდან (საქართველო-ვატიკანი) XIII-XVII სს. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1993, გვ. 128-130; I. M. Tabagua, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

[18] მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 155.

[19] Licini P.A., Cristoforo Castellli.... p. 28.

[20] მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 160.

[21] Licini P.A., Cristoforo Castellli.... p. 29.

[22] იქვე, გვ. 28.

საფიქრებელია, ასეთი ბედი ეწია ჯარდინას მიერ შედგენილ გრამატიკასაც. ეს ამბავი, კასტელის 1636 წლის 4 დეკემბრის ერთ-ერთი წერილის მიხედვით, მოხდა 1635 წლის 16 ივნისს[23].

მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, მისიონერები გულმოდგინედ განაგრძობდნენ მუშაობას. მათ ბოროტების წილ მტერს სიკეთე მიაგებეს და დევნა-შევიწროებას მოთმინებით იტანდნენ. 1637 წლის აგვისტოში[24] ანტონიო ჯარდინა წიფურიაში გარდაიცვალა. იგი დიდი მისიონერული პრაქტიკისა და გამოცდილების მქონე პიროვნება იყო. ეს დიდი დანაკლისი იყო გურიის მისიონისათვის, უწინარეს ყოვლისა, მისიონერთა სკოლისათვის. „ამის შემდეგ აღარაა ცნობილი, თუ რა ბედი ეწია ამ სკოლას და იქ ჯარდინას მიერ შედგენილ გრამატიკას"[25]. ახლა გურიაში მხოლოდ დონ კრისტოფორო კასტელი და დონ ანტონიო მარკი დარჩნენ. ეს უკანასკნელი წყაროებში შემდეგ არ ჩანს. ამიტომ მის შესახებ რაიმეს თქმა გვიჭირს.

კასტელიმ სახარებისეული მოთმინებით განაგრძო მუშაობა და ამან უხვი ნაყოფიც გამოიღო, მაგრამ აღნიშნული მისიონისათვის ორი პატრი საკმარისი არ იყო. ამიტომ 1638 წელს კათოლიკოს მალაქიას წიფურიიდან მისიონერები გამოუთხოვია. ამ საქმისათვის ოდიშში გაგზავნილი ნიკოლო კოჯევიჩმა (ფერინდონე) იმხანად წიფურიაში ჩამოსულ ავიტაბილეს მოახსენა, რომ კათალიკოსი მალაქია მზად იყო „რომის ეკლესიასთან შეერთებისათვის"[26]. ამასთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი წერს: „...კათოლიკოსს ...სურვილი და თანხმობა განუცხადებია (დონ პიეტრო ავიტაბილესათვის — მ.პ.), მზად ვარ რომის ეკლესიას ჩემი სამეფოთი შევუერთდეო: აგრეთვე უთხოვნია მისიონერებისათვის, კარგად გაეწვრთნათ მისი ერი და საეკლესიო პირები, რათა აღარავის გასჭირვებოდა შეერთების (ეკლესიათა — მ.პ.) საქმე"[27].

კათოლიკოს-მთავარ მალაქიას კეთილმოსურნე ურთიერთობა

[23] იქვე, გვ. 18-27.
[24] I. M. Tabagua, დასახ. ნაშრ., გვ. 281.
[25] Licini P.A., Cristoforo Castellli..., p. 59.
[26] მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 160.
[27] იქვე.

კათოლიკე მამებთან მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ, თუ როგორ წარმოედგინა მას „რომის ეკლესიასთან შეერთება“ და როგორ იბრძოდა ამისათვის, ჯერჯერობით პირველწყაროებით არ დასტურდება. ასევე გვიჭირს ვერწმუნოთ მ. თამარაშვილს, რომ მალაქიამ „კათოლიკობა მიიღო“. ამისი დამამტკიცებელი სბუთები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. რაც შეეხება მალაქიას მოთხოვნას, რომ გურიაში მისიონერები გაეგზავნათ, ამან დიდად გაახარა რომში მიმავალი დონ პეტრო ავიტაბილე, რომელიც იმყამად სამეგრელოს მისიონის მუშაობას ეკნობოდა. ამ უკანასკნელმა 1638 წლის მარტში, აღმოსავლეთ საქართველოში ცხრა წლისა და სამი თვის დაუღალავი სამისიონერო საქმიანობის შემდეგ, დატოვა გორი და რომში გაემგზავრა, რათა გადაეწყვიტა ინდოეთის მისიონში თავისი წასვლის საკითხი.

დონ პეტრო ავიტაბილე გორიდან წიფურიაში ჩავიდა. მას თან მიჰყავდა დონ კლემენტე გალანო, დონ ფრანჩესკო მარია მაჯო, დონ ანტონიო კორერო, დონ ვინჩენცო ჯილიბერტი, ჯაკომო არგულიოზი, ემანუელ დ'არენა და ქართველი ღირსეული კათოლიკე ანდრეა ლიპომანო. ხუთი თვის შემდეგ, 1638 წლის სექტემბერში, დონ პეტრო ავიტაბილე დონ ვინჩენცო ჯილიბერტისთან, დონ ფრანჩესკო მარია მაჯოსთან, ჯაკომო არგულიოზთან, ემანუელ დ'არენასთან და ანდრეა ლიპომანოსთან ერთად ოზურგეთში ჩავიდა, გაეცნო იქ ვითარებას და ხსენებულ პატრებთან ერთად (გარდა დონ ფრანჩესკო მარია მაჯოსი) მალე იტალიაში გაემგზავრა[28]. როგორც ირკვევა, სამეგრელოში დარჩნენ დონ კლემენტე გალანო[29] და დონ ანტონიო კორერო[30].

ასე, რომ, 1638 წლის სექტემბრისათვის გურიის მისიონში იყო ორი მისიონერი: დონ კრისტოფორო კასტელი და მარია მაჯო. ეს უკანასკნელი აქ ცოტა ხანს დარჩა და კვლავ სამეგრელოში დაბრუნდა, რათა პაპის დავალებით საშობლოში წაესვენებინა დონ ჯაკომო დი

[28] მ. პაპაშვილი, გორში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის ისტორიიდან, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, I, გორი, 1995, გვ. 36-37.

[29] გორიდან დონ კლემენტო გალანო გადავიდა წიფურიაში, სადაც მოღვაწეობდა სამი წელი. იგი „1640 წლის ნოემბერში თავისი მეთაურის ბრძანებით კონსტანტინოპოლში დაბრუნდა“ (I. M. Tabagua, დასახ. ნაშრ., გვ. 285).

[30] დონ ანტონიო კორერო ჩავიდა დონ პეტრო ავიტაბილესთან ერთად წიფურიაში 1638 წელს. იგი 1641 წლის 16 მარტს ნეაპოლში დაბრუნდა (I. M. Tabagua, დასახ. ნაშრ., გვ. 279).

სტეფანოს ნეშტი, რომელიც მას გორიდან მოჰქონდა[31]. ამიტომ ძნელია, დაეთანხმოთ პროფ. ალ. ღლონტს, რომ „მეკომ ოზურგეთის მისიონერთა სკოლაშიაც განაგრძო მასწავლებლობა“[32]. ერთი სიტყვით, ახლა გურიაში დარჩა კასტელი. მართალია, აქ ელოდნენ ახალი მისიონერების ჩამოსვლას, მაგრამ ვითარება მათ საწინააღმდეგოდ შეიცვალა.

1639 წელს გურიის მთავარ-კათალიკოსი მალაქია II გარდაიცვალა. ეს დიდი დანაკლისი იყო თეატინელი მისიონერებისათვის. ახალი მთავარი ვახტანგ II გურიელი (1639-1640), რომელიც „სასტიკ პიროვნებას“ წარმოადგენდა[33], მისიონერების მიმართ აშკარა სიძულვილს გამოხატავდა. მისგან ფიზიკურ განადგურებას კასტელიმ ლევან II დადიანის დახმარებით დააღწია თავი. ამის შესახებ წყაროები შემდეგს მოგვითხრობენ:

გურიის მთავარი თავიდანვე არ იყო კარგად განწყობილი კათოლიკე მამების მიმართ[34]. ამის მიზეზად წყაროებში დასახელებულია: პირველი, ვახტანგს სასულიერო პირები (ეპისკოპოსები) ჩაგონებდნენ: „...ეს ფრანკები (კათოლიკე მისიონერები – მპ.) იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ დაეუფლონ ქვეყანას და მთავრებზე გაბატონდნენ, როგორც მათ ეს გააკეთეს აღმოსავლეთ ინდოეთში“[35]; მეორე, მთავარსა და კასტელის შორის განხეთქილების საგნად იქცა ერთი ქართველი ყმაწვილი, სახელად მიქელე (მიხეილი?), რომელსაც კათოლიკე მამები 7 წელი ზრდიდნენ. ის ექვსი წლისა ყოფილა, როცა გურიის მთავარ-კათოლიკოს მალაქიას იმერეთიდან ჩამოუყვანია და მსახურად კასტელისათვის გადაუცია. „იგი ჩვენ მოვნათლეთ, – წერს კასტელი. მან ადვილად შეისწავლა ჩვენი ენა (იტალიური – მპ.), ქრისტიანული დოქტრინა და სხვადასხვა ლოცვა. იყო მეტად ლამაზი, კოხტა და ერთგული, რის გამოც ცნობილი გახდა ამ სამთავროში“[36]. სწორედ ამ ყმაწვილის წართმევა უნდოდა მთავარს, რათა ის საჩუქრად სულთანისათვის გაეგზავნა. მიქელე კასტელიმ

[31] მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 131; ი. ტაბაღუა, თეატინელი მისიონერის დონ ჯაკომო დი სტეფანოს..., გვ. 68.
[32] ა. ღლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
[33] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88 ფურც. 18.
[34] მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 165; Licini P.A., Cristoforo Castellli..., p. 86.
[35] Licini P.A., Cristoforo Castellli..., p. 92.
[36] იქვე გვ. 88

გურიის მისიონის დატოვების ფასადაც არ დათმო[37].

ყოველივე ამის შედეგად ვახტანგ გურიელმა მისიონერები ძალზე შეავიწროვა. მათ სახლი, მსახურები და ბაღები წაართვა[38]. შექმნილ ვითარებაში კასტელი იძულებული გახდა, დახმარებისათვის ლევან დადიანისთვის მიემართა, რომელსაც დიდი ხნის წინათ ეწადა მისი სამეგრელოში ჩაყვანა[39]. როგორც ირკვევა, კასტელიმ წერილობით მიმართა ლევან დადიანს დახმარებისათვის. მანაც დაუყოვნებლივ „...გაგზავნა კაცი გურიაში... მამუკა ვაკოსტაშვილი (ჯუდიჩეს მიხედვით — ვასკორტოშვილი)[40] წერილით, რომელშიც ვახტანგ გურიელს სთხოვდა, რომ ხელი შეეწყო ოდიშში კასტელის გაგზავნისათვის[41].

ამრიგად, 1640 წლის 7 აგვისტოს კასტელი გურიიდან სამეგრელოში, წიფურიაში, გადავიდა სამოღვაწეოდ[42]. მან თან წაიყვანა მის მიერ აღზრდილი, გაკათოლიკებული ოთხი ქართველი ყმაწვილი — გრეგორიო, ჯუზეპე, ჯოვანი და მიქელე[43]. სხვა ცნობით, „...გურიაში ვახტანგის სიკვდილამდე დარჩნენ ძმები კლავდიო, მიქელე და ჯოვანი“[44]. ასე დაიწყო კრისტოფორო კასტელის 14-წლიანი მოღვაწეობა ოდიშის სამთავროში.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე კასტელი ნაყოფიერ მუშაობას შეუდგა. ხატავდა სურათებს, აფორმებდა ეკლესიის კედლებს, ეწეოდა სამკურნალო საქმიანობას და რომში საქართველოს შესახებ უწვრილმანეს დეტალებამდე წერილებს აგზავნიდა. ამ თვალსაზრისით, მას საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია. აქვე ვიტყვით: დონ კრისტოფორო კასტელის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატიდან შემოგვცქერის მთელი გალერეა საერო თუ სასულიერო მოღვაწეებისა და

---

[37] Licini P.A., Cristoforo Castellli.... p.88-39.
[38] იქვე გვ. 91-93.
[39] იქვე. გვ. 94.
[40] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. დასახ. ნაშრ., გვ. 74.
[41] Licini P.A., Cristoforo Castellli.... p. 94.
[42] იქვე.
[43] იქვე. გვ. 96; ბ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი, 1996, გვ. 581; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 20.
[44] Licini P.A., Cristoforo Castellli.... p. 94.

მშვენიერი ქართველი ქალბატონებისა. მისი რელაციები თუ სხვადასხვა თემაზე შესრულებული ნაშრომები არის არა მხოლოდ XVII საუკუნის საქართველოს, არამედ კავკასიური სამყაროს ფართო პორტრეტი, სადაც ერთმანეთს ერწყმის დიდი ისტორიული მოვლენები. საკუთარი თვალით ნანახი და შემჩნეული, უმნიშვნელო წვრილმანიც კი აქ გადმოცემულია რეალური სინამდვილის ესკიზური მონახაზებით, მოკლე და მშრალი ფრაზებით, მდიდარი დეტალებით.

ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორის ჩანაწერებსა და სურათებზე გაკეთებულ მინაწერებში გვხვდება ზოგიერთი უზუსტობა, საკითხის არასწორი გაგება, მცდარი შეხედულება, რაც მეტნაკლებად თითქმის ყველა უცხოელისთვისაა დამახასიათებელი. საქმე ისაა, რომ ევროპელთაგან ბევრს არისტოკრატული აღზრდა ჰქონდა მიღებული და ჩვენს ქვეყანას, ქართველ ხალხს, მის ადათწესებს ევროპული თვალთახედვით უყურებდა და აფასებდა. ასევე ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად ვერ ერკვეოდნენ. ასე რომ, უცხოელისათვის, მით უფრო ევროპელისათვის, ძნელი იყო ყველაფერში გარკვევა, რის გამოც მათ მიმართ ნაკლები საყვედური გეთქმის.

არ ვიქნებით მართლები, თუ იმასაც არ ვიტყვით, რომ კრისტოფორო კასტელი თავისი ნაშრომებით დიდი მოღვაწე იყო არა მარტო თავისი დროისათვის, არამედ დღესაც დიდია, რადგან ამდენი საუკუნის შემდეგ მას არ დაუკარგავს ინტერესი და მეცნიერული მნიშვნელობა. ვფიქრობ რა ამას, არ შეძიძლია ვთქვა შემდეგიც: ისტორია არ არის მხოლოდ მეცნიერთა საქმე ან სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში შესასწავლი საგანი. ისტორია, ვიდრე წიგნად და მოგონებად იქცეოდეს, უპირველესად, ჩვენი ცხოვრებაა: ისტორიაზე საუბარი საკუთარ თავზე საუბარს ნიშნავს, ანუ წარსულთან კავშირში ვუყუროთ აწმყოს და მომავალზე იმედი ჩავისახოთ. ისტორიის გაცოცხლება იგივე მისი შექმნაა. ამიტომ, თუკი ჩვენში არსებულ მრავალ პრობლემას გადავხედავთ, ისტორიაზე საუბარი ფუფუნება როდია. ამაში წინამდებარე ნაშრომიც დაგვარწმუნებს. ახლა ისევ მოვლენებს მივყვეთ.

კასტელის მიჯნურივით უყვარდა ჩვენი ქვეყანა. ამ სიყვარულს ნათლად გამოხატავს მის მიერ მხატვრულად ნათქვამი შემდეგი სიტყვა: „საქართველო ჩემი სატრფო იყო ოცდაექვსი წლის განმავლობაში“[45]. იგი, ჯერ კიდევ იტალიაში ყოფნისას, იმ ქვეყანას, სადაც მისიონერად მიემგზავრებოდა და პირველად ხვდებოდა, „ჩვენს ძვირფას საქართველოს უწოდებდა“[46]. სულისშემძვრელ იმ მძიმე სენს, რომელსაც ჩვენში „ტყვის სყიდვა“ ეწოდებოდა და დღესაც მისი გახსენება დიდ ტკივილს გაყენებს და ცრემლს გადენს, კასტელი ასეთივე გრძნობით განიცდიდა. ის წერს: „არაერთხელ დამსველებია თვალები ცრემლებით, როდესაც ვხედავდი, თუ როგორ ყიდდნენ ბატკნებივით ხელშეკრულ ყმაწვილებს თურქებზე“[47]. ცხადია, განცდილ და გრძნობით ნათქვამ ამ სიტყვებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. უფრო მეტიც, სიცოცხლეშივე საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა მისიონერმა მთელი თავისი ქონება აქ მოღვაწე თეატინელთა მისიონს უანდერძა. აი, ეს ანდერძიც:

„მე, საღ გონებაზე მყოფი დონ კრისტოფორო კასტელი, წმინდა სარწმუნოების მორჩილი, ღმერთისა და ღვთაებრივი შენდობისადმი სიყვარულით ვალდებული ვარ, ვთქვა წმინდა აღსარება და, ჩვეულების თანახმად, განვაცხადო ჩემი უკანასკნელი ნება-სურვილის შესახებ და გავცე განაკრგულება: მთელ ჩემს ქონებას, რომელიც მშობლებისაგან მერგო, ვუანდერძებ ჩემს დედას, ქალბატონ ჯერონიმე კასტელის, რომელსაც, ამ ჩემი ანდერძისა და საბოლოო ნება-სურვილის მიხედვით, მემკვიდრედ ვნიშნავ.

მსურს და ვაცხადებ: ღრმად პატივცემული ბიძაჩემის, ბატონი გრეგორიო კასტელის ჩემზე ანდერძით გადმოცემული ქონება, ჩემს სიცოცხლეში გადაეცეს თეატინელთა ორდენის მამებს საქართველოს მისიონში. შესაბამისად, ამ მისიონის პროკურატორს

[45] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1946, გვ. 187.

[46] ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბილისი, 1987, ტ. III, გვ. 140, 161.

[47] დონ კრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

(უფროსს — მ.პ.) ეანდერძოს ეს ქონება. ხსენებულ ღრმად პატივცემულ ბატონს და ბიძაჩემს ვევედრები, ნება დართონ თეატინელთა მისიონის ნდობით აღჭურვილ პირს გადასცენ ზემოაღნიშნული 12 უნცია (უძველესი ესპანური ოქროს მონეტა — მ.პ.), რომელსაც სილარიბეში მყოფ ამ მამებს ვუტოვებ მოწყალების სახით.

რამდენადაც ამ ქვეყანაში (ქართლის სამეფოში — მ.პ.) საზოგადოებრივი ნოტარიუსები არ არსებობს, ამას ვწერ საკუთარი ხელით, ვუსვამ წმინდა სარწმუნოების ბეჭედს და მოვუწოდებ, ამ ჩემს განკარგულებას ხელი მოაწერონ აქ მყოფმა სხვა მამებმა.

შედგენილია 1632 წლის უკანასკნელ დღეს, გორი, საქართველო.

მე, დონ კრისტოფორო კასტელი"[48].

კასტელის ამ ანდერძს ხელს აწერდნენ საქართველოში მოღვაწე თეატინელი მისიონერები: დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ვინჩენცო კარაფა, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დონ ჯუსტო პრატო და დონ არქანაჯელო ლამბერტი. მას ასევე ხელი მოაწერეს გორში მოღვაწე ავგუსტინელ მისიონერთა მისიონის პრეფექტმა ამბროსიო დუშ ანჟუშმა და მორჩილმა ძმამ, ანტონიო დუშ ჩაგასმა.

დონ კრისტოფორო დე კასტელის ეს ანდერძი გაგზავნეს რომში, პალერმოს წმ. ჯუზეპეს ორდენის გენერლის მამა დონ პიეტრო ჯარდინას სახლეზე.

უეჭველია, კასტელის აღნიშნული გადაწყვეტილება ადასტურებდა მის დიდი სიყვარულს საქართველოსა და აქ მოღვაწე თეატინელი მისიონერების მიმართ. ამას ჩვენი ხალხიც გრძნობდა და მადლიერმა ქართველებმა აკი ამიტომაც შეიყვარეს იგი მთელი გულით. ამ მისიონერს ძალზე დიდ პატივს სცემდა ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.), რასაც შემდეგი ფაქტი ადასტურებს: როცა კასტელი სამშობლოში ბრუნდებოდა, მთავარმა პირადად მოაგვარა მისი მგზავრობა კონსტანტინოპოლამდე. ჩანს, არც მთავრისთვის იყო ადვილი კასტელისთან განშორება. არც ოდიშარები ელეოდნენ ასე ადვილად ორ ათეულზე მეტი ხნის განმავლო-

[48] Archivio Generale Teatini, "Georgia". Cristoforo Castelli, F.2.

ბაში ქართველების უანგარო სამსახურში მყოფ მოძღვარს. „როცა გემამდე მივედით, — წერს კასტელი, — ყველა ჩემი გამცილებელი ტიროდა. მათ პირი ცისკენ მიაბრუნეს, ჰაეროვან ამბორს მიგზავნიდნენ და მეტად გულმდუღარე სიტყვებს წარმოთქვამდნენ“[49]. რაც შეეხება ლევან II დადიანს, იგი, კასტელის სახით, ევროპასთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველს კარგავდა. თანამედროვე დიპლომატიურ ენაზე თუ ვიტყვით, კასტელი საქართველოში ვატიკანის მიერ აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენელი იყო, რადგან მას არაოფიციალურად ეჭირა „მოციქულებრივი ლეგატის თანამდებობა ქართლსა და სამეგრელოში“[50]. ამიტომ მას მთელ შავიზღვისპირეთში იცნობდნენ, როგორც მოქნილ „...შუამავალს ქრისტიანულ დასავლეთსა და აქ არსებულ მრავალ სამეფოს შორის...“[51].

როგორც უკვე ვთქვით, კასტელი დაახლოებით 22 წელი მოღვაწეობდა საქართველოში. არცთუ ის ცოტა დროში, მას აზრი არ შეუცვლია ჩვენი ქვეყნის მიმართ. აქ მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად იტალიის არქივებში დაგროვდა დიდძალი და საინტერესო მასალა საქართველოს შესახებ. კასტელის ჩანაწერებისა და რელაციების დიდი ნაწილი ინახება რომში თეატინელ მამათა წმ. ანდრეას არქივში, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება: „წერილები სამეგრელოდან“, „1626 წლიდან მისიონერების წერილები სამეგრელოდან“, „საქართველო“ და „მისიონერები საქართველოში, ყუთი 665“. დონ კრისტოფორო კასტელის მიერ იტალიაში გაგზავნილი წერილები და მასალები ასევე ინახება ნეაპოლის ქალაქის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებასა და პალერმოში. პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში დაცულია დონ კრისტოფორო კასტელის ათასზე მეტი ნახატი, რომლებიც შვიდ ტომს მოიცავს. ამ ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფესორ სალვატორე პედონეს, ხელმძღვანელობით პალერმოში

[49] დონ კრისტოფორ დე კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.
[50] Licini P.A.. Carteggio inedito...., p. 125.
[51] Licini P.A.. Carteggio...., p. 125.

გამოქვეყნდა დონ კრისტოფორო კასტელის ნახატების პირველი ტომი, რომელშიც კასტელის სურათებზე გაკეთებული მინაწერების დიდი ნაწილი სწორადაა ამოკითხული[52].

დონ კრისტოფორო კასტელის სამისიონერო მოღვაწეობას საქართველოში თავისი ნაშრომი მიუძღვნა მილანის უნივერსიტეტის პროფესორმა ბერნადეტტე მაიორანამ[53].

საქართველოში ცნობილმა სწავლულმა, უცხოური ენების (ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, რუსული, ინგლისური, თურქული) ბრწყინვალე მცოდნემ, ბეჟან გიორგაძემ, 1976 წელს გამოსცა კასტელის ცნობები და ალბომი. ათვალიერებ რა ამ ალბომს, შეუძლებელია, არ გაგაოცოს ამ დიდებული სწავლულის მიერ ჩატარებულმა სამუშაომ. არც მაშინდელ და არც დღევანდელ საქართველოში მეგულება ისეთი ვინმე განსწავლული და უცხოური ენების უზადო მცოდნე, რომ მის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესრულება შეძლოს. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. ამიტომ მავანთა ჩხირკედელობა, რა შეცდომებია ამ ნაშრომში, სრულიად ფუჭია. ამ უანგარო, სათნო, დაუზარელი და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ღვაწლი ძალზე დიდია ევროპელ ავტორთა ცნობების თარგმნის, გამოკვლევის, გაშიფრვისა და გამოცემის საქმეში.

პერგამოს უნივერსიტეტის პროფესორმა, იტალიელმა პატრიცია ანა ლიჩინიმ, რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა დონ კრისტოფორო დე კასტელის მოღვაწეობას საქართველოში[54]. ერთ-ერთი მათგანის,

---

[52] Cristoforo Castelli da Palermo alla Georgia. a cura di Salvatore Pedone, Edizioni Leopardi, 1987.

[53] Bernadette Majorana. La gloriosa impresa, Storia e immagini; di un secenresco. Sellerio editore, Palemro, 1990.

[54] Licini P.A., Carteggio inedito di D. Cristoforo Castelli Chierico Regolare. Missionario in Georgia e Mingrelia. XXI della Collana "Ricerche sull'Architettura Armena e Georgiana", Milano, 1980; მისივე. La corrispondenza di D.C. Castelli. in "Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie". Paris. XXXIX 1981; მისივე. "Breve Relatione della Mengrelia", redatta nel 1644 dal teatino Giuseppe Guidice. in "Orientalia Chtistiana Periodica". Roma. L/1. 1984. pp. 126-162; L/2. pp. 407-437; მისივე. The Correspondence by C. Castelli in Chierici Regolari's Archives: his Artistic Personality. in "L'Arte Georgiana dal IX al XIV secolo, Atti del 3° Simposio Internazionale sull'Arte Georgiana", Galatina, 1984.

„კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში“, თარგმანს აქ ვთავაზობთ ქართველ მკითხველს.

პატრიცია ანა ლიჩინის წიგნის დასაწყისში მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია. მას მოსდევს ავტორის ვრცელი შესავალი, რომელშიც მოგვითხრობს მამა კრისტოფორო კასტელის მოღვაწეობაზე საქართველოში. მრავალი თავგადასავლითა და შთაბეჭდილებით აღსავსე კასტელი 1654 წლის 20 აგვისტოს სამშობლოში გაემგზავრა. ყველაფერი დეტალურად იყო მომზადებული. სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა კასტელის მისცა საბუთი, რომელიც კონსტანტინოპოლამდე მგზავრობის დროს მას შესაძლებლობას აძლევდა, რომ ყოველ ნავსადგურში ხმელეთზე გადასულიყო, ხოლო თურქეთის გემის კაპიტანს, მუსტაფა რეისს, მთავარმა პირადად ჩააბარა მამა კასტელი, რათა კონსტანტინოპოლში მშვიდობიანად ჩაეყვანა.

კონსტანტინოპოლამდე მგზავრობა ხიფათიანი აღმოჩნდა. 1655 წლის იანვრის ბოლოს მუსტაფა რეისის გემი ზღვაზე უამინდობის გამო სინოპის ახლოს ჩაიძირა. მამა კასტელი, მისი უძვირფასესი ნახატები და დოკუმენტების შეკვრა სასწაულებრივად გადარჩა. მრავალ ხიფათს გადარჩენილი სინოპიდან კონსტანტინოპოლში ახლა ფელუკით მიემგზავრებოდა, სადაც 1655 წლის 18 მარტს ჩავიდა.

ძვირფას სტუმარს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი დე ლა ე ელოდა. მან კასტელისაგან საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებზე დიდძალი ინფორმაცია მიიღო, დაუოკებელი ინტერესი გამოიჩინა კასტელის ნახატებისა და ჩანაწერებისადმი. როგორც ირკვევა, ელჩმა კასტელის ზოგიერთი ნახატი გამოართვა, ზოგის ასლი გააკეთებინა იმ მიზნით, რომ საფრანგეთში წაელო და იქ სამეფო არქივისთვის ჩაბარებინა. ამასთან დაკავშირებით, პატრიცია ლიჩინი სამართლიანად შენიშნავს, რომ შესაძლებელია კასტელის ზოგიერთი სურათი საფრანგეთში იყოს, რასაც ძიება უნდა.

1655 წლის ზაფხულში საფრანგეთის გემით კასტელი ვენეციაში ჩავიდა. 22 წლის შემდეგ დაადგა ფეხი თუ არა მშობლიურ მიწას, მას ეგონა, რომ დიდი პატივითა და სიყვარულით მიიღებდნენ,

მაგრამ ეს ასე არ მოხდა არც ვენეციაში, არც ფლორენციასა და არც რომში. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ამ ადგილებში მას ნაცნობთაგან თითქმის არავინ დახვდა. ჩანს, 22 წელმა ბევრი რამე შეცვალა. კასტელი ახლა არავის აინტერესებდა. ამ ვითარებისაგან განსხვავებით, სულ სხვა პატივი, მიღებები და ურთიერთობები ჰქონდა კასტელის საქართველოში. აქ იგი ყველასათვის სასურველი პიროვნება იყო. მას არ აკლებდნენ თბილ მოპყრობას, ყურადღებასა და მოწიწებას.

უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ნეაპოლიდან პალერმოში გადატანის დროს მისი ძვირფასი ტვირთი, გარდა მცირე შეკვრისა, დაიკარგა. კასტელიმ ეს ძალზე მტკივნეულად განიცადა. სასოწარკვეთილებაშიც ჩავარდა, მაგრამ, უფლის ნებით, ერთი წლის შემდეგ ყველაფერი აღადგინა. მის მიერ საქართველოში გაცოცხლებული ისტორია ხელმეორედ სამშობლოში გააცოცხლა და ამით სამასზე მეტი წლის შემდეგაც არ გვავიწყებს თავს. ეს მრავალი ღირსებით შემკული მისიონერი 60 წლის ასაკში, 1659 გარდაიცვალა.

როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, ქართველი საზოგადოებისათვის კასტელი უცნობი როდია. მიქელ თამარაშვილის შემდეგ ცნობილმა სწავლულმა და ისტორიკოსმა ბეჟან გიორგაძემ ქართველ მკითხველს მიაწოდა კასტელის ალბომი და რელაციები. ზოგიერთი მისი უცნობი წერილი გამოამზეურა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა ილია ტაბაღუამ. 80-90-იან წლებში პერგამოს უნივერსიტეტის პროფესორმა პატრიცია ანა ლიჩინიმ რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა კასტელის მოღვწეობას საქართველოში. მისი ერთ-ერთი ნაშრომი, „კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში“, ძირითადად მოიცავს კასტელის დღემდე ნაკლებად ცნობილი წყაროების პუბლიკაციას შესავლითა და კომენტარებით. სწორედ მის თარგმანს ვთავაზობთ ქართველ მკითხველს, ისტორიკოსებსა და დაინტერესებულ პირებს.

ქართლსა და სამეგრელოში გატარებული 22 წლის შემდეგ მრავალი თავგადასავლით აღსავსე დონ კრისტოფორო დე კასტელი სამშობლოში ბრუნდებოდა. „მიაბრუნა რა ანძა და ნავი სამშობლოსა და წმინდა სარწმუნოების უშიშარი ნავსაყუდლისკენ", იგი ნამდვილად ფიქრობდა, რომ მიდიოდა დამსახურებული დასვენების მოსაპოვებლად, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა[1].

1654 წლის 20 აგვისტოს სამეგრელოდან კასტელის გამგზავრება გულდასმით მომზადდა. სამეგრელოს მთავარმა (ლევან II დადიანმა-მ.პ.) მამა კასტელის, თუ მას დასჭირდებოდა, გადასცა საშვი, რომელიც შავი ზღვის[2] ნავმისადგომებში ხმელეთზე გადასვლის უფლებას აძლევდა. გარდა ამისა, ეს თეატინელი მისიონერი ლევან დადიანმა პირადად ჩააბარა თურქეთის ხომალდის კაპიტანს, მუსტაფა რეისს, რომელიც, ვიდრე ცუდი ამინდი დადგებოდა ამ მხარეში, უკვე მზად იყო უკანასკნელი ნაოსნობისათვის.

მარშრუტი ითვალისწინებდა კასტელის ჩასვლას კონსტანტინოპოლში. ის აქ უნდა მისულიყო საფრანგეთის ელჩთან, ბატონ დე ლა ე-სთან, მაგრამ ნაოსნობის პირველ კვირას უკვე წარმოიშვა სიძნელეები. უპირველეს ყოვლისა, მუსტაფა რეისი წინ ნელი ტემპით მიიწევდა და ნავის ყოველ მისადგომთან ჩერდებოდა, რათა საქონელი გაეყიდა და ამით აენაზღაურებინა ხარჯები და ახალი მოგება მიეღო. მას კონსტანტინოპოლში წასვლა მანამ არ უნდოდა, სანამ გემის ტრიუმას არ გატენიდა.

თურქი კაპიტანი სინამდვილეში უფრო ვაჭარი იყო, ვიდრე მეზღვაური. ის მეტწილად დაკავებული იყო გემზე ტყვეების, მერქანის, თაფლისა და მარცვლეულის დატვირთვით და არ ფიქრობდა მოასღოებული ზამთრის საშიშროებაზე. მან სრულიად არ მიაქცია ყურადღება იმას, რის შესახებაც მამა კასტელი

[1] Patrizia Anna Licini, Carteggio inedito di D. Cristoforo Castelli Chierico Regolare, Missionario in Georgia e Megrelia. "Ricerca sull'Architettura Armena e Georgiana", XXI, Milano, 1980, p. 127.

[2] იქვე. გვ. 117.

ხშირად აფრთხილებდა. ამასობაში შავ ზღვაზე ქარი შეიცვალა.

ახლოვდებოდა 1655 წლის იანვრის ბოლო. მუსტაფა რეისის ხომალდი საბოლოოდ დაადგა კონსტანტინოპოლის გზას, თუმცა ძნელი არ იყო იმის განჭვრეტა, რომ იგი კონსტანტინოპოლის ნაპირებს ვერ მიადგებოდა. საწინააღმდეგო ქარმა ხომალდი სინოპის ახლოს ჩაძირა. მამა კრისტოფორო კასტელი გადარჩა. სამშობლოში დაბრუნებამდე მან ამისი მსგავსი არაერთი შემთხვევა გადაიტანა. ამდენად, კონსტანტინოპოლში ჩასვლა რამდენიმე თვე გადაიდო და მამა კასტელი იძულებული გახდა ზამთარი თავის ბერძენ და თურქ მეგობრებთან გაეტარებინა, რომლებიც ამ მხარეში ცხოვრობდნენ.

აქამდე კასტელის უძვირფასესი ნახატებისა და დოკუმენტების შეკვრა ჯერ კიდევ მთელი იყო. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ შეკვრაში საქართველოს, თურქეთისა და სპარსეთის ცხენსიმაგრეების ნახატები, ზღვის სანაპირო ზოლის, გზების, წყლის არტერიების გეგმები და ასევე ამ რეგიონის მრავალი ხელმწიფისა და მმართველის მიმოწერები იყო. ამდენად, ის თურქებისათვის უძვირფასეს დოკუმენტებს შეიცავდა, რადგან დიდი ხანია თურქები მეტოქეობას უწევდნენ ვენეციის რესპუბლიკას კანდიის (კრიტეს) დაპყრობაში, ხოლო ჰაბსბურგებს – უნგრეთისა და ტრანსილვანიის დაკავებაში.

ამრიგად, კრისტოფორო კასტელიმ შესანიშნავად იცოდა, თუ რა რისკს ეწეოდა. შეეძლოთ მასზე, როგორც ჯაშუშზე, ეჭვი მიეტანათ. სწორედ ამიტომ აარიდა მან თავი სინოპს და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოხვედრილიყო საფრანგეთის ელჩ დე ლა ე-სთან, რათა მას მფარველობა აღმოეჩინა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეშვებოდნენ თურქები საწყალ მისიონერს, რომელიც, მართალია, თავის მოციქულობრივ სამსახურს ასრულებდა, მაგრამ სასიკვდილოდ სწირავდა თავს. მამა კასტელის „ასე იოლად" არ სურდა დაღუპვა.

კრისტოფორო კასტელი თურქეთში მაშინ აღმოჩნდა, როდესაც ქვეყანაში განსაკუთრებულად მძიმე დრო იდგა. იმპერიის შიგნით პოლიტიკური ვითარება მეტად დაძაბული იყო. იენიჩრებსა და სიპაჰებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. დარდანელის ბლოკადამ, რომელიც ვენეციელებმა ჯერ კიდევ

1650 წლის გაზაფხულზე წამოიწყეს, ორ მიზანს მიაღწია: კრიტესთან მისასვლელი გზა თურქებს მთლიანად გადაეკეტათ და თურქეთში სირიიდან და ეგვიპტიდან მარცვლეულის შეტანა შეწყდა[3].

1650-1651 წლების ზამთარი პორტასათვის ძალიან ძნიმე იყო. სულთანმა მეჰმედ IV-მ გადაწყვიტა, რომ დიდი ვეზირის პოსტზე დაენიშნა ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელიც ყოველგვარ უთანხმოებას ბოლოს მოულებდა. არჩევანი ეგვიპტის გუბერნატორ ტარხონკუ აჰმედ ფაშაზე შეჩერდა. 1653 წლის მარტამდე ის წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას. აჰმედ ფაშას ბრალი დასდეს თანამდებობებისა და მოწყალების თვითნებურ დარიგებაში და სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ ოსმანთა იმპერიაში პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი დაიწყო, რომელიც 1656 წლამდე გაგრძელდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდმა ვეზირმა ტარხონკუმ უკეთ ორგანიზებული ფლოტი დატოვა, ვიდრე მის გავეზირებამდე იყო. მან სრული თავისუფლება მიიღო კრეტასთან ომის საწარმოებლად, რომელიც წარმოადგენდა ომს არა მარტო ვენეციელებთან, არამედ დასავლეთის სრულიად ქრისტიანებთან.

მიუხედავად დიდი ვეზირის უდროო სიკვდილისა, თურქეთის ფლოტი ხელახლა შეიარაღდა ექსპროპრიაციის გზით მიღებული შემოსავლებით. კონტროლისა და დასმენების შედეგად სახელმწიფო ხაზინა კვლავ გაივსო, ცხადია, იმპერიის ქვეშევრდომთა საზიანოდ.

ტარხონკუმ ტერორისტული რეჟიმი დაამყარა. ამ გზით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გააძლიერა თვალთვალი და დაიწყო დაპატიმრებები სანაპირო მხარეებში[4]. ამრიგად, თურქ მეთვალყურეებს დაკვირვებით უნდა ედევნებინათ თვალი იმათთვის, ვინც ზღვის ამ რაიონში გადადიოდა და გადმოდიოდა. განსაკუთრებით მეთვალყურეობა უნდა გაეძლიერებინათ იმათ მიმართ, ვისაც, კრისტოფორო კასტელის მსგავსად, ძვირფასი მასალები გააჩნდა სამხედრო გეგმების შესადგენად.

მსგავსი აზრისა გახლდათ საფრანგეთის ელჩიც, რომელიც კრისტოფორო კასტელის კონსტანტინოპოლში ელოდა. ელჩმა

[3] Shaw S.J., History of the Ottoman Empire and Modern Turkey. Cambridge. 1978. p. 204.
[4] Shaw. S.J., დასახ. ნაშრ., გვ. 205-206.

დე ლა ე-მ მაზარინისაგან* მიიღო დავალება, რომ ომში ვენეციას დახმარებოდა, თუნდაც არაპირდაპირი გზით[5]. ამიტომ ბრწყინვალე რესპუბლიკა (ვენეცია) კონსტანტინოპოლში განუწყვეტლივ აგზავნიდა თავის ელჩებს. მიუხედავად დე ლა ე-სა და ვარენის** უმედეგო მცდელობისა, საფრანგეთი, სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან შედარებით, ცდილობდა, ვენეციას დახმარებოდა. ეს მაშინ, როდესაც ესპანეთი და გერმანიის სახელმწიფოები უფრო ზღვაზე ხელშეუხებლობისათვის ზრუნავდნენ, ვიდრე რომელიმე მეომარი ძალის მხარისკენ გადასვლაზე.

შეტაკება დიდი ხანი მზადდებოდა. ცხრა წლის განმავლობაში ვენეციისა და თურქეთის მთელი ძალები ფლოტის მშენებლობისკენ იყო მიმართული, რადგან დარდანელზე თავდასხვა ხმელეთიდან თითქმის შეუძლებელი იყო. ბრწყინვალე რესპუბლიკამ (ვენეცია) 1647 წელს შებენიკზე თურქების თავდასხმა მოიგერია[6]. თუ ჰაბსბურგები გერმანიის მიზნებზე უარს იტყოდნენ, მათ შეეძლოთ თავიანთი ძალები ოსმალეთის წინააღმდეგ მიემართათ, რათა უნგრეთი და ტრანსილვანია დაეპყროთ.

დარდანელში პირველი უშუალო შეტაკება 1654 წლის ივნისში მოხდა. მომდევნო წლის ივნისში კი ლაძარო მოჩენიგომ ხელთ იგდო თურქეთის ხომალდები, რომლებიც ამ წყლებზე დაცურავდნენ[7].

ამრიგად, ადვილია იმის წარმოდგენა, თუ რა სიძნელეები ელოდა საწყალ მამა კასტელის, რომელიც სწორედ ამ წელს დაადგა სამშობლოსკენ მიმავალ გზას. ის უახლოვდებოდა იმ ადგილებსა და ადამიანებს, რომლებიც ხანგრძლივ ომში იყვნენ ჩაბმულნი. ვითარება გაურკვეველი და შემაშფოთებელი იყო. მიუხედავად ამისა, კასტელი ნებისმიერი საშუალებებით ცდილობდა სინოპიდან გაქცევას, რადგან იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყვა ანატოლიის სანაპიროებზე გენის კატასტროფას. ის თურქეთის კანონების მარწუხებში აღმოჩნდა,

* რედ. შენიშვნა: მაზარინი ჯულიო (1602-1661), საფრანგეთის პირველი მინისტრი 1643-1661 წლებში.

[5] Cessi R., Storia della Repubblica di Venezia. Milano 1946, p. 183.

** რედ. შენიშვნა: ალბათ ეგრეთ რესპუბლიკის ბაილო (ელჩი) კონსტანტინოპოლში.

[6] Cessi R., დასახ. ნაშრ., გვ. 182.

[7] იქვე.

რომლის თანახმად, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირი მონა ხდებოდა „იქ, სადაც ბედმა იგი ნაპირზე გარიყა“[8].

ზამთრის სეზონი ნავებს ზღვაზე გასვლის საშუალებას არ აძლევდა, მით უფრო მეთევზეებს, რომლებიც „ცეცხლთან დარჩენას უფრო ამჯობინებდნენ“. მიუხედავად ამისა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აქედან წასასვლელად ემზადებოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, „ვინმე გრამატიკე მეზღვაური, პატარა სათევზაო ფელუკას პატრონი, რომელსაც მისდევდა მისი მევახშე ძმა... მიდიოდა ერთი 28 წლის ახალგაზრდა ბერძენი, სახელად ვასილი. სილამაზის გამო მას ადგილობრივმა თურქებმა ასჯერ დაარტყეს ქუსლებზე, რათა დაეტოვებინა ქრისტეს რჯული და მაჰმადიანობა მიეღო“[9].

კრისტოფორო კასტელი კვლავ გავიდა ზღვაზე. ამჯერადაც კონსტანტინოპოლში ჩასვლის დიდი იმედი არ ჰქონდა. რამდენიმე სტრიქონში ის ექვსჯერ ახსენებს სიტყვა „ნავს“, მაგრამ, ცხადია, კასტელის მხედველობაში აქვს პატარა ფელუკა.

თუ რამდენად ძნელი იყო ასეთი მგზავრობა, შეიძლება წარმოვიდგინოთ კრისტოფორო კასტელის ცოცხალი თხრობის მიხედვით. ვერ იტყვი, რომ მას არა აქვს საუცხოო თხრობის ნიჭი, რაც დაკავშირებული იყო ხაზვასა და მხატვრობასთან. არსებული ვითარების სურათს ის შემდეგნაირად გვიხატავს:

„...ეჭვი მეპარებოდა, რომ შეეძლებდით ამ ზღვის გადალახვას და შვიდასი მილის ისე გავლას, რომ გემი კატასტროფას არ განიცდიდა. მით უფრო, რომ ანატოლიაშიც და რუმელიაშიც ნავსადგური ცოტაა, ხოლო ნაპირებთან ტალღების სიმაღლე ურისკოდ მათთან მიახლოების საშუალებას არ იძლეოდა. ტალღით გემის ჩაძირვა და დაღუპვა, როგორც ეს რამდენჯერმე მოხდა, გარდაუვალი ჩანდა... ერთხელ ნავი გაიბზარა. ის წყლით ივსებოდა. მაგრამ მისი ამოსხმა ვერ შეეძელით. იძულებული გავხდით, ნაპირს მივდგომოდით, რათა ნავი შეეკეთებინა. ამას მრავალი განსაცდელის, შიშისა და დიდი შრომის გადატანა სჭირდებოდა. სიცივის, შიმ-

[8] Cessi R., დასახ. ნაშრ., გვ. 122.
[9] იქვე, 120-121.

შილისა და შიშის გამო თავს უფრო მკვდრად ვგრძნობდით, ვიდრე – ცოცხლად; ურთიერთშორის დავით სისხლში ამოსვრილნი თოკებით ჩავეშვით წყალში... დიდი ჭექა-ქუხილის ქვეშ, წვიმასა და ძლიერ ქარში, დაჭრილები, მშიერები, გაყინულები, შეშინებულები, სასიკვდილოდ განწირულები ვყვიროდით, შველას ვითხოვდით, მიუხედავად წვიმის, ქარისა და ზღვის ძლიერი ტალღებისა, დიდი გაჭირვებით ნავი ერთი ნაბიჯით წინ წავწიეთ, მაგრამ ტალღებმა ორი ნაბიჯით უკან გაგდო ის. იძულებული გავხდით, დავრჩენილიყავით ამ ნაპირზე, რომელიც დიდ კლდეებს ესაზღვრებოდა. აქ ზღვა მხოლოდ 15 მტკაველზე შედიოდა. ასე რომ, ზღვის მოქცევის დროს იგი პირდაპირ კლდეს ურტყამდა. არ გვქონდა მშრალი ადგილი დასასვენებლად. დღე და ღამე ვიდექით ცივ წყალში და არ ვიცოდით, რა გვეჭირა. მხოლოდ ორი გამოსავალი იყო: აქ მოვმკვდარიყავით ან მთაში წავსულიყავით და თურქების წინაშე სპარსელებად გაგვესაღებინა თავი"[10].

ხმელეთს მიადგნენ, მაგრამ ამით სირთულეები არ ამოწურულა. უკვე სამშვიდობოს, წმ. ჯუზეპეს მონასტერში, პალერმოში, ამ ვითარებას კრისტოფორო კასტელი აღწერს მოკლედ, ნერვიულად, დრამატული ინტონაციებით, თითქოს მთელი სიმძიმით ხელახლა განიცადა ეს უკვე ერთხელ განცდილი ამბები.

ბოლოს გადასხდნენ რა ნაპირზე, მამა კასტელი და მისი ამხანაგები მიხვდნენ, რომ სიცივისა და შიმშილისაგან იხოცებოდნენ.

მათ მთელი ტანი დასერილი ჰქონდათ, ხელები და ფეხები გადატყავებული, რადგან დეკემბერში, იანვარში, თებერვალსა და მარტში ამ ქვეყანაში დევს თოვლი და ყინული, ქრის ისეთი ქარიშხალი, რომ ქვაც კი იყინება. „რადგან არსად იყო სადგომი, წვიმის დროს ნავის ქვეშ ვაფარებდით თავს. ამასთანავე, ზღვის მოქცევა გვდევნიდა... ჩვენ მთელი ტანით ვძაგძაგებდით"[11] – წერს კასტელი.

მიუხედავად ათასი განსაცდელისა და საშიშროებისა, ფელუკამ 1655 წლის 18 მარტს კონსტანტინოპოლში მიაღწია. მამა კასტელი სწრაფად გაემართა საფრანგეთის ელჩისაკენ, რომელიც ძვირფასი

[10] APF, Georgia, Castelli

[11] იქვე.

სტუმრის დაგვიანების გამო ძალიან წუხდა.

საქართველოდან მამა კასტელის გამგზავრება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ელჩი დე ლა ე-სათვის. კასტელი ამ მხარეში მეტად ცნობილი კაცი იყო და ამ ღირსეული მისიონერის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდა საფრანგეთის ელჩი. მან ისიც კი იცოდა, რომ კასტელი სინოპიდან გაიქცა.

აქვე საჭიროა, აღინიშნოს შემდეგიც: კასტელის, გარდა მისიონერობისა, ქართლსა და სამეგრელოში მოციქულებრივი ლეგატის თანამდებობა ეკავა. ამიტომ მას მთელი შავი ზღვის სანაპიროზე იცნობდნენ, როგორც შუამავლს ქრისტიანულ დასავლეთსა და აქ მდებარე მრავალრიცხოვან სამეფოებს შორის[12].

როგორც უკვე ითქვა, საფრანგეთის ელჩი დე ლა ე ყველაფერს ყურადღებით ადევნებდა თვალს. უფრო სწორად, მას ყველა ინფორმაცია აინტერესებდა, რომელიც გამოდგებოდა კრეტასთან ომისათვის, ამიტომ მამა კასტელისგან სურდა, „ბევრი ცნობა მიეღო თავისი საჭიროებისათვის". პორტრეტი მთავრის ან მეფისა, „ამ ქვეყნების განლაგება" და მათი დეტალური აღწერა. როდესაც ელჩმა შეიტყო, რომ კასტელი წუხდა თავის საუკეთესო ნაშრომების დაკარგვის გამო, მან არ დაყოვნა და თქვა: აუცილებლად ჩართავდა მათ აღმოსავლეთის ისტორიაში და არწმუნებდა, რომ ორიგინალურ დოკუმენტებს საფრანგეთის მეფის არქივში გადაგზავნიდა. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა, აღინიშნოს შემდეგი: კრისტოფორო კასტელის ნახატებისა და ხელნაწერების ადგილსამყოფლის დასადგენად ეს ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო გამოდგეს. თუ ეს მიკვლეული იქნა, ამით აღსდგება ის დოკუმენტები, რომლებიც გემის დალუპვისას დაიკარგა.

სახიფათო მოგზაურობის შემდეგ მამა კასტელიმ დაისვენა და ძალები აღიდგინა. ამის შემდეგ ჩაჯდა საფრანგეთის გემში და 1655 წლის ზაფხულში ვენეციაში ჩავიდა. ცხადია, ეს უხიფათოდ არ მომხდარა. გზაზე იყო შეტაკებები ბერძენ მეკობრეებთან, ჰოლანდიის სამანძიან გალერებთან და საფრანგეთისადმი მტრულად განწყობილ მეკობრეებთან.

[12] APF, Georgia, Castelli

ამრიგად, ოცდაორი წლის შემდეგ კრისტოფორო კასტელიმ იტალიის მიწაზე დაადგა ფესი.

სამშობლოში დაბრუნებულს უკვე შეეძლო შეეჯამებინა თავისი ხანგრძლივი სამისიონერო საქმიანობა. იმედი ჰქონდა, რომ მოუსმენ-დნენ და გაუგებდნენ განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც ის კავკასიაში გააგზავნეს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დაბრუნების შემდეგ კასტელის მიერ დაწერილი პირველი გვერდიდან ოცრცხობა ღრმა გულგატეხილობა.

მას არ ავიწყდება, შენიშნოს: „აღმოსავლეთში არსებობს აზრი, რომ რომში თითქოსდა აჯილდოებდნენ რწმენის მუშაკებს და არა იმათ, ვინც ეს რწმენა მიიღო. ამიტომ ბევრი განდგომილი ამბობს, რომ არ ღირს მაჰმადიანი ქრისტიანობაზე გადავიდეს, ვინაიდან მათ ელოდებათ ზიზღი და ცუდი მოპყრობა. ისინი გმობენ ამ ჩვეულებას და ამის გამო ბევრს არ უნდა ჩვენთან გადმოსვლა“[13].

მწარე სიტყვებია, მაგრამ კარგად ასახავს თეატინელთა განცდებსა და წუხილის მიზეზს.

ისმება კითხვა: რა შეიცვალა წმ. ტახტსა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეში, რომ დამსახურებული მისიონერი ასე ცუდად მიიღეს?

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, აუცილებელია, სწრაფად გადავავლოთ თვალი კრისტოფორო კასტელის ცხოვრების უფრო მნიშვნელოვან ეტაპებს, დეტალურად გავაანალიზოთ ის მიზეზები, რომლებმაც ეს თეატინელი მისიონერი შორეულ საქართველოში წაიყვანა.

წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე მნიშვნელოვან მომენტში დაარსდა. ეს დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ევროპის სახელმწიფოები კოლონიური ექსპანსიის გზას დაადგნენ. ახალ ხალხებს შორის რელიგიურმა ქადაგებებმა საგარეო პოლიტიკა გაძლიერეს. კათოლიკურმა ეკლესიამ ამაზე რეაგირება მოახდინა. პ. კოტეკა აანალიზებს რა იმ ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც მოხდა ამ ორდენის (იგულისხმება თეატინელთა ორდენი – მპ.) დაარსება, აღნიშნავს, რომ წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს შექმნამ სასულიერო წოდება აღაფრთოვანა და „მიწიერი ასკეტიზმის“ საპირისპიროდ კათოლიკური ეკლესია

[13] APF. Georgia, Castelli.

მოძრაობაში მოიყვანა. ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო მან გაძლიერება და შემდეგში ის უფრო თვალსაჩინო გახდა.

რაც შეეხება ქართლს, და კერძოდ, სამეგრელოს, ლათინელ მისიონერებს თვით ამ ქვეყნის მეფეები იწვევდნენ. ამ ქრისტიანულ მხარეში, რომელიც სპარსელებისა და თურქების ქვეშევრდომი იყო, მოღვაწეობდნენ ავგუსტინელები, თეატინელები, კაპუჩინები.

ყირიმში გენუელი და ჩერქეზული წარმოშობის ქრისტიანებს შორის 1624 წელს დაარსდა დომინიკელთა მისია. მის ამოცანას შეადგენდა სახარების გავრცელება დასავლეთი კავკასიის მხარეებში, თვით სამეგრელოშიც კი. 1626 წლის 4 მაისს, წმ. კონგრეგაციის დეკრეტის თანახმად, რამდენიმე თეატინელი მისიონერი საქართველოში გაიგზავნა. მათი ხელმძღვანელობა დაევალა მამა პიეტრო ავიტაბილეს. მისიონის მიზანი იყო ქ. გორში ადრე დაფუძნებული ავგუსტინელების განმტკიცება.

მამა პიეტრო ავიტაბილე 1630 წელს დაბრუნდა რომში. მან პაპ ურბან VIII-ს საქართველოს მეფის თეიმურაზისა და პატრიარქის წერილი გადასცა. ისინი, სხვათაშორის, ითხოვდნენ მათთვის ექიმისა და მხატვრის გაგზავნას. ამისათვის ყველაზე შესაფერისი იყო მორჩილი ძმა კრისტოფორო დე კასტელი.

მამა პიეტრო ავიტაბილეს მამა ანტონიო ჯარდინამ უთხრა, რომ პალერმოში იმყოფებოდა ახალგაზრდა თეატინელი, რომელიც დიდად იყო განსწავლული მედიცინასა და მხატვრობაში. ეს იყო კრისტოფორო კასტელი. მის შესახებ ორივე კიერიკო რეგოლარემ*
(ოგულისხმება პიეტრო ავიტაბილე და ჯარდინა – მ.პ.) კარდინალებს, ანტონიოსა და ფრანჩესკო ბარბერინის, მაშინავე შეატყობინა. მამა კასტელი დაუყოვნებლივ მიიწვიეს პაპ ურბან VIII-სთან. პაპმა კასტელი იქვე ჩარიცხა თეატინელთა მეორე ჯგუფში, რომელიც 1631 წლის 9 ოქტომბერს საქართველოში მიემგზავრებოდა.

ბოლომდე არაა გარკვეული, თუ რამ გამოიწვია თეიმურაზ მეფის მხრიდან ასეთი თხოვნის დაყენება. ფურცლავ რა 1630

* რედ. შენიშვნა: Chierico Regolare – ეი. „შავი ბერი". ასე უწოდებდნენ თეატინელები თავიანთ თავს.

წლის დოკუმენტებს, რომელიც შემონახულია მისიონერთა საუწყებო არქივებში, ფიქრობ, რომ შეიძლება კარდინალებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიის შორეულ მხარეებზე.

საქართველოს სავალალო მდგომარეობაზე[14] ვატიკანს წარმოდგენა ჰქონდა რომელი პატრიკის პიეტრო დელა ვალეს შრომითა და იმ ორი წერილის მეშვეობით, რომლებიც ქართულიდან იტალიურ ენაზე ითარგმნა. თეიმურაზი და მისი პატრიარქი აღწერდნენ თავიანთი ხალხის მძიმე მდგომარეობას, რომელიც გამოიწვია „თურქების" შემოსევამ. აქ „თურქების" ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს შაჰ აბასი, სპარსეთის ხელმწიფე 1614-1628 წლებში. ხალხი გაელიტეს, მთელი ქონება წაართვეს, ეკლესიებში არ დარჩა ხატები და მორთულობა.

დასახელებული დოკუმენტებიდან ჩანს, თუ რას ითვალისწინებდნენ ისინი წმ. ტახტთან კონტაქტის დამყარების შემთხვევაში. კერძოდ, გამოეგზავნათ „რაიმე საეკლესიო ნივთები". შემდეგ დეტალურადაა აღწერილი მტრის შემოსევების შედეგად გაჩანაგებული ქვეყნის მდგომარეობა. მოწმეებად დასახელებულნი არიან თეატინელი მისიონერები, რომლებმაც განადგურებული ქვეყანა საკუთარი თვალებით იხილეს. ხისა და ქვის ყველა სახლი დანგრეული იყო და ეკლესიები გაძარცვული. აქ „არ დარჩა არცერთი გამოსახულება, არცერთი ვერცხლის საგანი". ღვთისმსახურებისათვის რაიმე საეკლესიო ნივთების გმაოგზავნას პაპს სთხოვდნენ.

„კარგი ექიმის" გამოგზავნის შესახებ თხოვნა დაბეჯითებით მეორე წერილში იყო გამოთქმული, რომელიც 1629 წლის 9 იანვრით იყო დათარიღებული. მას წმ. კონგრეგაციას საქართველოს პატრიარქი უგზავნიდა. ის ითხოვდა, რაც შეიძლება მალე გაეგზავნათ ამ ხელოვნებაში გამოცდილი პიროვნება, რადგან მაშინ საქართველოში ექიმები არ იყვნენ.

ავტორი შემდგი წერილისა, რომელიც გორშია დაწერილი 1629 წ. 28 მარტს, არის დონ პიეტრო ავიტაბილე. მისიონერი

[14] APF, SC. Georgia, I. 1625-1707, 60r-112r: P. Don Bart. Ferro. Chierico Regolare. Ferrarese. Istoria delle Missioni de'Chierici Regolari Teatini. Divise in tre Parti, t I. Romae. 1704. pp. 24-35; Don Fr. Andreu C.R. Carteggio inedito di Pietro Della Valle col. P. Avitabile i Missionari Theatini della Georgia. "Regnum Dei". Collectanea Theatina. Anno VI. Julio – Decembri (1950). №23-24. pp. 25-27; V. Lozito. 1941. pp. 1-72.

ვატიკანის ხელმძღვანელობას მოუწოდებდა, დაერწმუნებინათ ქირურგი, რომ ნებისმიერი საშუალო იტალიელი ექიმი აქ პატივდებული იქნებოდა, როგორც ესკულაპიო"*.

იმავე დღეს მამა ავიტაბილემ თეატინელთა პირველი მისიონის შესახებ ანგარიში შეადგინა. ჩამოთვალა მისი ეტაპები და თანამედროვე მდგომარეობა. ქვემოთ მთლიანად მოგვყავს ეს დოკუმენტი არა სიტყვასიტყვით, არამედ აზრობრივი რედაქტირებით.

ამრიგად, მასში ვკითხულობთ: „იმავე გემის კაპიტანმა, რომელსაც ისინი მოჰყავდა, ივალდებულა, რომ ავიტაბილესა და მის თანამგზავრებს კოსტანტინოპოლიდან მესინაში დააბრუნებდა. აქედან ისინი გაემგზავრნენ მალტაში, ხოლო შემდეგ ალექსანდრეტაში („Alessandretta" – ქალაქი ჩრდილოეთ სირიაში – მ.პ.). აქედან „–კი იძულებულნი გავხდით, ხანგრძლივი შემოვლითი გზით, რათა ვინმესთვის ცნობილი არ გამხდარიყო ჩვენი მგზავრობა, ბაგადეტის უდაბნოში („Bagadeth" – ქალაქი ბაღდადი ერაყში – მ.პ.) მივსულიყავით, ხოლო იქიდან ისევ შემოვლითი გზით ისფაჰანისაკენ წავსულიყავით, ოლონდაც კი ყაზვინში მყოფი შაჰ აბასისგან შორს ვყოფილიყავით. თხუთმეტი დღის შემდეგ უკვე თავრიზის გზაზე ვიყავით. გავიარეთ რა ალინჯა"*, იძულებული გავხდით ერევანში წავსულიყავით". ერევნიდან ჩავედით გორში, ქართველთა ქალაქში, 14 დეკემბერს, წმინდა ქრისტიანი მსახური ქალის (იგულისხმება წმინდა ნინო – მ.პ.) დღესასწაულის წინა დღით, რომელმაც ეს სამეფო პაპი სილვესტრის"* დროს ქრისტიანობაში მოაქცია. ხანგრძლივი მოგზაურობის დროს მამებმა მრავალი უბედურება გადაიტანეს. ერევანში ისინი შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. სასამართლომ მისიონერებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მოულოდნელად გათავისუფლეს. ამ და სხვა მრავალ განსაცდელს მათ თავი სხვადასხვა ორდენის ბერების მეცადინეობით დააღწიეს.

ალეპოში მამა ავიტაბილე და მისი თანმხლები პირები კარგად

---

* რედ. შენიშვნა: Esculape, Aesculapius – ესკულაპიო.ნახევრად ღმერთი,აპოლონის ვაჟიშვილი, ავადმყოფთა განკურნების ხელოვნების შემქმნელი და განმავითარებელი.

* რედ. შენიშვნა: „Ilingia" – ალინჯა – ადგილი და სიმაღლის ერევნისკენ მიმავალ გზაზე, თავრიზსა და სეფანის ტბას შორის.

*** პაპი სილვესტრი (314-335).

მიიღეს ფრანცისკანელებმა. მათ მისიას ფულადი დახმარებაც აღმოუჩინეს. ასეთივე პატივი ერგოთ მათ ისფაჰანში ფეხშიშველი კარმელიტებისა და ავგუსტინელებისაგან, ხოლო ალინჯაში – მამა დომინიკელებისაგან. „ალინჯა მდებარეობს სპარსეთის სამეფოს შუაში, სადაც ბევრი მაჰმადიანი და ერეტიკოსი ცხოვრობს. ამ პატარა ადგილას არის ათეული რომაულ-კათოლიკური დავანება, რომლებიც აქ მყოფი დომინიკანელი მამებისა და მორჩილი ძმა სომეხი აგოსტინოს მაგალითის ნაყოფია. ისინი უკიდურეს სიღატაკეში ცხორობენ. შაჰის მიერ გამოცემული კანონის თანახმად, ყოველი ქრისტიანი თავისუფლდება ხარკისაგან, თუკი იგი თავის სარწმუნოებას გადაუდგება. ხარკის გადაუხდელობის შემთხვევაში მთელ თავის ქონებას კარგავს, როგორც ის, ისევე მისი ახლო ნათესავი. ამიტომ მამა ავიტაბილე წმ. კონგრეგაციას სთხოვდა, რომ ამ მამას (აგოსტინოს – მ.პ.) გამოუგზავნონ დაპირებული 300 სკუდო. უკვე ოთხი წელი გავიდა და ამ მამას ეს თანხა არ მიულია. ეს დიდად დააზარალებს მონასტერს, რადგან მორჩილები იძულებულნი არიან სამუშაოები ეძიონ, რათა სიცოცხლე შეინარჩუნონ. ამის გამო ისინი სხვების აღზრდას ვერ მოახერხებენ“.

ერთ სომეხ მღვდელთან ერთად მამა ავიტაბილე და მისი თანმხლები პირები ალინჯიდან გორში ჩავიდნენ. მამა ამბროსიო ავგუსტინელმა ისინი დიდი სიყვარულით მიიღო და თავისთან დააბინავა. შემდეგ ცხენზე შემსხდრები მეფე თეიმურაზის სანახავად გაგზავნა. მეფეს წარუდგინეს ჩვენი ბატონის (პაპ ურბან VIII-ის – მ.პ.) პატარა წერილი, ხოლო პატრიარქს – წმინდა კონგრეგაციისა. მეფე და პატრიარქი მისიონერებს დიდი სიხარულით შეხვდნენ. აღმოუჩინეს მათ დიდი პატივი, დართეს ნება ეკლესია აეგოთ, დაეყენებინათ წირვა და ელოცათ კათოლიკური წესის მიხედვით. გორში დაბრუნებულ მისიონერებს მეფემ ყველა დანაპირები აუსრულა. მეფისა და პატრიარქისაგან მიიღეს წერილები ჩვენი პატრონისა (პაპ ურბან VIII – მ.პ.) და წმ. კონგრეგაციისადმი. ეს პასუხები ჩააბარეს ხსენებულ მამა ავგუსტინელს, რომელიც რომში ბრუნდებოდა.

„ქართველებს, ბერძნების გარდა, სხვა მეგობრები არ ჰყავდათ.

ამიტომ ისინი იცავდნენ მათ შეცდომებსა და ცრურწმენებს. ცხოვრობდნენ უკიდურეს უცოდინრობაში. მაგრამ ეს ხალხი არ არის უზნეო, ჯიუტი და სურს, ისწავლოს ნამდვილი სარწმუნოება. რამდენადაც მთელი სამეფო სპარსელებისაგან დანგრეული იყო და მოსახლეობა გაღატეკებული, თუ მისიონერები იტალიიდან დახმარებას ვერ მიიღებდნენ, ვერ ააგებდნენ ეკლესიას. მეფე ერთ უბადრუკ კარავში ცხოვრობდა, ხოლო ხალხს არ ეცვა და ფეხშიშველი იყო. მოსახლეობა უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდა. ასეთივე მდგომარეობაში არიან მღვდლებიც. ისინი ლოცვას ატარებენ ჯვრისა და სანთლის გარეშე, საკურთხეველი ცარიელია, ყველა ეკლესია დანგრეულია. წმინდა ვაზები, ზარები, საერთო მორთულობა – გაძარცულია. ასე რომ, ეკლესიებში არაფერი დარჩა". ამიტომ მუხლებზე დაჩოქილი ავიტაბილე ითხოვდა წმინდა ტახტისაგან გამოეგზავნათ ბერძნული სამსახურისათვის აუცილებელი ნივთები: წმ. პეტრეს სურათი, პაპის პორტრეტი, მეფისათვის ლამაზი საათი, ქრისტეს ჯვარცმა, მარჯნის რამდენიმე გვირგვინი, წმინდანების გამოსახულებები, ოქროსფერი ქსოვილები, აბრეშუმი და ტანისამოსი. მამა ავიტაბილე ირწმუნებოდა, რომ ასე იოლი იყო ქართველების სამოციქულო ტახტთან გაერთიანება. ავიტაბილეს აზრით, ცუდი არ *იქნებოდა, თუ მიტროპოლიტ ალავერდელსაც* საჩუქარს გამოუგზავნიდნენ. ამასთანავე მამა ავიტაბილე ვატიკანს აფრთხილებდა: წერილებში, რომლებიც დაიწერება მეფის, ასევე პატრიარქისა და მიტროპოლიტის (ალავერდელის – მ.პ.) სახელზე, არავითარ შემთხვევაში არ ეხსენებინათ რაიმე არც ბერძნებსა და არც სარწმუნოებაზე.

ქრისტესადმი სიყვარულის სახელით, მამა ავიტაბილე ვატიკანს მოქმედებისაკენ მოუწოდებდა და სთხოვდა ერთი ექიმის გამოგზავნას. „ასეთი პირი უნდა გაეფრთხილებინათ, რომ გზაში არ ეთქვა, რომ ექიმია, ვინაიდან მას მაშინვე დააკავებდნენ!" ასევე პატრიპროპაგანდას სთხოვდა: რაც შეიძლება, მალე გამოეგზავნათ ამხანა-

* ავტ. შენიშვნა: ალავერდის ეპისკოპოსი თავიდანვე თეატინელ მისიონერებს არაკეთილგანწყობილად შეხვდა. შემდეგ კი მათთან ძალიან დაახლოებული იყო.

გები რიგიანი შესაწირავებით, რათა ეკლესია აეგოთ.

სხვა წერილში მისიონერები იტყობინებოდნენ ქართველი ელჩის, ნიკიფორე ირბახის, საქართველოში დაბრუნების შესახებ. ირბახის შემწეობით, მეფე მისიონერებს სიყვარულით მოეპყრო და პატიება სთხოვა, რომ აქამდე მათ ვერ აღმოუჩინა სათანადო დახმარება.

მეორე წერილში პატრები თავიანთ გენერალს მორიდებით აუწყებდნენ, „რომ მკურნალობის დროს უფლის დახმარებით სასწაულები მოახდინეს. ამის შესახებ თეიმურაზ მეფემ თქვა, რომ მის სამეფოში ჩამოვიდნენ წმ. კოზმა და დამიანე.

გორი, გურჯისტანის, ანუ საქართველოს, ქალაქი, 1929 წლის 28 მარტი".

ისევ ვუბრუნდებით ზემოთ დასმულ კითხვას: იტალიაში დაბრუნების შემდეგ კრისტოფორო კასტელის რატომ არ შეხვდნენ დამსახურებული აღიარებით?

როგორც ვანახეთ, მამა კასტელი ხშირად მიუთითებს იმ განსაცდელზე, რომელიც მან გადაიტანა, მაგრამ არასოდეს მოაქვს კონკრეტული არგუმენტები და ხელმძღვანელობის უყურადღებობას თავის თავს აბრალებს. ამიტომ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები დავუშვათ და გავაანალიზოთ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც ასე თუ ისე, მას ეხება.

პირველი, რაც შეიძლება ამასთან დაკავშირებით დაადგინო, შემდეგია: სამშობლოში დიდი ხნის არყოფნის შემდეგ რამდენად შეეძლო მამა კასტელის გაეგო რომის საზოგადოებაში არსებული მდგომარეობა? რომიდან საქართველოში ახალი ამბები დაგვიანებით მოდიოდა და, ამასთანავე, ზოგიერთი ნაკლებად სარწმუნო იყო. ასე რომ, კასტელი მცირედ იყო იმ მწვავე საქმის კუსში, რომელიც პაპ ინოკენტი X-ისა და ალექსანდრე VII-ის არჩევნების დროს შეიქმნა. მოვიხმობთ მაგალითს. კასტელი თავის დიდ მფარველს, პაპ ურბან VIII-ს, მხოლოდ 1647 წელს იხსენიებს, როგორც უკვე გარდაცვლილს[15].

[15] Patrizia Anna Licini, დასახ. ნაშრ., გვ. 87; რედ. შენიშვნა: ბაროე ბარბერინი, პაპი ურბან VIII 1644 წელს გარდაიცვალა.

თეატინელებმა თავის რეზიდენციად სოფელი წიფურია აირჩიეს, რომელიც არც ისე შორს, მაგრამ არც ისე, ახლოს იყო საქართველოს ნავსადგურებიდან. წელიწადში მხოლოდ ერთხელ, კონსტანტინოპოლის გავლით, წმ. კონგრეგაციისაგან ისინი იქიდან იღებდნენ ჯამაგირს.

გარდა ამისა, ლევან დადიანმა მისიონერებს შავი ზღვის სანაპიროზე რეზიდენციის აგება აუკრძალა, რადგან ეშინოდა, ისინი არ გაქცეულიყვნენ.

კასტელის სამშობლოში დაბრუნების წინ, 1654 წელს, კვლავ გამწვავდა ბრძოლა რომის ოჯახებს შორის გარდაცვლილი პაპის (ურბან VIII-ის – მ.პ.) გარშემო. ამჯერად ეს ბრძოლა მედიჩისა და ბარბერინის შორის მიმდინარეობდა. პირველს მხარს უჭერდა ესპანეთი, ხოლო მეორეს – საფრანგეთი.

1655 წლის იანვრის ბოლოს პაპი ინოკენტი X გარდაიცვალა. ფერდინანდ II ტოსკანელმა ორ მტრულად განწყობილ ბანაკს შორის დავა მოაგვარა. ამას პაპის ტახტზე ალექსანდრე VII-ის არჩევა მოჰყვა. სწორედ ამ პერიოდში კასტელი ფლორენციაში იმყოფებოდა დიდი ჰერცოგის კარზე, რომელიც სულ სხვა ყიდაზე იყო მოწყობილი. მთელ იტალიას გონიერი და ნიჭიერი პირების გაერთიანება ოლაფრთოვანებდა.

კასტელის იმ ცნობიდან, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ, შეიძლება პირველად გაიგო, რომ დიდი ჰერცოგი ფერდინანდ მედიჩი საქართველოში მოღვაწე თეატინელი მამების დიდი მფარველი იყო. ეს შეიძლება იქიდან გამომდინარეობდა, რომ მას ზოგიერთ კიერიკო რეგოლარესთან ნათესაური კავშირი ჰქონდა.

მამა კრისტოფორო თეატინელი პატრების მხარდასაჭერ ზოგიერთ იმ წერილზე მიუთითებს, რომლებიც 1651 წლის აპრილში დიდ ჰერცოგს სამეგრელოს მთავარ დადიანისა და იმერეთის მეფე ალექსანდრესათვის მიუწერია. 1654 წელს მედიჩის რეკომენდაციაზე საქართველოს მეფეს* საპასუხო წერილი მიუწერია. აქვე უნდა გავიხსენოთ ტოსკანის დიდი საჰერცოგოს დახმარება

* რედ. შენიშვნა: იგულისხმება იმერეთის მეფე ალექსანდრე III.

ვენეციისადმი კრეტისათვის ომში, ვინაიდან ამ რეგიონში მედიჩის სასახლის ინტერესების დაცვა აუცილებელი იყო[16].

აღნიშნულის საფუძველზე დიდი ჰერცოგის მისწრაფება გასაგები. მას თეატინელი მისიონერების დახმარებით სურდა თავის მხარეს მიემხრო ქართული სამეფოები. ამ ქვეყნებში თეატინელ მამებს იმ დაძაბულ პერიოდში თავისუფალი შესვლის საშუალება ჰქონდათ.

აქედან გამომდინარე, ცხადია: კრისტოფორო კასტელი მთელი შავიზღვისპირეთის ქვეყნებში ცნობილი პიროვნება იყო. სპარსეთიდან კონსტანტინოპოლამდე ის რჩევებს აძლევდა დასავლეთის ელჩებს, ასევე საქართველოს მეფე-მთავრებს. იცოდა ქართული, თურქული და სპარსული ენები. კარგად ერკვეოდა კავკასიისაკენ მიმავალ გზებში. იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება, რომელსაც იტალიის სასახლეების დახლართულ საქმიანობაში დახმარება შეეძლო. კარგად ერკვეოდა იტალიის რელიგიურ და ეკონომიკურ ინტერესებში.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე, რომლის მოციქულებრივი ლეგატიც იყო კასტელი 1636 წლიდან, არაერთხელ ცდილობდა წინააღმდეგობოდა ინგლისის აგენტებს გალატში. „აქ ისინი ყველაზე მსხვილ და მრავალრიცხოვან სათვისტომოს ქმნიდნენ თურქეთის იმპერიაში თავიანთი სავაჭრო ინტერესებისათვის". ამით შეშფოთებული იყო არა მარტო ვენეციის ბაილო[17], არამედ იტალიისა და საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლებიც ჩიოდნენ. ვენეციელთა მისიის ხაზს ატარებდა მამა კასტელი და მისი ამხანაგი თეატინელი გაეტანო ალესანდრი. საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში დე ლა ე-ს მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა ოცი წლის განმავლობაში კავკასიის ტერიტორიაზე თეატინელთა რეზიდენციასთან. საკუთრივ დე ლა ე-ს მიწერ-მოწერა ჰქონდა ორ კარდინალთან –

[16] ბარბერინის ოჯახი ასევე ეხმარებოდა ვენეციას კრეტისათვის ომში. რესპუბლიკას დიდი თანხა შესთავაზა. სასვიეროდ მოითხოვა ქბ გადეო ბარბერინის ოჯახის ჩართვა ოქროს საწმისის კავალერიაში. ვენეციის დიდებულთა რიგებში (1662 წ.).

[17] N. Jorga. Geschichte des Osmanischen Reiches nach den Quellen Dargestelli. Gotha. 1910. ss. 26-29.

ბარბერინისთან. ამას ამტკიცებს კასტელი თავის იმ წერილებში, რომლებიც გადარჩა 1654 წელს გემების დალუპვის შემდეგ.

კრისტოფორო კასტელი 1652 წელს გახდა ქართლისა და სამეგრელოს მისიონების ვიცე-პრეფექტი. მას ჰყავდა მხარდამჭერი ადამიანები. დააგროვა რა დიდი გამოცდილება, მას საჭირო საკითხებზე პატივისცემით ეკითხებოდნენ.

მაგრამ იჩენდნენ სიფრთხილეს, რადგან ბევრთან იყო დაკავშირებული მეგობრობის კვანძებით.

თუ, ერთის მხრივ, მამა კასტელის თავისი უნიკალური მქადაგებლური გამოცდილება საშუალებას აძლევდა ყოველდღიური ცხოვრება ამ სამყაროში გაეტარებინა, მეორე მხრივ, მას რომთან ურთიერთობა იმ წერტილიდან ჰქონდა, რომელიც მან ოცი წლის წინათ დატოვა. ეს მაშინ, როცა რომის კურიის მდგომარეობა ახალ წინდახედულობასა და ნეიტრალურობას მოითხოვდა.

შესაძლებელია, მანამ, სანამ კასტელი სამშობლოში დაბრუნდებოდა, ის ყველასათვის მეტად სასარგებლო ცნობებს აწვდიდა რომს. ნუ დავივიწყებთ, რომ იგი ხანგრძლივ საუბრებს ეწეოდა ვენეციელებთან. აცნობებდა მათ იმის შესახებ, თუ „სად იმყოფებოდა თურქეთის არმია; სამი და ოთხიალქნიანი გალერები რამდენი იყო თურქების განკარგულებაში, ასევე ორი და ერთიალქნიანი გალერები, სატვირთო ხომალდები... დასძენდა, რომ ესენი ძირითადად ახალი ხომალდები იყო. მასზე მსახურობდნენ ახალგაწვეულები, რომელთაც საზღვაო ბრძოლებში გამოცდილება არ გააჩნდათ. ამიტომ მათი დამარცხება გაბედული მოქმედებით ადვილად შეიძლებოდა“.

ამრიგად, ვიდრე მამა კასტელის სახელი და ავტორიტეტი სასარგებლო იყო, მას პატივისცემით ღებულობდნენ, მაგრამ როცა უკვე ამისი საჭიროება არ იყო, მას ყურადღება არ მიაქციეს.

მაგრამ ვნახოთ, რას ამბობს თვით მამა კასტელი:

„ჩავედი რა რომში, ზოგიერთ მამას ვაჩვენე ჩვენი ისტორია, რომელიც დავწერე წმ. კონგრეგაციისა და, განსაკუთრებით, მისი უწმინდესობის (პაპ ურბან VIII-ის – მ.ბ.) განკარგულებით მითხრეს: მამაო, თუ ოქვენ ზღვის წყლისაგან გაფუჭებულ ა

წერილებს აჩვენებთ, ბევრი მიზეზის გამო რომიდან ვერ წახვალთ და მთელ ორდენს ყირამალა დააყენებთ, რადგან ახლად აყვანილებს გააგზავნიან... მისი უწმინდესობა ამდენი წლის სამსახურისათვის ტაშისკვრით დაგაჯილდოვებთ... მით უფრო, რომ ეს პაპი წმინდა ადამიანია და სურს ისინი დააჯილოოს, ვინც რწმენისათვის შრომობდა. ასე რომ, პაპი რომიდან არ გაგიშვებთ და სასურველი დასვენების უფლებას არ მოგცემთ. გამონახავს თქვენი გამოყენების უფრო კარგ საშუალებას... მათ რჩევისათვის მადლობა მოვახსენე და მდივანს ჩემი წერილების მოკლე შინაარსი დავუტოვე... დავუკავშირდი გენერალურ კაპიტულს, რათა რომიდან ნეაპოლში ეტლით გავმგზავრებულიყავი პალერმოს წინამძღვარ მამასთან ერთად. გარდა მცირე შეკვრისა, არ შემეძლო ჩემი ბარგი თან წამეღო. ამიტომ ყველაფერი რომში უნდა დამეტოვებინა... რათა შემდგომში პალერმოში ფელუკით ან ხომალდით გამოეგზავნათ".

ნეაპოლიდან პალერმოში გადატანის დროს კასტელის მთელი ძვირფასი ტვირთის დაკარგვის შესახებ ბევრი ითქვა. აქ საკმარისია, გავიხსენოთ, რომ ამ ტვირთის შესახებ არავის არაფერი გაუგია და ზოგიერთის აზრით, „ეს ბარგი არც კი დაუტვირთავთ ხომალდზე".

შეიძლება მაინც წარმოვიდგინოთ ის უთავბოლობა, რომელიც იმ დროს სუფევდა, რაც გამოწვეული იყო 1656 წელს ნეაპოლში გაჩენილი ჭირის ეპიდემიით.

ტვირთის დაკარგვა კასტელიმ ძალიან განიცადა და მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ ყველაფერი აღედგინა და სრული ანგარიში დაეწერა, რათა პაპ ურბან VIII-ის მიერ დაკისრებული მოვალეობა შეესრულებინა. ამასთანავე, ბევრისათვის სურვილის აღძვრა უნდოდა, რათა დაეწყოთ „დიდებული მოგზაურობა სამყაროს დასაპყრობად, რომელიც ჭეშმარიტი ღმერთისათვის დაკარგული იყო".

ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ სიხარულით შეუდგა მამა კასტელი იმის თხრობას, რომელიც აქ პირველად მოგვაქვს. ამ პუბლიკაციით, ვფიქრობთ, შევავსოთ ის ხარვეზი, რომელიც შეიქმნა „მამა კასტელის გამოუქვეყნებელ მასალებთან დაკავშირებით". მისი

მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგან კასტელის მაღალ შეფასებას აძლევდნენ არა მარტო მაშინ, არამედ დიდია ინტერესი მისდამი თანამედროვეებშიც. ამდენი საუკუნის გასვლის შემდეგაც ამ აღწერაში მოცემული ცნობები კავკასიის ქვეყნებზე, სადაც ის მუშაობდა, კერძოდ, საქართველოს ისტორიაზე გარკვეული მნიშვნელობისაა.

ჯ. სილოსიც კი თავის პირველ ორ ტომში[18] ალბათ არ სარგებლობდა კასტელის ცნობებით. თვით მამა კრისტოფორო წერილში, რომელიც მან თეატინელ ისტორიკოსს გაუგზავნა, ამტკიცებს, რომ მან უკვე ტიპოგრაფიაში ნახა მისიონიდან ბევრი ამხანაგის ნაშრომი.

კრისტოფორო კასტელის ეს ნაშრომი მხოლოდ ქართული თემატიკით არ ამოიწურება. მთლიანობაში ეს არის XVII საუკუნის ცხოვრების ფართო პორტრეტი, სადაც ქართველების, ჩერქეზების, თურქების, სპარსელების ზნე-ჩვეულებები ერთმანეთშია გადახლართული. მამა კასტელის ყველაფერი საკუთარი თვალით ჰქონდა ნახული და უმნიშვნელო წვრილმანი, სახის უბრალო შეცვლაც კი, შეუმჩნეველი არ რჩებოდა. აქ ერთმანეთშია გადაჯაჭვული დიდი ისტორიული მოვლენების გამოძახილი[19].

კასტელის მოციქულებრივ მოღვაწეობაში საჭიროა, დაზუსტდეს მხოლოდ ერთი საკითხი: სპარსეთში თეატინელთა მისიონის დაარსებაზე ნებართვას, მიუხედავად არაერთგზისი თხოვნისა, წმ. კონგრეგაცია მეტისმეტად ფრთხილად და არათანმიმდევრულად ეკიდებოდა.

ამ საკითხს შეეხნენ ბ. ფერო[20], ჯ. სილოსი[21] და მ. თამარატი[22] (მ. თამარაშვილი – მ.პ.). მათ თანახმად, წმ. კონგრეგაციამ მამა კასტელის სინამდვილეში გაუგზავნა საბუთი, რომელიც მას მოქმე-

[18] Silos I.C.R.: Historiarum Clericorum Regularum a Congregatione Condita: 1653: vol. I. Roma (Vitali Mascardi): 1655: vol. II. Roma (Corbelletti).

[19] კასტელის გვარის ფუძემდებელი იყო კრისტოფოროს ბიძა გრეგორიო, რომელიც 1608 წელს გენუიდან პალერმოში გადავიდა. აქ მან შეიძინა გალიანოს საგრაფო და კაპიკი ღელა მოტას სამარკიზო, ასევე – დუნილის საბარონო და წმ. სტეფანოს მამულები (Crollalanza Di G.B., 1886: Dizionario Storico – Blasonico. Bologna (A. Forni)). p. 255.

[20] Ferro B., C.R, დასახ. ნაშრ., გვ. 728.

[21] Silos I., დასახ. ნაშრ., ტ. III, 1666. გვ. 305.

[22] M. Tamarati, L'Énglise géorgienne des originesusqu`á nos jours, Roma, 1910, pp. 534-536.

ების თავისუფლებას აძლევდა, მაგრამ დოკუმენტი დაიკარგა. საკუთრივ ბ. ფერო აღნიშნავს, რომ მეტისმეტად გულნატკენი დარჩა. რადგან არქივში ამისი მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა.

ამ ბუნდოვანი საკითხის გარკვევის გარეშეც, ამჟამად მაინც შეიძლება მტკიცება, რომ ასეთი ნებართვა არსებობდა. ამისი დამადასტურებელი ერთ-ერთი წერილი მოინახა. საქმე ეხება 1643 წლის ოქტომბრის წერილს, რომელიც „წერილების" 21 ტომში ინახება[23]. ეს წერილი პირდაპირ გაეგზავნა მამა კრისტოფორო კასტელის „თეატინელ მისიონერს საქართველოში".

მასში შემდეგს ვკითხულობთ:

„თქვენი მაღალღირსების წერილი სპარსეთის კათოლიკე დედოფლის თხოვნასა და სურვილზე, რომ თან ჰყავდეს პიროვნება, რომელიც მის სულს წარმართავს, უკვე მოვახსენეთ. მისი უწმინდესობის (რომის პაპის – მ.პ.) განკარგულებით, მამა კლემენტე გალანოსადმი წერილში ეს შეთანხმებულია. მამა კლემენტე ამას წინათ აქ კონსტანტიონოპოლიდან ჩამოვიდა. მან თქვა: სამეგრელოში რამდენადაც მისიონი საჭიროებს მუშაკებს, პირველ რიგში, იქ უნდა გაიგზავნონ ახალი მისიონერები. ამიტომ მას (ნებართვის წერილს – მ.პ.) მათ-გაატანენ, რათა თქვენი მაღალღირსება გაემგზავროს შირაზში. შესაძლებელია, ნებართვა მანამდე გაიცეს, თუ ჯუდიჩეს, რომელიც კვლავ ელოდება კონსტანტინოპოლიდან წასვლას, მამა კლემენტესაგან განსხვავებული წერილი არ ექნება, რომლითაც ხსენებული დედოფალი აჩქარებს თქვენს მაღალღირსებას სამსახურისათვის. ვევედრები უფალს, რომ თქვენ ხელი შეგეწყოთ. რომი, 1643 წლის ოქტომბერი".

ამრიგად, მამა კასტელის თხოვნა რომში კეთილგანწყობით მიიღეს. ამიტომ შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ წერილმა კრისტოფორე კასტელიმდე ვერ მიაღწია, რადგან მამა კასტელის მხრიდან განმეორებითი მოთხოვნა არ ყოფილა, ცხადია, მას ნებართვის დოკუმენტი ჰქოდნა. ამდენად, როგორც დღემდე

[23] APF, FF. 2,58v-259 r.

ფიქრობენ, წმ. კონგრეგაციას კასტელისათვის სპარსეთში
წასვლაზე ხელი არ შეუშლია. საჭიროა მხოლოდ იმის გარკვევა
თუ შემდეგში რა მიზეზებმა წარმართეს საქმე სხვაგვარად. ჩვენს
ხელთ არსებული მასალებიდან შეიძლება მხოლოდ ჰიპოთეტურად
დაასკვნა, რომ იმხანად სამეგრელოში ცოტა თანამშრომელი იყო
და კასტელის არ შეეძლო მისიონი დაეტოვებინა.

ჩვენ მეტს არ შევჩერდებით იმ ამბების გადმოცემაზე, რომელთა
უშუალო მოწმეც მამა კასტელი იყო თეატინელთა ავანპოსტზე
ქართლსა და სამეგრელოში, რათა არ გავიმეოროთ ის, რაც მან
აქ წარმოდგენილ ისტორიაში დაწერა.

თავებად დაყოფა, თხრობის თანმიმდევრობა, დამატებები და
ჩართული ადგილები მთლიანად ავტორს ეკუთვნის და ჩვენ არ
შეგვიცვლია მის მიერ არჩეული სტილი. თუმცა კასტელი არ
იცავს დროსა და თანმიმდევრობას. ის უფრო ერთმანეთის მსგავს
ეპიზოდებს არჩევს და არ მისდევს ქრონოლოგიურ წყობას.
მაგრამ ავტორის თხრობას ეს არ ართმევს სიახლის შეგრძნებას.
თხრობა მდიდარია დეტალებით და, როგორც უკვე ითქვა, შეიცავს
სინამდვილის ესკიზურ მონახაზებს, მოკლე და მშრალ ფრაზებს.
კასტელი ამ სტილის დიდოსტატია.

ყოველივე ის, რაც აქამდე ითქვა, მიზნად ისახავდა კრისტო-
ფორო კასტელის რეალისტურ მასშტაბში გამოსახვას, რათა სწორად
გავიგოთ მისი თხრობის მანერა, ზოგჯერ მშარე, ზოგჯერ პათეტიკური.

მამა კასტელიმ კავკასიაში შეკრებილი მასალების დაკარგვის
შემდეგ გადალახა ხანგრძლივი დაცემის პერიოდი და თავისი
მოციქულებრივი სამსახურის შესახებ უფროსების თხოვნით
დაწერა თხზულება. 1657 წელს კრსტოფორო კასტელიმ თავის
ისტორია ასე დაასათაურა: „მისია მრავალ ურწმუნო ქვეყანაში“.

პალერმოში, თეატინელთა რეზიდენცია სან ჯუზეპეში, მამა
კასტელიმ თავისი, თითქმის ოცდაათწლიანი ცხოვრება (1630-
1656 წწ.) შეაჯამა. ვარდაცვალებამდე ორი წლის განმავლობაში
მან აღადგინა დოკუმენტები, პიროვნებათა ისტორია, ამბები, ნახატები
და მონახაზები, შენიშვნები და პირადი შთაბეჭდილებები. ორი

არქივის ზრუნვის შედეგად ჩვენამდე დიდი ოდენობის მასალამ მიაღწია: სანტ ანდრეა დელა ვალეს მთავარი არქივი რომში და კომუნალური ბიბლიოთეკა პალერმოში. თეატინელთა არქივში დაუნჯებულია მრავალრიცხოვანი გამოუქვეყნებელი დოკუმეტი, ხოლო პალერმოს ბიბლიოთეკაში თავმოყრილია ნახატები. ამ უკანასკნელის ანალიზი, ლიტერატურულ ნაშრომებთან შედარებით, უფრო იზიდავდა მეცნიერებს.

როგორც ზემოთ ითქვა, მამა კრისტოფორომ თავის მოციქულებრივი სამსახურის კეთილშობილური გზა დამშვიდებით ვერ აღასრულა. მან საკუთარი შრომის გამოქვენება ვერ იხილა. (შესაძლებელია, განზრახული ჰქონდა მისთვის ეწოდებიან: „მისიონი მრავალ ურწმუნო ქვეყანაში". ასეთი სათაურით დახატა მან თავფურცელი). მიუხედავად ამისა, კასტელი ჩქარობდა, რომ მალე დაეწერა თავისი ისტორია, რათა კერიკო რეგოლარების მამა სილოსს თავისი ქრონიკის მესამე ტომისათვის აუცილებელი ინფორმაციები ჰქონოდა. მამა სილოსის მესამე ტომი 1666 წელს გამოქვეყნდა. მის პირველ ორ ტომში აისახა ქართლსა და სამეგრელოში მოღვაწე მისიონერთა ცნობები. ესენია: ჯ. ჯუდიჩე, ალ. ლამბერტი და ჯ. მ. ძამპი.

ჩვენ არ ვიცით, ეს აღასრულა თუ არა. ერთი რამ კი ცხადია. კასტელის ამ თხზულებაში მოტანილი ბევრი ცნობა სილოსის ნაშრომში აისახა. თუმცა მასში არის ეპიზოდები, ისტორიული მნიშვნელობის ამბები, ძვირფასი ცნობები, რომლებსაც სილოსმა გვერდი აუარა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრისტოფორო კასტელის ამ ნაშრომში მოცემული ბევრი ფრაზა და სახელი სილოსმა ვერ გაშიფრა. აკი ავტორი მამა სილოსს აფრთხილებდა, თუ წამოიჭრებოდა მსგავსი სირთულეები, ის სიამოვნებით გაუკეთებდა ახსნა-განმარტებებს და პირადად ყველაფერს დააზუსტებდა[24].

ასევე ა. ფ. ვეცოზის ნაშრომში „თეატინელი მწერლები"[25]

[24] „კასტელის ხელნაწერის უკანასკნელი ტომი ინახება რომში. სხვებთან შედარებით ის უფრო პატარაა და შეიცავს ერცელ მითითებებს მის მიერვე შედგენილი ალფაბეტური ... ციფრებით, რომლებითაც ის სარგებლობდა საქართველოსა და სპარსეთში.

[25] VEZZOS A.F., C.R. I scrittori de'Chierici Regolari detti Teatini. Roma, 1780.

კრისტოფორო კასტელი საერთოდ არ იხსენიება. თუმცა ავტორი დასაშვებად თვლის, რომ სხვა თეატინელი მწერლებიც იყვნენ.

დაბოლოს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კასტელის ხელნაწერების თანდათანობითი ცვლილება. თავიდანვე ის იყო სწორი და ზუსტი, ხოლო შემდეგ – უფრო გაურკვეველი, რთული და გაუგებარი. ამისი მიზეზი წლების განმავლობაში გამოვლილი სიძნელეები გახდა. შეირყა მისი ჯანმრთელობა, სამეგრელოსა და ქართლში დაემართა ართროზი, მოეკრუნჩხა ხელები, შეუსუსტდა მხედველობა და ბოლოს დაბრმავდა. 1659 წელს დამდგარმა სიკვდილმა იგი შემდგომი მძიმე უსიამოვნებებისაგან იხსნა.

იტალიაში დაბრუნებისას კასტელი წინასწარ გრძნობდა იმ რისკს, რომლის წინაშეც თეტინელთა მისიონს აყენებდა. ის წერდა: „საქართველოდან ჩემი წამოსვლით ცივად უყურებდნენ ბევრ რამეს, რასაც მათი სულების დასახმარებლად ვაკეთებდი“. მართლაც, საქართველოში დარჩენილ თეატინელებს სამეგრელოში უნდა მოეყარათ თავი, რადგან აქ ახალი თანამშრომლების ნაკლებობა იგრძნობოდა.

წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ 1661 წლის 16 ივნისის დეკრეტით აღმოსავლეთ საქართველოში მამა კაპუჩინების მისიონი დააარსა. შემდგომში ის გავრცელდა იმერეთის სამეფოსა და ცენტრალური კავკასიის ოლქებშიც. ვატიკანი ამით ცდილობდა, რომის ეკლესიისათვის დაეახლოებინა ქართული ეკლესია და სომხურ-გრიგორიანული ეპარქია, მაგრამ ამაოდ.

ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მისიონერები თბილისელი სომხებისა და ბერძნების მხრიდან იდევნებოდნენ. საქართველოში მიმდინარე დინასტიური ბრძოლები, მეფე გიორგი XII-ის ცვალებადი ბედი, აქ მისონერების გაგზავნას შეუძლებელს ხდიდა.

არც თურქებსა და არც სპარსელებს მიაჩნდათ დასაშვებად, როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან საქართველოს სულიერი გაერთიანება. მეორდებოდა ისეთი სტუაცია, როგორიც 1633 წელს იყო. ამ დროს ქ. გორს ალყა შემოარტყა და შემდეგ დაიპყრო

სპარსეთის ჯარის სარდალმა როსტომ ხანმა. კასტელისათვის დამახასიათებელი თხრობის თანახმად, მაშინ ქართლში თეატინელთა მისიონი გადარჩა. იმ დროს როსტომ ხანმა მამა კასტელის ციხესიმაგრეების ასაგებად ნახაზებისა და საფორტიფიკაციო პროექტების გაკეთება შესთავაზა.

მაგრამ ახლა მდგომარეობა გაცილებით ცუდი იყო. სამოც წელს მიღწეული მამა კასტელი, რომელმაც „წმ. სარწმუნოებისათვის მრავალი ტანჯვა გადაიტანა", კვლავ მზად იყო უკან დასაბრუნებლად. იგი პაპს ჰპირდებოდა, რომ „კისერზე მორჩილების უღელს ხალისით დიდგამდა, ოღონდაც კი თავიდან აეცილებინა მისიონის დამარცხება". შესაფერისი კანდიდატების არარსებობამ, რისიც ეშინოდა მამა კასტელის, მამა კლემენტე გალანო შეაგულიანა, რომ წმ. კონგრეგაციისათვის ეთხოვა სხვა ორდენის მისიონერების გამოგზავნა. 1691 წელს ქართლსა და სამეგრელოში თეატინელთა კიდევ ერთი მისია გაიგზავნა, რომელიც უკანასკნელი გამოდგა.

XVII საუკუნის მიჯნაზე კავკასიაში თეატინელთა მისია დასრულდა, მაგრამ დარჩა ურიცხვი ისეთი დოკუმენტი, ურომლისოდაც შეუძლებელია ამ მხარეში, როგორც თეატინელთა მოციქულებრივი სამსახურის ისტორიის აღდგენა, ასევე საქართველოს ისტორიის[26] მთელი ამ მონაკვეთის.

ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ მამა კრისტოფორო დე კასტელის ნაშრომი, რომელსაც აქ მკითხველთა ყურადღებას ვთავაზობთ.

პატრიცია ანა ლიჩინი

[26] M. Tamarati. დასახ. ნაშრ., გვ. 553-560.

თეატინელი მისიონერის, პალერმოელი მამა დონ ქრისტოფორო ქასტელის მიერ სამეგრელოს სამეფოში 1633 წლიდან აღნერილი ისტორია[1]

აღმოსავლეთში ერეტიკოსების მიერ მისიონერების ცეცხლის საშუალებით დევნის შესახებ[2]. მრავალ ტანჯვას შორის, რომლებსაც მისიონერები მსოფლიოში განიცდიან, უპირატესად აღმოსავლეთში, სადაც კათოლიკეებს მტრობენ, ჩვენს მამებს განსაკუთრებით ის აწუხებდათ, რომ სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდებით ბევრ ოფლს ღვრიდნენ, რათა „ბარბაროს" მთავართა გულები მოეგოთ და დაერწმუნებინათ, რომ თავიანთ სამეფოში რომელიმე ეკლესია და თავშესაფარი მიეცათ. ამ მხარის მფლობელი მონასავით გვემსახურება. ყველა თავის ბრძანებაში წინა პლანზე გვაყენებს, რათა ამ გზით დავიკავოთ ადგილი და კათოლიკურ ხელოვნებას მოკლებული სულების დასახმარებლად მოსახლეობაში სრული სიმშვიდე დავამყაროთ. და აი, ამ დროს, მოულოდნელად, ჩუმად მოდიან მაჰმადიანნი და ერეტიკოსნი, ელიან ბნელ ღამეს, ქარიანობის დროს ეძებენ შესაძლებლობას, რომ ცეცხლი წაუკიდონ მისიონერთა თავშესაფარს და მიიმალონ, რათა მთელი მათი საკუთრება ცეცხლმა შთანთქას. ასე მოხდა გურიელის[3] რეზიდენციაში, როდესაც კათალიკოსი მთავარი

---

[1] „დე პროპაგანდა ფიდეს არქივი" - APF. Georgia. Castelli. R. II. 1r-37r.

[2] ეს ამბავი 1635 წლის 16 ივნისს მოხდა. ამის შესახებ თვით მამა კასტელი თავის ბიძა გრეგორიო კასტელი დი გალანასადმი 1636 წლის 4 დეკემბერს მიწერილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს (იხ. Licini P.A., დასახ. ნაშრ., გვ. 18-27). კასტელი გურიაში, დასავლეთ საქართველოში, მამა ა. ჯარდინასა და ძმა კლაუდიოსთან ერთად 1636 წლის 8 ივნისს ჩავიდა (იქვე, გვ. 18). მთავარმა მალაქიამ ამ ამბებისადმი მაშინვე გამოინია კეთილგანწყობა, რამაც პირველ პერებში შური და გაღიზიანება გამოიწვია (Silos I., C.R.: დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 632). ამ სანძრის შესახებ ყველა თეატინელი მისიონერი დეტალურად მიგვითითებს (Ferro B., C. R., დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 694-701; Cottone G. M., De Scriptoribus venerabilis Domus Divi Josephi Clericorum Regularium urbis Panormi, Palermo, 1733, p. 95).

[3] ტერმინ „გურიელის" ქვეშ მამა კასტელი გულისხმობს ამ სამფლობელოს მთავრის რეზიდენციას

მალაქია – ამ ქალაქიდან შორს იმყოფებოდა. ის სამეგრელოში თავის მთავართან[4] მოსალაპარაკებლად გაეშგზავრა. შუა ღამე იქნებოდა, როცა ცეცხლი წაუკიდეს მისიონერთა საცხოვრებელ ბინას, სადაც ინახებოდა მთელი მათი ქონება და მთავრის მიერ მიბარებული საქონელიც. სახლს კარვი სარდაფი ჰქონდა. ყველაფერს ისეთი ცეცხლი მოედო, რომ მისი ხმაური ქარს შორს გაჰქონდა. ამ ხმაურით გაღვიძებულმა ვიყვირე და მსახური ვიხმე. რომელსაც კლავდიო კურლეტოს[5] ვეძახდი, რომ სახლში ხანძარია-მეთქი. გამოვედი აივანზე და დავინახე, რომ სახლის სახურავის დიდი ნაწილი უკვე დამწვარი იყო. არავინ ჩანდა, ვისაც დახმარების აღმოჩენა შეეძლო. ძლიერი ცეცხლის ჩაქრობის ყოველგვარი იმედი დავკარგე. შევედი შიგნით, რათა ფანჯრიდან გადმომეყარა ის, რის გადარჩენასაც შევძლებდი, მეტადრე რუდუნებით შექმნილი და მოპოვებული საგნები[6], რომლებიც სახლში იყო.

ამ ბინის ყურება დიდი საშინელება იყო. შიშველი ვიყავი. სახურავიდან უკვე ცვიოდა ალმოკიდებული ნამსხვრევები, მაგრამ არაფერი მესმოდა, რადგან გართული ვიყავი და ვერაფერს ვამჩნევდი, ვჩქარობდი, რათა ყველაფერი გადამეყარა. მაგრამ ქარი იმდენად ალვივებდა ცეცხლს, რომ მოკლე დროში ყველაფერი ალში გაეხვია, ცვიოდა სახლის ნატეხები, ხის კოჭები,- ხოლო ჩემთვის მეტად სამწუხარო ის იყო, რომ ქვევით არავინ ჩანდა, ვისაც შეეძლო ის გადაერჩინა, რომელთა გადაყრასაც განვაგრძობდი.

ხალხს, რომელიც ამ სერის სანახავად იყო მოგროვილი, ვეუბნებოდი, რათა უფლის სიყვარულისათვის, გადაერჩინა ჩემ მიერ გადაყრილი საგნები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ სურდა ლაშქრებოდა. პირიქით, მათ სურდათ, რომ ყველაფერი ცეცხლს შთაენთქა, რადგან მათი უმეტესობა ერეტიკოსი და მტერი იყო. ზოგიერთი ამბობდა და ხმამაღლაც კი ყვი-

[4] „ასტელი სქოლიოში ლაპარაკობს: „ლიბრის მთავარი, რომელმაც ამ ომში ხელთ იგდო ოქროვის მეფე. მას პატიჟს სცემს. ლიბრის, რომელსაც ზოგი სამეგრელოს უწოდებდა. ზოგი – ოქროვეთს, მთავარი იყო ლეკურ ლაბანა. ,ხეფის ტიტულიც ლაბანია".
APF, Georgia. Castelli

[6] ჯარდინას 1633 წლის 25 სექტემბრის წერილიდან ვიგებთ, რომ ეს ამბავი მამა ასტელიმ ისე განიცადა, რომ ავად გახდა. ხელნაწერში მოცემულია იმ საგნების დეტალური ინვენტარიზაცია, რომლებიც ხანძრის დროს განადგურდა. მათ შორისაა „ფული" დახატული სურათი თავისი პანელებით".

რიდა, რომ კრისტალური კასკელი დაეწვება და, რომ არ დაიწვას, გარეთ გამოვიდესო.

მე არ მესმოდა, სანამ არ დავინახე, რომ უკვე გადასაყრელი არაფერი იყო. ბოლოს კიბე ჩაინგრა და ჩემ ირგვლივ სულ ცეცხლი იყო. იძულებული გავხდი პირდაპირ ცეცხლმოკიდებული ფანჯრიდან გადავხტარიყავი და დავინახე ქალები, რომლებიც ყვიროდნენ: „თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენო ბრწყინვალებავ!".

მაშინ მომაგონდა, რომ შიშველი ვიყავი და ეკლესიაში გავიქეცი, სადაც რალაც ნახევრად დამწვარი ძონძი მომიტანეს, რათა სხეული დამეფარა. ნახევრადდამწვარმა ვიკითხე:რაიმე გადაარჩინეს? მიპასუხეს: ზემოდან ალმოკიდებული ფიცრები ცვიოდა და ახლოს მისვლის საშუალება არ იყო. მაშინ ვთქვი: „იდიდოს უფალმა, რომელმაც მოგვცა და წაიღო იგი". მაგრამ ყველა სხვა საგანთა შორის მაწუხებდა ბევრი იმ ნაშრომის დაკარგვა, რომლებიც იტალიაში შეკეთენი სხვადასხვა გამოკვლევებიდან და მუდამ თან დამქონდა. ამ ხალხის დასაკმაყოფილებლად ვთქვი, რომ ჩემი გული დანალულიანებულია 25 წლის შრომის დაკარგვით, რომელიც მომქონდა რომიდან და პალერმოდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დე. იდიდოს უფალმა[7].

ხანძრის შემდეგ, რომელსაც ქარი ხელს უწყობდა, სახლი ფერფლად იქცა. ხანძარი ათ დღეზე მეტი გაგრძელდა-მთელი თვის განმავლობაში ჩანდა მისი შედეგი და მოდიოდნენ ამ ქვეყნის ღარიბები, რათა დამწვარი სახლიდან გამოეთრიათ დაუმწვარი ფიცრები[8]. მაგრამ უფალმა მოახდინა სასწაული, რაც შემდეგში მდგომარეობდა.

ჩვენი ეკლესია ფილებისაგან იყო აგებული. სახურავი ჩალისა ჰქონდა, მაგრამ ცეცხლს გადაურჩა. ის სახლიდან შორს არ იყო. არაუმეტეს 10-12 ნაბიჯი იქნებოდა. ცეცხლმა დანახშირა ზოგიერთი მწვანე ხე. რომლებიც ეკლესიასთან იდგა, მაგრამ არ შეეხო ეკლესიის სახურავს. ყველამ შენიშნა ეს და გაიძახოდნენ, რომ ეს უდიდესი სასწაულია. ამასვე აბეტყველებდა მაის დონ პეტრო ავიტაბილე, რომელიც ამ მსარეში სხვა ჩვენს წმ. ბერებთან ერთად ჩამოვიდა. ეს ასევე სქიზმატიკოსებმა და ერეტიკოსებმა მაწერეს წმ. ნიკოლო და ბარის

[7] პალერმოში მიმავალმა კასტელმა პირველად ახსენა ჩვენების „დაკარგვის" შესახებ.
[8] APF, Georgia, Castelli.

გამოსახულებას, რომელიც ამ ეკლესიაში, როგორც ცოცხალი ისეთი გამოვსახე

ზემოთხსენებულ მამა დონ პიეტრო ავიტაბილეს უდნოდა ეს გამოსახულება იტალიაში წაელო და იგი ნეტარ მამა დონ ფილიპო მარია გუადანის გადასცა. ამ უკანასკნელმა იგი ფლორენციაში ჩვენს მამას გაუგზავნა. შემდეგში იგი თავიანთ ეკლესიაში მოათავსეს, რომელიც სან მიქელეს სახელს ატარებს. როდესაც აღმოსავლეთიდან იტალიაში ვბრუნდებოდი, ის მე მაჩვენეს ფლორენციაში, სადაც დიდ ჰერცოგთან გავიარე იმერეთის მეფის დავალებით[9].

დავუბრუნდეთ ისევ ხანძარს. მის შედეგად დავკარგე ერთ-ერთი უდიდესი ნამუშევარი, რომელიც იმ მხარეში გავაკეთე. რამდენიმე საათში განადგურდა ის, რაც მრავალი წლის განმავლობაში იქმნებოდა. ძნელია, კაცმა აღწეროს, თუ როგორ გადავიტანე ამ ხანძრის შედეგი[10].

რადგანაც ხისგან აგებული სახლები მტრების ხელში იყო, დღედაღამ გვეშინოდა, რომ მათ იგი არ დაეწვათ და ერეტიკოსების ხელში შიშვლები არ დავეტოვებინეთ. ამ ისტორიაში განზრახული მაქვს დავწერო ქართლის სამეფოზეც. სპარსელი ჯარისკაცები პირველად ჩვენს კარებსა და მესრებს ანგრევდნენ. ხშირად ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ. ისროდნენ არკებუზებიდან. მოვიდნენ რა ამ სამეფოს დასაპყრობად, ყველაფერს წვავდნენ. ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ ამ ქვეყანაში ვრჩებოდით. იცოდნენ, თუ რა მიზნით ვიყავით აქ ჩამოსულები, სახელდობრ, დგვენგრია მათი სექტა და ცრუ შეხედულება, ვარაუდობდნენ, მსხვერპლს არ გავიღებდით[11] და აქედან წავიდოდით. რადგან ღმერთს არ მოეწონებოდა, სპარსეთის ჯარის სარდალს[12], რომელსაც გენერალ-

[9] კრისტოფორო კასტელი მოიხსენიებს, რომ მან თავისი ნაწარმოები ფლორენციაში იხილა. რაც შეეხება დიპლომატიურ მისიას, რომელიც მამა კასტელის დავალებული ჰქონდა ტოსკანის დიდ ჰერცოგთან, ჩვენ ამის შესახებ მეტი არაფერი ვიცით. ამ დავალების შესახებ ეს არის ერთადერთი ხსენება.

[10] APF, Georgia, Castelli.

[11] APF, Georgia, Castelli.

[12] შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ (1629 წ.) თეიმურაზი შეეკადა ესარგებლა სპარსეთის არასტაბილური მდგომარეობით და დიპერო განეკა და ყარაბახი, ანუ ალაზანის ველის მხარეები ქართველი დაეუფლებინა. რომელმაც ბიელი მაჩლიანოს და ბულაჩიშვილის ტიტული. მეორე ბაგრატოვანი ქართველი როსტომი, ანუ ხოსრო მირზა, ლაუდ ხანის უფროსი შვილი იყო. ის ამ დროისათვის ბახდა სპარსეთის შაჰის ტახტის რეგენტი. ეს ისის გარანტია იყო, რომ შაჰ აბასის შფოთიანი შაჰ სეფი ტახტს ბიელეს. რასაკვირველ, რომელიც ცდილობდა ქართლი სპარსეთთან გაერთიანებინა, არ შეიძლებოდა თეიმურაზის მეფე დაეტოვებინა. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების საქმეს, შეეგებოდა ანტიქართლის დაპირება გადაწყეტ

სიმუსს, როსტომ სარდალს უწოდებდნენ, ურჩიეს ჩვენ შორის ხომ არ იყო ისეთი ვინმე, რომელიც მას ნებისმიერ საქმეში გამოადგებოდა. მას ეუბნებოდნენ, რომ ასეთი ადამიანები საგანძურივით უნდა შეენახათ. მას (როსტომ ხანს – მ.პ.) ურჩიეს და მიმიყვანეს მასთან ამ მრჩეველთან ერთად. ვიდრე მას შევხვდებოდი, დასვენების საშუალება მომცეს[13].

8-ში როსტომ ხანთან მიმიყვანეს. მან მკითხა: შემეძლო თუ არა მისთვის ციხესიმაგრის სურათი გამეკეთებინა, რადგან სურდა, რომ იგი შემდეგში თავის ბატონთან, შაჰთან, გაეგზავნა. ბოლოს დასძინა, რომ ჩემი დიდი მადლობელი იქნებოდა და დამაჯილდოებდა[14], ხოლო ეს ჩემთვის მეტად სასარგებლო იქნებოდა. მე ვუპასუხე: უფლის შეშწეობით, ვიმედოვნებ, რომ ყველაფერში მოვეშახურები. ვიცი მისი გემოვნება და კმაყოფილი იქნება ჩვენი მუშაობით, რაც იმ დროისათვის საკმაოდ ჩანდა.

ამ სამეფოში სპარსეთის ჯარი ორმოცი დღე დარჩა. როსტომ ხანს ქაღალდზე დავუხატე ციხესიმაგრე, რომელიც შემდეგ უნდა აეგო[15]. მას ნახატი ისე მოეწონა, რომ საელჩოს ფოსტით[16] თავის ბატონს – სპარსეთის შაჰს – გაუზავნა. სპარსელმა დიდებულებმა ამ სურათს ბევრი ტაში დაუკრეს. ამის გამო მეფერებოდნენ, მოწიწებით მომმართავდნენ, რადგან მინიატურული სურათით გაკვირვებული ეს ნახატი საოცრად კარგი[17] აღმოჩნდა. აქედან ცოტა რამ გადარჩა შავ

[13] APF. Georgia. Castelli.

[14] მაგრამ 1642 წლის 12 ნოემბრის წერილში, რომელიც სამეგრელოდანაა გაგზავნილი კასტელი წერდა: „...მან (როსტომ ხანმა – მ.პ.) გასცა ბრძანება ჩემი დაჯილდოების შესახებ, მაგრამ მე არ მინდოდა სხვა რაიმე, გარდა ქრისტიანი ქალის გათავისუფლებისა, რომელიც ჯარისკაცებმა შეიპყრეს. ასევე ხსენებულ გენერალთან ერთად არ მივეპატიჟეთ სპარსეთში, რადგან სუსტი ჯანმრთელობის გამო მას ვერ გაეყვებოდი" (Licini P.A.. დასახ. ნაშრ.. გვ. 49).

[15] ამავე წელიდან ჩანს, რომ მამა კასტელმა გორის 15 ციხესიმაგრის ნახატი გააკეთა „სპარსეთის ქაღალდის ფურცელზე". ეს ისეთი სიდიდის ფურცელია, რომელიც იტალიის სამეფო ქაღალდის 10 ფურცელს უდრის (იხ. Ferro B.. C. R.: დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 192).

[16] APF. Georgia. Castelli.

[17] კასტელი დასძენს: „ამ ნამუშევრის შემწერობით, სპარსელები დიდ პატივს სდებენ ჩვენს საქმეს. მოგვცეს არა მარტო სამუშაო, არამედ დაგვდეს პატივი და წყალობა.

ზღვაზე[18] და ბოლოს რომიდან პალერმოში გემის დაღუპვის დროს.

ამრიგად, ამ ბატონმა გადარჩინა ჩვენი სახლი სპარსელთა ჯარისაგან გადაწვას და დიდი პატივი გვცა. ქება-დიდება ღმერთს. ძმა ამბროზიო აგუსტინელი[19] და მამა ლამბერტი მასთან თხოვნით გაეგზავნენ, რომ ჩვენთვის ზიანი არ მოეყენებინათ. როსტომ ხანმა ეს აღუთქვა, მაგრამ ჯარმა ეს პირობა არ შეასრულა და ბევრ ზიანს გვაყენებდა. ყოველდღე გენერალ მამა ჯაკომო დი სტეფანოსთან ვიყავი და ნახატებს ვაკეთებდი, რომლებიც მე შემიკვეთეს და ის (ჯაკომო დი სტეფანო – მპ.) მათ უჩვენებდა გენერალს (როსტომ ხანს – მპ.), რათა ნახატები შაჰთან გაეგზავნათ. სხვაგვარად შეუძლებელი იყო მშვიდად გვეცხოვრა სპარსეთის ძლიერ ჯართან ერთად. ეს ჯარი შედგებოდა ცხენოსნების, ფეხოსნებისა და აქლემებისაგან, რომლებიც თან კარვებს დაატარებდნენ.

შემდეგ, 1645 წელს, სამეგრელოში[20] წმ. ბონავენტურას დღეს,

---

[18] იხ. პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში დაცული კასტელის არქივი (იხ. Majorana B., Osservazioni in margine al catalogo del Fondo Castelli di Palermo, in "Bedi kartlisa". Paris, XXXIX, 1981, PP. 244-249). კასტელის ზოგიერთი ნახატი მოთავსებულია ვ. ალენის წიგნში (იხ. Allen W.E.D. A History of the Georgian People from the Beginning down to the Russian Conquest in the XIXth Century, London, 1932). თამარაშვილის ფონდიდან თბილისის მუზეუმსა და ერთიანულ გალერეაში შესრულია 137 სურათის ფოტოპირი, აქედან 19 გამოქვეყნებულია თამარაშვილის წიგნში (M. Tamarati, დასახ. ნაშრ.,). წინამძღვარ წმ. მამა მედჩინადმი ერთ-ერთ წერილში მამა აეტაბილე ხაზს უსვამს მამა კასტელიადმი როსტომ ხანის დამოუკიდებლობის ფაქტს (იხ. დონ პეტრო აეტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 97).

[19] ძმა ამბროზიო დუშ ანჯუში.

[20] მთავარ მალაქას გარდაცვალების შემდეგ თეატინელები არ სარგებლობდნენ მეარეულობით (1638 წ.). მთავარმა ლევან დადიანმა მალაქას ადგილზე კათალიკოსად შემოიქცელი დადგინა, ვინიდან ის როსტომ მეფეზე ლევან დადიანის დის დაქორწინების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო (იხ. Ferro B.,C.R.: დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 729). მამა არქანჯელო ლამბერტი ოდიშიდან 1641 წლის 13 იულისს გაგზავნილ წერილში დაწერილებით მოგვითხრობს გურიის მისიონის გაუქმების მიზეზებს.

იმ დროს მამა კასტელი გაგზავნეს იმერეთის მეფე ალექსანდრესთან. რაღაც ამ მეფემ ისურვა გაეგზავნა სასელგამოქმელი მისიონერებს (იხ. Ferro B.,C.R.: დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 734; Sikos I.C.R., ტ. III, გვ. 305) თვითონ კასტელი ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „მე მოსწერეთ ბაშიმაკის მეფეს. მისთვის რამდენიმე ბატარა ფურწერული ნაბეჭდარი და ნახატი გავაკეთე მან ქუთაისში მიგზავნა სასლი, მშვენიერი ქის ეკლესია და ბონიერი მსახურები. ამ მისიონის შესანარჩუნებლად იქ დავტოვე ერთ-ერთი მისიონერი" (მამა კლემენტე გალანის მიერ 1644 წლის 10 აპრილს ნიუკერიდან კონსტანტინოპოლში გაგზავნილ წერილში წერია: „კუტაისი". ეს არის დღევანდელი ქუთაისი).

თეატინელებს დიდი ხნის წინათ პეტრიდან განზრახული ქუთაისში მისიონის დაარსება. საქეთოს ამ ქალაქში ძველი ქართველი მეფეების რეზიდენცია იყო (იხ. Ferro B., C. R.: დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 518).

როდესაც ამ მხარეში მთელი წელი სთხოვნდნენ ხორბლის მოსავლის გადარჩენას, იმავე საღამოს „ეშმაკმა“ ჩვენს სახლს ცეცხლი წაუკიდა. ჩვენ გვიან მივედით და ვნახეთ, რომ ქარი ალს აძლიერებდა და გადარჩენის არავითარი საშუალება არ გვქონდა. ცეცხლმა შთანთქა ბევრი სახლი და გურიელს დიდი ზიანი მიაყენა. დაიწვა ბელელი, სადაც ინახებოდა ფეტვი, რომელიც სამეგრელოს ხორბალია.

ცეცხლი ისე გავრცელდა, რომ ორივე ეკლესია, რომლებიც ფილებისაგან იყო აგებული და მაღლობზე იდგა, განადგურდა[21]. ძლიერი ქარი ხელს უწყობდა ხანძრის გამძვინვარებას[22]. ამან სრულ სიღატაკემდე მიიყვანა სოფელი. დავრჩით შიშველ ბავშვებთან ერთად. ბელლის სარდაფში მცირე სურსათი გადარჩა. იქიდან აუტანელი სუნი ამოდიოდა და რასაც ვჭამდით, ძალიან მწარე იყო. ხანძარმა, რომელიც მთავრის სასახლისაკენ იყო მიმართული, გაანადგურა სახლები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ დიდი წვალების შედეგად იყო აშენებული. ხანძარი შეეხო ეკლესიასაც, რომელსაც მთავარი დიდ შეფასებას აძლევდა. ამ ეკლესიას ჩვენ ვინახავდით ქალაქის ეკლესიასთან ერთად და თანდათანობით აღვადგინეთ, მაგრამ კვლავ გაჩნდა ხანძარი და მისი ჩაქრობის დროს მთლიანად შემომეწვა ტანსაცმელი. ხელფეხი დამწვარი მქონდა, რის გამოც, არც სიარული შემეძლო და არც ჯდომა.

ამ დროს პატრიარქის სასახლის კარზე დამიბარეს. პატრიარქი ძალიან სუსტად იყო და ქალაქში იმყოფებოდა, წალენჯიხის სახელწოდებით კავკასიის მთებში[23]. შემსვეს ცხენზე და წამიყვანეს. მივდიოდი აწეული ხელებითა და ჩამოგდებული ფეხებით, რადგან

---

[21] APF, Georgia, Castelli.

[22] კასტელი იქვე სქოლიოში წერს: „ბერძნები, როგორც ყოველთვის, ამბობდნენ, რომ ეს ცეცხლი ჩვენ გაკაჩარეთ, რაია დამწვარიყო მათი ეკლესია“.

[23] იხ. 1643 წლის 18 აპრილს კასტელის მიერ საშეგრელოდან გაგზავნილი წერილი (Licini P.A., დასახ. ნაშრ., გვ. 60-61). მასში კასტელი დეტალურად აღწერს არქიეპისკოპოს ალავერდელოთან საუბარს. ეს უკანასკნელი ნამყოფი იყო ათონის მთაზე და სპარსელების შემოსევის დროს გორში იყო.

ჭრილობები დიდ ტკივილს მაყენებდა და დამწვრობის მოსარჩენად წამალი არ მქონდა. ტკივილი აღვირის ხელში დაჭერის[24] საშუალებას არ მაძლევდა, რადგან ხელი სულ დამწვარი მქონდა. არ ვიცი, როგორ გადავრჩი ამდენ მდინარეზე, ხრამზე, მაღლობზე ასვლა-ჩამოსვლის დროს, რომლებიც გზაში გვხვდებოდა.

როგორც უკვე ითქვა, ეშმაკმა თავისი მსახურების დახმარებით ჩვენზე ცეცხლით შური იძია. განზრახული იყო ჩვენი საქმის სულის დაწვა, მაგრამ უფალმა ჩვენს გულში უფრო კეთილშობილური ცეცხლი ჩადო. არ დავკარგეთ მხნეობა და ისევ შევუდექით მუშაობას, როგორც ამას მანამდე ვაკეთებდით. ბერძნები მოიხიბლნენ ჩვენი სულისა და გულის კეთილშობილებით და ვერაფრით შეძლეს წასვლის გადაწყვეტილება მიგვეღო.

კიდევ ერთი ხანძარი მოხდა ქუთაისში, სადაც მეგრელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი დაანთეს. შეეცადნენ, ჩვენი სახლი უვნებელი დარჩენილიყო. ნდობის ღირსმა ადამიანებმა, რომლებიც ხანძრის დროს იქ იყვნენ, გვაცნობეს, რომ ჩვენი სახლი ხანძარს გადაურჩა. ეს სასწაული მათ ახსნეს წმინდა მსხვერპლითა და წირვით, რომელიც რამდენჯერმე გავაკეთეთ.

[24] არქანჯელო ლამბერტი კი, პირიქით, თეოლოგიაში სიცხადის მოტივებს იცავდა. (Don A. Lamberti, Colchide Sacra, Napoli, 1657, pp. 353-354).

გურიაში ჩვენი მამების სულიერი ქალიშვილის, ხოლო შემდეგში სპარსეთის დედოფლის ელენე ათაბაგის გმირული მოქმედება

დაწერილია 1647 წელს[25]

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ელენე, საქართველოში ერთ-ერთი ხელისუფლის – ათაბაგის ქალიშვილი, რომელსაც სამფლობელო ტრაპიზონის მხარეში ჰქონდა. ათაბაგი თურქებმა დაამარცხეს და იძულებული გახდა ქრისტიანობაზე უარი ეთქვა, რათა თავისი სამთავროდან არ გაეძევებინათ. მიუხედავად ძალმომრეობისა, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ჩვენებთან ერთად პროტესტს აცხადებდა. მას ჰყავდა იშვიათი სილამაზის ქალიშვილი, რომელიც ძალიან უყვარდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ეშინოდა რა იგი თურქებს ხელში არ ჩაეგდოთ, ათაბაგმა ისარგებლა მომენტით და ელენე გურიის მთავარ მალაქიასთან გაგზავნა, სადაც მას შევხვდი, როდესაც ხსენებულ მთავარს, როგორც ექიმი, ვემსახურებოდი. ამ პატრიარქსა და სხვებთან ერთად მას ვასწავლიდით კარგ ქრისტიანულ წესებს, მაგრამ მისი მუხთალი ბედი ერთ შემთხვევას დაუკავშირდა. გურიის მთავარმა სპარსეთის შაჰთან ელჩი გაგზავნა. მაშინ შაჰი იყო აბას დიდი*, ქალებისადმი სიყვარულით განთქმული. მან ელჩს ჰკითხა: მის მხარეში არიან თუ არა ლამაზი ქალები? ელჩმა უპასუხა: როგორც მზე ვარსკვლავებს შორის, ისე ლამაზ ქალებს შორის ბრწყინავს ელენე ათაბაგი, მესხი და ლამაზი ხალხების, არტაანის, სამცხის და სხვა ქვეყნის

[25] დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს ამბავი მოხდა 1642 და 1643 წლებს შორის, მაგრამ მამა კასტელის მახსოვრობამ უღალატა და პალერმოში დაბრუნების შემდეგ ეს ამბავი 1647 წელს მიაკუთვნა. ათაბაგის ლამაზი ქალიშვილი შემდგომში სპარსეთის დედოფალი გახდა (იხ. APR. SOCG: 123. F. 9r). წერილი,რომელშიც მამა კასტელი მოგვითხრობს ელენე ათაბაგის ბედის უკეთესობაზე. შეიძლება იხილოთ: (Licini P.A., დასახ. ნაშრ., გვ. 32-34; 36, 40. 46-57; 63, 67. 72, 76; 86-87; 96, 104, 106). რაც შეეხება მამა კასტელის განუხორციელებელ პროექტს, რომ სპარსეთში მისიონი გაეხსნა, მასზე ბევრი ექვი და გაურკვევლობა არსებობს. მართალია, კრისტოფოროს არაერთხელ სთხოვა რომს ნებართვა სპარსეთში გამგზავრების შესახებ, მაგრამ თანხმობა მაინც ვერ მიიღო. კონგრეგაცია დე პროპაგანდას მითითებით მისიონი იბერიის იქით არ უნდა დაარსებულიყო (Silos I.C. R.: დასახ. ნაშრ. ტ. III. 1666, გვ. 305).

* რედ. შენიშვნა: ამ დროს შაჰ-აბას I დიდი ცოცხალი არ იყო.

მთავრის ქალიშვილი[26].

ელენეს სილამაზისა და წარმოშობის მიხედვით, შაჰმა გადაწყვიტა, რომ ის შეეფერებოდა თავის შვილიშვილს, შაჰ სეფის და ელჩს უთხრა: ის გააკეთებს კეთილშობილურ საქმეს, თუ გურიის მთავარი პატივით ისარგებლებს და ეს ქალიშვილი შაჰის ხელში აღმოჩნდება.

ელჩმა იასონ ნაკაშიძემ უპასუხა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, მაშინაც კი, თუ თურქების ვასალის ქალიშვილი ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდოდა. შეუძლებელია მისი (შაჰის – მ.პ.) სურვილი არ შესრულდეს. იმედოვნებს, რომ გურიის მთავარი დაიყოლიებს მას, (ელენეს – მ.პ.) ემსახუროს მის უდიდებულესობა სპარსეთის შაჰს, რომელსაც იგი დიდ პატივს სცემს და მხურვალედ სურს, საშუალება ჰქონდეს, რომ მას ემსახუროს.

ელჩი სპარსეთიდან გურიელთან მრავალი საჩუქრით დაბრუნდა. მან მთავარს შაჰის დაჟინებული თხოვნა გადასცა. ამაზე გურიელმა ელჩს უპასუხა, რომ მზადაა შაჰს ემსახუროს, მაგრამ ეს მოლაპარაკება ფარულად უნდა მოხდეს, რადგან თუ თურქები ამის შესახებ შეიტყობენ, ისინი ელენეს მასთან ერთი წუთი არ დატოვებენ.

ხსენებული ქალიშვილი ამ დროს გურიის მთავრის სასახლეში იმყოფებოდა. ამ სასახლის ბაღში მთავარმა ჩვენ საცხოვრებელი ბინა გამოგვიყო. ჩვენთან სახლში ელენე ხშირად მოდიოდა და დიდ მზრუნველობას ვუწევდით. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი ავად ხდებოდა და მრავალი წლის განმავლობაში

[26] თურქების მიერ სამცხის დაპყრობის შემდეგ ელენეს მამა, ათაბაგი, იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო. მან თავისი ქალიშვილი ელენე გურიის კათალიკოსთან გაგზავნა, რათა იქ ქრისტიანული წესით აღზრდილიყო. ელენე მთელ აღმოსავლეთში თავისი სილამაზით განთქმული იყო. მას ერთდროულად ცოლობას სთხოვდა ოსმალთა სულთანი და სპარსეთის შაი. ელენეს ბიძას, საფერს, თურქეთის დიდ თავადს, ბუნებრივია, თავისი დისშვილის სულთანისათვის შერთვა სურდა. მის მეორე ბიძას, ლევან დადიანს, რომელმაც სპარსეთთან კავშირი დაამყარა, ელენეს გათხოვება შაჰზე უნდოდა, რათა იგი ისფაჰანის სამეფო ტახტზე დედოფლად დაესვა.

ორივე პრეტენდენტთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, გურიის კათალიკოსმა, დაღალა რა პასუხისმგებლობისაგან, გადაწყვიტა ელენე ათაბაგი ლევან დადიანთან გაეგზავნა. ამგვარად, სპარსეთის მომავალ დედოფალს საშუალება მიეცა თეატინელ მისიონერებს შეხვედროდა. ელენე ათაბაგი მოიხსენიებულია წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს დოკუმენტებში (იხ. APF. Lettere di Mingrellia: CXXXIII. 9r და სხვ.).

მას ერთგულად ვემსახურებოდით. ჩემ მიმართ ელენე განწყობილი იყო არა როგორც ქალბატონი მსახურისადმი, არამედ როგორც ქალიშვილი მამისადმი. სიტყვა ჩამომართვა, რომ მას არასოდეს მივატოვებდი. პირობა მოვეცი, რომ, როცა გათხოვდებოდა, თან გავყვებოდი, რათა მისი სულისა და სხეულისათვის მემსახურა და მემკურნალა[27].

ასე მიდიოდა ცხოვრება. არ ვიცი, როგორ გაიგეს თურქებმა სპარსეთის შაჰის განზრახვა, რომ ელენე ცოლად თავის შვილიშვილისათვის შეერთო. ამის შესახებ თურქებმა დიდ ბატონს, სახელად მურად სულთანს[28], აცნობეს. მან მაშინვე თავისი ელჩი, რომელსაც მათ ენაზე ჩაუში ეწოდება, გურიის მთავართან გაგზავნა, რათა ელენე, სულთანის ქვეშევრდომის ქალიშვილი, მისთვის გაეგზავნათ.

გაიგო თუ არა ეს, გურიის მთავარმა სხვა ქართველ ბატონებს და, კერძოდ, ოდიში-სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანს, აცნობა. მან გურიელს ურჩია, რომ ელენე მასთან გაეგზავნა, ხოლო თურქებისათვის მიერწერა: ელენე უკვე გურიის სამთავროში აღარ იმყოფება. ის ახლა სამეგრელოშია. გურიელმა ეს რჩევა მაშინვე შეასრულა და ელენე ლევან დადიანთან გაგზავნა.

სამეგრელოში გამგზავრების წინ მან (ელენემ – მ. პ.) მეტად შეცბუნებულმა მითხრა: „მამა დონ კრისტოფორო, რა უნდა გავაკეთო მე იქ უთქვენოდ, თურქების[29] ხელისუფლების ქვეშ. საწყალმა უცხომ იქ რა უნდა ვქნა დამრიგებლისა და იმ ადამიანის გარეშე, რომელიც მამშვიდებს, როგორც ამას თქვენ აკეთებთ". დავამშვიდე და ვუპასუხე: რომ ის მიდის სასურველ დროს, რადგან იმავე გზას მალევე გავუყვებოდი, ვინაიდან ვგრძნობდი, რაც უნდა მომხდა-

[27] მამა კასტელი ასე აღწერს იმ ცვალებად ბედს, რომელმაც აიძულა იგი ეზრუნა ელენე ათაბაგზე: „ჯურიაში ყოფნისას, ექვს წელზე მეტხანს, არაერთხელ მოვემსახურე ელენეს... ოდიშის მთავარს არ უნდოდა ათაბაგის ასული თურქებს წაეყვანათ. ეშინოდა რა ამის, მან ელენე ოდიშში ჩაიყვანა. ამ დროს ჩემმა უფროსებმა დადიანთან მიმიწვიეს, რადგან ელენეს სურდა, რომ თან ვყოლოდი" (Licini P.A., დასახ. ნაშრ., გვ. 47.)

[28] სულთანმა მურად IV-მ (1623-1640) ოტომანთა იმპერიის ადმინისტრაციული სტრუქტურები გარდაქმნა. მან დაქუცმაცებული ქვეყანა ჩიბარა, მაგრამ გარდაქმნების შედეგად იმპერიას ძლიერება დაუბრუნა. ბოლო მოუღო ანარქიას. ამას 20 ათასი ქვეშევრდომის სიცოცხლე შეეწირა. სულთანი ომებს ეწეოდა პოლონეთში, კავკასიაში, ყირიმსა და ტრანსილვანიაში. მურად IV-ს ბაღდადის დაპყრობით სურდა, რომ ერაყის გავლით სპარსეთის ყურეში გასასვლელი მოეპოვებინა (Shaw S.J., დასახ. ნაშრ., გვ. 194-200).

რიყო მთავარ ვახტანგთან ურთიერთობაში. ელენე სამეგრელოში წავიდა. ამის შემდეგ მე კი ამ მხარეში (გურიაში – მ. პ.) დევნის გამო სამეგრელოში დამკვიდრება მაწყობდა.

დავადექი რა გზას, სამეგრელოში ჩავედი, პაშარეთად წოდებულ სოფელში და ჯერ კიდევ ცხენზე მჯდომს შორიდანვე ეს ადგილი შესანიშნავი მომეჩვენა. სწორედ აქ, თავის თანმხლებ ქალბატონებთან ერთად, ელენემ შორიდან მიცნო და ხმამაღლა იყვირა: „აი, მამა კრისტოფალო, ჩენი სულის სხივი". ელოდა რა ჩემს სიტყვას, მეტად გახარებულმა მაშინვე გამოგზავნა ჩემთან კაცი და შემატყობინა, რომ შორიდან დამინახა ქალბატონმა ათაბაგმა[30] და აქ დიდი სიამოვნებით მელოდება. მინდოდა მისი სურვილი დამეკმაყოფილებინა და მენახა, რადგან პატივს ვცემდი. გავყევი მისგან გამოგზავნილ კაცს და მასთან მივედი. მან სიამოვნებითა და აღფრთოვანებით მიმიღო. ხანგრძლივი მოკითხვის შემდეგ ვუთხარი: აი, ქალბატონო,„მზად ვარ შევასრულო დანაპირები და განზრახული მაქვს სულის ლოცვა-კურთხევისათვის თქვენდამი სამსახური განვაგრძო. სულის შესახებ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ელენე გავამხნევე, რომ ნურაფრის ნუ ეშინია და რეზიდენციაში წავედი.

ჩავედი რა ქალაქ სეპიაში, მდინარე ენგურის ახლოს[31], რამდენიმე დღე დავისვენე. შემდეგ მთავრის სასახლეში ელენესთან ვიზიტად გავემგზავრე, სადაც მისადმი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ. მან გული გადამიშალა და მითხრა: „მამაო, იცით, თქვენ პიროვნებას როგორ პატივს ვცემ. თქვენ გარეშე ჩემი სული საშიშროების წინაშე დგას, რადგან ეს მთავარი (ლევან დადიანი – მ.პ.) სპარსეთის

[29] ალბათ, კასტელიმ თურქები სპარსელებში აურია. ელენე იძულებით მიდიოდა სამეგრელოში. სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანს, კი კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთთან.

[30] ეი. ელენე ათაბაგი.

[31] საუბარია მდ. ენგურზე, რომელიც წიფურაიში თეატინელთა მისიონის ახლოს მიედინება. მამა ლამბერტის აზრით, ენგური შესაძლებელია ანტიკური ასტელფო ან ტამიკე იყოს. მაშასადამე, არქანჯელო ლამბერტიმ იცოდა ბერძენი ფლავიუს არიანეს ნაშრომი „ნაოსნობა პონტო ევქსინზე". წერილი, რომელიც არიანემ შეადგინა 132 წელს და იმპერატორ ადრიანეს გაუგზავნა. წერილი პირველად 1533 წელს დაბეჭდა ბაზილ ზიგმუნდ გელენმა. ხოლო შემდეგ, განმეორებით, რამუზიომ დაბეჭდა. მან იკი ჩართო მეორე ტომის პირველ გამოცემაში – „ნაოსნობები და მოგზაურობები" (1559წ.) (Milanesi M., Giovanni Battista Ramusio, "Navigazioni e viaggi", Torino, 1978, pp. 7-12).

შაჰის შვილიშვილის – შაჰ სეფის საცოლედ მაგზავნის. ამას მთავარი (ლევან დადიანი – მ.პ.) შაჰ სეფის ბაბუას (შაჰ აბასს –მ.პ.) დაჰპირდა. ჯვარცმულისადმი იმ სიყვარულის გამო, რომელსაც ბავშვობიდანვე მასწავლიდით, გაფიცებთ და გევედრებით, სპარსეთში გამომყევით, რადგან იქ გამგზავრებას მაიძულებენ[32].

ელენეს შემდეგი პასუხი გავეცი: მე პაპმა გამომგზავნა მოციქულებრივ მისიონერად ქართლის სამეფოსა და სამეგრელოში, ხოლო ერევანსა და სხვაგან არ შემიძლია გადასვლა მისი უწმინდესობის (პაპის – მ.პ.) ბრძანების გარეშე და ამიტომ მას ვერ გავყვებოდი სპარსეთში. აღნიშნულ სამეფოში რომ გადავიდე, რომიდან აუცილებელია ახალი განკარგულება და, თუ მას მივიღებდი, აუცილებლად შეგატყობინებდი. „დიახ, დიახ – მითხრა ამ ქალიშვილმა – ღონთოკეი, ჩემი კრსტოფორე", ეი. ღმერთი ხარ, ჩემო კრისტოფორო. ვიცი, რომ ერთგულება აიძულებს ჩემს კრისტოფოროს ვუყვარდე[33] და გამომყვეს. მე ვუთხარი: „იცოდეთ ქალბატონო, რომ ყველა ის საგანი, რომელსაც მსოფლიო თაყვანს სცემს – გვირგვინი, იმპერია, სასიამოვნო დროს ტარება და სხვა არაფერი, პატივმოყვარეობაა და უბედურება; სხვა არაფერია, თუ არა ქარი და ჩრდილი, რომლის გამოჩენისას მაშინვე ქრება ყველაფერი. ეს მით უფრო საძულველია, რადგან უცნობია, რამდენი დრო დაგრჩა მისი სარგებლობისათვის – მეოთხედი საათი, ნახევარი საათი თუ საათი. ღმერთია ყოვლისშემძლე და მას შეუძლია სიცოცხლისა და უკვდავების მინიჭება. შეხედეთ, რამდენ წმინდან ქალწულს უყვარს ღმერთი და სარწმუნოება. ტირანის ნუ შეგეშინდება. მას მხოლოდ დროებითი სიკვდილი შეუძლია შენს სხეულს მიაყენოს, რომელიც მოკლე ხანში ჭიების საკვები გახდება. მხოლოდ სიკვდილი აძლევს პატივს მთელ სხეულს და თუ ეს მოხდება, ბედნიერია ის, ვინც მოკლე წამებისათვის საშუალო ნეტარებას მიიღებს. დიახ, დიახ, ქალბატონო, ეშხადე ამ საქმისათვის, მიეცი სული ღმერთს და წასვლაზე (სპარსეთში – მ.პ.) მტკიცე უარი თქვი, რათა ურწმუნოთა მეფის მეუღლე არ გახდე".

[32] APF. Georgia. Castelli.

[33] შეუძლებელი გახდა მამა კასტელი თავის სულიერ ქალიშვილს სპარსეთში გაპყოლოდა. ქართულ ენაზე მან დაწერა ნაშრომი: „ღვთაებრივი სიყვარულის სინაზე" და გაუგზავნა ის ელენეს სპარსეთში (ეს თხზულება დაკარგულად ითვლება.

ამ სიტყვების მოსმენისა და მრავალი მსჯელობის შემდეგ მან მიპასუხა: „რანაირად შეიძლება თავი გადავირჩინო და სპარსეთის დედოფალი არ გავხდე?“. მე ვუთხარი: თავი ავადმყოფად მოაჩვენოს მთავარს და უთხრას, რომ არ უნდა, ურწმუნო მაჰმადიანის მეუღლე გახდეს. აქვე დავამატე, რომ ეს დიდი სიფრთხილით უნდა გაკეთდეს, რადგან თუ ის სპარსეთის დედოფალი გახდება, მაშინვე სარწმუნოებასთან ერთად სულსაც დაკარგავს. ორი დღის შემდეგ მელანქოლიით შეპყრობილი ელენე ლოგინში ჩაწვა იმ აზრით, რომ ტოვებს ქრისტეს და უნდა შეიყვაროს ეშმაკი, სპარსეთის წინასწარმეტყველები – მუჰამედი და ალი, რის გამოც კარგავს სულს, თუ სპარსეთში წავა. როდესაც ამის შესახებ მთავარმა გაიგო, ელენეს ჰკითხა: რაშია საქმე? მან მთავარს ისე უპასუხა, როგორც ვასწავლე. მთავარმა ის დაამშვიდა და ურჩია, გამხიარულებულიყო, დალოდებოდა გამოჯანმრთელებას, ხოლო შემდეგ მოილაპარაკებდნენ და მას ისევ უკან, გურიაში დააბრუნებდნენ.

ამ დროს კაცი გამოგზავნეს ჩემთან და მითხრა, რაც მოხდა. მივედი და პასუხად იგივე სიმღერა გავუმეორე. დამაჯერებელი მოსაზრებებით დავუდასტურე, რომ იგი ურყევი და ძლიერი დარჩენილიყო. მუდამ ვეუბნებოდი, უმჯობესია, სიცოცხლე დაკარგო, ვიდრე – იდეა და წმინდა რწმენა. ყოველთვის, როდესაც მთავარი მას ნახულობდა, ელენეს თავის გადაწყვეტილებაში, რომ არ წასულიყო სპარსეთში და არჩია მომკვდარიყო, ვიდრე მაჰმადიანს ჩავარდნოდა ხელში, უფრო მტკიცეს პოულობდა.

მთავარი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა[34], რადგან შაჰს აღუთქვა, რომ ელენეს, რაც შეიძლება, მალე გაუგზავნიდა. იგი ყოველდღე ელოდა ელენესგან პასუხს და არ იცოდა, რა შეეთვალა შაჰისათვის. დადიანი მუდამდღე მასთან თავის ქვეყნის სასულიერო პირებს, ბატონებსა და ქალბატონებს აგზავნიდა, რათა ელენე დაერწმუნებინათ, რომ სპარსეთის შაჰის, მსოფლიო მონარქის, ცოლობაზე უარი არ ეთქვა და სიამოვნება, რომელიც ასეთ პიროვნებას შვენოდა, არ დაეკარგა. იგი (ლევან დადიანი – მ.პ.)

[34] API. Georgia. Castelli.

მას აიძულებდა, რომ სარწმუნოება შეეცვალა, მაგრამ ელენე მუდამ ურყევი იყო. მთავარმა ეჭვი ჩემზე მიიტანა და ბრძანა, რომ ამიერიდან ფეხი არ შემედგა მის სასახლეში. გამოაცხადა, რომ ელენემ წარმადგინა მე მასთან, როგორც მისი ექიმი და ერთგული მეგობარი.

სხვადასხვა აზრის მქონე ადამიანებს ელენე თითქმის ერთი წელი ებრძოდა, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს, რადგან კეთილშობილი სული გააჩნდა. ელენეს თან მცირერიცხოვანი მსახური ჰყავდა, რომელთაც აფრხილებდა, თუ მის მიმართ ძალის გამოყენებას შეეცდებოდნენ, იგი თავს მოიკლავდა და ამიტომ ვერავინ ბედავდა ძალით სპარსეთში მის გაგზავნას. ამ დროს ელენე ცოტას ჭამდა, მადაც დაეკარგა და ძალიან გახდა, სულ ტიროდა. ყოველივე ამის გამო ისე გახდა, რომ ძლივს თუ იცნობდით. თავისი კვნესითა და ჩივილით, ვინც მას იცნობდა, ყველაში თანაგრძნობას იწვევდა. ხედავდა რა მის სიმტკიცეს, მთავარმა ელენე მოხერხებულად გაგზავნა სპარსეში. ეს შემდეგნაირად მოხდა.

ქალბატონო, — უთხრა მთავარმა მას, — ვხედავთ, შენი გაგზავნა იმ ქვეყანაში, სადაც შეგიძლია დედოფალი გახდე და გვირგვინი დაიდგა, როგორც შაჰის შვილიშვილის მეუღლემ, შეუძლებელია. რამდენადაც ჩემს ხელში კვდება სული, დაბრუნდი გურიის სილარიბეში. გაგიწევთ სამსახურს და ხვალვე გაგაცილებთ და გაგაზავნით იქ, საიდანაც მობრძანდიო.

ქალბატონმა სული მოითქვა, თავი დახარა, მადლობა უთხრა მთავარს და დასძინა, რომ დიდად მადლობელი და გახარებული იყო, რომ უბრუნდებოდა თავის სიდუხჭირეს. ერჩია ემსახურა ღმერთისათვის, ვიდრე სპარსეთის დედოფალი გამხდარიყო. „ამიტომ ხვალ, ვსარგებლობ რა თქვენი მოწყალებით, გურიაში გავემგზავრები“. ეს გამარჯვება მას იმიტომ მივულოცე, რომ ჩვენს ხელში, ქრისტიანთა შორის რჩებოდა.

მეორე დღეს ელენე მშვენიერი გამცილებლებით, კეთილშობილი ქალბატონებითა და ამ ქვეყნის (სამეგრელოს სამთავროს — მ.პ.) ეპოსკოპოსის თანხლებით გზას გაუყენეს. მათ (გამცილებლებს — მ.პ.) ჰქონდათ საიდუმლო ბრძანება, რომ მარშრუტი შეეცვალათ

და გურიის ნაცვლად იგი ქართლში წაეყვანათ, რომელზეც სპარსეთისაკენ მიმავალი გზა გადიოდა. გზაზე ელენე უნდა შეექციათ სხვადასხვა საუბრით, სასიამოვნო დროს ტარებით, ნადირობითა და ნადიმობით, რაც სამხედრო ეშმაკობას წარმოადგენდა. თუ ფეხით ივლი, სამეგრელოდან გურიამდე ხუთი დღის გზაა, მაგრამ გავიდა ექვსი დღე და საწყალმა ელენემ იკითხა: გურიაში როდის ჩავალთ? მე მგონი ეს ის გზა არაა, რომლითაც ჩვენ სამეგრელოში ჩამოვედით. ამაზე მას უპასუხეს, რომ გზა შეცვალეს, რათა ცუდი გზისთვის გვერდი აევლოთ. ამასთანავე, სურდათ, ქვეყნის ზოგიერთი ის ადგილი ეჩვენებინათ, რომლებიც მას არ ენახა[35].

ასეთი გართობით ისინი ქართლის სამეფოში აღმოჩნდნენ, სადაც სპარსელთა მხარდაჭერით მეფობდა უფლისწული როსტომ ხანი. ქალბატონის ჩამოსვლის შესახებ ის გაფრთხილებული იყო. როსტომი ელენეს სანახავდ დიდი ძღვენით მივიდა, მსახურებითა და ზარბაზნების გრიალით ქალაქ გორში მიიყვანა და დიდი პატივით უმშვენიერეს კარავში დაბინავა, რომლის მსგავსს ელენე ვერასოდეს წარმოიდგენდა. მოწყალების თვალით შეხედა რა იმ ბატონებს, რომელთაც იგი იქ მიიყვანეს, საკოდავი და შეწუხებული ხმით წარმოთქვა: „ჩემო კრისტოფორო, სადა ხარ, ჩემო ღმერთო, შენ მიშველე, შენს ხელთ ვარ", ეი. მე მომიტაცეს, სად ̄არის გურია, სად არის ჩემი კრისტოფორო. დე, ღმერთმა მიშველოს, რატომ მომატყუეთ თქვენ? რა ვქნა მე? ო, ღმერთო ჩემო, შენს ხელთა ვარ".[36]

დაინახა რა ყოველი მხრიდან დიდი მზრუნველობა, საწყალი ელენე სპარსელ ქალბატონთა შორის უხერხულობაში ჩავარდა, რადგან ისინი მას მოწყენის საბაბს არ აძლევდნენ, ზეიმობდნენ, მღეროდნენ და ბოლოს თბილისში ჩაიყვანეს. აქაც მას დიდი პატივით დახვდნენ. შაჰის ბრძანებით, ასევე პატივით ეგებებოდნენ ელენეს სამეფოს ყველა ქალაქში ისფაჰანამდე[37], რომლის გავლას სამი თვე მოანდომეს.

შაჰის ბრძანების თანახმად, ელენე აუჩქარებლად ისფაჰანში ჩაიყვანეს. მის შესახვედრად გამოვიდა ყველა დიდებული, მანდილო-

[35] გაემგზავრნენ 1642 წლის 27 მარტს (Licini P.A.. დასახ. ნაშრ., გვ. 36).
[36] APF. Georgia. Castelli.
[37] სპარსეთის დედაქალაქი.

სანი, საჭურისი მუსიკით, სიმღერითა და შეძახილებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო დედოფალო ელენე, შაჰის მიერ დიდად შეყვარებულო“ და ა.შ. მღეროდნენ თავიანთ ენაზე და ელენეს თავზე ოქროსა და ვერცხლის ფულებს აფრქვევდნენ. უფრო მეტად სიმღერებით ართობდნენ.

შაჰს შეატყობინეს, რომ დედოფალი უკვე ჩამოვიდა. ის ამ დროს ინდოეთში[38] ლაშქრობით იყო დაკავებული. შაჰი ისფაჰანიდან ორი დღის სავალზე იმყოფებოდა. ჩამოვიდა თუ არა, დედოფალი თავის სასახლეში მიიწვია და ზეიმი მოაწყო, რომელიც რვა დღე გაგრძელდა. შაჰმა მას დიდი სიხარული მიანიჭა, რამდენიმე ქალაქის გარდა, დიდძალი თანხა უბოძა საყიდლებისა და დროს გასატარებლად.

ელენეს გმირული მოქმედების გამო, რაც დაკავშირებული იყო მის სურვილთან, რომ ქრისტეს რწმენას არ განდგომოდა, უფალმა ინება, ხელმწიფე-მეუღლე მოკლე ხანში ლოგინად ჩავარდნილიყო და სულ მალე თავისი საყვარელი დედოფლის ხელში დაელია სული. გარდაიცვალა ზეიმებსა და ნადიმებს შორის, როგორც კიდევ ერთი ჰერაკლესი. ასე მომწერა ელენემ, ხოლო საჭურისებმა, რომლებიც თან ახლდნენ ელენეს სასახლეში, გადმომცეს, რომ შაჰმა სიკვდილის წინ ის ისე გამოაცხადა დედოფლად, რომ ხორციელად არ შეუცვნია.

მას შემდეგ, რაც შაჰის შვილმა – აბასად წოდებულმა – ელენე ცოლად შეირთო, ამ უკანასკნელმა სამეგრელოს მთავარს დესპანი აახლა, რათა მასთან გავეგზავნეთ. ეს ჩანს ფრანგი ექიმების წერილებიდან, რომელიც ხელთა მაქვს. ფრანგი ექიმები ცხოვრობდნენ სამეგრელოს მთავრის სასახლესთან. როცა ზემოხსენებული დესპანი გამოჩნდა, ხელთ მქონდა რა ხსენებული წერილების ასლები, ჩვენს ერთ-ერთ მღვდელთან, ჯაკომო არგოლიოსთან ერთად, რომელიც იმ დროს ამ ქვეყანაში (სამეგრელოში – მ.პ.) იმყოფებოდა, წერილი მივწერე რომში დიდად პატივცემულ გენერალ დონ გრეგორიო კარაფას[39], რათა მესარგებლა შემთხვევით

[38] Licini P.A.. დასახ. ნაშრ.,გვ. 48.
[39] იქვე, გვ. 50-57.

და არ დავბნეულიყავი. მაგრამ ამჯერად არ შემეძლო სპარსეთში წასვლა, რადგან ჯერ არ მქონდა წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესაგან ნებართვა აღებული, რომელსაც დამპირდნენ, გამომიგზავნიდნენ და უფლება მექნებოდა სპარსეთში გამგზავრებისა. ეს ჩანს კონგრეგაციის მაშინდელი პრეფექტის კარდინალ ონოფრის წერილიდან[40].

ყველაფერი ეს მოხდა მისი უწმინდესობის, პაპი ურბანის, (ნეტარი ხსოვნა) სიცოცხლის დროს, რომელიც მალალ შეფასებას აძლევდა სამეგრელოსთან ურთიერთობას და უნდოდა, სამუდამოდ შენარჩუნებულიყო იგი, რადგან საქართველოში თეატინელთა მისიონი მისი შემოქმედების ნაყოფი იყო და ძალიან უყვარდა, ვინაიდან ეს მისიონი უფლისათვის მუშაობდა[41].

ფრიად პატივცემული მამა გენერლისაგან პასუხი არ ჩანდა. შეიძლება ის დიდ გზაზე დაიკარგა. ზოგიერთი ამბობდა, რომ, მათი აზრით, საქართველოს დატოვება და სხვა ქვეყანაში წასვლა კარგი არ იქნებოდა, ან დამიმალეს ეს და უნდა ვიფიქრო, რომ კარგი განზრახვით გააკეთეს[42].

მივიღე მითითება მისი უწმინდესობისაგან, წმ. კონგრეგაციის პრეფექტის კარდინალ ონოფრიოსაგან, რომელმაც ისურვა, სპარსეთში წავსულიყავი და ჩვენი მამებისადმი ერთგულების გამო ამ დედოფლისათვის სამსახური გამეწია. კარდიანლს ამ დედოფლის კეთილმოქმედებაზე, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ არ მიეტოვებინა ქრისტიანული სარწმუნოება[43], წერდნენ.

განსაკუთრებული ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთი წინააღმდეგობას მიწევდა. მათ არ სურდათ, რომ სამეგრელოდან სპარსეთში წავსულიყავი. ამ დროს კი მიემგზავრებოდა ელჩი, რომელმაც შემომთავაზა, მესარგებლა ამ შემთხვევით და მას

[40] APF, Georgia, Castelli.
[41] პაპ ურბან VIII-ს სამეგრელოს შესახებ პირველი ცნობები კეთილშობილმა პიეტრო დელა ვალემ წარუდგინა (რომი, 1586-1652). ეს განათლებული და დაკირვებული მოგზაური რომში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა. ამ ქვეყნის შესახებ პიეტრო დელა ვალემ ცნობები წარუდგინა პაპ ურბან VIII-ს 1627 წელს.
[42] APF, Georgia, Castelli.
[43] A. Lamberti, Storia Sacra dei Colchi, ovvero Colchide Sacra, Napoli, 1657, pp.42

სპარსეთში გავყოლოდი, სადაც ყოველგვარი ხარჯის გარეშე შეიძლებოდა რეზიდენციის დაარსება, რომელიც გამოადგებოდათ მისიონერებს საქართველოსა და ინდოეთში.

ეს ფაქტი აღმოსავლეთში მყოფ მღვდელმსახურთა შორის ცნობილი გახდა და გასაგებია, ჩემმა იქ წაუსვლელობამ ხელი შეუწყო სხვა მღვდელმსახურებს (იგულისხმება სხვა ორდენის – მ.პ.) დამკვიდრებას. ამ მამების გამო პოლონეთის მეფე და დედოფალი საჩუქრებსა და მრავალ ათას სკუდოს უგზავნიდნენ სპარსეთის შაჰსა და დედოფალს. ამდენად, ჩვენ ჩამოვრჩით და დადასტურდა, რომ ერთი იყო საცდელი ცხოველი, ხოლო მეორე-წამგლეჯი[44].

შემეძლო იტალიაში არ დავბრუნებულიყავი და დიდი სიამოვნებით სპარსეთში წავსულიყავი, რათა იქ სახლი (მისიონი – მ.პ.) დამეარსებინა, რომელიც ნამდვილად თავშესაქცევი არ იქნებოდა. ბატონმა შემატყობინა, თუ რომელი სათნოება ფასდებოდა ამ ქვეყანაში, რათა მისიონერებს ემუშავათ. სამეგრელოში აუცილებელია, დღედაღამ ებრძოლო ქურდებსა და ბერძნებს და არავინ შრომობს ისე, როგორც ჩვენი მამები.

---

[44] კრ. კასტელი ალბათ კარმელიტებისადმი ბრძანებას გულისხმობს. 1629 წელს წმ. კონგრეგაციამ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად, სპარსეთში, ისფაანში, საეპისკოპოსო სახლი უნდა აგებულიყო. იმავე წლის 2 ოქტომბერს ურბან VIII-მ ეს დეკრეტი მოიწონა. პირველ ეპისკოპოსად დანიშნეს ჯოვანი ტადეო წმ. ელიადან, რაც შეეხება სპარსეთში კარმელიტთა მისიონის დაარსებასა და მოღვაწეობას (იხ: P. Ambrogio di S. Teresa C.D. (Hormeister). 1938, N 252-253; 1933, VII, 1-23).

ჩვენმა მამებმა სამეგრელოს მეფე დაარნმუნეს, რომ დაედო ზავი იმერეთის მეფესთან. ის იღებს კეთილ რჩევას და ზავს დებს[45]

სამეგრელოს ამჟამინდელი ცოცხალი მეფე ლევან დადიანია. ის მიდრეკილია ომებისაკენ, თვითონ არა აქვს მოსვენება და დამშვიდების საშუალებას სხვასაც არ აძლევს. მისი მეზობელი მთავრებისათვის, განსაკუთრებით კი იმერეთის საწყალი მეფისათვის, ეს დიდი უბედურებაა. ყოველთვის არსებობს თავდასხმის ან ბანდიტური ომის საშიშროება, რომლის დროსაც ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ეპისკოპოსის, პატრიარქის, სასულიერო პირის, ზოგჯერ ჩვენი მამების (კათოლიკე მისიონერების – მ.პ.) თან წაყვანა. მაგრამ მან ვერასოდეს შეძლო ჩემი გაყოლა. მთავარს ყოველთვის ვეუბნებოდი, ბოლო მოეღო ომებისათვის და წყნარ ცხოვრებაში დამტკბარიყო იმით, რაც მას უფალმა საკმარისად მისცა, რათა ამქვეყნად[46] მშვიდად ეცხოვრა.

ის (ლევან დადიანი – მ.პ.) ყოველთვის მპასუხობდა: ამას იმიტომ ვამბობდი, რომ ის მთავრები მიყვარდა, რომლებსაც ის ეომებოდა, ხოლო ისინი კი თავიანთ ქვეყნებში ჩემ მიმართ კეთილ-განწყობას იჩენდნენ. სამეგრელოდან გამგზავრებამდე ორი წლის წინ მან (მთავარმა – მ.პ.) შემომითვალა, რომ ჩემთან რაღაც ჰქონდა სათქმელი.

ავადმყოფმა, ლოგინში მწოლიარემ, მთავარს შევუთვალე, რომ მხარს არ ვუჭერდი მის საქციელს, ვინაიდან მას მხოლოდ ომი და ბრძანებები სიამოვნებდა, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას აძლევდა მოსვენების საშუალებას. ამასთანავე, შევუთვალე: ავად ვარ, არ შემიძლია სასახლეში[47] მისვლა და მაპატიოს; რომ უდრეკი სული დიდი ხნის საქმიანობის შემდეგ უხალისო და

[45] იხ. ასევე აქვე. გვ. 111.

[46] მეზობელი სამთავროებისა და სამეფოს წინააღმდეგ ლევან დადიანის ხშირი ომების შესახებ (იხ: Lamberti A., დასახ. ნაშრ., გვ. 16-33).

[47] APF, Georgia, Castelli.

დაღლილი ხდება და ჩემთვის დასვენება აუცილებელია. რამდენადაც მთავარი მოხუცია და ბევრი ომებისაგან დაიქანცა, მან საჭიროა, დაისვენოს და ყველა იმ მთავარს შეურიგდეს, რომლებსაც ემტერება. ბოლოს, ვუსურვე მშვიდობა, გაერთიანება და ბრძოლა თურქებისა, და საერთოდ, ურჯულოთა წინააღმდეგ, რომლებიც ქრისტეს მტრები[48] არიან.

მთელი აღმოსავლეთი აღფრთოვანებული იყო ბრძოლებში ლევან დადიანის ბრწყინვალე გამარჯვებებით. საბოლოოდ მეფედ კურთხევისათვის მას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: როგორც საკუთარი თავისთვის, ისე ამ მთავრებისა და მეფეებისათვის ზავი ებოძებინა, ყველა დაესვენებინა და სიკვდილამდე მშვიდად ეცხოვრა, მიახლოვებოდა შემოქმედის სულს და ჩემთვის დესპანობა ეთხოვა.

მთავარმა აღმითქვა, რომ ყველა ჩემს სიტყვას უპასუხებდა და არც ერთს უყურადღებოდ არ დატოვებდა. მას მაინცდამაინც არ უყვარდა მეფე* და მითხრა, მისთვის დამეჭირა მხარი, რადგან დადიანის დანახვაზე ყველა ყვიროდა: „ომი, ომი!"[49].

სასახლეში მისვლისას დავიჩოქე მთავრის წინაშე და ვუთხარი, მზადა ვარ. მან გაიცინა და მითხრა: „კრისტოფალო, კრისტოფალო, შენ ბრწყინვალედ ლაპარაკობ და გინდა ზავი დადო, რათა ქუთაისში დაბრუნდე და შენს ნაქებ იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს,

[48] ლევან დადიანმა გააცურა თურქები და დაუჯერა, რომ სამეგრელო – ეს ულარიბესი სამეფოა. იღებდა რა ოსმალეთის ელჩებს, იგი ბრძანებდა, რომ „ისინი მთავრის სასახლეში მიეყვანათ არა კარგი გზებით, არამედ ეტარებინათ ციცაბოების, შლამიანი ადგილების, უღრანი ტყეებისა და მოუხერხებელი გადასასვლელების გაელით; მდინარეებზე იქ გადაეყვანათ, სადაც უფრო ღრმა იყო; გაეტარებინათ ღარიბი გლეხების საცხოვრებელ ადგილებში... როდესაც სასახლეში მიეიდოდნენ– იქ მთავარი ღარიბულად ჩაცმული, ძველ ხალიჩაზე მჯდომი, ღარიბულად ჩაცმული მრავალრიცხოვანი თანმხლები პირების სახით უნდა ენახათ. მართლია, თურქებს დალევა ეკრძალებოდათ, მაგრამ მათთვის ისეთი ღვინო უნდა შეეთავაზებინათ, რომლის დალევა არ შეიძლებოდა. ასეთ ხერხს იყენებდა დადიანი თურქებთან ურთიერთობისას. ეს ხმა კონსტანტინოპოლამდე აღწევდა და დიდ ბატონს (სულთანს – მ.პ.) აზრად არ უნდა მოსვლოდა სამეგრელოს დაპყრობა" (იხ. Lamberti A., დასახ. ნაშრ., გვ. 27-29).

* რედ. შენიშვნა: იგულისხმება იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660).

[49] APF, Georgia, Castelli. იმერეთის მეფე კრ. კასტელიმ აღუთქვა, რომ მის სამეფოში დაისვენებდა (იხ: Licini P.A., დასახ. ნაშრ., გვ. 83).

ემსახურო, რომელიც სარწმუნოებისათვის (კათოლიკობისათვის – მ.პ.) ძალიან ბევრს აკეთებს". ვიცოდი რა, ამას მეტყოდა, ვუთხარი, რომ რჩევა კარგია, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი ქვეყნის მდგომარეობასა და მტრის სიმრავლეს, როგორც სამეგრელოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და სხვა.

სამეგრელოდან წამოსვლის შემდეგ გავიგე, რომ ლევან დადიანმა იმერეთის მეფე ალექსანდრესთან ფიცი დადო სამუდამო ზავის შესახებ[50] და თავისი ქალიშვილი ზელიმხანი ცოლად მიათხოვა უფლისწულ ბაგრატს, იმერეთის მეფის ერთ-ერთ შვილს, რომელსაც ჩვენებმა (მისიონერებმა – მ.პ.) დასწერეს ჯვარი. ეს დაადასტურა ერთ-ერთმა სომეხმა, რომელიც იმ მხარიდან (დასავლეთ საქართველოს გავლით – მ.პ.) ჩამოვიდა. ეს უკანასკნელი ამჟამად პალერმოშია. ის მუშკის ყიდის მეორე, სომხეთიდან ჩამოსულ პეტროსთან ერთად.

ზოგჯერ ლევან დადიანთან მისი სარწმუნოების, სქიზმატიკოსების საწინააღმდეგო სიტყვებიც მითქვამს. მისთვის ასეთი რამის თქმას სხვა ვერავინ გაბედავდა და, რადგან თავისუფლებით ვსარგებლობდი, უშიშრად ვლაპარაკობდი პატრიარქებთან, მთავარებთან და მეფეებთან. ისინი ხალისით მისმენდნენ და სიყვარულით მეკიდებოდნენ მაშინაც კი, თუ მე მათი აზრის საწინააღმდეგოს ვიტყოდი.

---

[50] ეს ახალი ამბავი, რომელმაც მამა კასტელის ყურამდე მიაღწია, არ იყო ზუსტი, სინამდვილეში, ლევან II დადიანმა ალყა შემოარტყა ქუთაისს, იმერეთის სამეფოს დედაქალაქს, 1645 წელს, მაგრამ თურქებმა, რომლთაც აწუხებდათ ლევანის ხელსაყრელი კავშირები სპარსეთთან, სამცხის ფაშა გაგზავნეს იმერეთის მეფის ალექსანდრეს, დასახმარებლად და ამით აიძულეს ლევანი ალყა მოეხსნა ქუთაისისათვის. თავის მხრივ, იმერეთისა და თურქეთის ლაშქარმა პორტას დიდვაზირის შვილის, მეჰმედ ფაშას, მეთაურობით სამეგრელო გაანადგურეს. ლევანმა, შვილის სიკვდილის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა, თავი მოიკლა შვილის საფლავზე (1657 წ.) მას შემდეგ, რაც დამპყრობლებს ჩაბარდა.

მონოდების, მოციქულებრივი სამსახურისა და ჩვენი უფლის დაცვის შესახებ[51]

მე აღვწერე ჩემი 25-წლიანი მოგზაურობა, როცა მე ულირსი მისიონერად ვიყავი აღმოსავლეთში და ყველაფერი გულმოდგინედ გადამქონდა ქაღალდზე[52]. წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ბრძანებით, პორტრეტებთან ერთად ვინიშნავდი ამ მხარის შედარებით უფრო ღირსეული მთავრებისა და მეფეების, რომელთაც ვემსახურებოდი ექიმის ამპლუაში, სახელებს, გვარებს, მათი მამის, დედის დაბადების წლების ჩვენებით.

ქართველები ჩვენი ხალხისაგან (იტალიელებისაგან – მ.პ.) დიდად განსხვავდებიან. ამდენად, ეს არის აღწერითი ისტორია. რომსა და პალერმოს შორის გემის კატასტროფის დროს სხვა საგნებთან ერთად[53] ყველა ნაშრომის დაკარგვამ სულისკვეთება წამართვა, რადგან უკვე გაწამებული და ავადმყოფი მოხუცი ვიყავი, უფრო მკვდარი, ვიდრე ცოცხალი. იმ მცირე ძალებით, რაც შემომრჩა, აღვადგინე რამდენიმე ის საგანი, რომელიც უკეთესად მახსოვდა. ყველაფერში ჩემს მოვალეობას ვემორჩილებოდი.

დროთა განმავლობაში, თუ ღმერთი ინებებს, სიცოცხლე გამიხანგრძლივოს, უფლის სადიდებლად, ყველაფერ ამას წესრიგში მოვიყვან, რადგან ვხედავ, რამდენი მოთმინება გამოიჩინა ღმერთმა წლების განმავლობაში ჩემს დასახმარებლად[54] და რამდენი რამ გააკეთა მან ჩემისთანა მოკვდავისათვის. უფალმა, მხურვალე სურვილის წყალობით, ხელი შემიწყო წარმატებაში, მისი სიყვარულისთვის სიცოცხლე მომნიჭა და მის ანაბარა დავრჩი, როცა დედაჩემის სახლიდან წავედი[55].

---

[51] ფურცლის ველზე არის მამა კასტელის ანოტაცია, თუ ვისთვისაა განკუთვნილი მისი თხზულება: „ეს ამბავი ისტორიის საწყისებს უბრუნდება, რათა ვუჩვენო, თუ როგორ იცავდა უფალი იმ მისიონერებს, რომლებიც მან აირჩია“.

[52] წმ. კონგრეგაციისადმი ექიმისა და მხატვრის თხოვნაზე (იხ: APF, SOCG, vol. 115 (1630 წ.), 349-410 r).

[53] ასევე მისიონიდან კასტელის ამბანაი ჯაკომო დი სტეფანო (იხ. Castelli. add. pp. 172-1873).

[54] APF. Georgia, Castelli.

[55] Cottone G. M., De Scriptoribus venerabilis Domus Divi Josephi Clericorum Regolarum urbis Panormi, Palermo, 1733, გვ. 93.

გენუიდან ნეაპოლში ჩავედი თუ არა, იქ ჩემთან ერთად მომავალი თანამგზავრები დავტოვე. უფლის ნებით, მისმა ვიკარიუსმა, პაპმა ურბანმა, მიმიღო და მისიონერად ამირჩია. მე მიმიწვიეს [საქართველოს] პატრიარქმა და თეიმურაზ მეფემ. [მათ] პაპს ერთდროულად სთხოვეს ექიმი და მხატვარი[56] და ამდენად, გამაგზავნეს დიდ საქმეზე, სადაც უნდა მექადაგა წმ. სახარება ერეტიკოსებს, სქიზმატიკოსებსა და ურწმუნოებს შორის[57].

ჩავედი რა საქართველოში, კერძოდ, ქართლის სამეფოში, ეპისკოპოსის დახმარებით გურიაში წამიყვანეს, სადაც უნდა მომენათლა რამდენიმე პირი[58]. შემდეგ გურიის მთავარმა, რომელიც იმავდროულად საქართველოს (დასავლეთ საქართველოს – მ.პ.) პატრიარქი იყო, მთხოვა მისთვის კათოლიკური სარწმუნოების არსი ამეხსნა. ჩვენ მასთან მრავალი ადამიანი მოვნათლეთ, რომელთა

---

[56] პირველი თეატინელები გორში ჩაუიდნენ 1628 წლის 14 დეკემბერს (იხ: AGT, lettere dei Missionarai in Greorgia, n. 96)

[57] სჭოლიოში კასტელი დასძენს: „ჯარისკაცების ხარკისაგან ხის ტივის მეშვეობით გავთავისუფლდი. ამის შესახებ სათანადო ადგილას მოვყვები". XVII ს-ის შუა რიცხვებიდან XVII ს-ის ბოლომდე საქართველო კათოლიკე მისიონერებით სავსე იყო. ამ მხარეში XVI ს-ში მოკლე ხნით იმოგზაურეს მხოლოდ სომეხმა მორჩილმა ძმებმა. XVII ს-ის დასაწყისში ორმა ქართველმა უფლისწულმა, მანუჩარმა და ალექსანდრემ, ითხოვეს სულიერი დახმარება და ექიმის გამოგზავნა, რასაც პორტუგალიელი მისიონერი სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ აღნიშნავს. ეს მეორე სურვილი აღასრულა მამა კასტელიმ. იმ ვითარების შესახებ, თუ რამ გამოიწვია მისიონერების გაგზავნა საქართველოში (იხ: M. Tamarati, A., დასახ. ნაშრ., გვ. 494-507).

[58] მამა კასტელი და ანტონიო ჯარდინა გურიაში 1634 წლის ოქტომბერში გაგზავნეს (Clemente Galano, Concilacionis Ecclesiae Armenae Cum Romania... Pars Prima, Romae, 1690, გვ. 165). საქართველოში მიმავალ თეატინელ მისიონერებს განსაზღვრული წესები უნდა დაეცვათ. ხომალდში სხდებოდნენ მესინაში. ამ ქალაქში ამ საქმეს განაგებდა წმ. კონგრეგაციის პასუხისმგებელი პიროვნება ჯუსტინიანო კასანო. შემდეგ ისინი მიდიოდნენ კონსტანტინოპოლის, შავი ზღვისა და კაფას გავლით, საიდანაც მათ მამა ჯუდიჩესთვის შეეძლოთ მიეწერათ, რომ ისინი იმყოფებოდნენ ექვსი დღის სავალზე მთავარ დადიანის სამფლობელოდან. კონსტანტინოპოლში თეატინელებისათვის სანდო პიროვნება ვენეციის წარმომადგენელი იყო. მისთვის უნდა ჩაებარებინათ ფული და თანხის ნაწილი საქართველოში უნდა წაეღოთ (იხ: AGT, Georgia: Missioni, 664).

სხვა ინსტრუქციები საქართველოში მოღვაწე თეატინელი მამებისადმი მითითებული იყო მამა მატეო სანტომანგოს მიერ მამა ჯარდინასადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში (AGT, Georgia, Pietro Giardina C.R., Roma, 25 agosto 1635). დოკუმენტი,რომელიც წმ. კონგრეგაციის დეკრეტს ეხება, საქართველოსათვის ფულის შეგროვების რეკომენდაციას იძლეოდა, რომელიც მამა ფრანჩესკო პისტოიასათვის უნდა მიეცათ. შეგროვილი თანხა შემდეგ უნდა გაეგზავნათ გალათში.

შორის ქირინდუმ კოჯიევიჩი[59] იყო. ეს განდგომილი, ჩვენი ლოცვა-კურთხევითა[60] და გურიის პატრიარქ-მთავრის რჩევით, ქრისტიანულ სარწმუნოებას დაუბრუნდა. მე დამევალა კოლხეთში (სამეგრელოში, ანუ ოდიშში) სხვების მონათვლაც. ამ დროს სამეგრელოს მთავარმა დესპანი გამომიგზავნა. მას ერქვა მამუკაშვილი. მის შესახებ უფრო გასაგებად სხვა ადგილას დავწერ[61].

ამ სამთავროში (გურიის სამთავროში – მ.პ.) რვა წელი გავატარე.

ჩვენი წმინდა კათოლიკური სარწმუნოება სასწაულების მოხდენის საჯარო ჩვენებას არ მიმართავს. მისთვის ჭეშმარიტების დასადასტურებლად საკმარისია წმინდა წერილები და ის საბუთები, რომლებითაც თეოლოგია სარგებლობს. ყოველ შემთხვევაში, უფალი ხსნისათვის მისი მოქმედების დასამოწმებლად ზებუნებრივ სასწაულებს აჩვენებს. ქრისტიანობის პირველ წლებში, როცა გაუნათლებელი ხალხი პრიმიტიული ეკლესიისადმი იყო მიდრეკილი, მოხდა რამდენიმე სასწაული, რამაც მორწმუნეთა გულისყური მიიპყრო და სულში ჩასწვდათ წმ. ნათლობით. ეს მდგომარეობდა შემდეგში: მკვდრეთით აღდგომის პასექის დღეს, როდესაც მორწმუნეები წმ. აკლდამის ადგილზე შეგროვდნენ, რათა ღირსეულად ედღესასწაულათ მონანიების ეს ღვთიური დღე, ციდან ცეცხლი დაეშვა და ჩამქრალი სანთლები აანთო, რომელიც იმ ტაძარში-იდგა. ამან იქ დამსწრე ქრისტიანების გული აღანთო.

ახლა აღმოსავლელი ბერძნები, სომხები, აბისინიელები, ქართველები და სხვები ამ სასწაულით სარგებლობენ და სურთ, აჩვენონ, რომ მათი ქრისტიანული სარწმუნოება ჭეშმარიტია, ხოლო ის, რასაც ლათინები და რომის პაპი ქადაგებენ – სიცრუეა. ჩვენების (კათოლიკე მისიონერების – მ.პ.) არგუმენტებზე ფრთხილი

---

[59] აქ იგულისხმება ფერინდონ კოჯევინი. იტალიელი ექიმი, რომელმაც მამადიანობა მიიღო, რათა თურქების საპყრობილედან გათავისუფლებულიყო. გურიის მთავარ-კათოლიკოს მალაქიას კარგმა დამოკიდებულებამ თეატინელი მისიონერებისადმი, ფერინდონსა და ბერძნებში შური გაიღვიძა. მამა კასტელის მეცადინეობით ფერინდონი ქრისტიანად მოინათლა და თეატინელი მისიონერების ყველაზე ახლო თანამშრომელი გახდა.

[60] APF. Georgia. Castelli.

[61] იქვე. გვ. 104-106.

კამათისას, მათ მოაქვთ მოსაზრება, რომ ლათინთა აღდგომის დღეს ციდან არავითარი ცეცხლი არ ეშვება ლათინთა ეკლესიაში, ხოლო მათი საღვთო აკლდამა ამას ყოველი წელი ხედავდა.

ისინი ამბობენ: ლათინთა ეკლესიაში ციდან არ ეშვება ცეცხლი და ეს სიმართლეა[62]. გურიის მთავარ-პატრიარქთან ყოფნის დროს ხშირად მესმოდა, რომ ლათინები, ვფლობთ რა გამჭრიახ გონებას, უფრო სწავლულები ვართ, ვიდრე ისინი და ჩვენი დიალექტიკის მეშვეობით, შავს თეთრად ვასაღებთ, ხოლო თეთრს – შავად. ამიტომ საკმარისია ბერძნული კათოლიკური სარწმუნოება, რადგან ყოველი აღდგომის დღეს დიდ კმაყოფლებას განიცდიან. ამას კი ადასტურებს საღვთო ცეცხლის ციდან დაშვება მათ ეკლესიაზე.

ამის შესახებ მათ ვუპასუხე, რომ ეს არ შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს გარკვეულ დონემდე, როგორც ბარონიუსი[63] აღნიშნავს, ეს ცეცხლი ციდან ეშვებოდა, მაგრამ ღვთაებრივი სამსჯავროს შემდეგ'ის უკვე აღარ ჩნდებოდა. ისევე როგორც სხვა სასწაულები, რომლებიც ღმერთმა თავისი ეკლესიის შექმნის დროს წარმოშვა, ბერძნული ეკლესიის რომის მოციქულებრივი ეკლესიიდან გამოყოფის შემდეგ, რამდენადაც ეს ქვეყნები თურქების ხელში აღმოჩნდნენ, ზემოხსენებული ცეცხლი უკვე აღარ გამოჩენილა. ამასთან დაკავშირებით მათი (მართლამდიდებლების – მ.პ.) შეცდომა შემდეგში დგომარეობს: ქრისტიანი-რენეგატების რჩევით, თურქებმა შორეულ ქვეყნებთან მეტოქეობისათვის (იგულისხმება დასავლეთის კათოლიკე ქვეყნებთან – მ.პ.) ამ ცეცხლის მნიშვნელობა კარგად გამოიყენეს. აღმოსავლელმა ქრისტიანებმა ცეცხლი იხილეს არა ჩვენი აღდგომის დღეს, რაშიც არ ვცდები, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანთა აღდგომის დღეს, როდესაც თურქეთის ფაშამ, გუბერნატორმა თუ ვიცე-მეფემ იერუსალიმში ხალხით სავსე საღვთო აკლდამაზე ვერაგულად სანთლები დააწყო. ეკლესია სავსე იყო აღმოსავლელი ქრისტიანებით, კერძოდ, სქიზმატიკოსებით, სომხებით, მეგრელებით, ქართლელებით და სხვ. შემდეგ ყველა გავიდა ეკლესი-

[62] Castelli. add.
[63] Baronio C., Annales Ecclesiastici, Roma. 1588-1643. T. III, გვ. 349.

იდან. ფაშამ კარები დაკეტა და იგი ეკლესიის ბეჭდით დალუქა. ამ დროს ეკლესიის შიგნით ერთი მსახური დატოვა, რომელსაც წმ. საფლავზე უნდა აენთო ყველა სანთელი, რის შემდეგ უნდა დამალულიყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ქრისტიანები ეკლესიის გარშემო იდგნენ და ზეციდან ამ ცეცხლს ითხოვდნენ. როდესაც ფაშა დარწმუნდა, რომ სანთლები უკვე ანთებული იქ-ნებოდა, მან ბეჭედი ახსნა, კარები გააღო და ყველა ქრისტიანი ეკლესიაში შევიდა. დაინახეს რა ანთებული სანთლები, ყველამ მორთო ყვირილი „კირეელეისონ, კირეელეისონ, კირეელეისონ!" და დარწმუნდნენ თავიანთ შეუმცდარობაში. ამ ყალბი ცეცხლიდან ყველამ თავისი სანთელი აანთო და დიდი ცერემონიალით შემოერტყნენ ეკლესიას; ქება-დიდებას ასხამდნენ უფალს, რომ მან ამ სასწაულით მათში რწმენა განამტკიცა. ამ წინასწარ გამიზნულ მოქმედებას ეფუძნება მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანული სარწმუნოება.

ამას მე საკუთარი თვალით ვაცხადებდი 1649 წელს, აღდგომის დღესას-წაულის დღეს და ამით პატრიარქი (მაქსიმე მაჭუტაძე – მ.პ.) საშიშროების წინაშე დგებოდა. საქმე შემდეგში იყო: პატრიარქი სამეგრელოში ჩვენი სახლიდან არცთუ ისე შორს, სულ ათ მილზე, მდებარე სოფელ არახეაში ჩამოვიდა, რათა იქ აღდგომა ედღესასწაულა. როცა ასეთი პიროვნება ჩამოდიოდა, მას ყველა ახლობელი ნახულობდა და მასთან ძღვენი და საჩუქრები მიჰქონდა, რათა ლოცვა-კურთხევა მიეღო[64].

დღესასწაულზე მეც მიმიპატიჟეს,მაგრამ ავადმყოფობის გამო ჩემთვის მეტად ძნელი იყო როგორც ფეხით, ისე ცხენით გზას გავდგომოდი. გადავწყვიტე არ წავსულიყავი, რადგან ვიმედოვნებდი, რომ პატრიარქი ჩემგან დიდად ნაწყენი არ დარჩებოდა, რადგან ძალიან ვუყვარდი და დიდ პატივს მცემდა. მიუხედავად

[64] ქართველების რელიგიური რწმენის შესახებ წერს არქაკელი ლამბერტი (იხ: Lamberti A., დასახ. ნაშრ.) მასზე საუბარია ა. პალმიერის ნაშრომში (Palmieri A., La Chiesa Georgiana e le sue Origini. in "Bessarione", 2°Serie. VI. O.S.A., 1904). აგიოგრაფიული წყაროების მიხედვით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას აანალიზებს ჰ. პეეტერსი (Peeters P., Les débuts du Cristianisme en Géorgie d'apres lessources hagiographiques, in "Analecta Bollandana" L, 1932, pp. 5-56). მ. თამარაშვილის შრომებში კი მოცემულია მთელი ეს ისტორია (იხ: M. Tamarati, დასახ. ნაშრ.).

მიპატიჟებისა[65], მან ორჯერ გამომიგზავნა თავისი მღვდლები, რათა ეცნობებინათ, რომ ჩემი ნახვა სურდა, პატრიარქმა იკითხა, მასთან მივდიოდი თუ არა. მოვერთე, შევჯექი ცხენზე და თან მამა დონ ჯაკომო ანტონიო მარცი კრემონიდან[66] წავიყვანე. როდესაც მის წინაშე წარვდექი, კეთილგანწყობით მომიკითხა და სავარძელში ჩამსვა. ამასთანავე, მაგრძნობინა, რომ ვუყვარდი და ბევრი რამ გააკეთა ჩემთვის, მაგრამ მაშინ, როდესაც ყველა მის სანახავად მოდიოდა, მე არათავაზიანობა გამოვიჩინე და მისი ნახვა არ ვისურვე.

ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი: ამ ქვეყანაში ამდენი წლის ტანჯვის შემდეგ მძიმედ ვარ ავად და ამის გამო მაპატიოს არმოსვლა, რადგან ძალზე მიმძიმს ავადმყოფი სხეულის ტარება.

პატრიარქმა ჩემდამი თანაგრძნობა გამოხატა და ღიმილით მითხრა: განა მე არ ვთხოვდი მას ტყეში წასვლის თანხმობას, რათა სამუშაო და ტანჯვა მეპოვა? ეს ჩემი განზრახვა იყო და გავაკეთე.

წმინდა სულის რწმენის შესახებ სიტყვა წარმოთქვა ბერძენთა პატრიარქის ერთმა მოძღვარმა[67], რომელსაც პაპა ისააკს ეძახდნენ. მათი აზრის მიხედვით, მან დაამტკიცა, რომ [მართლმადიდებლები] არა მარტო წერილების, არამედ ლათინ და ბერძენ წმ. მამებსა და საეკლესიო კრებების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც ყველა დაეთანხმა, მისდევდნენ ათანოსის, კირილოს, კრისტოსტომის, გრეგორიოს და სხვებს.

ჩემი აღელვება იმან გამოიწვია, რომ თითქოს რომის პაპმა პირველი ადგილი უკანონოდ მიითვისა და ლათინები, გარდა რომის პაპის ხელისუფლებისა, უარყოფდნენ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქების უფლებებს, რომ ლათინები არ აღიარებენ ბერძნების ისეთივე ხელისუფლებას, რომელიც ქრისტემ წმ. პეტრეს დაუტოვა. ამაზე კი ბერძნებმა უარი თქვეს. რამდენადაც ამ პატრიარქებმა (აღმოსავ-

[65] APF. Georgia. Castelli.

[66] APF. Georgia. Castelli.

[67] ბერძენ ისააკს ხანგრძლივი დიალოგები ჰქონდა თეოლოგიურ არგუმენტებზე გურიაში მყოფ თეატინელ მისიონერებთან (იხ: Licini P. A., დასახ. ნაშრ., გვ. 118)

ლეთის პატრიარქებმა – მ.პ.) შეცვალეს წმ. პეტრე, როგორც რომის პაპი, არ მისდევს მას. წმ. პეტრემ სიკვდილის შემდეგ თავის ადგილზე დატოვა სან ლინო* პაპა. ეს პაპი უშუალოდ მოსდევს პეტრეს. ამრიგად, ქრისტეს რომ ეკლესიის გასაღები მიეცა არა წმ. პეტრესათვის, ხოლო ეკლესიის უფროსის ხელისუფლება პეტრეს არაჭეშმარიტი მიმდევრებისათვის, მაშინ ასეთი სიძნელეები არ წარმოიშობოდა. ეს კი იმასთანა დაკავშირებული, რომ პირველ ხანებში რომის პაპი არ ფლობდა ხელისუფლებას. მას ისეთი უფლებამოსილნი ფლობდნენ, რომელთაც არ შეეძლოთ უკვე წმ. ეკლესიის მისტიკური გაერთიანების მეთაურები ყოფილიყვნენ[68].

როგორც წმ. პეტრე სხვა მოციქულზე მაღლა იდგა, ასევე რომის პაპი სხვა პატრიარქებზე მაღლა დგას. დაობდნენ, როგორც სხვები, პაპიც ეპისკოპოსია და მის შესახებ ბევრ კარგს არ ამბობდნენ. მათ ვუპასუხე: ასეთმა შინაგანმა სიძულვილმა, რომელიც აქვთ ბერძნებს მისი უწმინდესობის მიმართ, ხელი შეუწყო მათ (ბერძნების – მ.პ.) დაღუპვას. როცა გაერთიანებულნი იყვნენ (იგულისხმება სქიზმამდელი გაერთიანება – მ.პ.), ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როგორც კი აჯანყდნენ, წმ. ეკლესიის ნავსაყუდელი გაიყო. ისინი (ბერძნები – მ.პ.), როგორც მწვანე ხიდან მოჭრილი ტოტი, გახმნენ, ჩამორჩნენ და ყოველგვარი სიახლე დაკარგეს. მათ კითხვა დავუსვი და ვუთხარი: სად არის ბერძნების იმპერია და სიბრძნე? სად არიან წმინდანები? იმ პერიოდში, როცა გაერთიანებულნი იყვნენ და ამ ორი ეკლესიიდან ერთ-ერთს რომი პაპი წმ. პეტრეს ვიკარიუსი მეთაურობდა, მაშინ ხომ იყვნენ აყვავებულნი? მათ (ბერძნებმა – მ.პ.) წააგეს და პატრიარქიანად თურქების, ქრისტიანების მტრების, მონები გახდნენ.

---

* რედ. შენიშვნა: პაპი ლინო (67?-76?). მის შესახებ მონაცემები არ არსებობს.

[68] იმ კონცეფციის სინთეზს ახდენდა, თუ რას ღებულობდნენ ქართველი მღვდლები პაპის ხელისუფლებისაგან. თეატინელი ჯუზეპე. მ. ძამპი ყურადღებას აქცევდა ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას და ამ საკითხზე დაწვრილებით ცნობებს აგროვებდა (იხ: APF, SC, Georgia: I. 145 r-156v). საინტერესოა ჯ. ძამპის მიერ გაკეთებული ანალიზი ქართული წეს-ჩვეულების შესახებ, რომელიც ჟ. შარდენმა გამოქვეყნა (Chardin G. Voyage du Chevalier Chardin en Perse etautres lieux de l'Orient. Paris. 1811. გვ. 136-325).

ის (კონსტანტინოპოლის პატრიარქი – მ.პ.) მტრის, ქრისტეს მოწინააღმდეგის[69] (ოსმალეთის სულთნის – მ.პ.) მიერაა არჩეული. ამ დიდმა ბატონმა (ოსმალეთის სულთანმა – მ.პ.) ამჯობინა[70] ბერძნების პატრიარქი და ურწმუნოთა მონები გახდნენ.

გურიის პატრიარქი (დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე I – მ.პ.) ამ საუბარს უხალისოდ უსმენდა და მათი (ბერძნების – მ.პ.) საწინააღმდეგო სიტყვაც თქვა, ხოლო მე კი მისთვის საწყენს ვამბობდი და ეს არ მოეწონა. ჩემთვის პატრიარქს არ შეეძლო ეპასუხა, რადგან ხედავდა, რომ სიმართლე ვთქვი. ეს კი მას შიგ გულში ხვდებოდა. ბოლოს, რომ დამშვიდებულიყო, მითხრა: თქვენ არ იცით დიალექტიკა. სარწმუნოების დასადასტურებლად აღდგომის დღეს კონსტანტინოპოლში ზეციდან დაეშვა ღვთიური ცეცხლი, ხოლო თქვენ (იგულისხმებიან კათოლიკეები – მ.პ.) ქრისტიანები ხართ, მაგრამ ზეციდან დაშვებული ღვთიური ცეცხლის გარეშე. პატრიარქს ვუპასუხე: ჩვენ არ გვჭირდება ყალბი ცეცხლი და, თუ ჩვენები ამას იერუსალიმში მოისურვებენ, უფრო ნაკლები ფულით, ვიდრე ისინი, ამას ადვილად მიაღწევდნენ.

რამდენადაც ჩვენები (კათოლიკეები – მ.პ.) მხოლოდ ჭეშმარიტებას ქადაგებენ, ისინი არ მიმართავენ სიყალბეს და არავის ატყუებენ, რადგან იქ, სადაც სიყალბეა, იდეა არ არის, ხოლო ეს ცეცხლი ყალბია, ხელოვნურია. ამას მხარს თურქები უჭერენ, რადგან იმ მრავალი ათასი ქრისტიანისაგან, რომლებიც ამ ცეცხლის დასანახავად იერუსალიმში ჩადიან, დიდი შემოსავალი მიიღო. იერუსალიმში მთელი არმოსავლეთის ქრისტიანები, სქიმზმატიკოსები, აბისინიელები, ქართველები, სომხები, მეგრელები, ბერძნები და სხვები იყრიდნენ თავს. იმ პერიოდში თურქებისათვის ეს არცთუ ისე მცირე შემოსავალს წარმოადგენდა.

იერუსალიმში ნამყოფი ერთ-ერთი ჩვენიანის ცნობიდან პატრიარქს მოვუყევი, თუ ფაშა როგორ აღწევს ამ ცეცხლის მიღებას და დოყლაპიები როგორ იტყუებენ თავს. საკუთარ თავზე ავიღე

[69] APF, Georgia, Castelli.
[70] იქვე.

ვალდებულება, რომ პატრიარქთან ან იმ პირებთან ერთად, რომლებსაც ის ენდობა, გავემგზავრო იერუსალიმში, რათა ჩემი ხელით შევეხო ამ ცეცხლს და დავადასტურო ის სიყალბე, რომელმაც მთელი აღმოსავლეთი დააბრმავა. გაოცებული დავრჩი, როცა პატრიარქი, ეს დიდი გონების ადამიანი, გაემგზავრა იერუსალიმში, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რათა ენახა ის ცეცხლი, როდესაც მივიდა და დაინახა კარები დაკეტილი იყო, თურქებს არ უთხრა, რომ კარი ღია დაეტოვებინათ. ამით ის კარგად დაინახავდა, ეს ცეცხლი ზეციდან ეშვება თუ არა. სხვა მხრივ, რომ ჩვენი სარწმუნოება ნათესაურ ურთიერთობაშია თურქებთან! მაშინ თურქების ფაშამ წამოიძახა: „პატრიარქო, როგორ ვთქვათ, რომ ცეცხლი არ მოდის ზეციდან?". პატრიარქს ასევე ვუთხარი: „არა, ბატონო. დრო გადის, მაგრამ ჩვენი ცოდვებისა და ურწმუნოების გამო ამჟამად ეს ღვთიური ცეცხლი არ გადმოდის. ეს თურქების ნამოქმედარია. ვინმე აბისინიელს, რომელიც წმ. საფლავიდან გამოდის და ბერძენ პატრიაქს უკან მისდევს, ჯიბეში ტალკვესი და აბედი აქვს, რათა ხელოვნურად გააჩინოს ცეცხლი, რომლის შესახებ მერე ამბობენ, რომ იგი ზეციდან დაეშვაო".

ამის გაგონებაზე პატრიარქი ფეხზე ადგა, ტანისამოსი შემოიხია, წამოყვირა და აუგად მოიხსენია ყველა ის, ვინც [ყალბი] ცეცხლი ნახა. მან ყველა ეპისკოპოსს, ბერძენსაც და ქართველსაც, პრელატებსაც, სთხოვა აღდგომის ზეიმზე დარჩენილიყვნენ. ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ. პატრიარქმა წამოიძახა: „თქვენ არ მოგისმენიათ უცხოელი პაპისაგან ასეთი ამბის უარყოფა! ლოცვა-კურთხევის ქვეყანაში ეს არავის გაუბედავს". პატარა კვერთხით ხელში ის იდგა ფეხზე და კეთილ მოხუცს შეეხო. აღშფოთებულმა ხელი ასწია, რათა ჩემთვის დაერტყა, მიბიძგა და სუფრაზე მთელი წესრიგი დაირღვა, ეპისკოპოსები ადგნენ. ყველა გაოცებული იყო[71].

მეც ავდექი ფეხზე და პატრიარქს ხმადაბლა ვუთხარი: თვითონ მან გამოგზავნა ჩემთან კაცი და დამპატიჟა, რომ მასთან ერთად აღდგომა მედღესასწაულა. მოვედი, რათა მისთვის პატივი მეცა

[71] APF, Georgia. Castelli.

და კარგად გვედლესასწაულა. აზრადაც არ მქონია, მისთვის მეწყენინებინა, რადგან კარგად იცის, რომ მისი ერთგული მსახური ვარ. წლების განმავლობაში მისგან მიღებული მოწყალებით დიდად დავალებული ვარ.

შემდეგ იძულებული გავხდი, რწმენის შესახებ მელაპარაკა. ამას ჩემი მოციქულებრივი მოვალეობა მაკისრებდა: უშიშრად მექადაგა სიმართლე, რადგან ტვირთად მაწვა ყალბი ცეცხლის გამო მათი დაბრმავება და ცრუ გადმოცემებისადმი ნდობა. პატრიარქს კვლავ შეეპასუხე: მე ცოტა რამ ვთქვი და, რადგან ერთი სიცოცხლე მაქვს, ჭეშმარიტების დადასტურება მსურს, რათა ის (პატრიარქი – მ.პ.) კმაყოფილი იყოს, რადგან მე ხომ მისი უმორჩილესი მსახური ვარ. მაგრამ სარწმუნოების საკითხში მე სიმართლე უნდა ვთქვა. რა რა არის, უნდა ვისაუბრო ჩემი მოვალეობის თანახმად და სამსჯავროზე გაცხადდება ჭეშმარიტება. გამომშვიდობებისას მას (პატრიარქს – მ.პ.) ვუთხარი: „ბატონო, თქვენ შეგიძლიათ ყველა ბრმას სინათლე დაუბრუნოთ, მეორე ცხოვრებასთან შეხვედრამდე, სადაც ჩემი სიყვარულით ნათქვამი ცხადი გახდება. გისურვებთ თქვენ და ამ ბატონებსაც ჯანმრთელობას“. ცხენი მომიყვანეს, დავჯექი და წამოვედი. ყველა გაოცებული დარჩა, რადგან მას (პატრიარქს – მ.პ.) ვესაუბრე გამომეტყველებითა და ენერგიულად. ჩემი ბუნებრივი ნაკლია ასეთი სახით საუბარი და ის, ვინც ვერ ბედავს ჩემს შეხებას, ენას კბილებს აჭერს[72].

მათ შორის ჩოჩქოლი ატყდა, თუმცა რწმენის საკითხებში ჩვენი ლათინური სიმშვიდით ტკბებოდნენ. ამ საკითხზე საუბრისას ეს დიდი გამბედაობაა და საკუთარი სიცოცხლისათვის საშიში, რადგან ბერძნები ჩემს მდგომარეობას ამძიმებდნენ. ამას ისინი (ბერძნები – მ.პ.) ჩემი და მთავრის იქ არყოფნის დროსაც განაგრძობდნენ. ამ ჩვენს მტრებს (ბერძნებს – მ.პ.) თავის ქვეყანაში მხოლოდ მთავარი აკავებდა. ჩემი ამხანაგი დონ ანტონიო მარცი დიდხანს გაოცებული იყო და ხმას არ იღებდა, თუმცა ამისი საჭიროება არ იყო[73]. ბოლოს მან (ანტონიო მარციმ – მ.პ.)

[72] APF. Georgia. Castelli.

[73] იქვე.

მითხრა: „მამა დონ კრისტოფორო, თქვენ თავს დიდი საშიშროების წინაშე აყენებთ. გაკვირვებული ვარ, იქიდან ცოცხალი როგორ გამოხვედით. ველოდი, რომ თქვენ გცემდნენ, შეგკრავდნენ და იქიდან მკვდარს გაგათრევდნენ. ცხადია, მათ დიდი მოთმინების უნარი გამოავლინეს და არ მჯერა, რომ ისინი ამას ასე დატოვებენ, რადგან თქვენ მეტისმეტად დაარღვიეთ აღდგომის საზეიმო ვითარება და მათი დღესასწაული დაანაღვლიანეთ". ჩემს კეთილ ამხანაგს ვუპასუხე, რომ მოვალეობას ვასრულებდი და თავს ბედნიერადაც ჩავთვლიდი, თუ მომკლავდნენ მაშინ, როცა ასეთ უმნიშვნელოვანეს საქმეს ვიცავდი. შევახსენე, რომ ღმერთი იცავს თავის მსახურებს და ამიტომ არ უნდა გეშინოდეს.

სახლში დაბრუნებამდე მომხდარი ამბების შესახებ ქალაქში უკვე ყველამ იცოდა. ჩემთან მოდიოდნენ და მთხოვდნენ, რომ მთავარსა და პატრიარქთან ასე თავისუფლად არ მელაპარაკა, რადგან თუ ერთხელ ცოცხალი დავრჩი, მეორედ ეს შეუძლებელი გახდებოდა და ოდესმე მომკლავდნენ. მათ ვუპასუხე, რომ ამქვეყნად ამისთვის ვცხოვრობ, რომ სიცოცხლე სარწმუნოებასა და ქრისტეს შევწირო. მომავალშიც ასე მოვიქცევი იმავე სასახლეში და მთელ ქვეყანაშიც.

ამავე დროს, მთავარმა ჩემთან კაცი გამოაგზავნა და არამეგობრული ტონით გადმომცა: პატრიარქმა თქვა, რომ მასთან ბრძოლა დავიწყე და მეტად არაკეთილგანწყობილად მოვიქეცი აღდგომის დღეს და მათი დღესასწაული ვაძაგე. მას ვუპასუხე, რომ პატრიარქთან ვიზიტად მივედი, რათა მისთვის დღესაწაული მიმელოცა. იქ სარწმუნოების საკითხზე რამდენიმე შეკითხვა მომცეს. თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ ამ კითხვებზე მეპასუხა. ჩემი მოვალეობის თანახმად, ამ ქვეყანაში ისინი დაბნეულობისაგან უნდა დამეცვა. ამ მხრივ, პატრიარქი ყალბი თქმულების გამო ცუდ მდგომარეობაში იყო და მე სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. ამისი მიზეზები უნდა ამეხსნა. ამით სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდე, რადგან შეეძლოთ ხელით შეხებოდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც მე ვაამბობდი.

მთავარმა მიპასუხა[74]: „გიფიქრიათ თუ არა, რომ ოდესმე მოგკლავენ და ეს თქვენი ჯილდო იქნება? ახლა კი თქვენ ჩემდამი პატივისცემის გამო არ მოგკლეს". მე ვუპასუხე, რომ ყველაზე ნაკლებად სიკვდილის მეშინია, როცა ჭეშმარიტებას ვიცავ; რომ ამაზე უფრო მეტ ჯილდოს არ ვისურვებდი და მას არც ვეძებდი. მთავარმა დასძინა: „მამაო, ეჭვი არ მეპარება, რომ ერთ დღეს ამას თქვენ იპოვით და სახლში ცოცხალი ვერ დაბრუნდებით. ალდგომის დღეს თქვენ ისეთი რამე გაბედეთ პატრიარქის წინაშე მრავალი პიროვნების თანდასწრებით, რომ ეს დიდი საქმეა".

მთავარმა შემდეგ თავისი ბიძაშვილის, ქალბატონი ელენე ლიპარტიანის, სამკურნალოდ გამაგზავნა. ის სიკვდილის მოლოდინში იყო კავკასიის მთებში[75], გავემგზავრე მასთან და რამდენიმე დღე ვმკურნალობდი. ამ ქალბატონის სანახავად ჩემი იქ ყოფნის დროს პატრიარქი ჩამოვიდა. მან ქალბატონის გვერდით მიხილა და მკითხა: რაში მდგომარეობდა მისი ავადმყოფობა? ამის შესახებ ყველაფერი მოვახსენე და შევრიგდით. ამის შემდეგ პატრიარქმა მასთან სადილად დამპატიჟა და დიდი პატივი მომაგო. შემდგომში სამეგრელოში ჩამოვიდა და დიდ მფარველობას მიწევდა. ოდიშში ყოფნის დროს ჩემთან არ მოსულა, მაგრამ როცა ავად გახდა, მიმიწვია და მთხოვა; მის ლოგინთან ვმჯდარიყავი. ყოველთვის, სუფრაზეც და ნებისმიერ სხვა ადგილას, მის გვერდით ვყოფილიყავი[76]. პატრიარქი საოცარი მოწიწებით მიწოდებდა თავის მამას და დამპირდა, რომ იერუსალიმში ჩემთან ერთად წავიდოდა იმ ცეცხლის სანახავად[77], რომელიც დაკეტილი კარის მიღმა ენთებოდა და რამაც დააფიქრა. იტალიაში რომ არ წავსულიყავი, ის ამას გააკეთებდა.

---

[74] კასპელი სკოლიოში დასძენს: „დამეთანხმა, რომ სახარების მიხედვით ელაპარაკობ, რომ ჩვენ არ [illegible]ეშინია იმის, ვისაც მსოლოდ მგლის მოკვლა შეუძლია, არამედ იმისა, ვინც ამის შემდეგ თავს დააღწევს სასჯელს და სამოთხეში მოხვდება".

[75] ეს ქალბატონი მამის მხრიდან ლევან დადიანის ბიძას გიორგი ლიპარტიანის ქალიშვილი იყო. მთავრის სრულწლოვანებამდე გიორგი ბრძანებლად მართავდა სამთავროს (იხ. Lamberti A., დასახ. ნაშრ., გვ. 116).

[76] APF, Georgia. Castelli.

[77] იქვე.

პატრიარქი იტალიაში ჩემი დაბრუნების წინააღმდეგი იყო. ამიტომ სამეგრელოს მთავარს ეუბნებოდა, რომ ამისი ნებართვა ჩემთვის არ მოეცა. პატრიარქი მთავარს არწმუნებდა, რომ ჩემი წასვლა მათთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა, ხოლო მისიონი იმ გავლენას დაკარგავდა, რომელიც მას ამ ქვეყანასა და ხალხში მოეუხვეჭე.

ამ კათალიკოსის თხოვნით, კოლხთა მეფემ (ლევან II დადიანი – მ.პ.) ერთი წელი დამაყოვნა. კენარასკამ, რომელიც ამ მთავარს ძალიან უყვარდა, მას ჩემი წასვლის ნებართვა გამოსთხოვა. ამ პატრიარქთან სიახლოვე სამეგრელოს გარეთაც მდგომარეობას მიმსუბუქებდა[78]. როცა იტალიაში წამოვედი, პატრიარქი იერუსალიმში გაემგზავრა და ამ წმინდა ადგილას მალე გარდაიცვალა. ის ნიკრისის ქარით იყო დაავადებული. მოხუცი ამ ავადმყოფობამ მოკლა. (პატრიარქს კათალიკოსსაც ეუწოდებდი[79]).

მოეწონა, რომ გავანათლე იგი (პატრიარქი – მ.პ.) და გავაგებინე ის, რასაც ვწინასწარმეტყველებდი. იოლად დავარწმუნე ის, რადგან მეტად კეთილშობილი ადამიანი იყო. პატრიარქს სურდა, რომ უფალს გაენათლებინა და ჭეშმარიტება გაეგო[80]. მრავალი წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გამიკეთა. ასე რომ, დე, უფალმა მის სულს მშვიდობა მისცეს.

პატრიარქი[81] ზოგჯერ ამბობდა, რომ ლათინები ბერძნებისაგან განსხვავებულად ქადაგებენ, ხოლო რიტუალს, რომელიც ბერძნებმა ათასი სიყალბით დახლართეს, თავს ვერ აღწევენ, რადგან ირგვლივ იზოლირებულნი არიან.

---

[78] APF. Georgia. Castelli.
[79] იქვე.
[80] იქვე.
[81] იქვე.

განდგომილ ფირიდონ ნიკოლოსთან საუბრის შესახებ[82]

ნიკოლოდ წოდებული ფირიდონ (ფრიდონი? – მ.პ.) კოჯიევიჩი თავის სარწმუნოებას, ქრისტეს წმინდა სარწმუნოებას, დაუბრუნდა და ამით ჩვენს მამებს[83] დიდი ძღვენი მოართვა. ომის დროს ის თურქებმა მას შემდეგ შეიპყრეს, როცა ბარძაყში დაიჭრა. ამის გამო ის დაკოჭლდა. ფირიდონი კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს, სადაც მან უარი თქვა ჩვენი მხსნელის, ქრისტეს, სარწმუნოებაზე და გამაჰმადიანდა. მან ხელი მიჰყო მედიცინას. ამ დარგში ვინმე გარანტინო ჰებრეის ხელმძღვანელობით ცნობილი ადამიანი გახდა.

ერთხელ გურიის მთავარმა ექიმის მოსაყვანად თურქეთში კაცი გაგზავნა. ფირიდონმა მას სამსახური შესთავაზა და ამ სამეფოში, სადაც მე ვიყავი, ჩამოვიდა. თავიდან ის წინააღმდეგობას გვიწევდა. მოისმინა რა ჩვენი მსჯელობა ქრისტეს ჯვრის სიდიადეზე, ანუ როგორ ახსნა უფალმა ყველა სასწაული, როცა ჩვენდამი სიყვარულის გამო იტანჯებოდა და სულის გამოხსნისათვის მომავალშიც დაიტანჯება, რათა სული ეშმაკისაგან განთავისუფლდეს, მან აღიარა, რომ ქრისტე ნამდვილად ღმერთის შვილი იყო და ამ უზარმაზარი სამყაროს შემქმნელი. ფირიდონს ვუჩვენე, რომ ყველაფერს ჯვრის ბეჭედი აზის. ის მაშინვე მიწაზე დაემხო, ჩემ წინ დაიჩოქა და მითხრა: მამაო, ამ დოქტრინამ ქრისტეს ჯვრის სიდიადე მაჩვენა და შეუძლებელია, ის არ აღიარო ღმერთად. თუ მას თურქებს შორის იქადაგებ, ვერ მონახავ ისეთს, რომელიც მას არ აღიარებს. ჯვარზე ცხადი არის ღმერთი. გამოხატა რა თავისი ტკივილი, ქრისტეს შეურაცხყოფა და წმინდა ღმერთის ღალატი, მოინანია. პირობა დადო, რომ ამიერიდან ჭეშმარიტი ქრისტიანი იქნება, რწმენას არ უღალატებს და მთლიანად დამოკიდებული იქნება ჩვენს სულიერ მამაზე. თქვენი უწმინდესობა

[82] APF. Georgia. Castelli.

[83] სამწუხაროდ, დოკუმენტი დღემდე ნაპოვნი არაა. ნიკოლო კოჯიევიჩთან საუბრის ეპიზოდი მოცემული აქვს ბ. ფეროს (იხ: Ferro B. C. R., დასახ. ნაშრ., გვ. 711).

თავის სულიერ მამად აირჩია.

ფირიდონმა, იმავდროულად, ხელი აიღო მასთან მყოფ ქალებზე, შეუდგა ლოცვასა და მწარე მონანიებას. დიდი ცხენის ტყავისაგან გაკეთებულ ისეთ ძაძას იცვამდა, რომელიც თითქმის მთელ სხეულს უფარავდა: წესებს მკაცრად იცავდა, მარხულობდა და ისეთი თავშეკავებული იყო, რომ მთავარი, პატრიარქი და ამ ქვეყნის ხალხი გაოცებას ვერ მალავდნენ, რადგან აქამდე იგი ჩვენი წმინდა ეკლესიის მიმართ მტრობას იჩენდა. ამით ფირიდონს სურდა, მისადმი მიყენებული შეურაცხყოფის გამო შური ეძია. ეს, ასე რომ ვთქვათ, იყო უცებ მგლის ანგელოზად გადაქცევა. მრავალი მტერი გაუჩნდა (წარჩინებულ პირთა შორის), მაგრამ ფირიდონი მათ მოქმედებას მაშინვე შეურიგდა და საკუთარი წესების მცოდნე ადამიანებს მაგალითს აძლევდა, რის გამოც ცუდად ეკიდებოდნენ.

ამრიგად, მთავარი, პატრიარქი და ამ ქვეყნის წარჩინებული პირები ჩემი თანდასწრებით ზეცისკენ ხელებს აღაპყრობდნენ და უფალს მადლობას სწირავდნენ, რომ გამაგზავნა ამ მხარეში მხოლოდ იმისათვის, რათა ეს გაშმაგებული ურჩხული ამელაგმა. შემდეგში ფირიდონი თვითონ ასწავლიდა სომხებს, რომ ჯვარცმული ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი[84] არის. თავის ხარჯზე საჭმელებით იგი დიდხანს გვამარაგებდა მე და ჩემს ავადმყოფ ამხანაგებს. ამით მდგომარეობას დიდად გვიმსუბუქებდა. ფირიდონმა დატოვა წერილი იმის შესახებ, რომ სიკვდილის შემდეგ მთელი თავისი ქონების მემკვიდრედ მტოვებდა. საკუთრივ თავის მეუღლესა და ვაჟიშვილებს უბრძანა, რომ ყოველთვის მე დამმორჩილებოდნენ. მას უნდოდა, აეგო მონასტერი და საავადმყოფო, რათა ღმერთზე და მისთვის ელოცათ[85].

ფირიდონი, როგორც წმ. ეკლესიის კეთილი ქრისტიანი, დაახ-

[84] ნიკოლი კაჯიევიჩი. იმავე კასტელის საბერელოდან 1642 წლის 15 მარტს გაგზავნილი ერთ-ერთი წერილის მიხედვით (იხ: A.V.D.V. del buffalo. 51-53).

[85] 1640 წლის 10 სექტემბერს ოდიშიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილს (გაუგზავნა მამა ფ. ბოლვიტოს) კრ. კასტელმა დაურთო წინადადებების ასლი, რომლითაც, ჭეშმარიტ სარწმუნოებაში მოქცევის შემდეგ – გურიის მთავრის ექიმი ბატონი ნიკოლო კოჯიევიჩი ღმერთს მიმართავდა (იხ: Licini P. A.. დასახ. ნაშრ.. გვ. 29).

ლოებით მისი მოქცევიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ეს მოხდა 1638 წელს. წმ. სარწმუნოებისათვის მისი შრომა სამაგალითოა. ფირიდონი დაკრძალეთ გურიაში წმ. გიორგის ჩვენს ეკლესიაში. მას ორი ქალიშვილი დარჩა, რომლებიც ანგელოზებს მოგვაგონებდნენ. ისინი მონაზვნებად უნდა აღკვეცილიყვნენ პატივცემული და ორსულა ბენეინკაზას დედის მფარველობით. ერთს სახელად ერქვა მარია, ხოლო მეორეს – ქრისტინა. ისინი ჩვენ მოვნათლეთ, მაგრამ ფირიდონის გარდაცვალების შემდეგ არც მონასტერი და არც საავადმყოფო არ აგებულა. ის ამ წმინდა სურვილებით გარდაიცვალა[86].

[86] Ferro B. C. R., დასახ. ნაშრ., გვ. 714.

ქალების საშუალებით მისიონერების მიმართ ეშმაკის მზაკვრობა. პირველის შემდეგ კიდევ ერთი ხანძარი

ამ სამყაროში მომუშავე მქადაგებელ-მისიონერებს ერთადერთი რამ ტანჯავდათ. ჩვენი მამების მითითებით, ეს იყო ქვეყნის ქალების ოინებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. გურიასა და სამეგრელოში ისინი უცხოელებისადმი უფრო ხარბნი და დაუმორცხველნი არიან. ყველა ერს ჰყავს უცხოელი მეგობარი და კეთილშობილი ადამიანები. ქალები ხშირად ცდილობენ მათგან ბავშვების გაჩენას და თვით მთავრებიც არ არიან ამისაგან დაზღვეულნი. მართალია, ჩვენებმა (მისიონერებმა – მ.პ.) არც ქალები და არც ქალიშვილები იციან, მაგრამ მათ (გურულებსა და მეგრელებს – მ.პ.) არ სჯერათ, როგორ შეიძლება ქალებს შეეხო და სხვა გრძნობა არ აღგეძრას.

გურიის სამთავროში ამ ცდუნებას პროვოცირებას უკეთებდა თვითონ მთავარი, სახელად მალაქია, რომელიც, ამავე დროს, [დასავლეთ საქართველოს] პატრიარქიც იყო.

ამ მთავარ-პატრიაქს საოჯახო საქმეებისათვის, რამდენადაც მსახურები არ გვყავდა, დაჟინებით ვთხოვეთ მსახური. ის სიამოვნებით დაგვპირდა ჩვენი თხოვნის შესრულებას. ამ მთავარს რომელიღაც მეგრელი, ჯორჯო რეკუზის სიმაგრის მფლობელი, აუჯანყდა. მთავარმა მას თვალები დასთხარა, წაართვა ქონება და მისი ცოლი ჩვენ მოგვცა მოსამსახურედ. ჩვენამდე ეს ქალბატონი მთავრის მღვდელმა მოიყვანა. მას ებრძანა, რომ მოგვმსახურებოდა ყველაფერში. ის სიამოვნებით მოვიდა, რადგან ფიქრობდა, ჩვენ უცხოელები ვიყავით, ქალები არ გვყავდა და ახლა იღბალი ეწვია. საწყალს მისი ჩანაფიქრი არ აუსრულდა. ჩვენთან სახლში ის მთავრის კაცებმა მოიყვანეს. მხიარული ჩანდა და 40 წლის კაცი ციებ-ცხელებით შეპრყობილი მიხილა. ამ ქალბატონის გამოგზავნის შესახებ გაფრთხილებული ვიყავი. ავდექი და ფანჯრიდან რომ შევხედე, ჩვენთვის გამოუსადეგარი მეჩვენა. ის იყო ახალგაზრდა, დაახლოებით 30 წლისა და ძალიან ლამაზი.

ის დიდი სილამაზის გამო მთავრის შვილის, სიმონის, მეგობარი და საყვარელი იყო. სამთავროს მთელი რიგი წარჩინებული და ახალგაზრდა მას უკან დასდევდა. ვალიარებ: მისი დანახვისთანავე ისეთი ძლიერი თრთოლვა დამეწყო, რომ სწრაფად ლოგინისკენ გავემართე დასაწოლად. ვუბრძანე, მთავრის ის კაცები ეხმოთ, რომელთაც ეს ქალბატონი აქ მოიყვანეს. მათ ვუთხარი, რომ მართალია, მთავრის დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ის იქ დაებრუნებინათ, საიდანაც მოიყვანეს, რადგან იგი ჩვენთვის შესაფერისი არ იყო. მთავრის კაცები გაოცდნენ და მითხრეს: „მამაო, იცით თუ არა, რომ ამაზე უკეთესი ქალი გურიაში არ არის და მას ოქროსავით ყველა მიიღებდა. ილბალი გქონიათ, რომ ის თქვენს ხელში აღმოჩნდა. ეს დიდი პატივი მთავარმა თქვენ აღმოგიჩინათ, რაც იმისი ნიშანია, რომ მას (მთავარს – მ.პ.) ძალიან უყვარხართ და პატივს გცემთ, რადგან ამ ქვეყნის ულამაზესი, სათნო ქალი გაჩუქათ“. ამაზე მათ ვუპასუხე: „ასეთი ბედი შეიძლება მას ჰქონდეს, ვისაც ამისი სურვილი აქვს, ხოლო ჩემთვის ეს დიდი უბედურებაა და გთხოვთ, ის უკან წაიყვანოთ. მთავარს კი ის მოახსენეთ, რაც გითხარით“.

მთავარმა, როცა ამის შესახებ გაიგო, გაიცინა და თქვა: ეს რა ხალხია, გინახავთ ასეთი ლამაზი ქალი სახლში არ უნდოდეთ? მან (მთავარმა – მ.პ.) ბრძანა: თანმხლებ პირებს ის ისევ მოეყვანათ ჩემთან და მანამდე ამეყვანა, სანამ მახინჯ, შეუხედავ ბებერს იპოვიდნენ და გამომიგზავნიდნენ.

ამრიგად, ეს ქალბატონი კიდევ ერთხელ ჩემთან მოიყვანეს. რამდენადაც მთავარს ურჩობას ვერ დავუწყებდი და ჩვენც მოსამსახურე გვჭირდებოდა, იძულებული გავხდი, ის მიმელო. მას სათანადო ადგილი მივუჩინე მეორე მოსამსახურე ქალთან, რომელსაც ტერეზა ერქვა. ამ ქალბატონს ვუთხარი, რომ ტერეზა ყველაფერს ასწავლიდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას ჩვენთან სახლში; რომ მას უნდა გაერეცხა, გაესუფთავებინა სახლი, კიბეები, დაეთესა ფეტვი და სხვა მსგავსი საქმეები ეკეთებინა.

მან (ამ ქალბატონმა – მ.პ.) მიპასუხა, რომ ასეთი საქმეები არასოდეს გაუკეთებია, მაგრამ ტერეზას ხელმძღვანელობით ისწავ-

ლიდა და შეეცდებოდა ერთგული მსახური ყოფილიყო. სამუშაო იმდენად ბევრი იყო, რომ ეს ქლაბატონი ვერ ახერხებდა საკუთარი სილამაზისთვის მიეხედა. ზოგჯერ იმისი დროს კი არ ჰქონდა, რომ დროზე პირი დაებანა. ამდენად, ის წინანდებურად ლამაზად არ გამოიყურებოდა. ზოგიერთი კავალერი, რომელბსაც აქ აზნაურებს[87] უწოდებდნენ, მოდიოდნენ რა ჩვენთან წამლებისათვის, მის ნახვას ესწრაფოდნენ. ხედავდნენ რა მას ასე შეცვლილს, წამოიძახებდნენ: „ო, ლელუკა (ასე ერქვა მას), ვის ხელში ჩავარდი, სად გაქრა შენი სილამაზე!“ ამაზე ლელუკა მორიდებით პასუხობდა, რომ მისმა და მისი მეუღლის ცოდვებმა მიიყვანეს იგი ასეთ მდგომარეობამდე; რომ სიცოცხლის გაფურჩქვნის პერიოდში ისეთი ადამიანების ხელში აღმოჩნდა, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, საერთოდ მამაკაცები არ იყვნენ. ლელუკას აზრით, კათოლიკე მამები საჭურისები იყვნენ. აბა, როგორ შეიძლებოდა, ამბობდა იგი, გყავდეს ისეთი სათნო ქალი, როგორიც მე ვარ, თანაც უქმრო და მის მიმართ ჟინს არ იჩენდე. მათ (მამებს – მპ.) ასეთი რამ არასოდეს უჩვენებიათ. სახეზეც კი არ მიყურებენ, რასაც ვერასოდეს დავიჯერებდი. მაპატიოს ღმერთმა, რომ მათ ხელში ჩამაგდო. ეს ჩემი ბედია და დე, იდიდოს უფალმა. ხშირად ამ სიტყვებით პასუხობდა იგი.

მთელ ქვეყანას მოეფინა ამ ქალბატონის (ლელუკას – მპ.) სიტყვები. ლელუკა კი საჯაროდ ამბობდა, რომ ფრანგი მამები საჭურისები იყვნენ. ამას თან დასძენდა, რომ არა მარტო ისინი გახლდნენ დასაჭურისებულნი, არამედ სხვებს, ვინც მათ ემსახურება, კასტრაციას უკეთებენ.

ამას დაემატა მეორე ამბავიც: სახლში გვყავდა ერთი ყმაწვილი ჯუზეპე, რომელსაც სასირცხვო ნაწილის მძიმე ავადმყოფობა ჰქონდა და ძლიერ დაუსივდა ტესტიკულები (კვერცხები). ხმა გავრცელდა, რომ მას თითქოს ჩვენ გავუკეთეთ კასტრაცია და ამის შედეგად დაეწყო ტკივილები. ეს მთელმა გურიამ გაიგო და ხმებმა მთავრის ყურამდეც მიაღწია. მთავარს უთხრეს, რომ სახლში მე ადამიანების კასტრაციას ვეწეოდი. მთავარმა დამიბარა, ხოლო შემდეგ მიუყვანეს

[87] აზნაურები – ქართველი წიარჩინებულები.

ჯუზეპე და რა ნახა მისი გასიებული ტესტიკულები, აღშფოთებულმა მას უთხრა: „შენს მამებს რატომ მიეცი კასტრირების უფლება?“. მართალია, ჯუზეპე მთავარს უმტკიცებდა, რომ მე მისთვის კასტრაცია არ გამიკეთებია, მაგრამ დაჯერება მთავარს არ უნდოდა. მის დიდ აღშფოთებას მომჩივანთა იმისი მტკიცება იწვევდა, რომ თითქოსდა მე ახალგაზრდებს ტესტიკულებს ვაჭრიდი, რათა ჩვენს სახლში ცხოვრების უმწიკვლოება უზრუნველმეყო. ამის შესახებ ხალხი გურიაში ლაპარაკობდა. ვინ რას არ იგონებდა. ასევე ამტკიცებდნენ, რომ ჯუზეპეს კასტრირების გამო სიკვდილი მოელოდა და ცოცხალი თუ დარჩებოდა, მთელი სიცოცხლე დამახინჯებული იქნებოდა. ყოველივე ამას დასძენდნენ: გაუგებარი იყო, ჩემი სინდისი როგორ მაძლევდა იმის უფლებას, რომ ადამიანს ნებისმიერ ასაკში კასტრაციას ვუკეთებდი. მაგალითად მოჰყავდათ ჩემი ექიმი, რომლის მიმართ ქალები იმიტომ გახდნენ ეჭვიანი, რომ დასაჭურისებული იყო. პირდაპირ მეუბნებოდნენ, როგორც ექიმი, ამას ვაკეთებდი და მეც დასაჭურისებული ვიყავი[88]. ჩემ შესახებ ბევრ სხვა რამესაც ამბობდნენ. მათ ვპასუხობდი, რომ არც მე და არც ჩემი ამხანაგები კასტრირებულნი არ ვიყავით. ჩვენი წევრებიც ამას ადასტურებდა, რამდენადაც კასტრირებულებს ის არ ეზრდებათ. ასევე მათ ვეუბნებოდი: უმწიკვლოდ ცხოვრება, როგორც ეს მათ ჰგონიათ, ღმერთის წყალობის გარეშე შეუძლებელია. ლათინი მღვდელები და სასულიერო პირები, რომ უფალს წმინდა გულით ემსახურონ, აღთქმას დებენ, რომ ქალებთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. ყოველ დილას მღვდლები წმინდა და უმწიკვლო ცხოვრებას დღესასწაულობენ, რათა უფლის წინაშე სიწმინდით წარსდგნენ[89] და ამით თავიდან ნებისმიერ ბოროტებას იცილებენ. ასევე ვამბობდი, რომ თავის მოწაფეებს შორის ქრისტეს ყველაზე მეტად წმინდა იოანე უყვარდა მისი სულის სიწმინდისათვის. ამიტომ არც ისე ძნელია, იცხოვრო უმწიკვლოდ, ანგელოზური ცხოვრებით ქალებთან ურთიერთობის გარეშე. ამის მაგალითად

[88] APF, Georgia, Castelli.

[89] სქოლიოში კასტელი შენიშნავს: „სხვათა შორის ბევრი ბერძენი ამის გავლენას განიცდიდა“.

ჩვენს თავს ვუთითებდი. ამ დროს ბერძნები მათთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ.

ჩვენი შვილი ჯუზეპე კასტრირებული არ იყო. მას ტესტიკულების ბუნებრივი ავადმყოფობა ჰქონდა. ამის შემჩნევა ექიმისგან თავისუფლად შეიძლებოდა. არც ჩემი ამხანაგი-მამები იყვნენ კასტრირებულნი, არამედ თავიანთი რწმენით უმწიკვლოდ ცხოვრობდნენ, ხოლო ექიმის (ფირიდონის – მ.პ.) ქალები, რომლებიც ადრე მაჰამადიანები იყვნენ, არა მისი ცოლები, არამედ როსკიპი ქალები იყვნენ, ისინი დავუბრუნეთ ქრისტეს რწმენას, მიიღეს ჩვენი აკრძალვა და თავს იკავებდნენ უფლის შეურაცხყოფისაგან.

ჩემ შესახებ მთავართან მრავალი საჩივარი მიდიოდა. ერთხელ ჩემი მოწამვლაც მოახერხეს. მომცეს რაღაც საჭმელი, რომელიც გავსინჯე თუ არა, მაშინვე გავუგზავნე ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულ ექიმს (ფირიდონ კოჯევიჩს – მ.პ.). გასინჯა თუ არა, მან (ფირიდონმა – მ.პ.) საწამლავის მოქმედება მყისვე იგრძნო. იმ მომენტში არც წამალი მქონდა და არც ექიმი მყავდა. მივმართე უფალს, სულისა და სხეულის მკურნალს, წავედი ეკლესიაში, დავემხე ჯვარცმულის ფეხქვეშ და განსაცდელის თავიდან აცილება ვთხოვე. მისი ღვთაებრივი სიკეთით კიდევ დიდხანს ვიცოცხლე.

ჩემი მდგომარეობის გამო მთავარმა არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ მჯერა, რომ შინაგანად ირწმუნა ჩვენი კასტრირების ამბავი, რადგან ისინი თავიანთ ქალებს უფრო ენდობოდნენ, ვიდრე ჩვენი სჯეროდათ. როგორც მე, ისე ჩემს ამხანაგებს, ასეთი შეურაცხყოფის გადატანა არ შეგვეძლო. ამიტომ ერთ ფარულ ადგილას მოვიწვიეთ მთავრის სასახლის რამდენიმე წარმომადგენელი და მათ მორიდებით ვაჩვენეთ, რომ ყველაფერი თავის ადგილზე გვაქვს და უფალი მოწყალეა: რომ ემსახურო ღმერთს წმინდად და უმწიკვლოდ, ეს მამების (მისიონერების – მ.პ.) სურვილზეა დამოკიდებული.

ჩვენ შესახებ სხვა მხარეებშიც გაიგეს და სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ყველგან ამბობდნენ, რომ კასტრირებულთა საზოგადოებას მივეკუთვნებოდით. ამაზე ბერძნები იცინოდნენ. ამიტომ ჩვენ მიმართ ქმრები არავითარ შიშსა და ეჭვს არ იჩენდნენ.

ხშირად თავიანთ ავადმყოფ ცოლებს ჩვენს განკარგულებაში ტოვებდნენ. ჯანმრთელი ქალბატონი თუ დედოფალი ჩვენთან რჩებოდა. ბევრი დიდებული ქალბატონის, რომლებიც სტუმრად მთავრის სასახლეში მიდიოდნენ, გვერდით ვიყავით. ხან ერთი, ხან მეორე ან ყველა ერთად ჩვენს სანახავად მოდიოდნენ. სხვადასხვა საკითხების გამო ისინი ხშირად გვიწვევდნენ თავიანთ სახლებში. ეს ეხებოდა მედიცინას, ფერწერისადმი ჩვენს მიდრეკილებას, ნახატების ან სხვა გამოსახულების[90] მიღებას. ჩვენ შორის კი იყვნენ ხელოვნების ოსტატები.

ზოგჯერ ეს ქალბატონები მარტო გვეახლებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო დარინჩა ათაბაგი, რომელიც ოდიშის დედოფალი გახდა, ხოლო შემდეგ, როდესაც მეუღლე გარდაეცვალა, გურიის მთავარ გაგანძეზე გათხოვდა. გურიელმა ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი ოდიშის მთავრის შვილზე, ჯოვანიზე გაათხოვა, ხოლო მეორე — ქართველ გელაძეზე. მათ შორის იყო ასევე გურიის მთავრის ქალიშვილი[91], რომელიც გურიის თავადზე იყო გათხოვილი. ის დაქვრივდა და შემდეგ იმერეთის დედოფალი გახდა. იმერეთის მეფე ალექსანდრეზე გათხოვდა. ელენე გურიელი, გურიის მთავრის ქალიშვილი, ოდიშელ თავადზე, კოლხეთის მეფის ბიძაშვილზე, ვომიქელე ლიპარტიანზე გათხოვდა, რომელიც ამ სამთავროში პირველი პიროვნება იყო. დედოფალ თამარის ქალიშვილი კოლხეთის პირველ ბატონზე გათხოვდა, ელენე ათაბაგი კი,

---

[90] APF, Georgia, Castelli.

[91] დედოფლებისა და შეფარდებით მათი მეუღლეების პორტრეტები ნაწილობრივ გამოაქვეყნა ბეჟან გიორგაძემ 1977 წელს. (იხ: დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბილისი, 1977, №34-73); 1642 წლის 12 ნოემბრის წერილში, რომელიც სამეგრელოდან მამა ფ. ბოლვიტოს სახელზე გაიგზავნა (იხ: Licini P. A., დასახ. ნაშრ.,გვ. 46-47) ეკითხულობთ: „აქ ხშირად წარჩინებული ქალები მოდიოდნენ. მაგალითად, სამეგრელოს დედოფალი და გურიის ახლანდელი მთავრის მეუღლე თამარი, რომელიც იმერეთის დედოფალი იყო. ის სარწმუნოებისადმი არაერთგულების გამო იმერეთის მეფემ მიატოვა. მათი ქალიშვილი რუსეთის მეფეზე გათხოვდა. მათ შორის იყო ელენე ათაბაგი, მესხების მთავრის ქალიშვილი, გურიის მთავრის დისშვილი და სეფერ ფაშას, ახლა თურქეთის ვაზირის, ნათესავი. თამარ ლიპარტიანი ქართლის მეფე გიორგი X-ზე გათხოვდა. მათი ქალიშვილი ელენე რუსეთის ტახტის მემკვიდრე ფიოდორ ბორისის ძე გოდუნოვისათვის იყო განკუთვნილი (Manvelichvili A., Historie de Géorgie, Paris, 1951,გვ. 560).

მთავარ ათაბაგის (რომელიც ტრაპიზონამდე მეფობდა), ქალიშვილი, სპარსეთის შაჰზე – შაჰ სეფიზე.

ყველა ეს წარჩინებული ქალბატონი საქართველოს მთავრებსა და მეფეებზე გათხოვდნენ. ერთ-ერთი მათგანი სპარსეთის შაჰზე გათხოვდა. ყველა ისინი ჩვენი სახლის ქალიშვილებად ითვლებოდნენ[92].

სხვადასხვა დროს ყველა ეს ქალბატონი გურიის მთავრის სასახლეში იმყოფებოდა. სასახლის ბაღში გურიის მთავარმა ჩვენ რეზიდენცია მოგვცა. ეს ჩანს იმ ნახატიდან, რომელიც ამ წიგნშია მოთავსებული[93]. მასში არის აგრეთვე საქართველოში მცხოვრებთა პორტრეტები[94].

ისევ ვუბრუნდებით იმ საშიშროებას, რომელიც მისიონერებს ქალებთან შეღლის გამო ემუქრებოდათ. როგორც ვთქვით, მისიონერთა საზოგადოება შეიქმნა. კერძოდ, გურიის სამთავროდან კრისტოფორო. მასთან იმერეთის მეფემ კაცი გაგაზვნა და იგი ქუთაისში ჩავიდა. ის მეფის სასახლესთან ახლოს დააბინავეს. ეს ერთი ხრიკი იყო, მეორე – ქალების გარემოცვა გახლდათ. ქალებმა თავიანთ ქმრებთან ერთად მიიღეს ბრძანება, რომ მისონერებს მომსახურებოდნენ. ეს ქალები ძალიან ლამაზები იყვნენ და მე ცდუნებისათვის უნდა გამეძლო. ასეთ მაცდუნებლად მოგვევლინა ერთ-ერთი ლამაზი მსახური კანუა, რომელიც ჩემგან საბაბის მიცემას ელოდა, მაგრამ ჩვენ ღვთის წყალობა გვიცავს. ცდუნება კი დიდი იყო, რადგან ზოგიერთ ბატონს ძალიან უყვარდა უცხოელები, ხოლო ზოგიერთ ლამაზ ქალბატონს, რომელსაც უხეში და შეუხედავი ქმარი ჰყავდა, არ უნდოდა შვილები მას (მამას – მ.ჰ.) დამსგავსებოდნენ. ეს დიდად მაწუხებდა, მაგრამ ეშმაკის ყველაზე დიდ ხრიკზე ახლა მოგითხრობთ[95].

ღარიბი გლეხი, სახელად ტომიქელაგი გიმატია, სამეგრელოში ჩვენს სახლს ემსახურებოდა. მისი ქალიშვილი თანურია, დაბადებით

[92] APF, Georgia, Castelli.

[93] დონ პიეტრო ავიტაბილე. დასახ. ნაშრ., გვ. 34-37.

[94] აქ ერთმანეთში არეულია აღმოსავლეთში მცხოვრები პირები. კასტელი ხშირად იმეორებს თავს და ხელს აწერს: „უსარგებლო ძმა" ან „მენაგვე ძმა".

[95] სქოლიოში: „1651 წელს მორეულერ მოხდა".

არაკლუა დიპონტი, რაც „დიანას ვარსკვლავს“ ნიშნავს, დაახლოებით 16 წლის ასაკში ცხოველებს მწყემსავდა. ამ უხეშ სამუშაოს მისი სილამაზე არ წაუხდენია. თავისი სილამაზით თანურია ყველას გულს ატყვევებდა. 20 წლისა იყო ძალიან ლამაზი, მაღალი, კოხტა და სულით მდიდარი, რომ ციდან ჩამოსული ანგელოზი გეგონებოდათ. როგორც ამბობდნენ, მხოლოდ ფრთებიღა აკლდა, რომ მისი, როგორც ანგელოზის წინაშე ქედი მოგეხარა. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ეს ანგელოზი იტალიაში რომ გამოჩენილიყო, არ დარჩებოდა ადამიანი, ის არ ენახა. ნამდვილად ბუნებამ შექმნა ასეთი სილამაზე და მას ერთ არსებაში მოუყარა თავი. 58 წლის განმავლობაში, რაც ამ ქვეყანაზე დავდივარ, ასეთი ლამაზი ქმნილება არ მინახავს. ამ ულამაზესი ღვთაების ბედი_ იმაში მდგომარეობდა, რომ მას მეგობარი კრ_ისტოფორო თავის სამსახურში ინახავდა და დღედაღამ მამების მითითებით მუშაკობდა. მისი სახლში დაბრუნება შეიძლებოდა, მაგრამ მას უხეში, ყველაფერში მისი საწინააღმდეგო ქმარი ჰყავდა. 14 წელი გრძელდებოდა ჩემი ტანჯვა და საკუთარ თავთან ბრძოლა. მკითხველმა განსაჯოს, რამდენად იყო ეს მნიშვნელოვანი. უწმინდესი ქალწულის შემწეობით, უფლის სადიდებლად ჩვენმა მისიონერებმა პატარა ასაკიდან დადეს აღთქმა თავის ქვეყანაში, რომ ქალთან არ ჰქონოდათ კავშირი. ეს უდიდესი სასწაულია და საშუალებაც, რომ ლოცვა-კურთხევით შექმნა ჩვენი მამების იდეალი. ქება-დიდება უფალს, ყოვლისშემქმნელს, რომ ვიპოვე სული უფლის სამსახურსათვის.

1653 წელს საქართველოს პატრიარქის უკანასკნელი ქადაგება

ახლა საქართველოში ცოცხალი პატრიარქი მაქსიმე მაჭუტაძეა*. დაუძლურებისა და ავადმყოფობის გამო ამ სამთავროში (სამეგრელოში – მ.პ.) დარჩენა აღარ შემეძლო. არც ის ძალმიძდა, რომ ცხენზე მჯდარი ამ პატრიარქთან ერთად იერუსალიმის გზას გავდგომოდი. მას უნდოდა იერუსალიმში თან წავეყვანე, რათა მათი აღდგომის დღეს ზეციდან დაშვებული ცეცხლის სიყალბე არ დაედასტურებინა[96]. რამდენადაც პატრიარქს ჩემი შეხედულება მისი სარწმუნოებისადმი უკვე აღარ სიამოვნებდა, ნება დამრთო სამშობლოში დავბრუნებულიყავი. მას თავის წმინდა სარწმუნოებაში უნდოდა სიკვდილი. მე კი, ჯანგატეხილი, სამშობლოში დაბრუნებას ვცდილობდი, რათა მოძღვრად მოვმკვდარიყავი და აღსასრული საკუთარ ბუდეში მეპოვა. არ მსურდა რომელიმე მდინარეში ჩავარდნა, ხრამში გადაჩეხა და მგლებისა და მხეცების ნადავლად გახდომა. ამიტომ იალქანი სამშობლოსკენ მივმართე, რათა განადგურებული ნავი ჩემი სარწმუნოების ნაპირთან მიმეყვანა.

ჯერ კიდევ რჩებოდა ზოგიერთი საქმე, რომელთა შესახებ არ შემეძლო პატრიარქის ცოდნას დავყრდნობოდი. არ ვიცოდი, მოკლე დროში ამის გაკეთება როგორ შეიძლებოდა, ან სად შევხვებოდი მას, რომ ეს ტვირთი მანამ მომეხსნა, სანამ ჩემი რეზიდენციიდან წავიდოდი. ასეთ ვითარებაში მოხდა შემდეგი რამ: გურიის სამთავროში ავად გახდა პირველი პიროვნება ვახტანგ ჭიჭინაძე. მან სამეგრელოს მთავართან საგანგებოდ გამოგზავნა კაცი, რათა სასწრაფოდ მის სამკურნალოდ წავსულიყავი. ამის გაკეთება ძალიან არ მინდოდა, რადგან იტალიაში გასამგზავრებლად ვემზადებოდი. ამასთანავე, დაუძლურებულს არ შემეძლო ამ სამთვაროში წასვლა, რადგან ვახტანგ ჭიჭინაძის სახლში მისავლელად უნდა გამევლო

* რედ. შენიშვნა: მაქსიმე I მაჭუტაძე დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1639-1657 წლებში იყო. მან სამჯერ იმოგზაურა იერუსალიმში.

[96] სქოლიოში ავტორის ხელით მიწერილია: „1654 წელი, ქალაქი ბაღდადი".

მაღალი მთები, შეუვალი ტყეები და საშიში მდინარეები. რამდენადაც ეს სამეგრელოს მთავარს უკავშირდებოდა, სასწრაფოდ უნდა წავსულიყავი ავადმყოფთან. როცა მას ვიგონებ, მიკვირს, თუ როგორ ჩავედი იქ და ცოცხალი როგორ დავრჩი.

ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში იყო. ამიტომ არ მინდოდა მისთვის რომელიმე წამალი მიმეცა, რადგან მის სიკვდილში ბრალი არ დაედოთ. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ სიკვდილი გარდაუვალი ჩანდა. ამის ნიშნებს კი ნათლად ვხედავდი. მათ ვუთხარი, რომ ის აღესრულებოდა მთვარის ერთი მოქცევის შემდეგ და სულის მკურნალის მოყვანა არ დაეგვიანებინათ, რადგან მის მოსარჩენად არავითარი წამალი არ არსებობდა. მათ კაცი გაგზავნეს სულის მკურნალის მოსაყვანად.

დავბრუნდი რა უკან, ვუახლოვდებოდი ქალაქს, რომელსაც ბაღდადი ეწოდება. გზაზე მიმავალმა უცებ შევნიშნე, რომ ჩემს შესახვედრად კაცი მორბოდა და არ ვიცოდი, რა მეფიქრა. წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს ის გაჩერდა და მითხრა, რომ პატრიარქს (მაქსიმეს – მ.პ.) ჩემი ნახვა უნდოდა. ამ პიროვნებასთან ერთად წარვდექი პატრიარქის წინაშე, რომელიც ფანჩატურის ქვეშ ლოგინში იწვა და ქება-დიდებას უგალობდნენ. მან მითხრა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და დასძინა: იცის, საიდან მოვდიოდი და იმედოვნებს, რომ ის ბატონი (ვახტანგ ჭიჭინაძე – მ.პ.) განიკურნება. მე არ მიპასუხია და არც ის მითქვამს, რომ მას ცოტა ხნის სიცოცხლე დარჩა და არც ის, რომ ახლა საჭიროა მხოლოდ მის სულზე ზრუნვა. პატრიარქი მოიღუშა და თქვა: მაშასადამე, ჭიჭინაძე კვდება. დიახ – დავუდასტურე მე და დავძინე, რომ ხვალ ამ დროს ის ცოცხალი აღარ იქნებოდა. მან ხელი ხელზე დაარტყა და თქვა: „ო, რა დიდ ადამიანს კარგავს გურია!“ შემდეგ მკითხა, როდის მივემგზავრებოდი იტალიაში და ფეხზე ვემთხვეოდი თუ არა მის უწმინდესობას (რომის პაპს – მ.პ.). მე ვუპასუხე, რომ ღმერთის შემწეობით ეს ნამდვილად ასე მოხდებოდა, რადგან პაპის დესპანი ვიყავი. მისი განკარგულებით გამომგზავნეს ამ ქვეყანაში და დაბრუნებისთანავე მას წარვუდგენდი

ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან საწყალი ქრისტიანები აღმოსავლეთში. ასევე მოვახსენე: დაღლილსა და წელში გატეხილს მეტი არ შემიძლია ამ ქვეყანაში დარჩენა. უფრო მკვდარი ვარ, ვიდრე ცოცხალი და ამიტომ ცოტა დასვენება მჭირდება, რათა მოვემზადო, რომ შემოქმედს ჩემი სული ჩავაბარო.

გადავწყვიტე, პატრიარქთან თავისუფლად მელაპარაკა და მას თავიდანვე ვუთხარი, თუ უფლებას მომცემდა, მინდოდა მეთქვა იმის თაობაზე, რაც აზრად მომივიდა იმათი სულების შესახებ, რომელთა მწყემსადაც ითვლებოდა ამ მხარეში. ამასთანავე, ვთხოვე, ჩემი სიტყვები მიელო, როგორც მისი ერთგული მონის ნათქვამი და არავითარი სხვა სურვილი არა მქონდა, გარდა მისი ჯანმრთელობისა. მას ვუთხარი, თუ უფლებას მომცემდა, ვეტყოდი იმას, რასაც ვფიქრობდი იმათი სულის გადარჩენისათვის, რომელთა მწყემსად ის ამ მხარეში ითვლებოდა. ამასთანავე პატრიარქს ვთხოვე, რომ ჩემი ნათქვამი ისე მიელო, როგორც მისი ერთგული მონისა და თან დავამატე: ამ საწყალი ხალხისა და მისი სულის ჯანმრთელობის გარდა, სხვა არავითარი სურვილი არ მქონდა. მე ამას ჩემი მოვალეობიდან გამომდინარე ვაკეთებდი. თუ ამას არ ვიტყოდი, უნდა ჩამეთვალა რომ მოვალეობასა და ვალდებულებებს ვულალატე.

პატრიარქი მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მოიღუშა, რადგან იცოდა, რომ მე საუბარში თავისუფალი ვარ, არა მაქვს შიშის გრძნობა და სათქმელს მაშინვე ვამბობ. ისიც იცოდა, რომ მასთან მყოფ ხალხსაც მივმართავდი. პატრიარქმა მითხრა: „მამაო, ყველაფერი მითხარი, მაგრამ ჩუმად, ისე, რომ ჩვენ შორის დარჩეს და ჩემმა ხალხმა არ გაიგოს“. შევიწყნარე მისი თხოვნა და ვუთხარი, ღმერთის სიყვარულისათვის, თავისი სამწყსო მოვალეობისადმი უფრო მეტი ყურადღება მიექცია, რადგან მგელმა ჯოჯოხეთიდან თითქმის ყველა მისი ცხვარი შეჭამა, სანამ მას ეძინა. შევუქე მას ხანგრძლივი ლოცვები, მაგრამ ეს მისი გადარჩენისათვის საკმარისი არ იყო. სარწმუნოების საკითხში მას ფრთხილად უნდა ედევნებინა თვალი მწყემსის მოვალეობისთვის ისე, როგორც ამას თავისი ხალხისათვის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსები და რომის

პაპები აკეთებდნენ: აეკრძალა თურქებზე ქრისტიანული სულის გაყიდვა, სულისა, რომელიც ქრისტემ გამოისყიდა; ეზრუნა იმაზე, რომ ქალებს თავიანთი ახლადდაბადებული ბავშვებისათვის[97] სიცოცხლე არ წაერთვათ, რასაც გარეული ცხოველებიც კი არ აკეთებენ; ერთ ცოლზე მეტი არავის ჰყოლოდა; სასულიერო პირები (მაგალითად, მღვდლები) არ დაეშვათ სამღვდლო ღირსებაზე, თუ ისეთი ცოდნა არ ექნებოდათ, რომ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. წმინდა სარწმუნოების საკითხებსა და ეკლესიის წესების შესრულებაში, ასევე სხვა საკითხებში საჭიროა მღვდელთა სპეციალური გამოცდა. მათ (მღვდლებს – მ.პ.) სრულყოფილი ცოდნა უნდა ჰქონდეთ, რათა თავიანთი მოვალეობა ისე შეასრულონ, რომ ნათლობის საეკლესიო წესების შესრულების დროს სულს ზიანი არ მიაყენონ[98]. ეს კი საეკლესიო წესების საფუძველს წარმოადგენს. მათ ხომ არ იციან არც ფორმა, არც შინაარსი და არც მისი არსი. ამ საეკლესიო წესის შესრულებაში საჭიროა, არავინ მოინათლოს, თუ მას არ ასწავლეს ნათლობის მნიშვნელობა.

[97]მამა კასტელის მიერ სამეგრელოდან 1647 წ. 15 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში ეკითხულობთ: „მეგრელ ქალებს შორის არსებობს ყველაზე ბარბაროსული ჩვეულება. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ახლადდაბადებულ საკუთარ ბავშვებს ცოცხლად ამარხავენ, რათა მათი გაზრდით თავი არ დაიძიძინონ. მართალია, ჩვენ ვცდილობთ, ასეთ მკრეხელობას ხელი შეეშალოთ, მაგრამ მისი აღმოფხვრა ვერ შევძელით, ვიდრე არ მოვიშველიეთ რამდენიმე ჯაჭვში ქალი. ისინი გვაუწყებდნენ ამის შესახებ, რათა ასეთი ბავშვები გადაგვერჩინა. წმ. ნათლობის შემწეობით ახლა ისინი ცოცხლები არიან (იხ:Licini P. A., დასახ. ნაშრ., გვ.100).

[98] ნათლობის წესების გამოსწორების მიზნით, მამა კასტელიმ საქართველოში ყოფნის დროს არაერთხელ მისწერა რომს, რომ ამ საქმეში საჭირო იყო მისიონერების ჩარევა (Licini P A.,დასახ. ნაშრ.,გვ. 23,31,43-44,60,62,100,103,119). მამა ჯ. ძაბი „მოკლე ცნობები ქრისტიანობის არასრულყოფაზე საქვეყნიერო“ (იხ: Zampi G. M., დასახ. ნაშრ., APF, SC, Georgia, vol. I, FF. 154-156v.). 1626 წლიდან 1707 წლამდე კონგრესზე მოხსენებულ ჩანაწერებში საფუძვლიანად განიხილავდნენ ასეთი შეცდომების მიზეზებს. მართლაც, ნათლობის ცერემონიალი მიმდინარეობდა მარანში, ჭურების გვერდით, სადაც მღვდელი ღვინოს იღებდა და დროდადრო სვამდა კიდეც, ორი საათის განმავლობაში კითხულობდა წიგნს, სადაც წერია ლოცვები და მოთხრობები ქრისტეს ნათლობის შესახებ, მაგრამ არ იყო ნათქვამი აუცილებელი სტყვები, სანამ იგი წყალს ასხურებდა ბავშვს. ის (ბავშვი–მ.პ.) არანაკლებ შვიდი წლისა იყო და იდგა მარნის მეორე მხარეს, ნათლიის გვერდით, რომელსაც აქ „მორდილი“ (მორდა – მ.პ.) ჰქვია. შემდეგ ამ ბავშვს თავიდან ფეხებამდე უსვამდნენ ქონს, რომელიც შემდეგ ოჯით მას უნდა მოეშორებინა. ზოგჯერ ბავშვები სამი დღე რჩებიან გაუწმენდავი, რამდენადაც სჯეროდათ, რომ ნათლობა სწორედ ამაში მდგომარეობს და არა ძველდლის ხელის დადებაში. ამასთანავე, ყველა სასულიერო პირმა შესანიშნავად იცის, რომ აქ ყველაფერი კეთდება არა ისე, როგორც საჭიროა (მამა პიეტრო ავიტაბილე 1631 წელს დაბრუნდა რომში. მან რომის პაპს ლიტურგიაში ქართველი მღვდლების მიერ დაშვებული პრინციპული შეცდომების შესახებ ანგარიში გადასცა. მან, კერძოდ, ხაზი გაუსვა ზიარების მიღებისა და კონფირმაციის (ეკლესიაში ბავშვების ზიარება) შესრულებას მონათვლის შემდეგ (იხ: Tumanoff G.,Studies in Christian Caucasian History, Washington, 1963,გვ.157). კიდევ ერთმა თეატინელმა მისიონერმა – ჯუდიჩიმ – რომის კურიის მიაწოდა ინფორმაცია ქართული ნათლობის შეცდომების შესახებ (იხ: Licini P. A.,"Breve Relatione della Mengrellia"redatta nel 1644 dal teatino Giuseppe Giudice, in "Orientalia Christiana Periodica",Roma, L/1,1984, p.157).

ბევრ მკრეხელობასა და შეცდომას უშვებენ, რადგან ნათლობას, როგორც ყველაფრის საფუძველს[99] ისე არ განიხილავენ.

წარმოიჭრა დამატებითი საკითხები. მაგალითად, იყვნენ ისეთი მღვდლები და ეპისკოპოსები, რომლებიც არც მაჰმადიანები იყვნენ და არც ქრისტიანები, არამედ მესამე რაღაცა იყო; ეპისკოპოსებს სოფელში მსახურების მეშვეობით უნდა ესწავლებინათ ლიტურგია, აუცილებელი წერა-კითხვა და ადამიანებისათვის ეჩვენებინათ გზა ზეცისაკენ; სასულიერო პირებს თვალი უნდა ედევნებინათ ეკლესიისათვის, ენახათ, როგორაა შენახული საკურთხეველი, რომელიც სამარცხვინო მდგომარეობაშია, უნდა დასწრებოდნენ წმინდანთა ხსოვნის ლოცვის აღვლენას, რაც მათთვის თითქმის დაკარგულია; ხანდახან მოეწვიათ მღვდლები, ეპისკოპოსები, ვიკარები, რათა ემსჯელათ, თუ როგორ შეიძლებოდა ეკლესიის გაჯანსაღება და ა.შ. უნდა აღმოვფხვრათ ბოროტება, გამოვასწოროთ შეცდომები, დავაჯილდოოთ სიკეთე და დავამყაროთ წესრიგი იმ სულებისათვის, რომლებიც ამ სამეფოში უნდა განიკურნონ; არ უნდა დაეუშვათ, რომ ღვთის მსახურებმა უფალს უწოდონ „ჩემი ღმერთი", ე.ი. „ჩემო ღმერთო", ე.ი. „შენ ხარ ჩემი ღმერთი", რაც ღვთის გმობაა; საჭიროა, ეპისკოპოსებმა წინ ატარონ წმინდა ჯვარი და ჯვარისკაცებთან ერთად არ იარონ[100]; არასოდეს დაივიწყონ სასულიერო ტანისამოსის ჩაცმა, რადგან ხალხი მათ მიმართ უფრო თავდადებული და მორჩილი იქნება. ისინი, ვინც ამას ეწინააღმდეგებიან, დაუსჯელნი არ დარჩებიან. ეს მათი მოვალეობაა და სიკეთილის შემდეგ სული მათგან ზუსტ ანგარიშს მოითხოვს. პატრიარქი კი ამათ რიცხვს მიეკუთვნება. მას (პატრიარქს – მ.პ.) ღირსება დიდ წონას აძლევს და სავალდებულოა, ისე მართოს, როგორც საჭიროა და თუ არ შეუძლია, უარი უნდა თქვას, რადგან უმჯობესია, სული პირვანდელი სახით გადაარჩინო, ვიდრე პატრიარქობისას დაკარგო და ა.შ.

ქრისტიანების წინააღმდეგ არ უნდა იომონ არც მათ (ხელმწიფეებმა – მ.პ.) და არც პატრიარქებმა. ეს მათ არ შეშვენით. უნდა აინტერესებ-

[99] APF, Georgia, Castelli.

[100] ამას ადასტურებს მ. თამარაშვილი (იხ: M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 118)

დეთ ადამიანის ბედი, რაზეც არ ფიქრობენ. იყო კიდევ სხვა მრავალი საკითხი, მაგრამ ეს მეტად გრძელი ქადაგება იქნებოდა.

მთელი ამ დროის განმავლობაში კეთილი პატრიარქი გაუნძრევლად მიყურებდა და მისმენდა. მისი წითური სახე გაფითრდა. ვიგრძენი, რომ ამისაკენ უფალმა მიბიძგა. პატრიარქს ვუთხარი: ასე ენერგიულად ლაპარაკი ჩემი ჩვეულებრივი თვისებაა; პატრიარქის კარის მსახურები ყურადღებით მისმენდნენ, რადგან იქვე ახლოს იყვნენ და გამბედაობით გამოირჩეოდნენ. ჩემი საუბარითა და პატრიარქის მოთმინებით ისინი გაოცებულნი იყვნენ. საკუთრივ მეც გაოცებული ვიყავი, რომ პატრიარქმა მომითმინა და არცერთხელ სიტყვა არ გამაწყვეტინა.

როცა ქადაგება დავამთავრე, პატრიარქმა ამოისუნთქვა და თქვა: „ვაი, ვაი, ჩემო თავო. დღეს რამდენი რამე მოვისმინე. ჩემო თავო... ვფიცავ მამაჩემის სულს, რომ არასოდეს გამიგონია ამდენი, რამდენიც ამ კაცმა მითხრა. მართლაც, საიდან მოვიდა ეს ზეციდან ჩამოსული ანგელოზი!“.

პატრიარქი შემდეგ მიუბრუნდა თავის მსახურებს და მნიშვნელოვნად თქვა: „იცით, ამ წუთში რა მითხრა ამ წმინდა მამამ?“ მოკლედ გაიმეორა ჩემი ქადაგება, შემდეგ ჩემკენ მობრუნდა და მითხრა: „მე ვიცი, რომ რაც მითხარით, ერთგულებით იყო ნათქვამი, რადგან ჩემდამი სიყვარული გამოძრავებთ. წლების განმავლობაში მეც ვიჩენდი ამ სიყვარულს თქვენდამი. ჩვენს ქვეყანაში თქვენ გიცნობენ, როგორც წმინდა ადამიანს, რომელიც ყველაფერს თავისუფლად ამბობს. თქვენი სიტყვები ღმერთის მიერ არის გამოგზავნილი და მუდამ იცოცხლებენ. კურთხეულ იყავით. მაგრამ, ბატონო კრისტოფორო! მე ამ ქვეყნის პატრიარქი ვარ და არცა ვარ, რადგან მთავარი არ მაძლევს უფლებას, მის გარეშე რამე გავაკეთო“.

ამ ქვეყნის მთავრები მმართველობენ, როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო სფეროში და ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს მართვის უფლებას არ აძლევენ, თუ ეს მათ არ მოსწონთ და, თუ მთავარს რამეს ვეტყვი,ის მიპასუხებს:ამის შესახებ მე ვიფიქრებ. ასეთია ამ ქვეყნის წეს-ჩვეულება. აქვე პატრიარქმა თქვა: როგორც

თქვენ შენიშნავდით, მივყვებოდით წინაპართა გზას და ამისაგან ვერ განვიკურნეთ, რადგან ამ ქვეყანაში შემწყნარებლობის უნარი არ გვაქვს. ვიტოვებ მოვალეობასა და არ ვკარგავ იმედს, რომ იერუსალიმში მოვკვდე.

პატრიარქმა ძალიან დაღლილს საშუალება მომცა, რომ საწოლთან ახლოს დამესვენა და ძალები აღმედგინა. ეს სიხარულით მივიღე. თავისთან ორი დღე დამტოვა, ბორბლის მსგავსი ძვირადღირებული სანთელი მაჩუქა და მითხრა[101]: „ვიდრე გაემგზავრებოდეთ, ჩემი მოვალეობის შესახებ მთავარს უთხარით". ბოლოს ერთმანეთს გადავეხვიეთ და დიდი სიყვარულით გამიშვა. სხვათაშორის, ისე მოხდა, რომ ზოგიერთმა საკითხმა, რომლის შესახებაც მე პატრიარქს ვესაუბრე, გაჭრა, რადგან ოდიშის მთავარი მას თავისუფლების საშუალებას აძლევდა, თუმცა სამეგრელოს მეფეს (ლევან II დადიანს – მ.პ.) არ უნდოდა ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს ძალაუფლებით ესარგებლათ. მთავარს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მას თვითონ უნდა ემართა ყველა და ყველაფერი მის სურვილზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. აღმოსავლეთში ასეთები არიან მთავრები და მეფეები.

აქ ეპისკოპოსები და პატრიარქები ქორწინდებიან. მათ მთხოვეს, რომ მთავართან საუბრის დროს ის მეთქვა, რასაც ჩემი სული მკარნახობდა.

[101] APF, Georgia, Castelli.

იმერეთის მეფის ერთადერთი შვილის – უფლისწული ბაგრატის – ნათლობა[102]

იბერიის (იმერეთის – მ.პ.), ე.ი. საქართველოს მეფის* ერთადერთი ვაჟიშვილი ბაგრატ ბაგრატიონი ოდიშის მთავართან მძევლად იმყოფებოდა. გაიგო რა მან მამამისის, ბაში-აჩუკის მეფის, სამეფოდან დიდი მოფერებისა და მფარველობის შემდეგ სამეგრელოს სამთავროში დაებრუნდი, ჩემს სანახავად მოვიდა. მან დიდი პატივისცემა აღმოიჩინა და მთხოვა, განმეგრძო მასთან მეგობრობა, ვყოფილიყავი მისი ისეთი ერთგული, როგორიც მამამისისადმი ვიყავი. მამამისს (იმერეთის მეფეს – მ.პ.) მეორე ვაჟიშვილი არ ჰყავდა, არც იმედი ჰქონდა მომავალი მემკვიდრის და ამიტომ სურდა სამეფო ბაგრატისათვის გადაეცა. ახლა მას (ბაგრატს – მ.პ.) დროებით არ გაუმართლდა, მაგრამ მითხრა: „ჩვენი ძალლები კიდევ დაიჭერენ კურდღლებს. თქვენდამი ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიქნები ისე, როგორც მამაჩემი“, რადგან, რამდენჯერაც ის ავად გახდა და დახმარება მთხოვა, იმდენჯერ ვუმკურნალე და ყველაფერი გავუკეთე.

ბაგრატი მამისადმი დიდ ერთგულებას იჩენდა და შემომთავაზა. რომ მას ერთგულად მოვმსახურებოდი. მადლობა გადავუხადე ასეთი ურთიერთობისა და სიყვარულისათვის. არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა. მას მოვმსახურებოდი. ამ დროს მოხდა შემდეგი რამ. ავად გახდა ბედიელი – კოლხეთის, ანუ ოდიშის, ეპისკოპოსი[103]. ვიმყოფებოდი რა ქალაქ პერსულას სამრევლოში, ჩემთან, როგორც ექიმთან, მისი ადამიანები ცხენებით გამოგზავნეს. ამ ქალაქში ეპისკოპოსის რეკომენდაციით იმყოფებოდა ხსენებული მეფის შვილი (ბაგრატი – მ.პ.) და ჩემთან მოვიდა. ვილაპარაკეთ სხვადასხვა საკითხზე, რადგან იგი იყო ბრწყინვალე გონების ადამიანი. სხვა საკითხებთან ერთად ვისაუბრეთ ამ სამფოში არასწორ

[102] ბაგრატ IV იყო იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის (1639-1660), მემკვიდრეის მეფობდა (1660-1661. 1663-1668, 1699-1678, 1679-1681) ინტრიგებისა და შინაბრძოლების ვითარებაში. არაერთხელ დაკარგა ტახტი, რომლის დაბრუნებას ყოველთვის ახერხებდა. ცდილობდა გურიისა და სამეგრელოს სამთავროების დამორჩილებას.

* რედ. შენიშვნა: იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ IV.

[103] ბედიელი IV–სამეგრელოს ეპისკოპოსი (იხ:Lamberti A., დასახ. ნაშრ.,გვ.27-35).

ნათლობაზე, რაც გამოწვეული იყო ღმრთისმსახურთა დაბალი ცოდნით. მე მას (ბაგრატ - მ.პ.) წარმოვუდგინე: ჩემო უფლისწულო, თქვენ შეიძლება მონათლული არა ხართ. მაშინ ისეთმა პიროვნებამ, რომელიც ქრისტეს მონაცვლისგანაა გამოგზავნილი და იცის ნათლობის წესის ჭეშმარიტი ფორმები, არ შეიძლება ამას გულგრილად შეხედოს და არ ისარგებლოს იღბლით, რომელიც ზეციდანაა გამოგზავნილი. საჭიროა, ზუსტად გაირკვეს, იყავი თუ არა მონათლული, რადგან ხელახლა მონათვლა არც კარგსა და არც ცუდს მოგიტანთ, მაგრამ ადამიანის ხასიათზე ეს საიდუმლო თავის ნიშანს ტოვებს. ეს (ნათლობა – მ.პ.) სულისადმი პირველი წყალობაა და, თუ შენ მონათლული არა ხარ, მაშინ ჭეშმარიტი ნათლობით შენს სულში აღიბეჭდება ის ნიშანი, რომ ქრისტეს სამსახურში ჩაირიცხები და მოგანიჭებს სამოთხეში მიღწევის უნარს. ამის გარეშე საიდუმლოება, რომელიც პირველთა შორის უპირველესია, არაფერია. შენ, უფლისწულო, თუ ეს საიდუმლოება არ გაიარე, არც მაჰმადიანი ხარ და არც ქრისტიანი.

ამ საუბრის დროს უფლისწული გაწითლდა. მან მიპასუხა, რომ ის არ იყო მონათლული. ბაგრატმა თქვა: „ჩვენ აქ მარტო ვართ, მინდა ქრისტიანი ვიყო და მინდა იმან მომნათლოს, რომელმაც ნათლობის ჭეშმარიტი წესი იცის ისე, როგორც ეს ქრისტემ თავის მოციქულებს ასწავლა. გთხოვთ, ამის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ უთხრათ არავის“.

სარწმუნოების სიმბოლოსა და წმინდა საიდუმლოებების შესახებ ბაგრატს დარიგებები მივეცი და 1648 წლის 20 მაისს ქალაქ პერსულაში მოვნათლე. ამ უფლისწულმა გაიგო რა ჩემი გამგზავრების შესახებ (იტალიაში – მ.პ.), ბევრი სიკეთე აღმომჩინა. მამამისს კი (მეფე ალექსანდრე III-ს - მ.პ.) დავპირდი, სანამ ჯანმრთელი ვიქნებოდი, მისი ქვეყნიდან (იმერეთის სამეფოდან - მ.პ.) არასოდეს წავიდოდი.

ამის შესახებ გაიგო თუ არა ალავერდელმა, მთელი შესაძლებლობით გვლანძღავდა. დაუფიქრებლად გვდევნიდა ამ სამეფოდან. იგი ხშირად საუბრობდა ჩვენს სარწმუნოებაზე და ცდილობდა

ქადაგების დროს ჩვენი მისიონერები სიცრუეში გამოეჭირა. ამით ის იმას ცდილობდა, რომ ჩვენთვის ცილი დაეწამებინა. მაგრამ თეატინელი მამები ისე ფხიზლად იყვნენ, რომ მისი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი გულ-მოდგინებით ცდილობდა თავისი ბოროტი სურვილის აღსრულებას, მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

სხვა შემთხვევათა შორის მომაქვს ერთი შემთხვევა, რომელიც ქართლის სამეფოში მოხდა. ერთხელ იგი (ალავერდელი — მ.პ.) ჩვენს სახლში შევიდა. ეშმაკისგან გამოგზავნილი და მომართული პირდაპირ სამზარეულოსკენ გაემართა, სადაც დიდ ქვაბში კუს ვხარშავდით. ცხადია, მან წინასწარ გაიგო ამის შესახებ[104].

ალავერდელი სამზარეულოში შევიდა, მობრუნდა ჩემკენ და თურქულად გვკითხა: „მამებო, ამ დიდ ქვაბში რას ხარშავთ?"[105]. შემდეგ მან ქვაბს სახურავი თვითონ ახადა და დაინახა რამდენიმე კუ, რომელიც იხარშებოდა. კუმ, როგორც ცხოველმა, მასში ზიზღი გამოიწვია და როგორც კი დაინახა, ქვაბის სახურავი ხელიდან გაუვარდა და იქიდან ყვირილით გამოვარდა: „კირიეელეისონ, კირიეელეისონ, კირიეელეისონ!" („ბაშ ნე იერლერ ბუადამ დინსის იაკორ დოგუს"), რაც თურქულად ნიშნავს: „შეხედეთ, რას ჭამს, რას ხარშავს ეს ურჯულო, საძაგელი და ჭუჭყიანი ხალხი!"[106]

ყველანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდით. მას უკან მივდევდი და ვეუბნებოდი, რომ სიღარიბემ გვაიძულა, ვიკვებოთ იმით, რასაც ვპოულობთ, რადგან გზაში სომხებმა პირწმინდად გაგვძარცვეს. შემდეგ ვუმტკიცებიდი, რომ ასეთი ცხოველები კანონით არ იყო აკრძალული და ამის დასადასტურებლად სხვადასხვა ჩანაწერი მოვუტანე, რომ, რაც ყელში გადადის, სულს არ სვრის, როგორც ქრისტე ამბობს წმ. სახარებაში. მაგრამ მას არ უნდოდა არაფრის მოსმენა და მტკიცება ჩვენი მხრიდან. ეს კეთილი ეპისკოპოსი ყვიროდა: „კირიეელეისონ...". ჩვენი სახლიდან

---

[104] APF, Georgia, Castelli.

[105] რას ხარშავთ თქვენ? „ნე პისირურსენ?"

[106] „შეხედეთ, რას ჭამს ეს ურწმუნო კაცი?"

დიდად აღშფოთებული გავარდა, იფურთხებოდა და სომხების მოედნისაკენ გაემართა, სადაც თავი მოეყარათ ამ ქალაქის მცხოვრებლებს. ამ ხალხის წინაშე ნანახის შესახებ განაცხადა და თქვა: რაც არის მათი საკვები, იგივეა მათი სული და სარწმუნოება. აქვე დასძინა, მან გაიგო, რომ ჩვენ (მისიონერები — მ.პ.) ასევე ვჭამთ ბაყაყებს, ლოკოკინებს, გველსა და გველთევზას.

ამ ხალხს, თავისი ავტორიტეტის წყალობით, ალავერდელი მოუწოდებდა, როგორც კი დაგვინახავდა, ჩვენთვის მოეფურთხებინა. აქ მყოფი ყველა მაჰმადიანიც მოღუშულად, არამეგობრული თვალით გვიყურებდა და შეურაცხყოფას გვაყენებდა[107]. ხსენებული ეპისკოპოსის მეშვეობით, ეს ამბავი ცნობილი გახდა არა მარტო მოედანზე მყოფი ხალხისათვის, არამედ მეზობელი სამეფოებისა და მთავრებისთვისაც. როგორც კი გამოვჩნდებოდი, მაშინვე ამაზე იწყებდნენ საუბარს და მეკითხებოდნენ: გვითხარი, თქვენ რატომ ჭამთ კუს, ბაყაყს, ლოკოკინას, გველს და მათ მსგავსებებს. არაფერი მრჩებოდა სათქმელი, რომ ისინი დამეკმაყოფილებინა. ის მიზეზები, რომლებსაც ვასახელებდი, ბევრს აკმაყოფილებდა.

ამ დროს შემოქმედელი ეპისკოპოსის[108] მფარველობით მე წავედი გურიის სამთავროში. ჩვენ შესახებ (იგულისხმება კუს ხარშვის ამბავი — მ.პ.) ზემოთხსენებული ეპისკოპოსის ნათქვამი (ალავერდელის — მ.პ.) ჯერ კიდევ არ იცოდა შემოქმედელმა. მან (შემოქმედელმა — მ.პ.) უდიდესი პატივი მომაგო და თავისი მთავარი ეკლესიის, შემოქმედელად წოდებულის, რაც სამოთხეს ნიშნავს, გასაღები გადმომცა. ამ ეკლესიაში რამდენიმე კვირის განმავლობაში მთავარ საკურთხეველზე წმ. წირვას ვაყენებდი.

ეს ეპისკოპოსმა ალავერდელმა გაიგო. რაკი ჩვენ მისგან არ ვიმყოფებოდით შორს, ეშმაკის გულმოდგინებით ამოქმედებული, იგი მაშინვე გამოემართა და ეპისკოპოს შემოქმედელს შეხვდა. მაშინვე მომაკლდა შემოქმედელის მოწყალება. უკვე ეკლესიაში

[107] აქ. ურგულოები.

[108] შემოქმედელი, წმ. სილვესტრის საყდრის ეპისკოპოსი გურიის სამთავროში (იხ: M.Tamarati. დასახ. ნაშრ.,გვ.412) არქიმანდრიტ ლამბერტის მიერ შედგენილი ქართველი ეპისკოპოსების სრული ჩამონათვალი (იხ: Lamberti A.,დასახ. ნაშრ.,გვ. 25-35).

ლოცვის ჩატარების უფლებას არ მაძლევდნენ. გამომიყვეს საცხოვრებლად ადგილი. ეპისკოპოსმა ალავერდელმა გასცა განკარგულება, რომ დაენგრიათ მთავარი საკურთხეველი, სადაც ლოცვას ვაყენებდი და იგი ხელახლა აეგოთ. ალავერდელი ამბობდა, რომ იმ ეპისკოპოსმა (შემოქმედელმა – მ.პ.), რომელმაც აქ ჩამომიყვანა, უწესრიგობა გამოიწვია და, თუ აქედან არ გამაგდებდა, მას ჯოჯოხეთში გაისტუმრებდა. ეს მან შემოქმედელ ეპისკოპოსს პირადად უთხრა. მიიძულებდნენ, დავბრუნებულიყავი გორში, ჩემს რეზიდენციაში. რადგან აღმოსავლეთის (აღმოსავლეთ საქართველოს – მ.პ.) პატრიარქის მხრიდან არ ვიყავი დაგმობილი, სწრაფად მოვემზადე გორში წასასვლელად. ამით გამოვხატე მზადყოფნა, რომ ჩემდამი მტრულად განწყობილ ეპისკოპოსს ვემორჩილებოდი. ასევე მემუქრებოდა ალავერდელის მეგობარი ბერძენი ბერი, სახელად მიხიტარი და მით უფრო იძულებული ვიყავი, რომ აქედან წავსულიყავი.

ყოველივე ამის შესახებ გაიგო გურიის პატრიარქ-მთავარმა მალაქიამ. მან ნახა ჩემი ნახატები ბერძენი და ლათინი წმინდანებისა, რითაც ვაჩვენე შეთანხმება ბერძნებსა და ლათინებს შორის, ასევე ბევრი ლამაზად დახატული სურათები; თავის ხალხს მალაქიამ უთხრა: ჩემი ქვეყნიდან არ მინდა ასეთი ადამიანი წავიდესო. გამოგზავნა ჩემთან თავისი მსახური და შემომითვალა, რომ თავისი განკარგულებით მტოვებდა ამ სამთავროში, არაფრის შემშინებოდა და ნებისმიერი ბოროტი ბერძენისაგან დამიცავდა. ასევე დამაბინავებდა თავის ბაღში და თვალისჩინივით გამიფრთხილდებოდა. ისეთი პიროვნება, როგორიც მე ვიყავი, იმსახურებდა იმასაც კი, რომ პატრიარქი შემოქმედელ ეპისკოპოსთან ერთად ჩემთან მოსულიყო. რომ ამ უკანასკნელმა ჩამომიყვანა აქ და პატრიარქ-მთავარს ჩემს სასარგებლოდ ბევრ რამეს ეუბნებოდა, მაგრამ ვერ დამიცვეს ისე, როგორც საჭირო იყო.

პატრიარქ-მთავარს ვუთხარი, რომ არავისი მეშინოდა, ჩემი ლოცვებით ვემსახურებოდი ამ ღვთის ხალხს, რომელსაც ნაკლებად იცნობენ. თუ წირვის დაყენების საშუალებას მომცემდნენ, იმ ჩემს მცირე ბარგს შევკრავდი და თან ჩამოვიტანდი. კარგი იქნე-

ბოდა თუ ადგილს სასახლის ბაღში მომცემდნენ, რომელიც დიდი ღობით იყო შემოკავებული. იქ მექნებოდა სახლი და ეკლესია ჩემთვის და მსახურებისათვის, ასევე – ყველა საჭირო საგანი. ეს ყველაზე კარგი იქნებოდა, თუმცა მოწინააღმდეგეებს ღამით ყველაფერი შეეძლოთ დაეწვათ, რაზეც სათანადო ადგილას უკვე ვილაპარაკე[109].

პატრიარქ-მთავრის (მალაქია – მ.პ.) მიერ მფარველობაში აყვანის შესახებ გაიგო ალავერდელმა ეპისკოპოსმა. ის თავს ესხმოდა მალაქიას, მაგრამ ჩვენი მეგობრის (მალაქიას – მ.პ.) მიერ ყოველთვის უკუგდებული იყო. [პატრიარქ-მთავარი] ამბობდა, რომ ასეთი ადამიანი ამ ქვეყანაში არ გამოჩენილა, არ შეიძლებოდა მისი გაკიცხვა, არამედ მისი ცხოვრებით (რელიგიური – მ.პ.) უნდა აღფრთოვანებულიყვნენ, რათა ყველა ავადმყოფს მომსახურებოდა. არ არსებობდა ისეთი საქმე, რომელსაც ის სრულყოფილად არ გააკეთებდა. ამასთანავე, [პატრიარქ-მთავარი] დასძენდა: ამ ადამიანს ყველა ენაზე შეუძლია წერა, იცის ფრესკული მხატვრობა ზეთის საღებავებით, ახალ წიგნებს ქმნის, აღადგენს დროთა განმავლობაში გაფუჭებულ სურათებს, აკეთებს ქანდაკებებს, გრავიურებს, შექმნა ნაქარგობები და ა.შ. მისი წყალობით შეიქმნა ულამაზესი ნახატები და, განსაკუთრებით, ქართველი ქალებისა. იგი ძალიან სანდო ადამიანია და ქართველები უყვარს. მას ეპყრობიან როგორც ძმას, შვილს ან მამას და ამ სამთავროდან მისმა წასვლამ შეუძლებელია საყოველთაო გულისტკივილი არ გამოიწვიოს.

ხსენებული ალავერდელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და წავიდა. აღმოჩნდა, რომ ზიანის ნაცვლად სარგებლობა მივიღე. ამისათვის სრულებითაც არ მიზრუნია, რადგან ამქვეყნად სათნოებას ვაფასებ. ჩემი დევნა ბერძნებს უნდოდათ, რომლებიც ბოროტებით არიან განთქმულნი[110].

როგორც ვთქვი, პატრიარქი-მთავარი ჩვენ მიმართ კეთილად იყო განწყობილი. ის გარდაიცვალა და მისი ადგილი მისმა ძმამ,

---

[109] Silos I., C. R., დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 303.
[110] APF, Georgia, Castelli.

ვახტანგ გურიელმა, დაიკავა*. ის ჩვენი დაუძინებელი მტერი იყო. ამის გამო დიდი უსიამოვნებების შემდეგ იძულებული გავხდი ოდიშში[111], ანუ სამეგრელოში წავსულიყავი, სადაც მიქელე უნდა დამეცვა. ამის შესახებ მე უკვე ვწერდი[112]. იქ (სამეგრელოში — მ.ჰ.) ჩვენი მოწინააღმდეგე ეპისკოპოსი ალავერდელი მოვიდა და მომესალმა. ამ დროს იგი ოდიშის მთავარმა (ლევან დადიანმა — მ.ჰ.) კავკასიის მთებთან ახლოს მდებარე წალენჯიხის ეპისკოპოსად დანიშნა. მეტად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო ალავერდელის მოქმედება. მან კიდევ ერთხელ მოისურვა ჩვენი წირვა-ლოცვის ნახვა და, როცა ნახა, ჩვენი ერთგულებით კმაყოფილი დარჩა. თუმცა ჩვენი წირვა მათი წირვისაგან განსხვავდებოდა. მან შეარბილა ჩვენდამი თავისი გულისწყრომა და დაზავებაც კი უნდოდა. ისურვა, რომ დამეხატა რამდენიმე ბერძენი წმინდანის სურათი. შემდეგ ჩვენ შორის დიდი მეგობრობა დამყარდა.

ეპისკოპოსი ალავერდელი ავად გახდა წალენჯიხაში. შუა ღამისას, იანვრის თვეში, ჩემთან კაცი გამოგზავნა, რათა მისთვის მემკურნალა. ამ დროს თვითონ ავად ვიყავი. მიუხედავად ამისა, იძულებული გავხდი, იგი მენახა, რადგან ვთვლიდი, რომ ასეთი იყო ჩვენი უფლის ნება-სურვილი. მართალია, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ დავჯექი ცხენზე და მის სანახავად წავედი. მიუხედავად ამისა, რომ ბერძენი და სქიზმატიკოსები მღვდლებით იყო გარშემორტყმული, მან მითხრა: „მამაო კრისტოფალო, ჩემი აღსასრულის დრო უკვე დადგა, გადავდივარ სხვა ცხოვრებაში, თქვენს ხელში ვარ, შემიბრალე“. ვიცი, რომ ღმერთს ვემსახურები, რომელიც არ ციმატოვებს, არ მეშინია სიკვდილის, მაგრამ მეშინია სულის

* რედ. შენიშვნა: გურიის მთავარი ვახტანგ II გურიელი (1639-1640) გურიელად ასავა ლევან II დადიანმა და, ფაქტობრივად, მისი ვასალი იყო.

[111] რადგან ვახტანგ გურიელმა მთავრის ადგილი 1639 წელს დაიკავა, მამა კასელი გურიიდან წავიდა 1640 წლის 7 აგვისტოს (იხ: Licini P. A.,დასახ. ნაშრ.,გვ. 8). არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მომდევნო წელს ვატანგ გურიელი თავის აჟიშვილთან ერთად შეთქმულების მსხვერპლი გახდა. იმავე ლამბერტის თანახმად, გურიაში მისიონი დაიხურა ძმები კლაუდიოს, მიქელესა და ჯოვანისადმი ცული მოქცევის გამო, რომლებიც მამა კრისტოფორომ იქ დატოვა თეატინელთა რეზიდენციის დასაცავად (იხ: Ferro B. C. R. დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 729).

[112] იქვე. გვ. 39.

დაკარგვის, რადგან ცხოვრებაში შემოქმედის წინაშე უპატიოდ მოქცევა მოვასწარი. ალავერდელმა ეს დიდი გრძნობით თქვა და ჩანდა, რომ ყველა სიბოროტე ამოისუნთქა, რადგან მას სუნთქვის მეტი დრო არ რჩებოდა.

მკერდიდან მოვხსენი უწმინდესი ჯვარცმული, ვაჩვენე ქრისტე, ჩვენდამი სიყვარულისათვის დაჭრილი და დავძინე: არაფრის მეშინია, უფლის შვილს იმედი მაქვს, რომ ამ მუდამ გახსნილი ჭრილობისა და სისხლის ყველა ცოდვა გამოისყიდება მისდამი სიყვარულით. შევაწუხე და ვუთხარი: მინდა, რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებაში მოვკვდე და იდეის სიყვარულზე ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. მან სიტყვა ტირილით დაამთავრა და თქვა, რომ ბერძნული სარწმუნოების ერთგული იყო.

როცა საუბარი დავამთავრე, ბერძენ ბერებს შორის ჩოჩქოლი ატყდა ლათინების წინააღმდეგ და მე ხმამაღლა ვთქვი: ვამბობ გულწრფელად, ხოლო ისინი ჩემკენ მობრუნდნენ და დასძინეს: „მამაო, თქვენ მოგიწვიეს, რათა (ეპისკოპოსისთვის) სამკურნალო საშუალება მიგეცათ და არა იმისათვის, რომ იქადაგოთ, გეყოფათ, გეყოფათ, საწყალი ეპისკოპოსი წვალობს, რადგან მისი აღსასრულის დრო დადგა“. [მან] წმინდა სულის დახმარებით გაიგო ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები, [ალავერდელმა] დაინახა რა, რომ სიტყვებს მაწყვეტინებდნენ, მან ალერსით შემომხედა და ჩემი ნათქვამი მოიწონა. ლაპარკი კი არ შეეძლო. ძალა მაკავებდა და ცოტა აკლდა იმას, რომ ჩემთვის ხელები შეეკრათ. ამას ისინი გააკეთებდნენ ჩემ მიმართ აღშფოთების გამო, მაგრამ მათ ამისათვის გამბედაობა არ ეყოთ. ბოლოს კი ზრდილობიანად მომმართეს და გამომიშვეს, რათა გავდგომოდი თოვლიან გზას. გავიგე, რომ ეპისკოპოსი უფრო ცუდად გახდა და სანამ წამოვიდოდი, სამუდამო ცხოვრებაში გადავიდა. ყველა ნიშნით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეპისკოპოსი მშვიდად აღესრულა, რადგან იგი უმანკო ცხოვრებას ეწეოდა. ეს მისმა ნათესავებმა მითხრეს. ის 45 წლის ასაკში გარდაიცვალა და ქალებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ეს ცოტა რამ არ იყო ამ ასაკისათვის.

გურიის მთავართან წინააღმდეგობა ჩვენი მსახურის მიქელეს დასაცავად, რომელიც ხსენებულ მთავარს უნდოდა დიდი ბატონისთვის საჩუქრად გაეგზავნა

ბაში-აჩუკის, ანუ იმერეთის, სამეფოში წარჩინებულთა წრიდან, ერთ-ერთი აზნაურის შვილი, ექვსი წლის მიქელე, გურიის პატრიარქ-მთავარმა მალაქიამ თან წამოიყვანა, ხოლო შემდეგ იგი მსახურად ჩვენ გვაჩუქა. მიქელე მოვნათლეთ. მან ადვილად ისწავლა ჩვენი ენა (იტალიური — მ.პ.), ქრისტიანული დოქტრინა და სხვადასხვა ლოცვა; იყო მეტად ერთგული და ჩვენი მამების კეთილგანწყობა დაიმსახურა. მიქელეს საკუთარ შვილად ვთვლიდით. მან 13 წელს მიაღწია. იყო ძალიან ლამაზი და კოხტა. ამის გამო ის ამ სამთვაროში ცნობილი გახდა. ამასობაში გარდაიცვალა პატრიარქ-მთავარი მალაქია — დასავლეთ საქართველოს პატრიარქი, ჩვენი მფარველი. მის ძმას, ვახტანგს, რომელიც გურიის სამთავროს მთავრი გახდა, დიდ ბატონთან (სულთანთან — მ.პ.) დესპანის გაგზავნა და ჩვეულებრივი ყოველწლიური ხარკის მირთმევა უნდოდა. მთავარს ურჩიეს, რომ დიდი ბატონი (სულთანი — მ.პ.) მეტად დააფასებდა, თუ მას მთავარი ამ ყმაწვილს (მიქელეს — მ.პ.), რომელიც ჩვენ მსახურად მისმა ძმამ მოგვცა, გაუგზავნიდა. ამასთანავე, მიანიშნეს მიქელეს სილამაზესა და ბუნებრივ თვისებებზე. მთავრს ეს რჩევა მოეწონა და ჩემთან თავისი მსახური პიპინია ორთომელეა გამოგზავნა. მას ჩემთვის უნდა ეთქვა, რომ მთავარს კონსტანტინოპოლში დიდ ბატონთან (სულთანს — მ.პ.) უნდა გაეგზავნა საჩუქრები, მოეხსენებინა თავის აზრები თურქთა იმპერატორისთვის (სულთანისათვის — მ.პ.) და ნატიფ საქმედ ჩათვლიდა, თუ მას (სულთანს — მ.პ.) ასევე ამ ყმაწვილს (მიქელეს — მ.პ.) გაუგზავნიდა; რომ მთავარი ჩემში დარწმუნებულიყო, მისთვის სიკეთე მინდა და ამიტომ ეს ყმაწვილი მისთვის უნდა გამეგზავნა. ამგვარად, მთხოვდა, რომ მთავრისათვის მცირედი სამსახური აღმომეჩინა, მესიამოვნებინა იგი და სრული მზადყოფნა

გამომეჩინა. აქვე მაგრძნობინეს, თუ მიქელეს ნებით არ მივცემდით ძალით წაიყვანდნენ.

მას (პიპინია ორთომელეას – მ.პ.) ვუპასუხე: მართალია, მთავარი ბატონია, მაგრამ საქმე გვაქვს სულის გაწირვასთან, რომელიც მაჰმადიანების ხელში ვარდება და ამიტომ არ შემიძლია, მთავარი ვასიამოვნო. ეს იმიტომ, რომ მისი გათავისუფლებისათვის სისხლი დაღვარა ქრისტემ, რომელიც კვლავ დაბრუნდებოდა ამ სამყაროში და ისევ ტანჯვასა და სიკვდილს გადაიტანდა, რათა თუნდაც ერთი სული გადაერჩინა. ჩემი მდგომარეობა კი ასეთია: ვთვლი ჩემს თავს ქრისტეს მსახურად და ქვეყანაზე დავდივარ, რათა სულები დავამშვიდო. როგორ შემიძლია მთავარი ვასიამოვნო, როცა იმ სისხლის შესახებ ვიცი, რომელიც ამ სულისათვის დაიღვარა. ამიტომ მაკვირვებს მთავრის დაჟინებითი მოთხოვნა. მან ხომ იცის, რომ ქვეყანაზე იმისთვის ვარ, რომ სულები გადავარჩინო და არა დავკარგო ისინი. ეს ყმაწვილი კათალიკოს-მთავარ მალაქიასგან მივიღე, მისი გარდაცვლილი ძმისგან. ის აღვზარდეთ წმ. კათოლიკურ სარწმუნოებაში და რომის მოციქულობაში მოვაქციეთ. მე მას ჩვენს შვილად ვთვლი და არა – მონად ან მსახურად. დე, მთავარმა მაპატიოს, რომ ამაში სამსახურს ვერ გავუწევ. მთხოვოს სხვა სამსახური და მზად ვარ.

კაცმა, რომელმაც ეს მაცნობა, მოისმინა ასეთი შეუწყნარებლობა, უხერხულობაში ჩავარდა და მიპასუხა, ის კვლავ დაბრუნებოდა ჩემთან და დასძინა, რომ ცუდად ვიცოდი ამ ქვეყნის კანონმდებლობა. ასევე მაგრძნობინა, რომ მე მის ქვეყანაში ვიმყოფებოდი და ყველაფერი მას ეკუთვნობდა, ვინც ამ ქვეყანაში მეფობდა. ასევე თვითონაც მთავარს ეკუთვნოდა. როდესაც იგი [მთავარი] ამ ქვეყნის მმართველი გახდა, უფალმა მეც, როგორც სხვები, მისი მონა გამხადა და შეეძლო თურქებზე გავეყიდე, როცა ეს მას მოესურვებოდა. მთავარი ამას კიდეც გააკეთებდა, თუ აზრად ასეთი რამ მოუვიდოდა; თუ მთავარს ამ ყმაწვილს არ მივცემდი, ის ჩვენდამი მტრულად განეწყობოდა. მთავრის წარგზავნილებმა იმ დიდი საშიშროების შესახებაც მითხრეს, რომელიც მომელოდა.

ასევე ვხედავდი, რომ დაუცველი ვიყავი. ამიტომ მიქელე ეკლესიაში წავიყვანე, იქ ჩავკეტე, კარი ბოქლომით დავკეტე და ამ კარებთან დარაჯად დავდექი. მთავრის კაცებს ვუთხარი: არ შემიძლია, არც მინდა და არც უნდა მივცე ეს ყმაწვილი მთავარს; ათასჯერ გავწირავ სიცოცხლეს, მოვკვდები ამ კარებთან, ვიდრე ნებას მივცემ, რომ აქედან ეს ყმაწვილი წაიყვანონ. უფრო სიცოცხლეს დავთმობდი, ვიდრე ამ ყმაწვილს, რომელიც თურქებს უნდათ გაუგზავნონ; მინდა, ვნახო აქ ვინ გაიმარჯვებს – ღმერთი თუ ეშმაკი.

ისევ მოვიდნენ ჩემთან, რათა ძალა გამოეყენებინათ. მეუბნებოდნენ, რომ მეტისმეტად ვთავხედობდი და საჭირო იყო ძალის გამოყენება, რათა მიზნისთვის მიეღწიათ. უპირველეს ყოვლისა, ვთხოვე, რომ მთავარისათვის მოეხსენებინათ, რომ ის ახლოს იყო ჩვენთან და თვითონ ეხილა საწყალი მღვდელმსახურის წინააღმდეგობა. ამისი მსგავსი მათ ქვეყანაში არასოდეს მომხდარა, რადგან მთავარი აბსოლუტური მმართველია, როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროში. ამიტომ არავის შეეძლო, რომ მისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. არ ეიძულებინათ მთავარი უსამართლო განკარგულება გაეცა.

გამოგზავნილი პირები მთავართან დაბრუნდნენ და იმ წინააღმდეგობაზე მოახსენეს, რომელსაც მათ ვუწევდი. ისინი მთავარს არწმუნებდნენ, რომ საჭირო იყო ჩემზე ძალით ემოქმედათ, რათა ეს ეკლესიის შვილი წაერთვათ. ასევე მოახსენეს [მთავარს], რომ მზად ვიყავი, მიქელესთვის თავი გამეწირა.

თვით მთავარმაც იცოდა ჩემი ხასიათი, რომ შეუპოვარი ვიყავი. წარგზავნილებმა კი მთავარს ისე მოახსენეს, როგორც მე დავაბარე.

გაცოფებული მთავარი ყვიროდა: წადით და ის პიროვნება კისერზე თოკმობმული იმ ყმაწვილთან ერთად ან მკვდარი ან ცოცხალი მომიყვანეთ. როცა ის ადამიანები მოემზადნენ მთავრის ბრძანების შესასრულებლად, ზოგიერთმა იქ დამსწრე მეგობარმა მთავარს უთხრა: „ბატონო, მამა კასტელის მიმართ ცუდად მოქცევა არ შეიძლება. მისი გულმოდგინებისათვის, რომ სულები გადაარჩინოს, მამა კასტელი პატიების ღირსია. ის უცხოელია და ასე იოლად არ გამოვა მისი შვილობილის თურქებზე გაყიდვა. მან

ჩვენი სამთავროსათვის ბევრი სიკეთე გააკეთა. ის ეპისკოპოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ მოიყვანა და დიდი ხანია ჩვენს ქვეყანას ემსახურება. წლების განმავლობაში მან ლამაზი სახეებით მორთო ჩვენი ეკლესიები და მაჰმადიანები ქრისტიანებად მოაქცია.

ჩვენს ქვეყანაში ვერ იპოვი კაცს,რომლის მიმართ მკურნალობის საქმეში მას სიკეთე არ გაეკეთებინოს. მისი სათნოებისა და წმინდანობისთვის ის განსაკუთრებით ჩვენს ქალებს უყვართ და პატივს სცემენ, როგორც ძმას, მამასა და შვილს. კასტელის მიმართ არ შეიძლება უხეიროდ მოქცევა, რადგან ამას სამთავროში უარყო-ფითად შეხვდებიან. უკეთესია, იმაზე ვიზრუნოთ, რომ მას ფაქიზად მოვექცეთ, შევთავაზოთ ფული ან რომელიმე სხვა ყმაწვილი, რომელიც მიქელეს მგავრად მოემსახურება. ასე მშვიდად და უხმაუროდ ხელში ჩავიგდებთ იმ ყმაწვილს, რომელიც მთელი სამთავროსათვის სასურველია“.

მე ჩინებულად ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი იმისათვის კეთდებოდა, რომ მიქელე ჩემთვის წარეთმიათ. გადავწყვიტე, ჩემი განზრახვა მტკიცედ შემესრულებინა და არავითარი დაპირება არ მიმეღო. ასევე მირჩევდნენ, რომ, ჩემდამი კარგი დამოკიდებულების გამო, მიქელეს შევლეოდი. მთავარს ეს კარგ რჩევად მოეჩვენა და თავის კაცებს უბრძანა, რომ ცუდად არ მომქცეოდნენ, არამედ ტკბილი ენით მომლაპარაკებოდნენ და ეს ყმაწვილი ჩემგან მოხერხებულად წაეყვანათ.

მთავრის წარგზავნილები ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს: „აი, მამაო, ხედავთ მთავრის კეთილგანწყობილებას, რომელიც თავისი ქვეყნის აბსოლუტური ხელისუფალია. თქვენ ის პატივს გცემთ. ასე, განსაკუთრებით, სხვას არავის ექცევა. არა მარტო ეპისკოპოსს, არამედ პატრიარქსაც მისთვის არასოდეს გაუწევია წინააღმდეგობა და თქვენ ამ ყმაწვილის გამო მთავრის კეთილდამოკიდებულებას დაკარგავთ“.

მათ [წარგზავნილებს] ვუპასუხე, რომ ნათქვამს ვერაფერს დავამატებდი. უდიდესი ბედნიერება იქნებოდა, სიცოცხლეს შევლეოდი და სისხლი დამეღვარა, ვიდრე მიქელე დამეთმო. ვითხოვე

პატიება იმისათვის, რომ არ შემეძლო მთავრისთვის სამსახური აღმოეჩინა. სხვა საქმეში მისი ისეთი მსახური ვიქნებოდი, როგორიც დღემდე ვიყავი. მათ წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოვთქვი იმ დიდი ცოდვის შესახებ, თუ თურქებს ამ უმწიკვლო ყმაწვილს მივცემდი. მთავრის წარგზავნილებმა საწინააღმდეგოში ვერ დამარწმუნეს.

ბოლოს, მთავრის წარგზავნილმა თავისი ქუდი მიწაზე დააგდო და ის საათი დასწყევლა, როცა ამ სამთავროში ჩამოვედი. ის პიროვნებაც შეაჩვენეს, რომელმაც ჩამომიყვანა აქ და ადგილი მომცა. მისი აზრით, ამის გამო ქრისტიანები დროთა განმავლობაში ინანებდნენ. იგი რომის ეკლესიის მღვდლების წინააღმდეგ ყვიროდა და დაბრუნდა თუ არა მთავართან, მოახსენეს, რომ მიქელეს გადაცემის შესახებ მტკიცე უარზე დავდექი.

მთავარმა მას წყევლით უპასუხა და დასძინა: „დაწყევლილი იყოს ჩემი ძმა მალაქია, რომელსაც ქვეყანაში ასეთი ადამიანების ყოლა უნდოდა. არაერთხელ მითხრეს ჩვენმა ეპისკოპოსებმა, რომ ჩემი ძმა (მალაქია – მ.პ.) უგუნური იყო, დიდი შეცდომა დაუშვა თავის დროზე და ვერ შეამჩნია იგი, რადგან ეს ფრანკები (ასე უწოდებნდნენ ლათინებს) ცხვრის ტყავში გახვეული მხეცები არიან. ისინი (მისიონერები – მ.პ.) ამისთვის ჩამოვიდნენ, რომ მთავრებზე გაბატონდნენ და ქვეყნის პატრონნი გახდნენ, როგორც ეს მათ აღმოსავლეთ ინდოეთში გააკეთეს[113]. ახლა თქვენ ნახეთ, თუ რას აკეთებს ეს პატარა კაცი ჩემს ქვეყანაში“.

ამის შემდეგ მთავარი თავის სასახლეში შევიდა, მეტად აღელვებული ულვაშებს იწიწკნიდა და არ იცოდა, რა გაეკეთებინა. მან გადაწყვიტა, მეორე ღამეს გავეგზავნეთ ციხეში და დავეხრჩვეთ,

[113] არშიაზე კასტელის მიუწერია: „მე ვნახე ეს ნაყოფი, რომელსაც, უფალი ღებულობს ერეტიკოსების დევნის საფუძვლად. მას მოთმინებით მხარს უჭერდნენ ჩვენი მამები“. 1636 წელს ავიტაბილე წავიდა ქართლიდან, ხოლო მომდევნო წელს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ მას უფლება მისცა იდნოეთში გამგზავრებულიყო მამა ე. არდიცონესა და მამა ფ. მანკოსთან ერთად. ამ სამ თეატინელს გაჰყვა კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი ანდრია ლიპომანო. ის მისიონერებმა აღზარდეს. მას ბევრი რამ უნდა გაეკეთებინა ინდოეთში ახალი მისიონისათვის (იხ: Silos I., C.R., დასახ. ნაშრ., ტ.III, გვ. 265-266). თავიდან სასულიერო პირები შეიფარეს კარმელიტმა მამებმა, ხოლო შემდეგ გოას ეკლესიის დეკანმა კარდინალმა რიეი გომესმა (იხ: Andeu F., C. R., დასახ. ნაშრ., გვ. 81).

რათა დილას მკვდარი ვეპოვეთ. მეუბნებოდნენ, რომ მთავარი ვერ გადაიტანდა ასეთ საჯარო შეურაცხყოფას და ჩემ წინააღმდეგ რაიმეს ჩაიდენდნენ. მე ამას ველოდებოდი და სიკვდილის მოლოდინში მთელი ღამე ლოცვაში გავატარე. ვლოცულობდი ქრისტიანული სულის განმტკიცებისთვის და წმინდა ლოცვებს ვკითხულობდი. ამრიგად, შეუიარაღებელი ველოდი ახალ ბრძოლას. მეორე დღე გათენდა, მაგრამ ჯალათი არ გამოჩენილა. ჩემი ასეთი მოქმედებით ალფრთოვანებული ზოგიერთი პიროვნება ამბობდა, რომ დიდი რისკის წინაშე დავაყენე თავი და, დე, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი. ეს მით უფრო, რომ საქმე მქონდა მეტად მკაცრ, შურისმაძიებელი და სისხლის მოყვარულ მთავართან, რომელიც ამას მამა კასტელის არ აპატიებდა. ეს შურისძიება იქნებოდა საჯარო, რათა სხვებისთვის, ვინც მთავარს წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგალითი ყოფილიყო.

ჩვენი სახლი და ჩემი მეგობრები შეშინებულნი იყვნენ და ელოდნენ, ვის დაატყდებოდა მთავრის რისხვა. შემდეგ ასეთი რამ მოხდა: კაცი გავაგზავნე ჩვენს ბაღში, რომელიც მთავრის ძმამ, მალაქიამ, მოგვცა, რათა კაკლისა და ხილის ნაყოფი დაეკრიფა, მაგრამ ნახეს, რომ ის უკვე მოკრეფილი იყო. არ მეყო მხნეობა, რომ მეჩივლა. მაშინვე გავაგზავნე ჩვენი მსახურები, რომ ყურძენი მოეკრიფათ, მაგრამ იქაც ისეთივე სურათი დახვდათ.

ამის შესახებ მთავარს ვაცნობე. მან იმ ადამიანების მიმართ აღშფოთება გამოხატა, მაგრამ სინამდვილეში ეს მისი ბრძანებით მოხდა. მთავარმა წამართვა მიწები. მისი ბრძანებით, მძიმე პირობები შემექმნა. გაჭირვება და სიღარიბე გვახრჩობდა. როცა დავაპირე რომელიმე ნაკვეთზე ცოტა ფეტვისა და სხვა მარცვლეულის დათესვა, იქიდან გამომაძევეს. ერთ-ერთმა, ლევან ბერიძემ, თქვა, რომ მთავარმა ყველა ჩვენი მიწის ნაკვეთი გაყიდა. ცხადია, მთავარი ჩემზე განრისხებული იყო მიქელეს გამო, რომლის გადაცემაზე უარი ვუთხარი. უარესის მოლოდინში ვიყავი.

ყოველმხრივ მავიწროვებდნენ. მთავრისთვის კი მე წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო. ამიტომ ოდიშის მთავარს მივწერე,

რომელსაც დიდი ხნის წინ სურდა ჩემი მიწვევა და ზოგიერთი წიგნის გადაცემა[114]. ლევან დადიანმა დეტალურად გამოიკითხა ყველაფერი, თუ რა მოხდა ჩემსა და ვახტანგ გურიელს შორის; ამ სამთავროში რატომ ვიყავი უკმაყოფილო, როცა სიამოვნებით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ჩანდა, რომ ოდიშის მთავარს თავის სამსახურში უნდა ჩავეყენებინე. ეს ის დრო იყო, როცა ჩემს დასაპატიმრებლად უკვე ხალხი გამოეგზავნათ[115]. მე გავემზადე და ველოდებოდი ოდიშის მთავრის მითითებებს.

სამეგრელოს მთავარმა ჩემი წერილი მიიღო. სურდა, ზოგიერთი საკითხისა და წიგნის გამო ვენახე. მას ეს ძალიან უნდოდა. მთავარმა (ლევან II დადიანმა – მ.პ.) მას (გურიის მთავარს – მ.პ.) დაუყოვნებლივ აახლა მამუკა ვაკოსტაშვილი. ეს დიდი და ძლიერი ადამიანი ოდიშის მთავრის სიძე იყო. წერილში ლევან დადიანი გურიის მთავარს სთხოვდა, რომ ხელი შეეწყო მცირე ხნით ოდიშში ჩემი გაგზავნისათვის, ხოლო შემდეგ უკან მასთან, კვლავ დამაბრუნებდა. მოლაპარაკება ჩემ გარეშე მიმდინარეობდა. ვახტანგ გურიელი მიხვდა, რომ მე გურიიდან წასვლას ვაპირებდი. მას ჩემი სურვილის დაკმაყოფილება უნდოდა, მაგრამ მანამდე სურდა, ესარგებლა შემთხვევით და მისთვის სან მარკო დამეხატა. მან ვერ გაიგო, რომ მე აქედან იძულებით მივდიოდი. გადაწყვიტა, თავისი დანაშაული გამოესწორებინა. ვახტანგ გურიელმა, დესპანის მეშვეობით, ლევან დადიანთან ვრცელი და საამური სიტყვებით დაწერილი წერილი გააგზავა. ბოდიში მოუხადა მას და შეუთვალა, რომ უმალვე ვერ შეძლო ჩემი გაგზავა, რადგან ავად ვიყავი. როგორც კი კარგად გავხდებოდი, დაუყოვნებლივ გამაგზავნიდა.

ამასობაში ვახტანგ გურიელი შეეცადა, რომ ჩემთვის ყველაფერი დაებრუნებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ოდიშის მთავარმა გაიგო, რომ მე კარგად ვიყავი. ის გახელდა ამ მთავრის (ვახტანგ გურიელის – მ.პ.) წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ავად ვიყავი და სხვა მისთანანი, რაც სინამდვილე არ იყო. ოდიშის

[114] APF, Georgia, Castelli.

[115] APF, Georgia, Castelli.

მთავარმა მაშინვე დაწერა მეორე წერილი და იმავე შიკრიკის ხელით გაუგზავნა. წერილში ნათქვამი იყო, რომ ოდიშის მთავრისათვის ცნობილი იყო, რომ მე სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. მან ისიც იცოდა, რომ ჩემში ეს მთავარი (ვახტანგ გურიელი – მ.პ.) ზიზღს იწვევდა და მე აღარ მინდოდა ამ სამთავროში დარჩენა. ამავე წერილში მითითებული იყო, რომ ამ თავადს (მამუკა ვასკოტაშვილს– მ.პ.) მოვენახე, მომლაპარაკებოდა და თან წავეყვანე. ასეც მოხდა.

ლევან დადიანმა გურიის მთავარს უთხრა, რომ პასუხის მოწერა საჭირო არ იყო, რადგან არსებობდა მისი ბრძანება იმის შესახებ, რომ ჯანმრთელი თუ ავადმყოფი ოდიშის სამთავროში უნდა წავეყვანეთ. თუ საჭირო გახდებოდა, ძალით წამიყვანდნენ. გურიის მთავართან დიდი ხმაური ატყდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა ისინი ჩვენს ბინაზე მოვიდნენ, სახელდობრ, გურიის მთვარი და ოდიშის მთავრის დესპანი, რათა გაეგოთ, როდის შევძლებდი წასვლას. დროს დაკარგვა არ მინდოდა და მეორე დღისთვის გადავწყვიტე წასვლა. ამასთანავე, მათ ვუთხარი, რომ სრულებითაც არა ვარ არც ექიმი, არც ინჟინერი, არც არქიტექტორი, არამედ ვარ მისიონერ-მქადაგებელი, მისი უწმინდესობის პაპი ურბანოს გამოგზავნილი (ქრისტეს ნაცვლისა და წმ. პეტრეს მემკვიდრის მიერ) რათა ბერძნებისაგან გზაბნეულებს ვასწავლო გზა ზეცისკენ. ასევე ვთქვი, რომ ამ სამთავროში (გურიის – მ.პ.) შვიდი თუ რვა წელი გავატარე. ბევრი ვიღვაწე, რათა მათ თავი დაეღწიათ უბედურებისაგან. ვიტანჯე, რათა ისინი გამეთავისუფლებინა ჯოჯოხეთისაგან, რომ სამოთხეში მიმეყვანა, მაგრამ ჩემი შრომით არ ისარგებლეს. ვურჩევდი, სახარების გზას გაჰყოლოდნენ, რომლის ულირსი მსახური მეც ვიყავი. ხელში ავიღე ფეხსაცმელი, მთავრის, შიკრიკისა და ყველა იქ დამსწრე ადამიანის წინაშე ევანგელისტური ცერემონიალი ჩავატარე, ვიქადაგე და ყველა გაოცებაში მოვიყვანე. ასეთი რამ მათ არ ენახათ, რის გამოც მთავართან ჩურჩულებდნენ.

ამრიგად, ყველა გაოცებული დარჩა. ხელში ჩემი ბარგი ავიღე, სამღვდელო სამოსელი, გვერდით ოთხი ყმაწვილი დავიყენე, რომე-

ლიც აწ გარდაცვლილმა პატრიარქ-მთავარმა მალაქიამ მოგვცა. ერთ-ერთს გრეგორიო ერქვა, მეორეს – ჯუზეპე, მესამეს – ჯოვანი, ხოლო უფროსს – მიქელე. სწორედ ეს უკანასკნელი იყო მთავართან განხეთქილების მიზეზი. შესანიშნავ თანმხლებ პირებთან ერთად სამეგრელოსკენ[116] დავიძარი. აღმოვჩნდი რა გურიის მთავრის სასახლის მოედანზე, დავინახე, რომ ვახტანგ გურიელი დიდად გაოცებული იყო, რადგან საწყალმა უცხოელმა მღვდელმა დაამარცხა. მაგრამ ღმერთი თავის საქმეს იცავს. იქ იყო თავის თანმხლებ ქალბატონებთან ერთად დედოფალი. მას მრავალი წლის განმავლობაში ვემსახურებოდი სხვადასხვა საქმეში. ისინი ჩემს გასაცილებლად მოვიდნენ. ჩემი გადაწყვეტილებით მოწყენილნი და დამწუხრებულნი იყვნენ. არ დარჩათ რა რწმენა იმისა, რომ უკან დავბრუნდებოდი, მათ მთავრის მიმართ აღშფოთება გამოხატეს, რადგან ის ცუდად მომექცა მიქელესა და მიწების გაყიდვით. ისინი დედოფალს პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ მთავარს ასეთი დამსახურებული პიროვნების მიმართ არ უნდა ჩაედინა ასეთი საქციელი. [მთავარს] უნდა ეფიქრა იმაზე, რომ მე დიდი მორალური ძალა მქონდა.

დედოფალმა და ყველა იქ მყოფმა ქალმა ერთი რამე მთხოვეს, განაწყენებული არ წავსულიყავი. მე დავპირდი, რამდენიმე ხნის შემდეგ დავბრუნდებოდი, თუნდაც გავლით. ამით ისინი კმაყოფილი დავტოვე. მთხოვეს, დამეფიცა, რომ დავბრუნდებოდი და ნაწყენი არ ვიყავი იმ ბოროტების გამო, რომელიც მთავარმა ჩემ მიმართ ჩაიდინა. ეს ყველამ ერთად მთხოვა. ამან მაიძულა ცხენიდან ჩამოვსულიყავი და წამიყვანეს ეკლესიაში. ამ ბატონებისა და სასახლის კარის მსახურთა ხვეწნა საოცარი სანახავი იყო. მთხოვდნენ, დამეფიცა, რომ უკან დავბრუნდებოდი. მთავრის, ეპისკოპოსის, მღვდლების და სასახლის კარის მსახურთა წინაშე განვაცხადე, რომ სახარების მუშაკნი არასოდეს ფიცს არ დებენ. ვერასგზით ვერ მაიძულეს, რომ დამეფიცა. ისინი ჩვენი სიმტკიცით აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

[116] მამა კასტელი 1642 წლის 14 სექტემბერს წიფურიადან მამა გალანოსადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ ძმები კლავდიო, მეტელე და ჯოვანი გურიაში დარჩნენ ვახტანგ გურიელის სიკვდილამდე (იხ: Licini P.A., დასახ. ნაშრ., გვ. 35).

ბოლოს ჩემდამი თხოვნით დაიღალნენ, გადავეხვიეთ ერთმანეთს, შემსვეს ცხენზე და დიდი სითბოთი მითხრეს: „ღმერთმა აპატიოს იმას, ვინც თქვენი წასვლის მიზეზი იყო. როდის ვიპოვოთ ჩვენ კიდევ მეორე ასეთ ადამინს, რომელიც განკურნავს ავადმყოფებს, გაგვიკეთებს ნახატებს. დავკარგეთ საუკეთესო ადამიანი, რომლის მსგავსი ჩვენს ქვეყანაში არ გვინახავს". ასეთი სასიყვარულო სიტყვები ითქვა. მე კი ამ ქალბატონებსა და ბატონებს ვუმეორებდი უკვე ბევრჯერ ნათქვამ სიტყვებს მანამ, სანამ მხედველობიდან ერთმანეთს დავკარგავდით. მე[117] ამ სამთავროში ერთადერთი ვიყავი, ზოგი ჩემი ამხანაგი მოკვდა, ზოგი – წავიდა.

მთავარმა თავისი კარისკაცებით საკმაოდ შორს გამაცილა, ხოლო შემდეგ გადამეხვია, ბედნიერი გზა და ბედნიერად უკან დაბრუნება მისურვა, რადგან ფიქრობდა, რომ ჩემს პიროვნებას ისევ იხილავდა. ეს არ მოხდა, რადგან იგი მალე მოკვდა[118].

გურიიდან გავემგზავრე და შვებით ამოვისუნთქე, რადგან თავი დავაღწიე ინტრიგების დიდ კვანძს. კარგი გამყოლის მეშვეობით ჩვენს მსახურებსა და ბარგთან ერთად სამეგრელოს, ანუ ოდიშისკენ, გავემგზავრეთ. მართალია, გურიიდან სამეგრელომდე სულ ორი დღის სავალი გზაა, მაგრამ ეს შვიდ დღემდე გაიწელა, რადგან სხვადასხვა ქალაქში ვჩერდებოდი, ვქადაგებდი, ვმკურნალობდი და ბავშვებს ვნათლავდი. სამეგრელოში ჩასვლამდე ბევრი ბავშვი მოვნათლე. ოდიშში კი მთავარი ლევან დადიანი და სხვა პირები მოუთმენლად მელოდნენ[119]. ასევე ჩემი დიდი მოლოდინი ჰქონდათ ოდიშის სამთავროში მოღვაწე ჩვენს მამებს – ჯუდიჩესა და ლამბერტის[120]. სამეგრელოში ჩემდამი კეთილად მოპყრობისა და მოფერების ბრძანება უკვე გაცემული იყო. გარდა ამისა, ბრძანების თანახმად, უზრუნველყოფილი იყო ჩემი უშიშროება ქალაქიდან ქალაქში გადაადგილების დროს; მომეცა თავისუფლება და, როცა

[117] ეს იყო 1640 წელს.
[118] Licini P. A., დასახ. ნაშრ., გვ. 35.
[119] APF. Georgia, Castelli.
[120] სამეგრელოში მამა ჯუდიჩეს ყოველდღიური ცხოვრების შესახებ (იხ: Licini P.A., La corrispondenza di D.C. Castelli in "Bedi Kartlisa, Revue de Kartvélologie", Paris, XXXIX. 1981, გვ.126-162; 412-435).

მომესურვებოდა, მაშინ გამოვცხადდებოდი მთავრის წინაშე, რომელიც მე ვნახე სიპიასში[121]. მთავარი მეტად მხიარულ გუნებაზე იყო, რადგან თვითონ წამიყვანა გურიიდან. მან მითხრა, რომ ამ სამთავროში ყველაფერი საკმარისი იყო იმისათვის, რომ დაეცვა ისეთი პიროვნება, როგორიც მე ვიყავი; აქ ისეთი რამის ნუ შემეშინდებოდა, რაც გურიაში მოხდა; რამდენიმე დღე დამასვენებდა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ნახატის გაკეთებას დამავალებდა, რომლებიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ჩემი ხელით უნდა შესრულებულიყო. მთავარს უნდოდა, რომ მომეხატა მისი მთავარი ეკლესია ზუგდიდში და ამ ნახატებში მეჩვენებინა მისი მეუღლის, დედოფლის, ისტორია. კერძოდ, მისი ავადმყოფობა და გარდაცვალება. ყველივე ეს ეკლესიის კედლებზე უნდა დამეხატა ფრესკების სახით[122].

ეს იყო ნატურალური სიდიდის ფიგურებით დახატული ისტორია, სადაც გამოსახული იყო მომაკვდავი და მიცვალებული დედოფალი, დამწუხრებული მთავარი ქალების, ექიმებისა და ჩვენი მამების, რომელთაც წამლები მიაქვთ, გარემოცვაში.

ამ მხარეში მყოფი ბერძენი მხატვრები მაღალ შეფასებას აძლევენ რომაულ ფერწერას, ვინაიდან მათი სურათები სიმშრალით, სიცოცხლის უკმარისობითა და არა ზეშთაგონებით ხასიათდებიან. მოვახერხე, რომ ბერძენი მხატვრების ყურადღება დამემსახურებინა. ბერძენმა მხატვრებმა ქება-დიდება შემასხეს და თქვეს, რომ აღმოსავლეთში ჩემი მსგავსი ფუნჯის, ნახატებისა და ფერწერის ოსტატები არ იყვნენ. მათი აზრით, რამდენადაც მე ვიყავი პირველი ოსტატი, მთავარს ყველაფერი უნდა მოეცა, რასაც მოვითხოვდი, რათა ჩემი ნამუშევრებით მესახელებინა მისი ქვეყანა.

ბერძენი ბერების რჩევით, მთავარმა ბრძანა, რომ დასრულებული ნახატები მეტად ძვირფასი ატლასის ქსოვილით დამეფარა, რათა

---

[121] იგივე წიფურია, სადაც სამეგრელოს მთავარმა თეატინელებს მისცა ეკლესია და რეზიდენცია (იხ: M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 549). მარა კასტელის სხვა წერილში მისი სახლეწოდების სხვა ვარიანტიცაა: "სეპორიას". მარა კასტელის ინტერესის მეფე ალექსანდრესთან მიჰქონდა პაპ ურბან VIII-ის სარეკომენდაციო წერილი.

[122] ციტირებულია მამ გალანოსადმი 1642 წლის 14 სექტემბერს მიწერილ წერილში.

საღებავი ჰაერს არ დაეზიანებინა. მისივე ბრძანებით, მიწაზე აგური უნდა დაეგოთ, რათა მოხატულობა სინოტივეს არ გაეფუჭებინა, ხოლო ეკლესიის გარეთა კედლები, რომლებიც განკუთვნილნი იყო ბარელიეფისათვის, ისე უნდა დაეცვათ, რომ მათზე წყალი არ ჩამოსულიყო. როდესაც მის ქვეყანაში (სამეგრელოს სამთავროში — მ.პ.) უცხოელები ანდა დიდი პიროვნებები ჩამოდიოდნენ, მთავარს ისინი მაშინვე მიჰყავდა ეკლესიაში და ამ მოხატულობას აჩვენებდა, როგორც არაჩვეულებრივს, რომელზეც ყველა პერსონაჟი ბუნებრივი და ცოცხალი გეგონებოდათ. ამბობდნენ, რომ ამ აღტაცების გამოსახატავად სიტყვები არ კმაროდა. გავრცელდა ხმა, რომ ამისი მსგავსი მოხატულობა მთელ ქვეყანაში არ არსებობდა.

სანამ სამეგრელოში ვიყავი, მთავარმა ჩემთვის ბევრი რამე გააკეთა, თუნდაც ავიღოთ წასვლა. [სამშობლოში], როცა მივემგზავრებოდი, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩ დე ლა ესთან[123] სარეკომენდაციო წერილი დამეწერა. მასში ნათქვამი იყო, რომ მის ქვეყანაში ბევრი სასწაული მოვახდინე და დავწერე თხზულებები. თავის მხრივ, საფრანგეთის ელჩი დე ლა ე კარდინალ ანტონიო ბარონის წერდა, რომ პაპა ურბან VIII-საგან დიდი ქებისა და ჯილდოს ღირსი ვიყავი. რომში კარდინალი ვერ ვიპოვე. ბატონი ელჩისა და აღმოსავლეთის სხვა მთავრის წერილები თან მქონდა[124]. ამრიგად, მე წამოვედი საქართველოდან. მთლიანად დავკარგე ჯანმრთელობა, ოპიუმის გარეშე ვერ ვიძინებდი. საყლაპავი და ყელი ისე მიშრებოდა, რომ აუცილებელი იყო რაიმე წამალი. საჭმლის მონელება მიჭირდა, ტკივილს განვიცდიდი, ელენთა გამიდიდდა, ღვიძლი მჩხვლეტდა, სახსრები მტკიოდა, შეგრძნების უნარი დავკარგე, კუჭ-ნაწლავი მტკიოდა.

---

[123] იგულისხმება საფრანგეთის ელჩი დე ლა ე. რომელიც ვენეციასა და პორტაას შორის ცდილობდა შუამავლობის გაწევას, რათა კანდიისათვის ხანგრძლივ ომს ბოლო მოღებოდა (1645-1669) (იხ: Cessi R., დასახ. ნაშრ., გვ. 183). დე ლა ე ბევრ რამეში ეხმარებოდა თეატინელებს. გულმოდგინედ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. გარდა ამისა, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ სწორედ ამ ელჩმა გაგზავნა პაპის ტახტთან სარწმუნოების აღსარებით კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქი კირიაკი 1642 წელს.

[124] ეს წერილი დაკარგულია.

როგორც ვენეციელი და პალერმოელი ექიმები[125] ფიქრობენ, ეს გამოწვეული იყო მრავალი წლის განმავლობაში ცხენზე მჯდარი მოგზაურობით. ეს ხდებოდა ივლისის და აგვისტოს პაპანაქებაში, წვიმის, თოვლის, სიცივისა და ყინვის დროს. ხანგრძლივი მოგზაურობა მიწევდა მთებში, ტყეებსა და წარაფ ადგილებში, რადგან ხან აქეთ მიწევდნენ, ხან იქით, როგორც ამ მხარეში სახელგანთქმულ ექიმს. ცხენზე მჯდომს უკვე აღარ შემეძლო მგზავრობა, ხშირად ცხენიდან ვვარდებოდი, ძლივს მივათრევდი სხეულს. ვვარდებოდი მთიდან, ვიძირებოდი მდინარეში, ვხვდებოდი მგლებსა და სხვა ნადირს, შესაძლო იყო მათი ნადავლი გავმხდარიყავი.

იმედი დავკარგე. წვალებით სიკვდილი მელოდა წმინდა სარწმუნოებისათვის. უფალს ვთხოვდი, ჩემი სარწმუნოების თავშესაფარში, ეკლესიის წმინდა საიდუმლოებაში, სიკვდილის საშუალება მოეცა. ღმერთმა დამამშვიდა, რადგან სამშობლომდე მივაღწიე. გამგზავრებისას შევიგრძენი იმ ადამიანების შიში, რომ ძალღონე გამოლეული გზაზე მოვკვდებოდი. მაგრამ კურთხეულმა ღმერთმა თავის რჩეულზე იზრუნა, მისთვის ყველა შესაძლებელი გააკეთა და თავის სახლში სიკვდილის უფლება მისცა. დიდი სიძნელეებისა და ხანგრძლივი წვალების დროს ჩვენი უფალი ღმერთი თანამიგრძნობდა და-ცოცხალი ჩამიყვანა პალერმოში, რათა იმათი სახელი განმემტკიცებინა, ვისაც ღმერთი სწამს. ღვთისმოსავნი აუცილებლად დაჯილდოებულნი და სამუდამოდ კურთხეული იქნებიან[126].

---

[125] APF, Georgia. Castelli.

[126] ამ ცნობის არშიაზე შენიშვნაში ნათქვამია: „თურქებისა და ქართველების მიერ გამოგონილი სიტყვები შეიძლება გამოვტოვოთ, თითქოს ისინი არც არსებულან".

როგორ მიმიღო 1646 წელს სამეგრელოს მთავრის მიერ გაგზავნილი იმერეთის მეფე ალექსანდრემ. მოწყალება, რომელიც ჩვენმა წმინდა მამებმა ქალაქ ქუთაისში მიიღეს სარწმუნოების გამო

აზროვნების ბუნდოვანობის მიუხედავად, უნდა აღვწერო ისტორია, რაშიც ძალას მაძლევს ღვთაებრივი გონება, რომელიც ჩვენს პატარა ღირსებას იცავს და კეთილგანწყობილია იმის მიმართ, ვინც დასჯასა და ძაგებას იმსახურებს.

მას შემდეგ დაახლოებით 15 წელი[127] გავიდა, რაც იმერეთის სამეფოში გავემგზავრე, რათა წმ. სახარება მექადაგა, ავადმყოფები განმეკურნა და ხელოვნებით მემეცადინა და უფალი მესიამოვნებინა. ამ მხრივ, მე სახელი სამეგრელოში გავითქვი. მთავრები და მეფეები ერთმანეთისაგან ელჩების მეშვეობით მიწვევდნენ. ეს ზოგიერთი მათგანის წერილიდან ჩანს, რომლებიც დალუპვას გადაურჩა რომიდან პალერმომდე სტრონგოლის[128] ახლოს. მათ შორის იყო იმერეთის მეფე ალექსანდრე, რომელმაც ჩემს წასაყვანად გამოგზავნა დესპანი, სახელად ბეზანგი[129].

იმერეთის მეფის დესპანი სამეგრელოში ჩამოვიდა და მთავარს წერილი გადასცა, რომელშიც ლევან დადიანს სთხოვდა, რომ მისთვის მადლი აღმოეჩინა და მცირე ხნით გავეგზავნე მის სამეფოში, რადგან ძალიან ვჭირდებოდი. ხოლო ოდიშის მთავარმა, რომელიც მაშინ მისი (იმერეთის მეფის – მ.პ.) მეგობარი იყო, თავისი ნდობით აღჭურვილი პირი გამოგზავნა ჩემთან. ეს იყო საგან ატალა, რომელიც მთავრის კარზე ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნება იყო. მან (საგან ატალამ – მ.პ.) მეფის (იმერეთის მეფის – მ.პ.) წერილი გადმომცა, მთხოვდა, ორივესთვის მესიამოვნებინა და ქუთაისში იმერეთის მეფის კარზე გადავსულიყავი გამოგზავნილ დესპანთან ერთად[130]. გზა მტრებს შორის

[127] Licini P. A., იხ. შესავალი.
[128] ამ დოკუმენტის ორიგინალი, რომელზეც კასტელი საუბრობს, დღემდე არაა ნაპოვნი.
[129] Licini P. A., იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 84.
[130] APF. Georgia, Castelli.

გადიოდა. მაგრამ კარგი გამყოლები გვახლდნენ[131]. მეორე დღეს იგი (საგან ატალა – მ.პ.) ჩემთან სახლში მოვიდა და გადმომცა მეფის კიდევ ერთი წერილი. ის (წერილი – მ.პ.) ჩემს სახელზე იყო, ხსენებული მეფე თავაზიანი სიტყვებით თავის ქვეყანაში მიწვევდა. ასაბუთებდა, რომ მასთან ჩემი ჩასვლა აუცილებელი იყო და დედოფლისა და მისი სახელით დიდ დაპირებებს იძლეოდა. მე ნამდვილად ავად ვიყავი. ათი წლის განმავლობაში ამ მხარეში გაუწყვეტელმა მგზავრობამ დამაუძლურა, რადგან მთავრებისადმი სამსახური დიდ შრომასა და გონებრივ დაძაბვას მოითხოვდა. ასეთი პიროვნებების დაკმაყოფილება ადვილი არ იყო, მაგრამ გადავწყვიტე, უარი არ მეთქვა და თხოვნა დამეკმაყოფილებინა[132].

ამრიგად, 1646 წლის მაისში ამ დესპანთან ერთად გავემგზავრე. გზაში იმერეთის მეფეზე დამოკიდებულმა დიდებულებმა საკმაო პატივი აღმომიჩინეს. ოთხი დღის შემდეგ ქუთაისში ჩავედი. მეფეს ჩემი მოსვლის შესახებ აცნობეს. მან ბრძანა, რომ ჩემთვის დასასვენებლად ბინა გამოეყოთ. დაახლოებით ორ საათში მოვიდა იგივე დესპანი და წამიყვანა ამ ქალაქის მოედნის სანახავად. ეს იყო ულამაზესი ადგილი. აქ იმყოფებოდა მეფე თავის ცხენოსანთა ჯგუფით და ცხენბურთს თამაშობდა. თამაშის წესების დაცვით ცხენზე ამხედრებულმა მეფემ ჩემგან საკმაოდ ახლოს გაირა, რათა ვენახე[133].

ჩემ გვერდით მდგარმა დესპანმა მითხრა, რომ მეფეს ჩემი ნახვა უნდოდა, რათა გავეცანი. თამაშის დამთავრების შემდეგ ბინაზე დავბრუნდი, ხოლო მეფე ტანსაცმლის გამოსაცვლელად გაემართა. შემდეგ [მეფემ] ბრძანა, რომ დიდი საუკეთესო სპარსული ხალიჩა გაეშალათ და მხედართა ჯგუფთან ერთად დაჯდა. ჩემთან კი დესპანი სხვა პირებთან ერთად გამოგზავნა. მე წავედი და, როდესაც მეფეს 5-6 ნაბიჯზე მივუახლოვდი, იგი ადგა, ხოლო მე ვიჩქარე, რათა ის უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინა[134].

---

[131] APF. Georgia. Castelli.

[132] იქვე.

[133] აქ არშიაზე მიწერილია შენიშვნა: „თქვენი მამობა იხილავს ანგარიშს, რომელიც გაკეთებულია...“

[134] შემდეგში მამა კასტელი არაერთხელ აღწერს ამ ეპიზოდს.

მეფეს მოვახსენე, რომ თან მქოდნა მის სახელზე მისი უწმინდესობის (პაპ ურბან VIII-ის – მ.პ.) წერილი. მან მიპასუხა, რომ წერილი მისთვის საჯაროდ არ გადამეცა, რადგან ბერძნებს შორის მას მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია. ამიტომ ეს წერილი მეფეს უფრო გვიან გადავეცი, როდესაც იგი მარტო იყო. პასუხად მეფემ გადაწყვიტა, რომ საპასუხო წერილით მე წავსულიყავი რომში, მაგრამ, როდესაც ეს ჯუდიჩემ გაიგო, ისე გააკეთა, რომ მე დავრჩენილიყავი. ჩემი გამგზავრება კი 1654 წელს მოხდა.

ხსენებულმა დესპანმა მეფესთან მიმიყვანა და სხვებთან ერთად დამაყოვნა. ის (დესპანი – მ.პ.) ამბობდა: „მალე, მალე, არ ეკადრება", რაც გულისხმობდა: „არ იჩქაროთ, ღირსება შეინარჩუნე". ასეთი რამ არ შეეფერება თქვენს პიროვნებას, არც მეფეს, რომელიც ადგა ჩემს მისაღებად. ამრიგად, მეფე დარბაისლური ნაბიჯებით მიახლოვდებოდა, რათა ჩემთვის მუხლებზე ეკოცნა, პატივით შემჩერა, სიყვარულით გადამეხვია და თქვა: „მამაო კრისტოფორო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. დიდი ხანია თქვენი ნახვა გვსურდა, რადგან წლების განმავლობაში ხალხის სასარგებლოდ იღწვით. გავიგეთ თუ არა ეს, თქვენთან კაცი გამოვაგზავნეთ, რათა ცოტა ხნით ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულიყავით. მეფემ მოისურვა, რომ მის გვერდით, მარჯვნივ, დავმჯდარიყავი. მეორე მხარეზე იჯდა ერთ-ერთი მთავარი პირი, რომელსაც ერისთავი ეწოდებოდა, ე.ი. არმიის გენერალ-კაპიტანი. შემდეგ მეფემ მკითხა: რამდენი ხანია ამ მხარეებში ვიმყოფებოდი, რომელი კუთხე უფრო მომეწონა და რომელ მთავართან ყოფნის დროს მივიღე მეტი სიამოვნება. ამ კითხვაზე მოკლედ ვუპასუხე. შემდეგ მეფემ მკითხა: რამდენი მეფე სარგებლობს ლათინური რიტუალით*, სახლემწიფოში ვინ არის ყველაზე ძლიერი და იღბლიანი.

ამ საკითხზე მეფეს მოკლედ ვუპასუხე და მოვახსენე ჩვენი მეფეების, იმპერატორის, ქრისტეს ნაცვალი რომის პაპის დიდების შესახებ, რომ ამ უკანასკნელს ყველა მეფე ემორჩილება და მის ფეხებს კოცნის, როგორც წმ. პეტრეს მემკვიდრეს და საყოველთაო

* რედ. შენიშვნა: აქ იგულისხმება მსოფლიოში კათოლიკე მეფეები.

მასს. აქვე ვუთხარი: თქვენო აღმატებულებავ, ამ მეფეებს (ოგულისხმება დასავლეთ ევროპის – მ.პ.) სიმდიდრით ვერავინ შეედრება. მან (იმერეთის მეფემ – მ.პ.) ისაუბრა ქართული ენის სიძველესა და კეთილშობილებაზე, რომ ისინი ისრაელის მეფეების, დავითისა და სოლომონის[135], ჩამომავლები არიან და ქრისტეს მშობელს ენათესავებიან.

მეფეს სიამოვნებით ვუსმენდი. შემდეგ მან ხელში რამდენიმე ვაშლი აიღო, დანით დაჭრა ისინი, ნაწილი შეჭამა, ხოლო ნაწილი მე გადმომცა. ამასობაში ჩვენი მეფეების შესახებ საუბარს განაგრძობდა, რომელიც დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა. მეფემ შემდეგ დესპანს უთხრა: მამა კრისტოფორო დაიღალა, წაიყვანეთ ის დასასვენებლად. დესპანი ადგომაში დაეხმარა. წამიყვანეს ბინაში, რომელიც დედოფალს ეკუთვნოდა[136] და ულამაზეს სადგომს წარმოადგენდა.

მეფე თავისი სასახლის კარის ეპისკოპოსებითა და პატრიარქით ქალაქ კანდარში წავიდა. ეს ქალაქი ჩვენს რეზიდენციასთან, სეპიასთან ახლოს, მდებარეობდა. სამი საათის შემდეგ მეფემ ჩემთან რამდენიმე რომაელი კათოლიკე გამოგზავნა, რომლებიც ამ ქვეყანაში იმყოფებოდნენ. როცა მივედი ქალაქ კანდარის ეკლესიასთან, მეფემ საჯარო მიღება მომიწყო: დიდი ამალით გამოვიდა. მათ შორის ბევრი ჩვენი მეგობარი – მეგრელები და იმერლები – იყო. ზოგიერთი მეფეს არწმუნებდა, რომ ჩემთვის წასვლის ნება დაერთო, ზოგი ამის წინააღმდეგი იყო. ეს უკანასკნელნი ძალიან ავადმყოფად მთვლიდნენ.

---

[135] ბაგრატიონების დინასტია საქართველოში განუწყვეტლივ მეფობდა VI საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ბაგრატიონები ისრაელის მეფის, დავითის, მეულლის, ბეტსაბეას (ბათ-შებაყი – მ.პ.), ხაზით დავითის შთამომავლებად ითვლებოდნენ. გარდა ამისა, საინტერესოა, აღინიშნოს კასტელის ერთი მტკიცება, რომელიც მას რამდენიმე პირისაგან გაუგია, რომ „მოსკოვიტები" (რუსები – მ.პ.) ამ დროს საქართველოს „ქრისტეს ადგილსამყოფელს უწოდებდნენ" (იხ: ბ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 313). ჟ. შარდენი წერდა: იმერეთის მეფემ თვითონ აიღო მეფის ტიტული. ორივე, იმერეთის მეფე და დადიანი,თავს წინასწარმეტყველი დავითის შთამომავლად თვლიდა (იხ: M.Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 148). და ბოლოს: მ.კ. ფამინის მტკიცებით, ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობა პირველად დაადასტურა ბიზანტიის იმპერატორმა და, იმავე დროს, ისტორიკოსმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა (იხ: Famin C., L'Univers, ou Histoire et Description de tous les Peuples, le leurs Religions, Moeurs, Coutumes, Paris, 1838, გვ. 25).

[136] APF, Georgia, Castelli.

მთავარმა (ლევან დადიანმა – მ.პ.) იერუსალიმის არქიმანდრიტი და თავისი მოძღვარი[137] ნიკიფორე ირბახი და კამიკაი მასხარა, რომელიც დიდი პიროვნება იყო, მიიწვია და უთხრა: „წადი კრისტოფოროსთან და უთხარით, რომ, მართალია, ვწუხვართ, მაგრამ ნებას ვრთავთ, სამშობლოში გაემგზავროს. დიდად არ იდარდოს, როცა მოესურვება, მაშინ გაემგზავროს, მაგრამ მანამდე მოუწევს დარჩენა, სანამ გემები მოვლენ[138]. ამას უდიდეს პატივად ჩავთვლით და დავალებული ვიქნებით მისგან. ამას (გემის მოსვლამდე კასტელის დარჩენას – მ.პ.) მთავარს სთხოვდნენ ბატონები და ქალბატონები, მთი დედები და ქალიშვილები, რომლებსაც, მთავარი ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

ეს ორი ბატონი გამოგზავნა მთავარმა. ისინი ისეთი ვედრებითა და სიყვარულით მელაპარაკნენ, რომ მათი თხოვნა შევიწყნარე და გადავწვიტე, გემების მოსვლამდე დავრჩენილიყავი, რადგან უმნიშვნელო უცხოელის მიმართ ამდენი პატივით უხერხულობაში ჩავვარდი. ერთი სიტყვით, დავთანხმდი, რომ კიდევ ერთი წელი დავრჩებოდი, რათა მოწყალება მიმეღო ჩემთვისა და სხვებისთვისაც. ბევრი მეუბნებოდა, რომ ჩემი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა. ამ ელჩებმაც იცოდნენ მთავრის მოსაზრება, რომ შემდეგი გემის გამოჩენისას, გამაგზავნიდნენ. მხოლოდ ის მაეჭვებდა, რომ, როცა მკურნალობასა და მხატვრობას მთხოვდნენ, მეუბნებოდნენ: „აი,

---

[137] აქ თხრობა შვიდი წლით ნახტომს განიცდის.

[138] ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ევროპიდან გემების ჩასვლის შესახებ არსებობდა შეთანხმება წელიწადში ორი ნაოსნობისა. ნაოსნობის ტექნიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, შესაძლებელი გახდა გაზაფხულის რეისი დაეწყოთ ზამთრის ბოლოს, შემოდგომის რეისი განეგრძოთ ნოემბრის თვემდეც კი, როდესაც, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ქარი უფრო კეთილსასურველია (Lane F.C. Le navi di Venezia, Torino,1983, გვ. 232). XVII საუკუნეში „ქარავნების", ანუ ხომალდების, ჯგუფის რეისები დაიწყო. ისინი ერთად მიცურავდნენ და სიხშირეც გაიზარდა, მაგრამ შავ ზღვაზე ნაოსნობა მაინც იშვიათი იყო თურქების განუწყვეტელი თავდასხმის საშიშროების გამო. ამიტომ ქარავნებს შეიარაღებული ხომალდებისაგან ადგენდნენ, რომლებსაც ერთი სარდალი მეთაურობდა. ვენეციის ხომალდები, რომლებიც ლევანტის კურსით მიცურავდნენ, თავისუფლებით არ სარგებლობდნენ. ამის გამო ვენეციის სენატმა გამოსცა კანონი, რომელიც აწესებდა, რა დროს შეეძლოთ დაეტვირთათ საქონელი და როდის შედგომოდნენ მგზავრობას. გარდა ამისა, პოლიტიკური თუ სხვა თვალსაზრისით, ყოველწლიური მგზავრობა ვერ ხერხდებოდა, იკრძალებოდა. საშუალო ინტერვალი ორ ქარავანს შორის ერთი წელიწადი იყო (იხ: Lane F. C.,დასახ. ნაშრ, გვ. 51).

დაბრუნდა წმ. ლუკა, რომელიც ექიმიც იყო და მხატვარიც".

მე ყველა ეპისკოპოსისა და პატრიარქის ექიმი ვიყავი და ისინი თავისი საჭიროებისათვის ჩემი დარჩენით დაინტერესებულნი იყვნენ[139]. ისინი (ელჩები – მ.პ.) მაშინვე კმაყოფილი წავიდნენ მთავართან და უთხრეს: „გამარჯვებულები ვართ" – ეს იყო ჩვენი მიზანი და კრისტოფორო კიდევ ერთი წელი დარჩება[140]. ამ გამარჯვებამ მთავარში, სასახლის კარზე, ეპისკოპოებსა და პატრიარქში, რომლებიც მოშორებით კაბანში იმყოფებოდნენ, დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მთავარი ჩემს შესახვედრად ხელგაშლილი წამოვიდა, გადამეხვია შეძახილით: „ღმერთის შემწეობით კრისტოფორო ჯერ არ მიემგზავრება. გვრჩება იმისი იმედი, რომ ის საერთოდ არ წავიდეს სამეგრელოდან". ამან, როდესაც გემები წავიდნენ, ძალა მაგრძნობინა, რადგან მთავარმა თქვა: „მე დედოფალს დავპირდი[141], უმჯობესია, კრისტოფორო სიამოვნებით წავიდეს, ვიდრე დაკავო განაწყენებულ მდგომარეობაში. უკვე მრავალი წელი გავიდა, რაც მას თავისი სამშობლო არ უნახავს. ექიმმა ეპიფანიომ და ნიკოლო მინგუტმა მითხრეს, რომ მას ჰყავს ქვრივი დედა, რომელსაც სხვა შვილი არა ჰყავს. თვით მას კი (კასტელის – მ.პ.), დაუძლურებულს, უკვე აღარ შეუძლია არც ფეხითა და არც ცხენით სიარული. დე, მშვიდობით წავიდეს საწყალი მამა და, დე, კურთხეული იყოს ის, ვინც მას მისცემს რძეს, პურს და მარილს. თქვენ ბევრი ოფლი დაღვარეთ ჩვენს ქვეყანაში, წლების განმავლობაში ბევრი იშრომეთ და შეგეძლოთ, გეყიდათ მონები, ცხენი, ძროხა და ხარი. მინდოდა თქვენი მიწა (იგულისხმება სამეგრელოში მისიონერების ხელში მყოფი – მ.პ.) გაგეყიდათ და თან წაგელოთ აღებული ფული. თუმცა მე ვთხოვე ამის შესახებ, მაგრამ მან (კრისტოფორო კასტელიმ – მ.პ.) ამის მოსმენაც არ ინდომა, რადგან მოქადაგეს არ შეშვენის ქონების ანგარიში და მასზე ფიქრი: „ქრისტემ წმ. სახარებაში ბრძანა, რომ სახარების მქადაგებლები ამ ქვეყნიდან დიდების გარეშე მიდიან".

---

[139] APF. Georgia, Castelli.
[140] იქვე.
[141] იქვე.

ყოველივე ამის შემდეგ დავფიქრდი, როგორ დამეჯილდოებინა ეს ადამიანი (მთავარი – მ.პ.), რომლისგან, ასევე მისი ქვეყნისაგან (სამეგრელოსაგან – მ.პ.) ასე დიდად დავალებული ვიყავი. ლევან დადიანმა მომცა რამდენიმე წერილი იმ თავადებისა და სანდო პირებისადმი, რომელთაც, როდესაც გემი შავი ზღვის ნაპირებს მიადგებოდა, გადავცემდი. ამ წერილების შემწეობით დიდი სიყვარულით მიმიღეს დათუნა კობელაძემ, განაკოპიას სიმაგრის მფლობელი ზორბეგეშულიდან, სოლომონ ალბაძემ და ბესლაკო სარაშიამ. მათი მთავარი, ეპისკოპოსები და გამოჩენილი პირები პირადად მოვიდნენ ჩემთან გემზე სანახავად. თავადი ბესლაკო ერთ საათზე მეტი დარჩა ჩემთან გემის კაიუტაში, სადაც მდივანმა ლიპარიმ სიამოვნებით დაწერა წერილი მისი უწმინდესობისადმი (რომის პაპისადმი – მ.პ.) ერთ-ერთი ბერძენის, პაპა ისაკის, საშუალებით. ეს მოხდა ზურბსეში, ჩერქეზეთის მხარის მთავარ ქალაქში. აქ მათ გემის კაპიტანსა და სხვა მეზღვაურებთან ერთად საზეიმო ნადიმი მომიწყვეს. დიდი სიყვარულით მიმაცილეს გემამდე, კაპიტნის წინაშე რეკომენდაცია გამიწიეს, როგორც ეს ოდიშის მთავარმა გააკეთა. მან (ოდიშის მთავრმა – მ.პ.) გემის თურქ კაპიტანს, მუსტაფა რეისს, პირადად გააცნო ჩემი თავი და უთხრა, რომ კონსტანტინოპოლში უშიშრად ჩავეყვანე, რათა საფრანგეთის საელჩოში მივსულიყავი. საფრანგეთის ელჩს მთავრმა ამ ქვეყნის მდგომარეობასა და ჩემი გამგზავრების შესახებ წერილი მისწერა. ასევე [საფრანგეთის ელჩს] აუწყებდა, რომ ამ სამთავროში მრავალი ნამუშევარი შევქმენი. დასძენდა, რომ მე არ ვისურვე, რაიმე წამეღო ამ ქვეყნიდან და ზედმეტადაც კი მიაჩნდა მის (ელჩის – მ.პ.) წინაშე ჩემი წარდგენა, რამდენადაც ისეთი ცნობილი ადამიანი ვარ. წერილი [საფრანგეთის ელჩთან] მთავარმა გაატნა პაგურია ჩოლოხიას. ეს ელჩი დიდ ბატონს (თურქეთის სულთანთან – მ.პ.) საჩუქრებითა და ყოველწლიური ხარკით ეახლა. ის (ელჩი პაგურია ჩოლოხია – მ.პ.) კონსტანტინოპოლში ჩემზე ადრე ჩავიდა. მე კი გემში 1654 წლის 20 აგვისტოს ჩავჯექი ქალაქ ტაურისის ახლოს. გემის კაპიტანი დაგვპირდა, რომ შეუჩერებლივ

იმგზავრებდა და მალე ჩაგვიყვანდა კონსტანტინოპოლში. ჩვენი მუსტაფა რეისი კი სულ სხვანაირად მოქმედებდა. იგი ადგილიდან 26 სექტემბრამდე არ დაიძრა. ყველა მისადგომებთან ჩერდებოდა, რათა თავისი საქონელი გაეყიდა და ეყიდა მონები, ბზის ხე, თაფლი, ბატები, სელი და სხვადასხვა სახის ტყავები[142]. მას არც ბედისა და არც ჩრდილოეთის ქარის ეშინოდა. შავ ზღვაზე ზამთრის პერიოდში ეს მეტად საშიში იყო. მთელი ზამთარი საშიშროებით განვლეთ შავი ზღვა[143]. კონსტანტინოპოლში გამგზავრება კაპიტანს მანამ, სანამ სხვადასხვა საქონლით თავის გემს არ გაავსებდა, ფიქრადაც არ მოსდიოდა. უმრავლესობას ამის გამო გემის დალუპვის საშიშროება ტანჯავდა, რადგან მათი საქონელი სველდებოდა და ფუჭდებოდა. ასეთი განცდა ეუფლებოდათ მათ თათრების ჩერქეზეთში, სადაც საჭმელი თითქმის არ იშოვებოდა და გემის ნავსადგურამდე მიყვანა შეუძლებელი იყო. გემის კაპიტანს, მუსტაფა რეისს, ზოგიერთი სთხოვდა, რომ იალქნები კონსტანტინოპოლისაკენ აეშვა, რადგან დაგვიანების შემთხვევაში ზღვის რომელიმე ნავსადგურში გამოზამთრება მოუხერხებელი და სატანჯველი იყო. ეს იმიტომ, რომ ზამთარში შავ ზრვაზე ყოფნა საშიშია.

კონსტანტინოპოლში კარგად მოვეწყე საფრანგეთის ელჩის სახლში. თან მიმქონდა დიდი ტვირთი ქაღალდებისა და ნახატებისა. ყველა ჩემი ხელით იყო შესრულებული[144].

ამ ზღვით მე პირველად ვმოგზაურობდი და ამდენად მას ნაკლებად შევეჩვიე. ამოვარდა ქარი, რომელიც კონსტანტინოპოლისაკენ სავაჭრო გემების წასვლას ხელს უშლიდა. გაიარა ოქტომბერმა, ნოემბერმა, დეკემბერმა და დადგა იანვრის თვე. [მუსტაფა რეისმა] დატვირთა რა გემი, კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. იანვრის თვეში საპირსპირო ქარი დადგა. ქარმა გემი უკან გააგდო, მაგრამ ბედის წყალობით სასწაულებრივ გადავრჩით,

[142] ვენეციის რესპუბლიკის სენატის რეგისტრიდან ფ. ლანემ ზოგიერთი საქონლის ჩამოანთვალი შეადგინა. მის მიხედვით, შავი ზღვის ნავსადგურებში იპოვიდით ბამბას, შაბს, მცენარეულ ზეთს, ხილს, საპონს, ღვინოს, მარცვლეულს, მარილს. საავჭრო გალერებით მონების გადაყვანა აკრძალული იყო. (იხ. Lane F. C.„დასახ. ნაშრ.„გვ. 7-32).

[143] APF, Georgia, Castelli.

[144] იქვე.

მაგრამ ნახევარი ნივთებისა დავკარგეთ. გემმა კატასტროფა გარიპოლის ახლოს განიცადა. მაშინ მათ ვუთხარი, რომ ეს ყოველივე წინასწარ განვჭვრიტე. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი ჯვრებით ხელში ამბობდნენ, რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა ზამთარი ამ მეზღვაურთან ერთად ნავსადგურში გამეტარებინა. ჩემმა ნათქვამმა ყველა მგზავრი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რადგან სახლში მოხვედრის იმედი არ ჰქონდათ.

მე გარიპოლში დავრჩი. აქ რამდენიმე ბერძენს ვიცნობდი. მათ პატივი დამდეს. გემის კაპიტანმა, მუსტაფა რეისმა, თურქებს მოუთხრო იმ პატივის შესახებ, რომელსაც ჩემ მიმართ ოდიშის მთავარი, იმერეთის მეფე, თავადი აბაშიძე და სხვები იჩენდნენ. ოდიშის მთავრმა კი პირადად დიდი პატივით წარმადგინა ამ კაპიტნის წინაშე. მას უთხრა, რომ ჩავეყვანე კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩთან, რადგან ვიყავი საპატიო პიროვნება. თურქებმა მიმიპატიჟეს და მრავალ სამსახურს მთავაზობდნენ. თურქების სიტყვები მაფიქრებდა, რადგან გარს მერტყნენ ფარისეველი მეგობრები, ბერძნები, სომხები და ჩემი ბარგი მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან დაწერილი და შექმნილი იყო აღმოსავლეთში. თურქებს ის რომ ენახა, როგორც ჯაშუშს[145], სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილი არ ამცდებოდა ასეთ სიკვდილს იოლად არ დავთანხმდებოდი, რადგან ეს ღმერთისადმი სამსახურად არ მეჩვენებოდა და იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ ამეცილებინა ეს საშიშროება ამ ქვეყანაში. შედარებით ერთგულ ბერძენს, პაპა ისაკს, ვენდე, რომელსაც სამეგრელოში ვმკურნალობდი.

დაუფარავად ვუთხარი [ისაკს], რომ სინოპში ზამთრის გატარე-

[145] მართლაც, კასტელი ქართველი მესვეურებისაგან ხშირად ღებულობდა დავალებას, დაეხატა საფორტიფიკაციო ნაგებობები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო როსტომ ხანის შეკვეთით გაკეთებული გორის ციხესიმაგრის ნახატი (იხ: Licini P. A., La corrispondenza.გვ. 242-243). კანდიისათვის ომის გამო დარდანელის ზონა თურქეთის ფლოტის დარტყმის განსაკუთრებული ზონა იყო, ხოლო რუმელია სახმელეთო ჯარების დარტყმის ზონას წარმოადგენდა. ვენეციელთა წინააღმდეგ ომისათვის ისინი მზად იყვნენ. ვენეციის სენატის ოქმებიდან ჩანს, რომ ამ ზონაში კასტელის მოხვედრა გარდაუვალი იყო, რაც დადასტურდა კიდეც 1654 წლის იელისში (იხ: Cessi R., დასახ. ნაშრ., გვ. 180-183).

ბა არ მიდნოდა, არამედ კონსტანტინოპოლში სამკურნალოდ წასვლა მეწადა. მას ვუთხარი: თუ ღმერთი გიყვარს და ამ ქვეყნაში ვინმეს იცნობ, მიპოვე მათ შორის ისეთი, რომელიც კონსტანტინოპოლში ან ზღვით ან ხმელეთის გზით მიდის და წამიყვანს. მას ნებისმიერი სიძნელეების მიუხედავად გავყვები. სერიოზულად ვარ ავად, ზღვაზე საშიშროება მდარაჯობს, ხოლო მიწაზე – თოვლი და ყინული. კონსტანტინოპოლამდე კი შვიდასი მილია.

ამ მოხუცმა დასტური მომცა. თუ სინოპში დავრჩებოდი, საშიშროებას თავიდან ვერ ავიცილებდი და შემდეგ დასძინა: „ასეთი მოხუცი სად წახვალ შენ ამ ზამთარში?“. ამ კეთილმა მოხუცმა მითხრა: „მამაო, ასეთ ვითარებაში ძნელია ისეთი ადამიანის მონახვა, რომელიც გზას გაუდგება, რადგან ურჩევნიათ საკუთარ სახლში თბილ კერასთან დარჩენა“. ჩემდამი სამსახურის გაწევის მიზნით, მან (პაპა ისაკმა – მ.პ.) ქალაქი შემოიარა, რათა გაეგო ვინ მიდიოდა კონსტანტინოპოლში. მან ბერძნებისგან გაიგო, რომ პატარა თევზსაჭერი აველუმის პატრონი, ვინმე გრამატიკე მეზღვაური, თავის ძმასთან ერთად კონსტანტინოპოლში გასაქცევად ემზადებოდა. მასთან ერთად მიდიოდა კიდევ ერთი, 26 წლის ახალგაზრდა ბერძენი ბაზილიო, რომელიც ძალაინ ლამაზი იყო. ამ ქვეყნის თურქებმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვეს, მაგრამ უარი თქვა და ამის გამო ქუსლებზე ასჯერ დაარტყეს. რადგან ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მას ასჯერ მუცელში ჩაარტყამდნენ, თუ არ გამაჰმადიანადებოდა. მან აქედან გაქცევა გადაწყვიტა და ზემოხსენებულ ბერძენს შეხვდა. მათ გაქცევა გადაწყვიტეს და მორიგდნენ. ისინი იმიტომ გარბოდნენ, რომ აქ ყოველგვარი იმედი გადაეწურათ.

ყოველივე ამის შესახებ მეორე დღეს პაპა ისაკმა მომახსენა. მე კი წასვლის საშუალებას ვეძებდი. ვთხოვე, ჩვენი გაქცევის ადგილი და დრო დაენიშნათ. ჩემი ბარგი ღამით ჩავალაგე, ხოლო მეორე დილას, გათენებამდე, ჩვენ უკვე ნავის ბაქანზე ვიყავით. დავაყენეთ იალქანი და ამ ნაპირს გავცდით. ქარი მსუბუქი და კეთილისმაუწყებელი იყო. ასე რომ, დღის ბოლოს სინოპი თვალებს მიეფარა. ეს მოხდა 1654 წლის 16 იანვარს. ღამით გავექეცი კა-

პიტანს, რომელიც ამხანაგად მთვლიდა და ჩემს გაშვებას არ აპირებდა. მაგრამ მისგან უფალმა გამათავისუფლა. მე წმ. ანგელოზი მიცავდა[146].

ზამთრობით შავი ზღვა მეტად ქარიშხლიანია. ეჭვი შემეპარა, რომ ასეთი დიდი ზღვის გადალახვას იოლად შევძლებდით პატარა ნავით, გამოცდილების არმქონე მეზღვაურებთან. ამასთანავე, ნავში წყალი ჩადიოდა და მუდამ ჩაძირვის საშიშროება გვემუქრებოდა[147]. შვიდასი მილის გავლა ამ ნავით შეუძლებელი ჩანდა. მისი დაღუპვა გარდაუვლად მეჩვენებოდა. მით უფრო, რომ ანტალიაში, როგორც რუმელიაში, ძალიან ცოტა ნავსადგურია, ხოლო ზღვის ტალღების სიმაღლე სანაპიროზე ისეთია, რომ უშიშრად მასზე გადასვლა ძნელია. უზარმაზარი ტალღების გამო ნავის კატასტროფა და დაღუპვა აშკარაა. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა[148].

თურქების ქალაქში ვეძებდით საჭმელს და წყალსაც. ჩვენი ნავი დამტვრეული იყო, წყალს ატარებდა და ივსებოდა, რაც ხმელეთამდე მიღწევის საშუალებას არ გვაძლევდა. გაუთავებელი საშიშროებით ვიტანჯებოდით. უფრო მკვდრებს ვგავდით, ვიდრე ცოცხლებს. წვიმის, ძლიერი ქარისა და ქარიშხლის მიუხედავად, სასწაულებრივად ხმელეთს მივადექით. გადავურჩით მოახლოებულ სიკვდილს. სიცივე და შიმშილი გვკლავდა. გავსისხლიანდით. კეთილმოწყალე უფალს ვევედრებოდით, ქარს, წვიმასა და ზღვის ტალღებს ვებრძოდით. წარმოუდგენელი გარჯით ერთი ნაბიჯით წინ მოვახერხეთ ნავის წაწევა, მაგრამ ზღვის ტალღებმა ორი ნაბიჯით უკან აქცია.

ბოლოს[149] ჩვენი ნავი მუცლით ქვას დაეჯახა და წყლით გაივსო. ზღვის ნაპირზე აღმოვჩნდით. გატეხილი ნავი უკან დარჩა. მთელი ჩვენი ბარგი წყალში აღმოჩნდა და გაფუჭდა. დარჩენილი მცირე ორცხობილა მარილიანი წყლით გაიჟღინთა. დაგვრჩა ცოტა ნიორი და ხახვი. ძალა ამით უნდა შეგვენარჩუნებინა. ნავი

[146] APF, Georgia, Castelli.
[147] იქვე.
[148] იქვე.
[149] იქვე.

მთლიანად დაიმტვრა მარილიან წყალში. წინსვლა შეუძლებელი იყო და იმ ნაპირზე გაჩერება მოგვიხდა, რომელსაც მაღალი კლდე ესაზღვრებოდა. კლდეს ტალღები ურტყამდა და მშრალი ადგილი არ იყო. დღედაღამ წყალში ვიდექით და არ ვიცოდით, როდის დავიხოცებოდით. რჩებოდა ამ ნაპირზე ან სიკვდილი ან მთებში თურქებსა და სპარსელებს შორის გაქრობა. დამტვრეულ ნავს გზის გაგრძელება არ შეეძლო. ამას წარმოუდგენლად განვიცდიდით. ამის შესახებ ქვემოთ მოვყვები.

ზღვა ამ ნაპირზე, სადაც ტალღა კლდეს ეხეთქებოდა, ხმელეთზე გასვლის საშუალებას არ გვაძლევდა. საჭირო იყო ნავის დაგმანვა. გველოდა ანატოლიის თურქების მონად დარჩენა, რადგან, ამ ქვეყანაში არსებული კანონის თანახმად, გემის დაღუპვის შემთხვევაში გადარჩენილი მონა ხდება იქ, სადაც ის ბედმა გარიყა. ჩვენ გემის დაღუპვის შედეგად ერთი გადარჩენილი ვიპოვეთ. ის იყო გაფითრებული, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, მთელი სხეული უცახცახებდა, შუბლიდან მკვდრის ოფლი ჩამოსდიოდა, მთელი სხეულით ავად იყო და ნერვიულობდა[150].

დაბნეულები უფალს ვთხოვდით, ერჩია, რა გაგვეკეთებინა. მოგვეჩვენა, ცუდი არ იქნებოდა, გრამატიკე, რომელმაც ბერძნული ენა იცოდა, ქალაქში გაგვეგზავნა, რათა ისეთი ვინმე მოენახა, რომელსაც ნავის შეკეთება შეეძლო. თუმცა გვეშინოდა, ის არ დაგვკარგვოდა, მაგრამ სხვა გზა არ გვრჩებოდა. ჩვენ მას გადა-ვეხვიეთ და გავუშვით, თან ვუთხარით, თუ ოთხი დღის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ მონად ჩავარდა. მასზე უფალს ვევედრებოდით, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ჩვენი გადარჩენა. ნიადაგ იმ კლდესა და ადგილს ვუყურებდით, საიდანაც მას მოსვლა შეეძლო.

გრამატიკე ეკლიან ბორცვზე ავრა და მხედველობიდან დავკარ-გეთ. ნაპირზე დავრჩით. ვცდილობდით ჩვენი ტანსაცმელი გაგვეშრო. ბედმა ცოტა ორცხობილა, ხახვი და ნიორი დაგვიტოვა, რათა შიმშილისაგან არ დავხოცილიყავით. მთელი სხეული დასერილი

[150] APF, Georgia, Castelli.

გვქონდა, ხელები და ფეხები – გადატყავებული. დეკემბრის თვე იდგა. მთელს ამ მხარეში დეკემბერში, იანვარში, თებერვალსა და მარტში თოვლია, ყინვა, ქარები და ქარბუქი. გაყინულ პეტრეს ღამის გასატარებელი ადგილი მხოლოდ ნავის ქვეშ ჰქონდა, რომელსაც ზემოდან წყალი ასხამდა. მაგრამ ღამე ზღვის მოქცევამ გვაიძულა, რომ გავქცეულიყავით. ფეხზე მდგომთ გვეძინა, ზემოდან წვიმა გვასხამდა, ქვევით წყალში ვიდექით. ბედმა ამ კლდეებში გვიბოძა მღვიმე, სადაც დამალვა შეიძლებოდა[151].

სამი დღის შემდეგ გრამატიკე გამოჩნდა ორი ბერძენის თანხლებით. მათ მოიტანეს ფიცრები, ინსტრუმენტები და კოლოფინი, რათა ნავი დაეგმანათ. თან მოიტანეს მოხარშული ქათამი, ახალი ხახვი, ცოტა ღვინო, ვაშლი და მწვანილი, ხოლო ჩვენ მოგვეჩვენა, რომ მოვიდნენ ანგელოზები. რამდენიმე დღის უჭმელები ვიყავით, რადგან გარდა წყლისა და ცოტა ნივრისა, არაფერი გაგვაჩნდა. ძალიან ვიტანჯებოდით და განსაკუთრებით მე, რადგან ყელი მტკიოდა. რადგან რამის გადაყლაპვა არ შეგვეძლო, მოტანილი საჭმლისაგან მხოლოდ ცოტა ღვინოც მივიღეთ. იმდენი შიში და საშიშროება გადავიტანეთ, ისე დავსუსტდით, რომ ამ სიკეთეს ვერ ვამჩნევდით. შუბლიდან ცივი ოფლი მასხამდა, თვალები მეცრემლებოდა და მთელი სხეულით ვკანკალებდი.

მე ვიყავი ავადმყოფი მოხუცი, ნაწლავები ერთმანეთს იყო მიწებებული, შიშისა და შიმშილისგან ვკვდებოდი. ტანსაცმელი მთლიანად სველი იყო. მიუხედავად ამისა, არ ვტყდებოდი (დიდება უფალს!) და სიკვდილის არ მეშინოდა. 56 წლის ასაკში ჯანმრთელობის აღდგენა არ შემეძლო და მუდმივად ავად ვიყავი. მაგრამ ყველაფერმა გამამხნევა, როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგებიც. ჩვენ ვამბობდით: „დიდება უფალს, დე, იყოს კურთხეული ღვითსმშობელი!“ სული მეხუთება და ვქრები, მაგრამ დე, იდიდოს უფალმა, რადგან მისდამი სიყვარულის გამო ვიმყოფები აქ, ვემსახურები წმინდა სარწმუნოებას და გამოგზავნილი ვარ მისი ნაცვლის

[151] APF, Georgia, Castelli.

(რომის პაპის – მ.პ.) მიერ. ამ სიტყვებით ვთხოვდი უფალს, რომ ჩემოვის სიკვდილი გამოეგზავნა.

ნავი წესრიგში მოიყვანეს და გადარჩენილი ჩვენი ბარგი, დასველებული და გაფუჭებული, დავალაგეთ, ჩავსხედით და ანძა, უფლის სახელით, კონსტანტინოპოლისაკენ მივმართეთ. 500 მილი კიდევ დაგვრჩა გასავლელი. ჩვენ ბევრი დაღუპული გემი ვნახეთ რუმელიის კლდეებთან, რადგან პატარა ნავი ძლიან ძნელია შეაკეთო. საშიშროება დიდი იყო, თუ ამას ამინდი, ზღვა და კურთეხული ღმერთი მოისურვებდა. ვიძინებდით კლდეებში და გავლისას დავინახეთ შუა ზამთარში ციცაბო კლდეებზე მწვანე ხეები. გოცებული ვიყავით, თუ საიდან იყო ეს. მეტად საოცარი სანახაობა იყო ზამთარში კლდეებზე ბალი. შვიდი თვის განმავლობაში ჩვენ ისეთ შესანიშნავ ადგილებს ვხედავდით, რომ მისი აღწერა დიდ დროს მოითხოვს[152].

მხოლოდ ერთი რამ მინდოდა მომეთხრო. როდესაც ზღვამ ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მომცა, ჩვენ ვნახეთ ლამაზი ნაპირი, სადაც რამდენიმე გემი შენდებოდა. იქ ცეცხლის დასანთებად ბევრი შეშა იყო. გადავწყვიტეთ, გავმთბარიყავით. ამიტომ ჩავედით წყალში და გაჭირვებით ნავი ნაპირამდე მივათრიეთ. ზღვის დიდი ტალღები მას ხელიდან გვტაცებდა. შევაგროვეთ შეშა და ვიშოვეთ ცეცხლი, რაც ძლიერი სინოტივის გამო ადვილი მოსაპოვებელი არ იყო.

ამ შეშით დავანთეთ ცეცხლი – ეს სიცოცხლეა. კოცონი მშენებარე გემებთან ახლოს გვენთო. ქროდა ძლიერი ქარი და ცეცხლს გემისაკენ ისროდა. ჩვენ იმდენად გვინდოდა გათბობა, რომ ცეცხლი, რომელიც გემს მოეკიდა, არ შეგვიმჩნევია. ხმაურზე ავიხედეთ ზემოთ და დიდი ცეცხლი დავინახეთ, რომელიც გემს მთლიანად მოსდებოდა. ვიხილეთ რა ასეთი სანახაობა, ჩვენ მხოლოდ ხმამაღლა ლოცვით შველის თხოვნა შეგვეძლო. დავიწყე

[152] რუმელია – ეს ოტომანის იმპერიის ევროპული ტერიტორიაა. იმპერიის დაცემასთან ერთად ეს სახელწოდება სულ უფრო იცრობოდა, რადგან ზოგიერთი ნაწილი მისგან გამოიყოფოდა. ეს ოლქი მოიცავდა ალბანეთს, მაკედონიას, თრაკიას და კოსოვოს ვილაიეთს.

ლოცვის კითხვა, მოვუწოდე ღვთისმშობელს, ყველა წმინდანს დასახმარებლად. ამ უმთვარო ღამეს გემი იწვოდა და სანამ ეს ხდებოდა, ჩვენ კარგად გავთბით.

ყველაზე დიდი სასწაული ის იყო, რომ ქალაქში ვერავინ გაიგო და ვერ ნახა ეს ხანძარი, ვინაიდან ამ დროს ყველა თავის სახლ'ში იმყოფებოდა. მთელი ღამე შიშში გავატარეთ, რადგან გემის პატრონს რომ გაეგო, რაც მოხდა, უფრო სწორად გემის დაწვაში ჩვენ რომ ვიყავით დამნაშავენი, ცხადია, ყველას ცეცხლში ჩაგვყრიდნენ. ზღვა მძვინვარებდა, მაგრამ დილით ადრე მგზავრობა განვაგრძეთ. გზას ფრიალო კლდეებს შორის ვიკაფავდით. 18 მარტს (1655 წლის – მ.პ.) იმ ადგილას აღმოვჩნდით, საიდანაც კონსტანტინოპოლის ნაპირები ჩანდა. ცოცხალმკვდარნი ვიყავით. სიხარულის გამოსახატავად ძალა არ გვყოფნიდა. თან ვამბობდი: „შენ, უფალო, გადიდებთ". ბოლოს გალატის ნავსადგურში მივედით. აქედან საფრანგეთის ელჩს, ჩემს მეგობარს, წერილი მივწერე. მე, ულირს მქადაგებელს, მასთან განუწყვეტლივ მქონდა მიწერ-მოწერა ქართლსა და სამეგრელოში ყოფნის დროს. [1654 წლის 20] აგვისტოს სამეგრელოდან და იმ მხარეებიდან გამომგზავრების შემდეგ, ვიდრე 18 მარტამდე (1655 წლის – მ.პ.), გზაზე განცდილი საშიშროების შესახებ მას (საფრანგეთის ელჩს – მ.პ.) მოკლედ მოვახსენე.

საფრანგეთის ელჩი ბატონი დე ლა ე უკვე 20 წელია კონსტანტინოპოლში ცხოვრობს. დიდი ბატონი (ოსმალეთის სულთანი – მ.პ.) მისით დიდად კმაყოფილი იყო, ვიდრე მისი წინამორბედი, ბატონი ელჩის, სეკსისადმი. ეს უკანასკნელი მეტად თავისებური და უცნაური პიროვნება იყო. თურქები მას „დელი ელჩს"[153] უწოდებდნენ, რაც „გიჟ ელჩს" ნიშნავს. მის შესახებ საფრანგეთის მეფესთან ჩიოდნენ. ამის გამო საფრანგეთის მეფემ კონსტანტინოპოლში ბატონი დე ლა ე, მაღალი განათლების ადამიანი, გაგზავნა. თურქები მისით კმაყოფილნი იყვნენ.

დე ლა ე-ს, როგორც ჩემი ღირსების, ასევე ამ მხარეში, (საქართველოში – მ.პ.) მოღვაწეობის გამო შევუყვარდი. საქართველო-

[153] „დელი ელჩი", თურქულად - „გიჟი ელჩი".

დან წამოსვლაში მან დიდი დახმარება აღმომიჩინა, რადგან ბევრ პიროვნებას (სხვა სახელმწიფოების ელჩებს – მ.პ.) სურდათ ჩემთან შეხვედრა. ჩემი გადარჩენის ამბავი მისი შვილის ბატონ დე ვენტელესა და საფრანგეთის საელჩოს მთავარი მდივანისგან გაიგო. ბატონ ლემპერესა და ბატონ დე ბელმუნს, ელჩის მდივანს, ძალიან გაუხარდათ ჩემი ჩამოსვლა, რადგან სინოპიდან ხმელეთის გზით ჩასულმა ადამიანებმა ამბავი ჩაიტანეს, რომ 15 თებერვალს აღნიშნულ ქალაქ სინოპიდან სათევზაო ნავით გავქრი. რამდენადაც ჩემ შესახებ არაფერი ისმოდა, გალატიდან კონსტანტინოპოლამდე ხმა დაირხა, რომ ზღვაზე კატასტროფებში მოვყევი და მეგობრებმა დამიტირეს.

ელჩმა ჩემი ჩამოსვლის შესახებ გაიგო თუ არა, მაშინვე, ჯერ კიდევ ნაპირზე მყოფს, ლამპერე, ბატონი ბელმუნი და სხვა ადამიანები გამომიგზავნა. მათ ნახევრად შიშველი, სველი და ცოცხალ-მკვდარი დავხვდი. ძლივს წარმოვთქვამდი სიტყვებს და კაცი ვერ მიცნობდა. ჩემს დანახვაზე ისინი ატირდნენ და ხმამაღლა თქვეს: „კურთხეული იყოს უფალი, რომ ცოცხალს გხედავთ. მამაო, როგორ გაბედეთ ზამთარში სათევზაო ნავით (რაც გაუგონარია საუკუნეების განმავლობაში) შავ ზღვაზე მგზავრობა. ჩვენ უკვე მიცვალებულთა რიცხვში ჩაგთვალეთ, რადგან ვერ შევძელით გაგვეგო, გადარჩით თუ არა. თქვენი კონსტანტინოპოლში ჩამოსვლა სასწაულს მიეწერება. დაახლოებით სამი თვის წინ ჩვენ გავიგეთ, რომ სინოპიდან გაემგზავრეთ, ხოლო 20 აგვისტომდე ერთი გემი იტალიაში გაემგზავრა და არ ვიცოდით, მთავარმა (ლევან დადიანმა – მ.პ.) ამ გემზე მოგცათ ნებართვა თუ არა. ღმერთის წყალობით ცოცხალს რომ გხედავთ, ამას სასწაულს მივაწერთ“.

ბერძნები ამ სასწაულს სარწმუნოებითა და ქრისტეს ჯვრით ხსნიდნენ, რომელიც მგზავრობის დროს მუდამ ხელთ მქონდა... ბატონი ელჩი, მისი შვილი ბატონი დე ვენტილე და მთელი მისი სახლი მეტად გახარებულნი იყვნენ, როცა ჩემი წერილი მიიღეს ჩამოსვლის შესახებ. მათ მთელი სასახლე შემომთავაზეს, ჩემი ნახვისა და დახმარების დიდი სურვილი ჰქონდათ, რადგან კარგად იცოდნენ წმ. სარწმუნოებისათვის მრავალი წლის განმავლობაში

სულგრძელობით განვიცდიდი სიძნელეებს.

კონსტანტინოპოლში, ირგატატანში და გალატში ყველა — დაწყებული ელჩებიდან, საერო თუ სასულიერო პირებით დამთავრებული — პატივით ეკიდებოდა ჩემს სახელს და ნიადაგ სახარების შესანიშნავ მქადაგებელს მიწოდებდა. იმდენი ქების გამო მე, ულირსი და უსარგებლო მსახური, ვწითლდებოდი (თუმცა ყვითელი, მკვდრის ფერი მედო სახეზე). უსარგებლო მსახურს ასეთი ქება არ ეგებოდა, ღმერთმა თავისი ლოცვა-კურთხევა ღირსების მიხედვით კი არ მომცა! მაგრამ ისინი ჩემი დამსახურებითა და გადარჩენით იყვნენ გახარებულნი და ბატონი ელჩის სახლში წამიყვანეს იმ ბატონებთან ერთად, რომლებიც ჩემს შესახვედრად მოვიდნენ.

ბატონმა ელჩმა უფრო დიდი პატივი დამდო, ვიდრე ეს ჩემს ღირსებას შეეფერებოდა. ხალიჩებით მორთულ ბინაში გამაჩერეს, სადაც მალე ბატონი დი ბრიზაკი, საფრანგეთის მეფის ნათესავი, სამეფო კარზე დიდად მიღებული თავადი სპარსეთიდან ჩამოვიდა[154] და მალე რომში მიემგზავრებოდა. ჩამაწვინეს ლოგინში და ელჩმა ექიმებს გამოუძახა, რომელთაც მოაწყვეს კონსილიუმი იმის შესახებ, თუ რა საშუალებებით ემკურნალათ, რადგან ადამიანის სახე დაკარგული მქონდა. ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მე უნდა დამესვენა და ძალები აღმედგინა.

ეს ბატონები ჩემ მიმართ სამი თვის განმავლობაში ძალიან დიდ ყურადღებას იჩენდნენ. არ ერიდებოდნენ არც შრომასა და არც ხარჯებს, რათა ჩემი ჯანმრთელობა აღმედგინა. მომიტანეს ახალი ტანისამოსი, სუფრაზე მათ გვერდით მსვამდნენ და ჩემს მოღვაწეობას ქება-დიდებას ასხამდნენ. უცხოელებთან კავშირის გამო ეს სტუმრები ყოველდღე თავიანთ სახლებში მპატიჟებდნენ. ჩემი გულისათვის ბატონი ელჩი (დელა ე — მ.პ.) სტუმრად იწვევდა გურიისა და სამეგრელოს მოავრეებს, იმერეთის მეფის ელჩებს, რომლებიც იმ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ. ეს ელჩები დიდ ბატონიან (თურქეთის სულთანთან — მ.პ.) დიდი საჩუქრებით ჩავიდნენ. ბატონმა ელჩმა არაერთხელ წარმოთქვა

[154] Cosi è di Brissac – Angio – ძველი ფრანგული ტექსტი.

სადღეგრძელო მისი (საფრანგეთის მეფის – მ.პ.) და დედოფლის (საფრანგეთის დედოფლის – მ.პ.). სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ელჩი ფეხზე იდგა, ქუდმოხდილი. ფრანგ თავადებს შორის სუფრასთან. მამის მსგავსად მისი შვილი ასევე სვამდა საფრანგეთის მეფის, პოლონეთის მეფის, იმპერატორისა (გერმანიის იმპერატორის – მ.პ.) და მისი უწმინდესობის (რომის პაპის – მ.პ.) სადღეგრძელოებს. ეს დიდი პატივი იყო.

შემდეგ ელჩმა 20 წლის განმავლობაში ჩემ მიერ შესრულებული ყველა ნახატი და მინიატურა ნახა. მან თქვა, რომ არასოდეს ასეთი მშვენიერი რამ არ ენახა, რომ ამით ჩემს სარწმუნოებას (კათოლიკობას – მ.პ.) უდიდესი განძი შევძინე, თუმცა გემის დაღუპვისას ამ შრომის დიდი ნაწილი დაზიანდა. მან დიდად მაქო, რამდენადაც იყო ლიტერატორი და ცნობისმოყვარე ადამიანი. ელჩი თავისი დროის ისტორიას წერდა, განსაკუთრებით, ოცი წლის განმავლობაში აღმოსავლეთში მომხდარ ამბებს, რომლის თვითმხილველი თვითონ იყო. თავისი წიგნის დასამშვენებლად ჩემგან ბევრი საინტერესო რამ აიღო: მთავრის, მეფის, დედოფლის, რომელიმე ისტორიული ეპიზოდის, ომების აღწერის სურათები და ცნობები. ამრიგად, მან ჩემგან ნელ-ნელა ყველაზე ლამაზი, რაც გამაჩნდა, წაიღო. ამის სანაცვლოდ სხვადასხვა სამსახურს მთავაზობდა და ყოველთვის ჩემს მაგიდაზე რამდენიმე ოქროს მონეტას ტოვებდა. იგი (ელჩი – მ.პ.) ყოველთვის მოდიოდა ბინაზე თავის შვილ ბატონ გრაფ ვენტელიესთან ერთად, რომელიც ღირსეული თავადი და ცნობილი მეომარი იყო. ის (გრაფი ვენტელიე – მ.პ.) დაგვეხმარა, როცა ზღვის წყლისაგან გაფუჭებული სურათები აღვადგინე. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ამ სურათებიდან ვაკეთებდი შენიშვნებს, ასლებს. ესენი თავიანთი საჭიროებისათვის ჩემგან ელჩმა და მისმა შვილმა წაიღეს. ჩემთან მათი მოსვლა მცირედი პატივი როდი იყო. ისინი გვერდში მედგნენ, როცა მე სკამზე ვიჯექი და აღვადგენდი საგნებს, შემდეგ კი ისინი ჩემგან მიჰქონდათ. ისინი ფეხზე მდგომნი უყურებდნენ იმას, რასაც ვაკეთებდი.

ერთხელ ელჩთან მოსალაპარაკებლად მღვდელმსახურები მოვიდნენ და, როცა ნახეს, რომ იგი გულისყურით ადევნებდა თვალს ჩემს მუშაობას, მათ უთხრეს: „ბატონო, მამა კრისტოფორო დიდად მიმზიდველია და ვისაც მასთან საქმე აქვს, ყველას აკვირვებს". მე კი მითხრეს, რომ ის ბარბაროსები ჩემს წამოსვლას მისტიროდნენ და ახლა გარშემოტყმული ვიყავი თავადებით და დიდი პიროვნებებით. ეს ნახევრად ესპანელი ელჩი არ შემეძლო ბინაზე არ მიმეღო, რადგან მის გარეშე ყოფნა შეუძლებელი იყო[155].

ერთხელ რამდენიმე ბატონს შევჩივლე, რომ ელჩმა თითქმის გამძარცვა, რადგან ჩემგან ბევრი ლამაზი საგანი წაიღო. მათ მირჩიეს, რომ ჩემი ნივთები თავადებისთვის არ მეჩვენებინა, რადგან ისინი ყველაფერს წაიღებდნენ, ვინაიდან ეს საგნები ცნობისმოყვარეობითი ხასიათის იყო, ლამაზი და ყველას მათი მიღება სურდა. ასევე მათ დასძინეს: „ღმერთმა გიპატრონოს თქვენ, რადგან ამ ბევრი ლამაზი საგნის შექმნაზე დიდი შრომა დახარჯეთ".

როდესაც ელჩმა ჩემი ჩივილის შესახებ გაიგო, რომ მან ჩემგან ბევრი რამე წაიღო, სცადა დამშვიდება. მითხრა, რომ მათ ყველას შეინახავდა და მისი სამეფოს ანალებში შეიტანდა, რომლებიც სამუდამოდ ინახებოდა სამეფოს არქივის აღმოსავლეთის ისტორიაში. წიგნში, რომელსაც ის წერდა, საპატიო ადგილს მიაკუთვნებდა მამა კრისტოფოროს და ეს ჩემთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. ამით ნაწყენი არ უნდა დავრჩენილიყავი, მით უფრო, რომ მქონდა უნარი, ყველაფერი აღმედგინა.

ელჩმა (დე ლა ე-მ – მ.პ.) მთხოვა მისი სახლის რამდენიმე თავადის პორტრეტის დახატვა. მე ისინი ლამაზად დავხატე და დავუტოვე სიმეების სასახლეში. მან ასევე მთხოვა, რომ მისი ხალხისათვის ხატვა მესწავლებინა. განსაკუთრებით მთხოვა, რომ ხატვა მისი პატარა შვილის, ჯანისათვის, მესწავლებინა, რომელიც მას ძალიან უყვარდა და მის ნიჭს აფასებდა. ამ სახლში (კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის საელჩოში – მ.პ.) ჩემი წასვლის

[155] დღემდე შემონახულია ჩანაწერები, რუსილონში კატალონიელი აჯანყებულებისადმი ფრანგების დახმარებისა და ოცდაათწლიანი ომის ამბების შესახებ.

შესახებ გაგონებაც კი არ უნდოდათ. როცა გემით წასვლის შესაძლებლობა გამოჩნდებოდა, ყოველთვის მარწმუნებდნენ, რომ გამგზავრება გადამედო.

იქ ყოფნის დროს ბევრი ლამაზი სურათი დავხატე. ელჩს კი უნდოდა საფრანგეთში მის წასვლამდე კონსტანტინოპოლში დავეტოვებინე და შემდეგ პირველად რომში ჩამიყვანდა. მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, იტალიაში წავსულიყავი და თვითონ გამგზავნა ფრანგ კაპიტან ანდრეა კარბონარისთან, რომელიც მძიმე გემით ვენეციაში მიცურავდა. ელჩმა თავის შვილსა და საელჩოს თანამშრომლებთან ერთად დიდი მზრუნველობით გამიმზადეს სურსათი, მომამარაგეს წერილებით გარიპოლის კონსულისა და ვენეციაში საფრანგეთის ელჩისადმი, ასევე რომში ელჩისა და სხვა მნიშვნელოვანი პირებისადმი ვენეციასა და რომში, კერძოდ, მისი უწმინდესობისა და კარდინალ ანტონიო ბარბერინისადმი. ამ წერილებში მეძლეოდა რეკომენდაცია, როგორც ადამიანს, რომელმაც აღმოსავლეთში წმ. სარწმუნოების სამსახურში უდიდესი სახელი დატოვა, სადაც პაპმა ურბანმა ლეგატად გამგზავნა. ელჩის წერილები ყველას წარვუდგინე, გარდა კარდინალ ანტონიო ბარბერინისა, რომელიც საფრანგეთში გაემგზავრა და რომში არ იყო, როდესაც მე იქ ჩავედი, რათა მისი უწმინდესობის ფეხებზე მეკოცნა[156].

ელჩმა ასევე მთელი რიგი მოლაპარაკების გამართვა დამავალა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან, მაგრამ

[156] კარდინალი ანტონიო ბარბერინი – უმცროსმა 1632 წლის 22 ნოემბრიდან 1671 წლის 11 აგვისტომდე თავის თავზე აიღო წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს პრეფექტის მოვალეობის შესრულება (იხ: Kowalsky N; Serie dei Cardinali Prefetti e dei Segretari della Sacra Congregazione "de Propaganda Fide", Roma. ex "Collectio Urbaniana". III, 1962. გვ. 8-9). ნ. კოვალსკი მიუთითებს, რომ ამ კარდინალის პრეფექტის პოსტზე ყოფნისას ადგილი აქვს არევ-დარევას, რადგან ერთდროულად მასთან ერთად ვიცე პრეფექტად დაინიშნა მისი ბიძა ანტონიო ბარბერინი-უფროსი, წმ. ონოფრიოს კარდინალი. შემდგომი გაუგებრობა მისი პრეფექტობისა იმან გამოიწვია, რომ ანტონიო ბარბერინი-უმცროსი დროებით არ იყო რომში და საფრანგეთში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში ვიცე-პრეფექტი გახდა კარდინალი ლუოკი კაპონი, რომელსაც ბევრი ნამდვილ პრეფექტად მიიჩნევს. კასტელის დროს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს მდივნად არჩეული იყვნენ ფრანჩესკო ინგოლი (1622 წლის 6 ნოემბერი – 1649 წლის 30 აგვისტო), ფრანჩესკო ალბიჩი (დროებით, 1649 წლის 24 აპრილიდან 30 აგვისტომდე, დიონიზო მასარი) 1649 წლის 30 აგვისტო – 1657 წლის აპრილი

ჩემი ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი ამ სამსახურის აღსრულება.

გალატში ასევე დიდი პატივი დამდეს. ყველა მაღალი თანამდებობის პირი მეპატიჟებოდა. ასევე მიწვედნენ: რაგუზის ბატონი ელჩი, რომელიც პოლონეთში ცხოვრობდა, იმპერატორის (გერმანიის – მ.პ.) რეზიდენტი, ერეტიკოსი და კათოლიკური რომის (კათოლიკური სარწმუნოების – მ.პ.) არამეგობარი; ინგლისის ელჩი, რომელმაც ჩემ შესახებ დიდი ხნის წინ იცოდა ყველაფერი. ამ უკანასკნელმა ჩემი ნახვა ისურვა და სადილზე დამპატიჟა. მომცა საშვი, რათა ინგლისის გემებზე მოხვედრისას არავის შევეწუხებინე. მას სურდა ჩემი ისტორიის ნახვა და მითხრა: „ვნახავ, რომში როგორ დაგაჯილდოებენ ადამიანს, რომელიც ამდენს შრომობდა და იღვწოდა რომის ეკლესიის სამსახურში“. მან ეს ირონიულად თქვა, რადგან მიაჩნდა, რომ რომში აჯილდოებენ არა მშრომელს, მუშაკს, არამედ იმათ, ვისაც ბედი გაუღიმებს, ვინც აინტერესებთ, ვისზეც დამოკიდებლნი არიან.

კონსტანტინოპოლში დიდ გაკვირვებას ის იწვევდა, რომ საფრანგეთის ელჩი ისეთ საშიშ პიროვნებებს ინახავდა, როგორებიც ესპანეთის ქვეშევრდომები იყვნენ. ელჩს ისინი რამდენიმე თვე თავის კმაყოფაზე ჰყავდა. კეთილგანწყობილებას იჩენდა მათ მიმართ და კარგად ექცეოდა.

გალატიდან ჩემი პიროვნების შესახებ რომში წმ. კონგრეგაციის კარდინალებს წერილი მისწერა ბატონმა ჯორჯო დრაპერისმა, დიდმა ინგლისელმა თარჯიმანმა, რათა სხვები მქადაგებლური მოღვაწეობით აღეფრთოვანებინა. მან დაუყოვნებლად მითხრა, რომ აღმოსავლეთში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ რომი წმ. სარწმუნოების მუშაკებს არ აფასებს და არც მათ, ვინც წმ. სარწმუნოებაზე მოექცა. ამიტომ თურქებს რენეგატები ურჩევენ, რომ ქრისტიანობაზე არ მოექცნენ, რადგან ასეთ ადამიანებს არაფრად აგდებენ და ცუდად ექცევიან[157], კიცხავენ მათ და ეთაკილებათ ისინი.

მთელ აღმოსავლეთს სურდა, რომ ჩემ მიერ გაღებული შრომისათვის დავეფასებინე. ეს ჩანს იმ წერილებიდან, რომლებიც

[157] APF, Georgia, Castelli.

გემის დაღუპვას გადაურჩა. მაგრამ ბევრი წერილი არ წარმოდგენია რომში, რადგან ამ ქვეყანაზე არავითარი ჯილდო არ მსურდა. ბევრი წერილი დაიკარგა, ზოგიერთის აღდგენა ვერ შევძელი, ზოგი დაიწვა. მაგრამ ეს მე ნაკლებად მაინტერესებდა, რადგან ვშრომობდი არა მიწიერებისათვის, არამედ ღმერთისათვის, რომლისგანაც ჯილდოს არ მოველოდი. ეს ჯილდო, შეიძლება ითქვას, ის გვირგვინია, რომელსაც უფალი ადამიანს ცხოვრების გზის ბოლოს აძლევს. ჩვენ კი წარმოდგენილი გვაქვს, რომ უფალი თავის ღვთაებრივ სიდიადეში იღებს ყველაფერს, რასაც ჩვენ მისთვის ვაკეთებთ და მხოლოდ ის იმსახურებს ქებადიდებას, ხოლო ჩვენ — ძაგებას, როგორც მისი ულირსი მსახურები, რომლებიც მის მოწყალებას გაანიავებს. არანაკლები ჯილდოა, იტანჯო მისი წმ. სულისათვის.

ამრიგად, სარეკომენდაციო წერილები მივიღე კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩისაგან, ასევე აღმოსავლეთის მეფეებისა და მთავრებისაგან, მაგრამ ჩავედი რა რომში, არ მინდოდა მათი წარდგენა, რათა დამევალდებულებინა მისი უწმინდესობა (რომის პაპი — მ.პ.) და წმ. კონგრეგაციას იქ დავეტოვებინე. ასევე არ მსურდა პაპის სასახლის კარზე დრო დამეკარგა, რადგან ავადმყოფსა და მოხუცს კუჭ-ნაწლავის ტკივილის გამო ფეხზე დგომა არ შემეძლო. ჩემი ცოდვების დატირება მინდოდა. წლების განმავლობაში აღმოსავლეთში მისიონერ-მქადაგებლად ვმუშაობდი და ჯილდოს ღირსი არ ვიყავი.

დავუბრუნდეთ საფრანგეთის ელჩს. მან თავისი წერილები გადმომცა და მგზავრობისათვის სურსათით მომარაგა. საელჩოს წარჩინებულებთან, თავის ექიმ დაპორტას, ბატონ ჯოვანი ტორჩინოსა და სხვებთან ერთად კონსტანტინოპოლიდან ბუხტამდე მიმაცილა რამდენიმე მილზე, სადაც გემი იდგა. საფრანგეთის ელჩმა გემის კაპიტანთან წარმადგინა, კარგი მგზავრობა მისურვა და თავის თანმხლებ პირებთან ერთად კონსტანტინოპოლში დაბრუნდა.

კაპუჩინმა ძმამ, ჯაკომო უფროსმა, პარიზიდან, რომელიც ამ

წმ. ორდენს[158] მიეკუთვნებოდა, თურქებისაგან მთხოვა გამეთავისუფლებინა კათოლიკური ქრისტიანის ობოლი შვილი და შემდეგ ვენეციაში ჩამეყვანა, სადაც მას ნათესავი ჰყავდა. თურქებს მისი გამაჰმადიანება უნდოდათ.

მე ხალისით მივიღე ეს წინადადება, თუმცა ვიცოდი, რომ სიცოცხლეს დიდი საშიშროების წინაშე ვაყენებდი, რადგან კონსტანტინოპოლიდან დარდანელამდე შეუძლებელია სიკვდილის შიში არ დაგეუფლოს, ვინაიდან აქ თურქი დარაჯები ადიან გემზე და ყველა მგზავრს ამოწმებენ. ამიტომ ბავშვის წაყვანა სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, თუმცა კონსტანტინოპოლში ელჩ ბატონ დე ლა ფორესტას სარეკომენდაციო წერილი მქონდა. მასში ეწერა, რომ მე ვარ ელჩის მოძღვარი და რომში მისი სახელით მივდიოდი მოსალაპარაკებლად. გავიარე რა ეს ადგილები თურქებს ვუთხარი, რომ ვიყავი საფრანგეთის ელჩის მოძღვარი და ეს ყმაწვილი ელჩის სახლიდან იყო.

თურქებმა ერთმანეთს შორის ჩურჩული დაიწყეს. ამასობაში მათ ფული ვაჩუქე. მიუხედავად ამისა, დიდი საშიშროების წინაშე ვიდექი, რადგან ხმელეთის ამ ნაწილს მოადგნენ ქრისტიანი-რენეგატები, ე.ი. დიდი ბატონის (თურქეთის სულთნის – მ.ჰ.) წარჩინებული კარისკაცები. ამ ბატონებმა დარდანელიდან მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ ნაპირზე გადავიდნენ ლტოლვილები. მათ ყველგან ეძებდნენ. ისინი ჩვენთან იყვნენ, მაგრამ უფალმა უჩინარი გახადა.

[158] ალბათ იგულისხმება მამა ჯოვანი ფრანჩესკო ორლეანელი. წმ. კონგრეგაციისაგან მამა კაპუჩინებმა მიიღეს ბრძანება, რომ მისიონი ტრაპეზუნტამდეც კი გაეფართოებინათ (1652 წ. 30 სექტემბერი). საფრანგეთის მეფე ლუი XIV წერილში ელჩ დე ლა ეესადმი (1652 წ. 20 ნოემბერი). დიპლომატებს ახალი რეზიდენციის მეთაურად სთავაზობდნენ მამა რობერტო ვანტელეტს. ასევე მუთითებდნენ ამ წერილის შინაარსზე, რომლის ასლი ინახება კონსტანტინოპოლში მინორიტი კაპუჩინების წმ. ლუიჯი დი პერას მონასტერში. მას ახლდა მამა ჯოვანი ორლეანელი, რომელმაც შემდეგში იმოგზაურა ქალაქ ნეოჩეზარეაში, ტრაპიზონში, ტოკატსა და პისკატში (იხ: Clemente da Terzorio, Le Missioni dei Minori Capuuccini. Roma. 1928, გვ. 350, 351, 353).

წერილში, რომელიც დათარიღებულია 1629 წლის 3 თებერვლით და დაწერილია მამა ჯულიო პროლე დ'ორიტეას (გაუგებარია, რომელ ორდენს მიეკუთვნებოდა), პერას მთავარი ეპარქიისის მიერ, მოხსენიებულია ასევე წმ. კონგრეგაციის მისიონერების გაგზავნა „რუსებთან". მთავარ მოქმედ პირად დასახელებულია მამა პოლაკო (იხ: APF, Lettere di Missionari da Pera, Scio: Candia, 1629: 114, 56r-58r).

დიდი საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით, რადგან თუ მათ იცნობდნენ. ყველანი დავიღუპებოდით, ცოცხლად დაგვწვავდნენ. ეს იმიტომ, რომ, ვინც დიდი ბატონის (თურქეთის სულთნის – მ.პ.) წარჩინებულ რენეგატებს გაქცევაში ეხმარება, დიდი რისკის წინაშე აყენებს თავს, რადგან დესპანები ჯაშუშებად ჩაითვლებიან, ხოლო კაპიტანი დაკარგავს ქონებას, საქონელს, გემს და სიცოცხლეს. იმდენად დანაღვლიანებული ვიყავი, რომ უფალს ვთხოვე ამ საშიშროებისაგან განთავისუფლება.

რამდენიმე დღე შიშის ქვეშ ვიმყოფებოდი. თანაც ჩვენ შორის კაპიტნის მოწინააღმდეგეები და სასტიკი მტრებიც იყვნენ. კაპიტანმა დაიფიცა (შეურაცხყოფისათვის შურისძიების მიზნით) ამ ადგილიდან არ წავიდოდა, სანამ ყველა თურქს, რომლებიც გემზე მუსტაფა ალი მოსადეკის ძებნაში იყვნენ, არ აღმოაჩენდა. ეს უკანასკნელი ქვემოთ ტრიუმში იმალებოდა. მასთან იყვნენ ისინიც, რომლებიც მას მალავდნენ. ხელში ჯვარცმული მეჭირა, მივმართავდი მას და ვთხოვდი, რომ ქრისტესათვის, რომელსაც ეკლესიის გვირგვინი ადგას, დასაღუპავად ნუ გაგვწირავდა. სხვები მის ზღვაში გადაგდებას მოითხოვდნენ. ამრიგად, ამ რამდენიმე დღის განმავლობაში დარდანელიდან გასვლამდე უდიდეს განსაცდელის წინაშე ვიდექით, ხოლო კაპიტანი ჩიოდა და ამბობდა: „მამაო, ღმერთის შემდეგ მთელი იმედი თქვენზეა“.

ბოლოს, მადლობა ღმერთს, ვერ იპოვეს ის, ვისაც ეძებდნენ. მათ გაგვიშვეს და გავედით დარდანელიდან ძანტეს მიმართულებით, სადაც გათვალისწინებული გვქონდა დასვენება. ჩვენ დავისვენეთ. ჩვენს გემს საფრანგეთის მტერ მეკობრეთა ორი ხომალდი მოსდევდა, მაგრამ ბევრი ვიშრომეთ იმისათვის, რომ გადავრჩენილიყავით. როდოსზე გავლისას მათ ზარბაზნებით მივესალმეთ, გვერდზე ჩაგვიარეს და გზა როდის, ჩიპანტოს არქიპელაგისა და სხვა კუნძულებისაკენ განვაგრძეთ.

გავიარეთ როდის ახლოს, შევხვდით ვენეციის არმადას, ჰოლანდიის რამდენიმე სამხედრო ხომალდს, სამიალქნიან გალერს და

მსუბუქ გალერებს[159], რომლებიც დარდანელისაკენ მიდიოდნენ, რათა ხელი შეეშალათ იქიდან თურქეთის არმადას გასვლისათვის[156].

როგორც კი მივუახლოვდით ვენეციის არმადას, აღვმართეთ წმ. მარკოს დროშა და მათ შესახვედრად გავგზავნეთ ფელუკა, რათა გაგვეგო, რა გემები იყვნენ და სად მიდიოდნენ. გავიგეთ, რომ ისინი ფრანგული ხომალდები იყვნენ და იცნობდნენ კაპიტან ანდრეა კარბანაროს. ეს ჩვენ გაგვიხარდა, რადგან ისინი კონსტანტინოპოლში მოდიოდნენ, რათა თურქეთის არმადას შესახებ როდიში ახალი ამბები გაეგოთ.

ამ კუნძულებზე ვენეციის ელჩები ცხოვრობდნენ, რომელთა ვასალებიც ჩვენ ვიყავით. მათ მოგვცეს ვენეციის რესპუბლიკისადმი წერილი. მასში ეწერა ერთადერთი ციხესიმაგრის, ვოლის, აღების შესახებ,რომელიც არქიპელაგზე თურქებს ეკუთვნოდათ. არმადის ბატონები მოვამარაგეთ ახალი ამბებით. კერძოდ, თუ სად იმყოფებოდა თურქეთის არმადა, რამდენი იყო მასში ერთანძიანი და ოთხიალქნიანი გალერი, იალქნიანი გემი, სამანძიანი და მსუბუქი გალერი და სხვა. ყოველივე ეს მე ვნახე და მოვისმინე კონსტანტინოპოლსა და თურქეთის სხვა ადგილებში. ნათქვამს დავძინე, რომ ისინი უმთავრესად ახალი გემები იყო და სამხედრო საქმესა და საზღვაო ბრძოლებში არცთუ ისე გამოცდილი პირებისაგან შედგებოდა. თუმცა ისინი თავიანთი ძალებით შიშს იწვევდნენ, მაგრამ კარგი ხელმძღვანელისა და სწორი ბრძანებების შედეგად მათი ძალები გატყდებოდა. თურქებს კი ვენეციელთა უშიშრობა აღაფრთოვანებდა. ვენეციელებმა ერთხელ ხელთ იგდეს ბრძოლაში დიდი ბატონის რაინდები. შემდეგ ისინი ბატონს თავაზიანად გაუგზავნეს, რათა კეთილგანწყობით მიეღოთ ვენეციელთა ასეთი მოქმედება. მან (სულთანმა – მ.ჰ.) თქვა: ამ მეთევზეებს არაფერი

[159] რაც შეეხება XVI-XVII სს. საზღვაო არქიტექტურას, არსებობს ფ. ლანეს საინტერესო ანალიზი (იხ: Lane F.C.,დასახ. ნაშრ.,გვ. 284-307), სადაც მოცემულია ასევე დეტალური ნახაზები, რომლებიც აღებულია თეოდორო დე ნიკოლოს „ინსტრუქციიდან გალერების აგების შესახებ (იხ: Teodoro de Nicolo, Instructione sul modo di Fabricare galere. Venezia, Biblioteca Nazionale Moreinna Italiana cl. IV. cod. 26).

[160] დაიპყრეს რა კუნძული კანდია, თურქები გაემართნენ უნგრეთის სამეფოსაკენ და ვენას დაემუქრნენ.

აქვთ ჩემი ადამიანების გამოსაკვებად და ამიტომ გამომიგზავნესო. ამ ბატონებს ჩვენი რჩევა მოეწონათ და თქვეს: „მომავალ ბრძოლაში მეტ მამაცობას გამოიჩენენ და დიდებულ გამარჯვებას მიაღწევენ".

მათთან ჩვენ რამდენიმე დღე დავყავით და დიდი სიამოვნებით ვუყურებდით გაფერადებულ არმადას, რომელიც მეტად ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა, როდესაც იალქანს ქარი აფრიალებდა. შემდეგ შევადგინეთ წერილი ვენეციის რესპუბლიკის სახელზე და ვენეციაში გავემგზავრეთ, სადაც რამდენიმე დღეში ჩავედით[161]. ვენეციის მისადგომებიდან რამდენიმე მილზე გავჩერდით, რადგან აღმოსავლეთიდან როდესაც მიდიხარ ყოველთვის შავ ჭირზე აქვთ ეჭვი, ვინაიდან კონსტანტინოპოლში შავი ჭირისაგან ყოველ-დღე ათასობით ადამიანი იხოცებოდა. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურიდან ჩვენთან კაცი გამოგზავნეს, რათა გემის კაპიტნისათვის ეკითხათ რა საქონელი მოჰქონდა, საიდან მოდიოდნენ და ა.შ. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ახალი ლაზარეთის კარანტინში მოგვათავსეს.

ვენეციიდან ჩვენმა მამებმა იქ მიპოვეს. მოიტანეს თან სხვადასხვა საჭმელი. ისინი ვენეციელ წარჩინებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. მათ მოვუყევი ჩემი ისტორია აღმოსავლეთში.

ვენეციაში ჩასვლისთანავე ხმა გავრცელდა აღმოსავლეთში მყოფი პაპის ლეგატ მისიონერზე, რომელმაც ამ მხარეებში მრავალი წელი დაყო და სარწმუნოებისათვის დიდი წვალება გადაიტანა. ასევე გავრცელდა ხმა, რომ მან ლამაზი საგნების მდიდარი საუნჯე ჩამოიტანა. ამ საკითხებში ცნობისმოყვარეობით აღტაცებული წარჩინებული ვენეციელები ყოველდღე მოდიოდნენ ფელუკებით, რაც ჩემთვის მეტად ძნელი იყო, რადგან ჯანგატეხილი ვიყავი. მიუხედავად ამისა, ყველას დაკმაყოფილებას ვცდილობდი და ამ სათნო პიროვნებების მიმართ მეგობრულად ვიყავი განწყობილი.

15 დღეში კარანტინის დამთავრებისთანავე, მათ ლაზარეთიდან წამიყვანეს და ფელუკით სან ნიკოლო დი ტოლენტინოში მიმიყ-

[161] კასტელი ვენეციაში 1655 წლის ზაფხულში ჩავიდა. ამას მამა ფ. მ. მაჯოსადმი იმავე წლის 6 აგვისტოს გაგზავნილი წერილი ადასტურებს. (იხ: Licini P. A., Carteggio..., გვ. 127).

ვანეს, სადაც ჩემი თავი ჩააბარეს ჩვენს მამებს. სან ნიკოლო დი ტოლენტინოში ჩემს სანახავად მოვიდნენ პაპის ნუნციუსი მონსენიორი კარაფა და პატრიარქი, რომელთაც ჩემდამი დიდი კეთილგანწყობა გამოავლინეს. ყველაზე მეტად მოეწონათ ჩვენი სახლის წმ. მღვდელმსახურები, კერძოდ, მონასტრის წინამძღვარი მამა დონ ფრანჩესკო პინცინი. ყველანი მეფერებოდნენ, შუბლზე ნაზად მკოცნიდნენ, მადლობას სწირავდნენ ღმერთს იმისათვის, რომ ის მიცავდა ამდენი წელი, დამიბრუნა ახალი სიცოცხლე და ჩემს წმ. რელიგიაში გადამარჩინა. მე ხომ მრავალი წელი ვემსახურე ღმერთს, წმინდა სარწმუნოებასა და ჩვენს წმ. სამოსელს. მათი ეს სიტყვები არ შემეფერებოდა, რადგან მე, მხოლოდ უღირსი მსახური, ქებას კი არა, ძაგებას ვიმსახურებდი.

სენაკში შემიყვანეს და ექიმებმა მკურნალობა დამიწყეს, რადგან ცოცხალ-მკვდარი ვიყავი და როგორც ამბობდნენ, გამოვიყურებოდი მსუნთქავი ლეშივით. მათ მოიწვიეს ექიმები, სახელდობრ, ბატონები ალესანდრო რუოტა და ჯორჯო მოლარესი. ისინი ამ ქალაქის პირველი ექიმები და მეტად ღირსეული ადამიანები იყვნენ. ორივენი, ჩემდამი კეთილგანწყობით აღსავსენი, კარგად იყვნენ ინფორმირებულნი, თუ რა გადავიტანე წმ. სარწმუნოებისათვის. მათ დიდი წყალობა გაიღეს. მომცეს ხხვადასხვა რჩევა, რათა დამბრუნებოდა დაკარგული ხმა, განმკურნებოდა გამშრალი და დაწყლულებული ყელი, აშლილი კუჭი, გამაგრებული ღვიძლი და ელენთა, დაზიანებული ბარძაყი და ფეხები. ეს იმ მხარეებში (საქართველოს სხვადასხვა მხარეში – მ.პ.) მუდმივად ცხენზე ჯდომით იყო გამოწვეული. მთელი სხეულის შინაგანი ორგანოები დაზიანებული მქონდა, რაც საშინელ ტკივილებს მაყენებდა. ისინი გაოცებულნი იყვნენ, თუ როგორ გადავურჩი სიკვდილს.

რამდენადაც ცოცხლი გადავრჩი, ჩემს სანახავად მოდიოდნენ როგორც მღვდელმსახურები, ასევე ბატონები, როგორიც იყო საფრანგეთის ელჩი, რომელსაც წერილი ჩამოვუტანე. მისმა უწმინდესობის (რომის პაპის – მ.პ.) ნუნციუსმა შემატყობინა, რომ პატრიარქს უნდოდა ჩემი ნახვა. იგი იყო ჩვენი მამის, დონ სტე-

ფანო მედიჩის, მოძღვარი, მაგრამ მე ვერ შევძელი მასთან წასვლა ავადმყოფობის გამო, რადგან სიარული არ შემეძლო.

ოთხი თვის განმავლობაში ჩემდამი გამოჩენილი უდიდესი გულმოდგინებისათვის დიდად დავალებული ვარ ვენეციის სასახლის წინაშე. ასეთმა მოვლამ საბოლოოდ მაინც ვერ განმკურნა, მაგრამ მომეცა შესაძლებლობა, ფლორენციასა და რომში გავმგზავრებულიყავი. ფლორენციის დიდ ჰერცოგთან იმერეთის მეფის ელჩის სახით ვიყავი გამოგზავნილი; ამ მეფეს (იმერეთის მეფეს – მ.პ.) უნდოდა ფლორენციის ჰერცოგთან მეგობრობის დამყარება და წამლების მიღება მისი მეუღლისათვის – დედოფლისათვის, რომელიც ავადმყოფობის გამო იტანჯებოდა. ეს ელჩი ფლორენციის დიდმა ჰერცოგმა* სიამოვნებით მიიღო. მისთვის საამო იყო ამ ქვეყნებს (ვენეციის რესპუბლიკასა და იმერეთის სამეფოს – მ.პ.) შორის ურთიერთობის დამყარების მოსმენა იმ პიროვნებისაგან (კასტელისაგან – მ.პ.), რომელმაც მას (ფლორენციის დიდ ჰერცოგს – მ.პ.) სახელი გაუთქვა აღმოსავლეთის მთავრებს შორის.

ჰერცოგი ყოველდღე კაცს აგზავნიდა ჩემთან, ასევე თავის შვილს, ახალგაზრდა თავადს კოზიმოს, რომელიც დიდი ინტელექტითა და ცნობისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ის ჩემთან სიამოვნებით მსჯელობდა აღმოსავლეთის საკითხებზე, რადგან დიდი ხანი დავყავი აღმოსავლეთის ხალხს შორის. იგი ასევე ათვალიერებდა ჩემს ნამუშევრებს, რომლებიც შესრულებული იყო ცნობილი მხატვრის, სახელად, სტეფანო დელა ბელას[162] სტილით. ეს საინტერესო და ახალი ნამუშევრები იყო ასლი ნახატების სახით დასაბეჭდად.

უფროსი ჰერცოგი ყოველთვის ქუდმოხდილი და ფეხზე ამდგარი მხვდებოდა, რაც იმავეს გაკეთებას მავალდებულებდა. ეს ძნელი იყო კუჭ-ნაწლავის ტკივილისას, მაგრამ მან ამის შე-

* რედ. შენიშვნა: ერდინანდ II მედიჩი, ტოსკანის მე-15 დიდი ჰერცოგი (1610-1670 წწ.).

[162] მედიჩის სასახლის კარზე სტეფანო დელა ბელასთან კასტელის შეხვედრაზე (იხ: Bellio V, დასახ. ნაშრ., გვ. 676; Eszer A. Missionen in Halbrund der Lander Zwishen Schwarzen Meer, Kaspi – See und Persischem Golf; Krim, Kaukasien, Georgien und Persien, in "Sacrae Congregarionis de Propaganda Fide Memoria Rerum". Rom / Freiburg / Wien. I/q. 1971 გვ. 421-462). ფლორენციაში ქრ. კასტელი მიიღეს წმ. მიქელეს თეატინელთა სახლში

სახებ არაფერი იცოდა. როდესაც ამის შესახებ მას უთხრეს, საუბრის დროს მას უნდოდა, დავმჯდარიყავი და ბოდიშს იხდიდა, რომ არ იცოდა ჩემი ავადმყოფობის შესახებ. მითხრა, ეს რომ სცოდნოდა, საუბარს დასაწყისიდან ბოლომდე დამსხდარნი გამართავდნენ.

როცა ჰერცოგი თავის სასახლეში შემხვდა, მისაყვედურა იმის გამო, რომ მე ის მაშინვე არ გავაფრთხილე ჩემი ავადმყოფობის შესახებ. მას უნდოდა, რომ ფლორენციაში დავრჩენილიყავი, რადგან აქ ყველაფერი მეტად საინტერესო იყო. მას ვუთხარი, რომ დარჩენას ვერ შევძლებდი, რადგან მისი უწმინდესობის (რომის პაპის – მ.პ.) ელჩი ვიყავი იმ მხარეებში, (საქართველოში – მ.პ.) წმ. მისიონერული ამოცანებით გაგზავნილი, მასთან უნდა დავბრუნებულიყავი, რათა ყველაფერზე ანგარიში წარმედგინა და აღმოსავლეთის მეფეებისა და მთავრებისაგან უნდა გადამეცა წერილები. მათ თავიანთი ელჩის სახელით გამგზავნეს, თუმცა კათოლიკეები არ იყვნენ, მაგრამ რომის პაპის წმ. კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდნენ და მის უწმინდესობასთან (რომის პაპთან – მ.პ.) მეგობრობა სურდათ.

ამრიგად, მამა დონ ფრანჩესკო პიჩინისთან ერთად რომში გამგზავრების ნება დამრთეს. მამა პიჩინი მაშინ ვენეციაში უფროსი წინამძღვარი იყო და რომში გენერალურ კაპიტულთან სამი წლით მიემგზავრებოდა. ამასთან ეკისკოპოსად იყო ჩვენი მამა, ღრმად პატივცემული დონ ბონიფაციო ალიარდი[163]. მამა პიჩინისთან ერთად ბედნიერად ვიმგზავრეთ, ლომბარდიის ყველა სასახლეში დიდი მიღება მოგვიწყეს, რაც ჩემს ღირსებას არ შეესაბამებოდა. მე ყველა წმინდა მამა მეგებებოდა.

ფლორენციის ბიბლიოთეკაში, მთავარი ფასადის კარის ზემოთ, კვლავ ვიხილე ჩემი ხელით[164] გაკეთებული წმ. ნიკოლო ბარის პორტრეტი. ის ზეთით ტილოზე შევასრულე გურიის სამთავროში. აქ ამ წმინდა სახეს დიდ პატივს სცემდნენ ერეტიკოსები. მისიონში

[163] მამა ბონაციო ალიარდი მთავარი წინამძღვარი გახდა 1652 წელს (იხ: Nomi, Nomi e Cognoni de'padri e Fratelli professi della Congregazione de'Chierici Regolari, 1762, გვ. 118). მან 1685 წელს გამოაქვეყნა თეატინელთა ორდენის „რიტუალი", რომლის შედგენა მიანდეს მამა ა. სოტანის (იხ: Andreu F.C.R., I Teatini dal 1524 al 1974: sintesi storica, in "Regnum Dei", XXX, n. 100, 1974, გვ. 26).

[164] მამა კასტელი დეტალურად აღწერს, თუ როგორ ნახა მან თავისი ნამუშევარი ფლორენციელ თეატინელთა წმ. მიქელეს ეკლესიაში.

ხანძრის დროს, როცა ერეტიკოსებმა ჩვენი სახლი დაწვეს, მას ცეცხლმა ზიანი ვერ მიაყენა და გადარჩა. ცეცხლმა ყველაფერი შთანთქა, მწვანე ხეებიც კი დანახშირდა, ხოლო ეს წმინდა სახე უვნებელი დარჩა. ამას სასწაულს მიაწერდნენ. როცა დონ პიეტრო ავიტაბილე 1630 წელს რომში მიდიოდა, გურიაში გამოიარა, ეს პორტრეტი თან წაიღო. ფლორენციაში დონ პიეტრო ავიტაბილეს მამა დონ ფილიპო მარია გუადანიმ თხოვა, რომ ეს წმინდა სახე ეჩუქებინა[165]. შემდეგ იგი ხსენებული სასახლის ბიბლიოთეკის ფრონტონზე ლამაზი ორნამენტით მოათავსეს იმ სასწაულის შესაბამისად, რომელიც მოხდა გურიაში.

მე დავხატე იგი გურიის სამთავროში, გურიის პატრიარქის მალაქიას თხოვნით, რომელიც იმ დროს მისი მთავარიც იყო.

რომში ჩავედი. ჩემ მიერ შესრულებული ცნობები, ნახატები და ილუსტრაციები ვუჩვენე რამდენიმე მამას. ყოველივე ეს მე შემიკვეთა წმინდა კონგრეგაციამ. ასევე ეს დამავალა მთავარმა მოძღვარმა გუადანმა, მედიჩიმ, კარაფამ და სხვებმა, წმ. მორჩილების მისაღწევად. მათ, როგორც საგანძური, დიდი სიყვარულით შეაფასეს ჩემი ნაშრომები.

მათ ვუჩვენე აღმოსავლეთის მეფეებისა და მთავრების ყველა წერილი, რომლებიც ჩამოვიტანე. ეს წერილები მიწერილი იყო კონგრეგაციის მამა წინამძღვრისადმი, კარდინალებისა და, განსაკუთრებით, მისი უწმინდესობისადმი. მათ მითხრეს: „მართალია, ეს წერილები ზღვის წყლისაგან დაზიანებულია, მაგრამ თუ თქვენ მათ წარადგენთ, სხვადასხვა მიზეზის გამო რომიდან უკვე ვერ წახვალთ, რადგან თავდაყირა დააყენებთ სარწმუნოებას, ვინაიდან იმ მხარეებში გასაგზავნი მისიონერები საკმარისად არა გვყავს. არა მარტო საქართველოს საჭიროებისათვის, არამედ ისინი არ გვყავს იტალიისთვისაც. გარდა ამისა, შეუძლებელია მისმა უწმინდესობამ არ დააჯილდოოს დესპანი, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში მეფეებისა და მთავრებისაგან მოწყალებას ღებულობდა სარწმუნოებისათვის. მართალია, ავადმყოფი და დაუძლურებული ხარ, მაგრამ ცოცხალი დაბრუნდი რომში, მაგრამ რომის პაპი, წმინდა ადამიანი, სარწმუნოებისადმი ტანჯულთა მიმართ კეთილ-

[165] იხ. შესავალი, გვ. 41.

განწყობილია და მათი დიდი დამფასებელი. იგი თქვენ რომიდან არ გაგიშვებთ და დასვენების საშუალებას არ მოგცემთ, რაც თქვენ მხურვალედ გსურთ და გამონახავს სხვა, სერიოზულ საქმეზე თქვენი გამოყენების საშუალებას.

მე კი, განკურნებისა და პატარა დასვენების გარდა, სხვა არაფერი მსურდა. მინდოდა რა ჩემი სულისათვის მეზრუნა, მათ რჩევისათვის მადლობა ვუთხარი და მდივანს (იგულისხმება წმ. კონგრეგაციის – მ.პ.) მოკლე დასკვნები და ყველა წერილის შინაარსი დავუტოვე, რაც აღმოსავლეთში მისიონის მდგომარეობასა და სურვილებს შეეხებოდა. შემდეგ მე პაპ ალექსანდრესთან* გავეგზავნე, რომელიც ახლაც ცოცხალია.

დე, ღმერთმა დალოცოს ისინი. მამებს შორის უფროსი მამა კარაფა დამეხმარა, რათა მისი უწმინდესობისათვის (რომის პაპ ალექსანდრე VII-სთვის – მ.პ.) ფეხზე მეკოცნა, ჩემს ღისებასზე უარი მეთქვა და მისი ლოცვა-კურთხევა მიმეღო. პაპს ჩვენმა უფროსმა მამა დონ ფრანჩესკო კარაფამ უთხრა, რომ წლების განმავლობაში ვიშრომე წმინდა სარწმუნოებისათვის აღმოსავლეთის ერეტიკოსებს, სკვითებსა და ბარბაროსებს შორის. ცოცხალი დავბრუნდი. მის უწმინდესობას ეს დიდ კარიერად მოეჩვენა და ჩემი დაბრუნება [ისევ აღმოსავლეთში] უნდოდა. პაპს ვუპასუხე: ფიზიკურად ამისი საშუალება რომ მქონდეს, მე სიამოვნებით დავბრუნდებოდი და კისერზე უღელს დავიდგამდი, რათა მას დავემორჩილო, მაგრამ დაახლოებით სამოცი წლისა ვარ და დაუსრულებელი სირთულეებისა და ტანჯვის გამო ავადმყოფი და გატეხილი. ამიტომ ამის გაკეთება არ შემიძლია. მაშინ პაპმა გულმოწყალებით შემომხედა და თქვა: „შენ დიდად გაითქვი სახელი, კურთხეულ იყავ და წადი დასასვენებლად!“ მან რამდენჯერმე გაიმეორა: „წადი დასასვენებლად!“ ვაკოცე მას ფეხებზე, თავი დაბლა დავხარე და დასასვენებლად წავედი. მას დავემორჩილე. შემდეგ მივბრუნდი, რათა მენახა უფროსი მონსენიორი ნ[166].

რომის პაპის ნათქვამი ბევრმა გაიგონა ჩვენი სახლიდან

* რედ. შენიშვნა: აბიო კოჯი, პაპი ალექსანდრე VII– მ.პ. (1655-1667).
[166] ასე წერია ტექსტში.

[თეატინელების მისიონიდან – მ.პ.]. „ეს მამა რა შესანიშნავ ტალანტს ფლობს! ის იმ მხარეების მისიონს დააკლდება. მას გავაგზავნი ანდრეა დელა ვალეში“.

ჩემი წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მთავარმა კაპიტულმა მიიღო[167]. რომიდან ნეაპოლში ეტლით გავემგზავრე, ხოლო შემდეგ პალერმოში – ჩვენს ღირსეულ მამებთან ერთად. რამდენადაც პატარა შეკვრის, ჩემი ბარგის, წაღება თან არ შემეძლო, ის რომში უნდა დამეტოვებინა. ერთ-ერთ მამას დავავალე, რომ ბარგი ფელუკით ან სხვა საშუალებებით გამოეგზავნა. ეს ბედუკულმართი ფელუკა სტრონგოლისთან ახლოს ისეთ საშინელ ქარში მოყვა, რომ მეზღვაურებმა ფელუკას შემსუბუქების მიზნით ჩვენი საქონელი ზღვაში გადაყარეს. ამით კი ბედნიერი მგზავრობა განაგრძეს. ეშმაკებმა სტონგოლისთან ჩემთან ერთ, ასეთი ხუმრობა გითამაშეს.

სხვები ამბობდნენ, რომ ჩვენი ბარგი საერთოდ არ დაუტვირთავთ ნავზე. ამის დაჯერება არ შემიძლია, რადგან მწერდნენ (რომიდან – მ.პ.), რომ ის დატვირთეს. არ მინდოდა ფელუკის კაპიტნის მიმართ მკაცრი ვყოფილიყავი, რადგან ამაში უაზრობას ვხედავდი. დავკარგე მთელი ცხოვრების განმავლობაში შეკრებილი ნაშრომები. მასში ბევრი იყო ახალი და საინტერესო, რომელიც იმ ქვეყნებში შეკრებილი მასწავლებლის გარეშე უკვე მოხუცს, დაღლილს და ნახევრად მკვდარს, თავიდან ამ სამუშაოს შესრულება აღარ შემეძლო. ვაღიარებ, რომ ამ ცნობამ ჩემი გული დაკოდა და ერთი წელი ვერაფრით დავიშშვიდე თავი, გარდა იმ აზრისა, რომ ასე სურდა კურთხეულ ღმერთს და ამიტომ დაუშვა ეს.

მრჩებოდა მხოლოდ ნუგეში, სხვაგვარად არც შემეძლო, ამდენი შრომის დაკარგვას ვერ შევურიგდებოდი. რადგან დაღუპვას გადავურჩი, ამდენ განსაცდელს გავუძელი, ბარბაროსებს ხელიდან დავუძვერი, გემის დაღუპვას თავი დავაღწიე, მისი (ნახატების, სურათებისა და რელაციების – მ.პ.) შემონახვა მეწადა. ახალი წამოწყებისათვის უფალმა გამამხნევა და რამდენადაც შესაძლებელი

[167] ასე იწყება დაწვრილებით იმ ამბების აღწერა, რომლებიც შეეხება მამა კასტელის ბარგის დაკარგვას. ყველა ნახატი, რომლებსაც იგი წლების განმავლობაში დიდი მოთმინებით ხატავდა, ქართლსა და სამეგრელოში დაიკარგა.

იყო, უფლის დახმარებით აღვადგინე. ეს იყო დიდების საკითხი და ბედისწერა. ეშმაკები რომ დამებნია, რომლებიც ამ ბარგის დაკარგვის მიზეზნი იყვნენ, თუ ყველა არა, ზოგიერთი მაინც უნდა აღმედგინა. ხელახლა უნდა დავხატო ყველა ძირითადი საგანი, ყველა ფაქტი გავიხსენო, თუ ამის საშუალებას ჯანმრთელობა და დრო მომცემს. მცველი ანგელოზი ნებას მრთავს ღმერთის დიდებისა და სარწმუნოების სასახელოდ, რათა მსუნთქავმა გვამმა, როგორიც მე ვარ, აღვადგინო ზოგიერთი ნაშრომი არა ჩემი სახელის უკვდავსაყოფად, არამედ უფლის სადიდებლად. ყველაფერი საუკეთესო შემქმნელს, რადგან მხოლოდ ის იმსახურებს დიდებას, ხოლო მე კი — გაქრობას.

თქვენი უწმინდესობა შემდგომში იხილავს, თუ როგორ შთამაგონებს ამას ღმერთი. თქვენი უწმინდესობა ყოველთვის თვალყურს ადევნებს უფლის მსახურის მოქმედებას, ხედავს მის ნაყოფს, რომელსაც კურთხეული ღმერთი ღებულობს. ჩვენ მხოლოდ უფლის დიდება უნდა გვაწუხებდეს.

როგორც უკვე ვამბობდი, ისტორია დაიწერა. ვემსახურებოდი წმინდა კონგრეგაციასა და პაპ ურბან VIII-ს, რომლის სახელი წმინდაა. საქართველოში როცა მივემგზარებოდი, მან (პაპ ურბან VIII-მ) მიბრძანა ეს. თავისი მსახურისადმი ღმერთის დახმარებით, წყალობითა და შემწეობით მისიონერები მცირე ნაშრომებს ქმნიან. ეს ქვეყენები ღარიბები არიან, მაგრამ იქ საშუალება გეძლევა დიდი ნაყოფი მიიღო ჩვენი წმინდა სარწმუნოების დიდებისათვის. გვაქვს შესაძლებლობა, რომ უფალს ნამდვილი სიყვარული ვუჩვენოთ. იმას, ვისაც ღმერთი ჭეშმარიტად უყვარს, დიდი საქმეების წამოწყება შეუძლია მისადმი სიყვარულის გამო, ხოლო სიტყვები — ეს მხოლოდ სიტყვებია, ოქროში ამოვლებული.

ეს საუკეთესო მოწოდებაა ასეთი დიდებული წამოწყებისათვის. ღირს დიდ შრომად სპარსული სამყაროს შექმნა ჭეშმარიტი ღმერთისათვის.

დაე, თქვენმა უწმინდესობამ მოთმინებით წაიკითხოს ეს ცუდად და უწესრიგოდ დაწერილი წერილები, რომლებსაც უფლის შემწეობით ვქმნიდი მე, ულირსი მონა, როცა ამ მხარეებში (აღმოსავლეთში — მპ.) ვცხოვრობდი.

BIBLIOGRAFIA

ALLEN W.E.D., 1932: A History of the Georgian People from the beginning down to the Russian Conquest in the XIXth Century, London (P. Kegan).

ALONSO C., O.S.A., 1966: Misiones de la Orden de San Augustin en Georgia (1628-1639), in "Analecta Augustiniana", XXIX (1966), Roma, 222-315.

AMAT di S. FILIPPO P., 1962: Bibliografia dei viaggiatori italiani ordinata cronologicamente, Roma (Tip. del Salviucci, ristampa anal. del 1874).

ANDREU F., C.R., 1950: Carteggio inedito di Pietro della Valle col P. Avitabile e i Missionari Teatini della Georgia, in "Regnum Dei, Collectanea Theatina", VI, n. 23-24, 57-99.

_____1951: VII. n/25. 19-50; n. 26-27, 118-138.

_____1974:I Teatini dal 1524 al 1974: sintesi storica, in "Regnum Dei", XXX, n. 100, 8-54.

BAGRATIONI V., 1976: Istorija Carstva Gruzinskogo, Tbilisi (Iz. Mecniereba).

BAGRATIONI ORSINI K., TABAGUA I., 1981: Une ambassade géorgienne en Europe (Nicéfore Irbakhi. XVIIe s. Huit documents inédits), in "Bedi Kartlisa", XXXIX (1981), Paris, 139-152.

BARONIO C., 1588-1643: Annales Ecclesiastici, Roma (Tip. Vaticana), t. III.

BELLIO V., 1884: La Georgia e la Mingrelia secondo un Missionario italiano del secolo XVII: Cristoforo Castelli, in "Bollettino della Societá Geografica Italiana". s. II, IX, 673-708.

BERNARD J.F., 1725: Recueil de Voyage au Nord contenant divers Memoires trés-utile au Commerce et á la Novigation. Amsterdam (Bernard), a cura di.

BIETENHOLZ P.G., 1962: Pietro della Valle (1586-1652). Studien

zur Geschichte der Orientkenntnis und des Orientbildes im Abendlande, Basel-Stuttgart (Helbing).
BRAUDEL F., 1953: Civiltá e imperi nel Mediterraneo nell'etá di Filippo II, Torino (Einaudi), 2 voll.
BOL'ŠAJA, 1976: Bol'šaja Sovetskaia Enciklopedija. Moskva (Iz. Sovetskaia Enciklopedija), direttore A.M. Prochorov.
BROSSET M.F., 1932: Relation sur la Mission en Géorgie, in "Journal Asiatique" II, 19-218 (traduzione da un ms latino dell'orientalista Jean Saint Martin).
_____, 1842: Description Géographique de la Géorgie par le Tsarévitch Wakhoust Bagrationi. St. Peterbourg (Ak. Nauk).
_____, 1849-1858: Historie de la Géorgie, St. Petersbourg (ak. Nauk).
_____, 1851: Additions á l'histoire de la Géorgie. St. Peterbourg (Ak. Nauk).
BYHAN A., 1936: La civilisation coucasienne, Paris (Payot), préface et traduction du Dr. G. Montandon.
CAPPELLI A., 1973: Lexicon Abbreviaturarum, Milano (U. Hoepli), VI ed.
CARAYON A., S.J., 1869: Missions Des jésuites En Russie Et Dans L;Archipel Grec, Paris;(L'Ecureux).
CESSI R., 1946: Storia della Repubblica di Venezia, Milano/Messina (Principato).
CHARDIN G., 1735: Voyages du Chevalier Chardin en Perse, et autres lieux de l'Orient Contnnant le voyage de Paris á Isphahan, Lyon (de Lorme).
_____, 1811 a: Voyage du Chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient. Atlas, Paris (Le Normant).
_____, 1811 b: Voyage en Perse et autres lieux d'Orient augmentes des Notes par L. Langlés, Paris (Le Normant).
CHINI E., 1985: La chiesa e il convento dei Santi Michele e Gaetano a Firenze, Firenze (Giunti Barbéra per conto della Cassa di Risparmio di Firenze).

CHIOCCHETTA P., 1971: Il contesto storico nel quale sores la S. Congregazione "de Propaganda Fide", in "Sancrae Congregationis de Propaganda Fide Memoria Rerum". Rom/Freiburg/ Wien(Herder), I/I. 3-15.

CLEMENTE DA TERZORIO, 1925: Le Missioni dei Minori Cappuccini, Roma (Manuzio). VII, Turchia Asiatica.

COTTONE G.M., 1733: De Scriptoribus venerabilis Domus Divi Josephi Clericorum Regularium urbis Panormi, Palermo (A. Felicella).

COX E.G., 1935: A Reference Guide to the Literature of Travel, Washington, Seatle (Wash. Univ. Press).

GROLLALANZA DI G.B., 1886: Dizionario Storico-Blasonico, Bologna (A.. Forni).

DE GOVVEA A., 1646: Relation des grandes guerress er victores obtenues par le Roy de Perse Cha Abbas. Couen (s.e.).

DE LA GROIX S., 1957: Histoire Universelle des Missions Catholoques. Paris (Grund), a cura di.

ESZER A., 1971: Missionen im Halbrund der Länder zwischen Schwarzem Meer, Kaspisee und Persischem Golf: Krim, Kaukasien, Georgien und Persien, in "Sacrae Congregationis de Propaganda Fide Memoria Rerum", Rom/Freiburg/Wien (Herder), I/I, 421-462.

_____, Missionen in Rodzonen der Weltgeschichte: Krim, Kaukasien und Georgien, ibidem, 650-679.

FAMIN C., 1838: L'Univers, ou Histoire et Description de tous les Peuples, le leurs Religions, Moeurs, Coutumes, Paris (Firmin Didot), a cura di.

FERRO B., C.R., 1704: Istoria delle Missioni de'Chierici Regolari Teatini. Con la descrizione de'Regni, Provincie, Cittá, Luoghi, Fede, Riti e Costumi delle Genti ove andarono, e passarono li Missionari, Roma (G.g. Buagni). I., "De Quattro Regni della Georgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti".

GALLUZZI J.R., 1822: Istoria del Granducato di Toscana sotto il governo della Casa Medici, Firenze (L. Marchini).
GABOLLO G., 1929-1930: Dizionario geografico universale. Milano (Noepli), V ed.
GIOFGAZISA B., 1977: Don Pietro Avitabile, enobebo sak'artveloze (XVII s.). Tbilisi (Gamomcmemloba Mecniereba).
GUGUELMINETTI M., 1967: Viaggiatori del seicento, Torino (Utet).
GULLDAY P., 1920-1921: The Sacred Congregatione "de Propaganda Fide" (1622-1922), in "The Catholic Historical Review", Washington, VI, 178-794.
GUIORGAZE B., 1977: Relazione e album dei Schizzi sulla Georgia del secolo XVII. Don Christoforo De Castelli. Tbilisi (Scienza).
HENFION M., 1843-1850: Storia generale della Chiesa dalla predicazione degli Apostoli sino a'nostri tempi. Milano (A. Bonfanti).
JANIN R.: Géorgie, in "Dietionnaire de Théologie Cahtolique", Paris (Lib. Letouzey et ané). VI, 1915, coll. 1239-1289.
JENDWINE J.W., 1925: Religion, Commerce. Liberty: a Record of a Time of Storm and Change. 1683-1793, London (Longmans Green).
JORGA N., 1910: Geschichte des Osmanischen Reiches nach den Quellen Dargestelli. Gotha (F.A. Perthes).
KLAPROT J., 1823: Voyage au Mont Caucase et en Géorgie, Paris (Gosselin).
KOWALSKY N., OMI, 1962: Serie dei Cardinali Prefetti e dei Segretari della Sacra Congregazione "de Propaganda Fide", Roma (Ed. Urbanianae), ex "Collectio Urbaniana", III. Texus ae Documenta n. 4.
LAMBERTI, 1657: Storia Sacra dei Colchi, ovvero Colchide Sacra, Napoli (Cavalli).
LANE F.C., 1983: Le navi di Venezia, Torino (Einaudi).
LANG D.M.: Catalogie of Georgian and other Caoucasian Printed Books in the British Museum, London (The Trustees of the B.M.), a cura di, prefazione di K.B. Gardner.

LICINI P.A., 1980: Carteggio inedito di D. Cristoforo Castelli Chierico Regolare. Missonario in Georgia e Mingrelia, Milano (Stamp. MD), XXI della collana "Ricerche sull'Architettura Armena e Georgiana".
_____, 1981: La corrispondenza di D.C. Castelli, in "Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie", Paris, XXXIX, 238-243.
_____, 1984 a: "Breve Relatione della Mengrellia" Redatta nel 1644 dal teatino Giuseppe Giudice, in "Orientalia Christiana Periodica", Roma, L/I, 126-162;
_____, 1984 b: idem, L/2, 407-437.
_____, 1984 c: Quattro manoscritti inediti sulla vita di Mons. C. Reina vescovo di Isfahan (sec. XVIII), in "La conoscenza dell'Asia e dell'Africa in Italia nei secoli XVII e XIX", Napoli (Ed. Intercontinentalia), a cura di U. Marazzi, 503-534.
_____; 1984 d: The Correspondence by C. Castelli in Chierici Regolari's Archives; his Artistic Personality, in "L'Arte Georgiana dal IX al XIV secolo, Atti del 3° Simposio Internazionale sull'Arte Georgiana", Galatina (Congedo ed.).
_____, LOZITO V., 1941: Il piú importante viaggiatore italiano nel sec. XVII (pietro della Valle), Varese (Ist, Edit. Cisalpino).
MAJORANA B., 1981: Osservazioni in margine al catalogo del fondo Costelli di Palermo, in "Bedi Kartlisa", Paris, XXXIX, 244-249.
MANVELICHVILI A., 1951: Histoire de Géorgie, Paris (Nouvelles ed, de la Toison d'Or), prefazione di J. Karst.
MILANESI M., 1978: Giovanni Battista Ramusio, "Navigazioni e Viaggi", Torino (G. Einaudi), I.
NOMI, 1762: Nomi e Cognomi de'Padri e Fratelli professi della Congregazione de'Chierici Regolari, Roma (Stamp. Del Chracas).
OČERKI, 1955: Očerki Istorii SSR. Period Feodalizma-Konec XVv. – Načalo XVII v., Moskva (Iz. Akademii Nauk), redattori: A.N. Nasonova e L.B. Čerepnina.
ORDINI, 1698: Ordini de'Capitoli Generali de'MM.RR.PP. Generali e PP. Consultori de' Cherici Regolari, Roma (G. Komarek), raccolti per ordine del Cap. Gen. del 1653.

PALMIERI A., O.S.A., 1904: La Chiesa Georgiana e la sue Origini, in "Beesarone", 2ª serie, VI.
PEETERS P., 1932: Les débuts du Christianisme en Géorgie d'aprés le sources hagiographiques, in "Analecta Bollandana", L, 5-58.
PICONE-CHIODO C., 1968: Un siciliano in Georgia: Teramo Castelli, in "Archivio Storico Siciliano", s. HT, XVIII, 267-277.
PLATONOV S.F., 1927 Rossija i Italija. Sbornik istoričeskich materialov I issledovanij kasajuščichsja snošenij Rossii e Italiej, Leningrad (Iz. Akademii Nauk), in collaborazione con E.F. SMURLO.
RUBAKOV B.A., 1974: Russkie Karty Moskovii, Moskva (Nauka).
ROHRBACHER R.F., 1890-1891: Storia Universale della Chiesa Cattolica dal Principio del Mondo fino ai Giorni Nostri, Torino (P.G. Marietti), IX ed.
SACRAE. 1971: Sacrae Congregationis Memoria Rerum. 350 anni al servizio delle Missioni 1622-1972, Rom/Freiburg/Wien (herder), I (1622-1700), II (1700-1815), III (1815-1972).
SEBASTIANI L., 1977: Le Relazioni dei Missionari come fonti per lo studio della Georgia, in "Atti del I simposio Internazionale sull'Arte Georgiana, Bergamo, 28-30 giugno 1974", Milano (Solari), 427-430.
SHAW S.J., 1976 History of the Ottoman Empire and Modern Turkey. Cambridge (Cambridge Univ. Press).
SILOS I., C.R.,: Historiarum Clericorum Regularium a Congregatione Condita: 1653: vol. I. Roma (Vitali Mascardi); 1655: vol. II, Roma (Corbelletti); 1666: vol. III. Palermo (Petri de Insula).
STREIT R., O.M.I., 1916: Bibliotheca Missionum I, Münster (Verlag der Aschendorffschen Buchhandlung).
SVEDENIJA, 1981: Svedenija Ital'janskich Putešestvennikov XV veka o Gruzii, Tbilisi (Meznieреba), a cura di: Z.N. Aleksidze, V.N. Gabašvili, N.S. Džanašia. S.V. Dzinziguri, I.S. Dolidze, S.G. Kauchčišvili, R.K. Kiknadze, G.A. Melikišvili, E.P. Metreveli, E.V. Chostarija, editore Dž. Olišeli.

SUKES P., 1930: A History of Persia, London (Mecmillan).
TAMARATI M., 1902: Historie du Catholicisme en Géorgie avec du documents justificatifs du XIII au XX siécle. Tiflis (Elektropečatnaja Gruzin. Izd.).
_____, 1903: Rapports sur l'église latine de l'Assomption de Tiflis en Géorgie, Roma (Impr. De la Propaganda).
_____, 1910: L'Église géorgienne des origins jusqu'á nos jours, Roma (N. Garroni).
TARCHNIŠVILI M., 1955: Geschichte der Kirchlichen Georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes des Georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze, Cittá Jel Vaticano (Bibl. Apostolica Vat.), in collaborazione con J. ASSFALG.
THÉVEFNOT M., 1696: Rélation de divers voyages curieux par M. Thévernot, Paris (H. Moette).
TUCCI U.: Costi e Ricavi di una Galera Veneziana ai primi del Cinquecento, in"Studi Veneziani", XVI. 109-175, a cura di Olschki.
TUFO del G.G., 1609: Historia della Religione de'Padri Chierici Regolari, Roma (Guli Facciotto).
TUMANOFF F., 1963: Studies in Christian Caucasian History, Washington (Georgetown Un. Press).
VEZZOSI A.F., C.R., 1780: I scrittori de'Chierici Regolari detti Teatini, Roma (Stamp. De la Propaganda Fide).
WALZ A., O.P., 1947: Compendium Historiae Ordinis Praedicatorum, Roma (Pont. Athenaeum Angelicum).
Zampi G.m., C.r., 1725: Relation de la Colchide et de la Mingrelie, in "Recueil de Voyage au Nord contenant divers Memoires trés-utile au Commerce et á la Navigation", VII, 198-302. V. anche J.J BERNARD, a cura di.

შინაარსი

მთარგმნელისაგან 6
შესავალი 22

მისია მრავალ ურწმუნო ქვეყანაში

თეატინელი მისიონერის, პალერმიელი მამა დონ კრისტოფორო კასტელის მიერ სამეგრელოს სამეფოში 1633 წლიდან აღწერილი ისტორია 46

გურიაში ჩვენი მამების სულიერი ქალიშვილის, ხოლო შემდეგში სპარსეთის დედოფლის ელენე ათაბაგის გმირული მოქმედება 54

ჩვენმა მამებმა სამეგრელოს მეფე დაარწმუნეს, რომ დაედო ზავი იმერეთის მეფესთან. ის იღებს კეთილ რჩევას და ზავს დებს 65

მოწოდების, მოციქულებრივი სამსახურისა და ჩვენი უფლის დაცვის შესახებ 68

განდგომილ ფირიდონ ნიკოლოსთან საუბრის შესახებ 81

ქალების საშუალებით მისიონერების მიმართ ეშმაკის მზაკვრობა. პირველის შემდეგ კიდევ ერთი ხანძარი 84

1653 წელს საქართველოს პატრიარქის უკანასკნელი ქადაგება 92

იმერეთის მეფის ერთადერთი შვილის – უფლისწული ბაგრატის – ნათლობა 99

გურიის მთავართან წინააღმდეგობა ჩვენი მსახურის მიქელეს დასაცავად, რომელიც ხსენებულ მთავარს უნდოდა დიდი ბატონისთვის საჩუქრად გაეგზავნა 107

როგორ მიმიღო 1646 წელს სამეგრელოს მთავრის მიერ გაგზავნილი იმერეთის მეფე ალექსანდრემ. მოწყალება, რომელიც ჩვენმა წმინდა მამებმა ქალაქ ქუთაისში მიიღეს სარწმუნოების გამო 120

ბიბლიოგრაფია 153

პატრიცია ანა ლიჩინი
კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში

Патриция Анна Личини
Кристофоро Кастел его миссия в Грузии

PATRICIA ANNA LICHINI
Christoporo Castelly and his mission in Georgia

გამომცემელი და რედაქტორი: ლ. ქოქიაური
ტექნიკური რედაქტორი: მ. ბალავაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ა. ფიფია
კორექტორი: ნ. ჩოდრიშვილი, მ. პაპაშვილი

გადაეცა წარმოებას 10.03.2009.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.03.2009.
საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,1

ტირაჟი 300